

აკთანდილ სონღულაზვილი

ქართული ენა

და

ეროვნული უმცირესობა



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012**

UDC(უკ)811.353.1.323.15(47922)

ს-677

ნაშრომში ახალი საარქივო დოკუმენტური წყაროებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, შესწავლილია ქართული ენის როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ნაჩვენებია ქართული ენის მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაში. წარმოდგენილია შიდა და გარეშე მტრების ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ.

ცალკე ადგილი ეთმობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი.

ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ გამეზარდაშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **იგორ კვესელავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მურმან პაპაშვილი**

© ა. სონტულაშვილი, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-515-2

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ყველაზე დიდი საოცრება, რაც კაცობრიობას შეუქმნია თავისი არსებობის მანძილზე არის ენა. ენა ის ფენომენია, რომელმაც ადამიანი გამოყო ცხოველთა სამყაროსაგან და ამით დასაბამი მისცა მსოფლიოს დღევანდელ სახეს თავისი სულიერი და მატერიალური კულტურის გრანდიოზული განვითარებით. ენამ შექმნა ადამიანი, როგორც გონიერი მოაზროვნე არსება. „არც მიწისქვეშ მფრინავი სტიქიონები, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მაოცებს, როგორც ენის ფენომენი. რომელმა ზენარულმა შექმნა ენა, უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიოს ენები? ენით წვდება ადამიანის გონება ყოველივეს სამყურა ბალახიდან დაწყებულს ვიდრე ვარსკვლავების ლეგიონებამდის“ – წერდა ენის ფენომენის არსითა და გენეზისით გაოცებული კონსტანტინე გამსახურდია.

მაგრამ თუ ენამ შექმნა ადამიანი, როგორც გონიერი არსება და საზოგადოების წევრი, მეორე მხრივ ადამიანმა, ადამიანთა საზოგადოებამ შექმნა ენა, ადამიანთა კოლექტივის გარეშე ენა ვერც წარმოიქმნებოდა და ვერც იარსებებდა. ამდენად, ენის არსებობა გულისხმობს საზოგადოებას, საზოგადოებისა – კი ენას. ეს ორი ფენომენი დიალექტიკურ ერთიანობაში გვევლინება. [1, 6].

„დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის უძვირ-

ფასესი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს აგებულებაზედ“ [2, 207-208] – აღნიშნავდა დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

ენის შექმნის პროცესი არაცნობიერია, მრავალი თაობის ფიქრისა და ტანჯვის ანარეკლი, საუკუნეთა წიაღში დანთქმული, ისევე არაცნობიერი, როგორც ბავშვის მიერ მშობლიური ენის ათვისება. მეტყველების უნარი გენეტიურად არის მოცემული, მაგრამ არა კონკრეტული ენისა. იგი ისევე შედის გენებში, როგორც შიშის ან სიამოვნების გრძნობა, ფერის ან გემოს შეგრძნება, რაც ცხადყოფს, რომ ენა ძალიან დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა, მრავალი ათასწლეულის მიღმა [3, 57].

ენის საიდუმლოების ახსნის შესახებ აზრი ადამიანებს უძველესი დროიდანვე აღეძრათ. ეძებდნენ პასუხს ენის წარმოშობის საკითხზე, მსჯელობდნენ საგანთა სახელდების პრინციპებზე. ამ მიმართულებით ფიქრმა შექმნა ძველი ებრაული მითები ენის წარმოშობის შესახებ. შემდეგ ამ მითებმა ერთიანი ჩამოყალიბებული სახე მიიღო ბიბლიაში, სადაც ორი განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი: პირველი თვალსაზრისის მიხედვით „ღმერთმა უწოდა ნათელსა ღღე და ბნელსა უწოდა ღამე“ ე.ი. ისე როგორც მთელი სამყარო, ენაც ღმერთმა შექმნა, ღმერთია ყოვლის შემოქმედი და მათ შორის ენისაც. ხოლო მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი ადამიანია ენის პირველი შემოქმედი, ადამიანის წინაპარმა ადამმა უწოდა სინამდვილის საგნებს სახელები.

როცა ბიბლიის ავტორები ენის წარმოშობაზე წერდნენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდათ

ებრაული, მაგრამ მათ ასევე მხედველობიდან არ გამოორჩენიათ სხვა ენებიც. ბიბლიაში მრავალენიანობა ასეა ახსნილი: წარღვნის შემდეგ ადამიანებმა ჩაიდინეს საძაგელი არგაგონილი საქმე. მათ გადაწყვიტეს ისეთი სიმაღლის კოშკი აეგოთ, რომელიც ცას მისწვდებოდა, რათა ღმერთთან ასულიყვნენ. ღმერთი ამას როგორ დაუშვებდა და მიიღო გადამწყვეტი ზომები: მან აურია მომუშავე ადამიანებს ენები, რამაც სრული გაუგებრობა გამოიწვია მშენებლებში და ბოლოს ჩაშალა მათი წამოწყება. ასე წარმოიშვა სხვადასხვა ენები ბიბლიის მიხედვით.

რა თქმა უნდა, ენის თუ ენათა წარმოშობის ამგვარ მითოლოგიურ ახსნას არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან, მაგრამ აქ მთავარი პრობლემის ახსნა კი არ არის, არამედ დასმა. ამიტომ ბიბლიური ლეგენდები ენის თუ ენათა წარმოშობის შესახებ, მიუხედავად მათი აშკარა მითოლოგიური არსისა, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში გასათვალისწინებელია [1, 13-14].

ენაში დალექილია ხალხის კოლექტიური გამოცდილება. იგი ნაციონალური მსოფლხედვის გამოხატულებაა. ეროვნულ მიმართებათა უფაქიზესი გამა, უკიდვანო სამყაროს დამტვეია. ის, რაც ენით არ გამოთქმულა, ადამიანური ცნობიერებისათვის არარსებულია ან დაკარგული, მარადი წყვედიადით მოცული. ენა არის სამყაროს ცნობიერებაში არსებობის ფორმა. „ენობრივი საზრისი“ უკავშირდება „ერის საზრისს“, რადგან ნაციონალობის უმთავრესი ნიშანი ენაა და ამიტომ არის სიტყვის შემოქმედი

ყველაზე ღრმად შეჭრილი თავისი ხალხის ფსიქიკისა და ყოფის ლაბირინთებში [3, 48].

ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციები და მშობლიური მთლიანობაში შეადგენენ ეროვნული კულტურის ძირითად ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის ნაციონალურ იერსახეს, მის ეროვნულ ფიზიონომიას. ამ მთავარი ელემენტების შესუსტება, დამცირება ნოლზე დაყვანა იწვევს ერის მოსპობას [4, 7].

შემთხვევითი არ არის, რომ ცნობილი მეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი ენის მნიშვნელობას ერის განმარტებას უკავშირებდა. მისი აზრით „ერის ცნება უნდა დაემყაროს“ ენას. „ერის“ (ხალხის) ენობრივად განსაზღვრის პრინციპულ შესაძლებლობას ავტორი ასე ასაბუთებს: „რამდენადაც ენის განვითარებით არის შეპირობებული ადამიანებში ადამიანური ბუნების განვითარება, ამდენად უშუალოდ თვითონ ენიდან უნდა იქნეს მიღებული ცნება ერი ს ა, როგორც გარკვეული აზრით, ენის შემქმნელ ადამიანთა ჯგუფებისა“.

ჰ. შტაინთალ ასე განმარტავს ამ ადგილს: „რამდენადაც ენამ აქცია ადამიანი ადამიანად, ამდენად ერი მიჩნეულ უნდა იქნას იმ არსებათა ჯგუფად, რომლებიც ადამიანებად იქცნენ ერთსა და იმავე ენობრივ გარემოში, რამდენადაც ადამიანთა განვითარება არსებითად და აუცილებლობით მუდამ ენით იყო შეპირობებული, ამდენად ერი შემდგომში უკვე გვევლინება ისეთ ადამიანთა ერთიანობად, რომელთა სულიერი განვითარება მიმდინარეობს ერთსა და იმავე ენობრივ გარემოში“. აქვე უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ცნებები „ხალხი“ და „ერი“ ჰუმბოლდტის დროს არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული [5, 39].

ენაც წარმოიშობა, ვითარდება და ზოგჯერ „კვდება“ კიდევ, მაგრამ ეს არ არის ბიოლოგიური სიკვდილი, ეს არის „სიკვდილი“, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. ენის „სიკვდილი“ არის მისი ხმარებიდან გასვლა. ეს კი ხდება მაშინ, როცა სათანადო ენობრივი კოლექტივი, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, თავის მშობლიურ ენას ივიწყებს და გადადის სხვა ენაზე [1, 122].

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. იგი ურთიერთობაშია სხვა ადამიანებთან. მათ შორის მყარდება კონტაქტი, რომლის მიზანია ურთიერთგაგების მიღწევა. მას უწოდებენ კომუნიკაციას. ეს არის პროცესი, რომლის შედეგად ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ აზრების ურთიერთ გადაცემისა და გაზიარების მეშვეობით.

კომუნიკაცია ურთიერთობის ისეთი სახეა, როდესაც ადამიანები ურთიერთგაგებას აღწევენ ცნობიერების მეშვეობით. იგი არის ადამიანების ერთმანეთთან ცნობიერი ურთიერთობა, ე.ი. აზრების შეტყობინება და გაგებინება. მისი საფუძველია ენა [6, 136]. ენა ყოველი ხალხის ნაციონალური კულტურის ყველაზე უფრო თავისთავადი და განუყოფელი ელემენტია. ადამიანი, ხალხი თავისი ნაციონალური თვითმყოფობისა და შემეცნების იდეებს ყველაზე უფრო სრულად თავისი საკუთარი ენისა და, მაშასადამე, ლიტერატურის მეშვეობით გამოთქვამს. ჯერ კიდევ ე. ს ე პ ი რ მ ა და ბ. უ ო რ ფ ი მ ნათელყვეს, რომ ადამიანთა აზროვნება, მსოფლმხედველობა და ყოფაქცევა უმნიშვნელოვანესი ზომით პირობადებულია, განსაზღვრულია, თავისებურებებით იმ ენისა, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ და რომელიც თვით მათი ერთობლივი ცხოვრების ნაყოფია [7, 23].

ენა არც მეტყველებაა და არც დამწერლობა. პირველი მისი გამოთქმის, ხოლო მეორე – ჩაწერის საშუალებაა. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მეტყველება და ენა ერთდროულად წარმოიშვა. ადამიანი მეტყველებს გარკვეულ ენაზე. მაგალითად,

ქართველი მეტყველებს ქართულ ენაზე. როდესაც დაიბადა პირველი ქართველი, მასთან ერთად გაჩნდა ქართული მეტყველებაც და ენაც. რაც შეეხება დამწერლობას, იგი ჩნდება მოგვიანებით, ცივილიზაციის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. დამწერლობის შექმნა კაცობრიობის უდიდესი აღმოჩენაა, რამაც გადაწყვეტი გავლენა მოახდინა კულტურის განვითარებაზე. მაშასადამე, მეტყველება და მწერლობა ენის მატერიალური რეალიზაციაა [6, 137].

მსოფლიოში 5500-მდე ენაა. ჭირს ზუსტი რაოდენობის დასახელება, რადგან ბევრი ენა არაა სათანადოდ შესწავლილი და ძნელი სათქმელია, დამოუკიდებელი ენაა ის თუ დიალექტი. ზოგჯერ ენათა დაყოფას პოლიტიკური ან რელიგიური საფუძველი აქვს და არა ლინგვისტური. მაგალითად, ძალიან ჰგავს ერთმანეთს ჩეხური და სლოვაკური, რუსული და ბელორუსული, სერბიული და ხორვატული, მაგრამ მათ მიიჩნევენ არა დიალექტებად, არამედ ენებად [8, 13]. ერნესტ გელნერი შენიშნავს, რომ დედამიწაზე არსებობს 8000-ზე მეტი „ბუნებრივი“ ენა, მათ შორის 700 მთავარი, ერი კი 200-ზე ნაკლები. ბევრი უფრო ძველი ეროვნული სახელმწიფო, რომელშიც ორი ან მეტი ენობრივი ჯგუფი ერთიანდება, როგორც, ვთქვათ, ესპანეთი თავისი ბასკური უმცირესობით, დღეს ზეწოლას განიცდის, რათა ყოველი ცალკეული ჯგუფის მეობა აღიაროს [9, 278].

მსოფლიოში 200-ზე მეტი ქვეყანაა და აქედან 100-ზე მეტს სახელმწიფო ენად არა მშობლიური, აბორიგენული, არამედ უცხო ქვეყნის ენა აქვს თავსმოხვეული. მაგალითად, ინგლისური ენა, გარდა საკუთრივ ინგლისისა, სახელმწიფო ენის სტატუსით

კიდევ მსოფლიოს ერთ მესამედზე – 68 ქვეყანაშია დაკანონებული, მათ შორის 12 ქვეყანაში – ადგილობრივ ხალხთა ენებთან ერთად.

ინგლისური ენა ერთადერთ სახელმწიფო ენად დაკანონებულია აფრიკის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ტანზანია, ზიმბაბვე, უგანდა, ლიბერია, ზამბია, მავრიკია, ბოტსვანა, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა და ბევრი სხვა. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან გამორჩეულია ნიგერია, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით – 135 მილიონ 560 ათასი – პირველ ადგილზეა აფრიკაში.

ნიგერიაში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაა, რომელთაგან მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან კ ა უ ს ა (26 მილიონი), ი ო რ უ ბ ა (21 მილიონი) და ი გ ბ ო (17 მილიონი). მიუხედავად ასეთი დიდი რიცხოვნებისა, ნიგერიის ამ ხალხთა ენებმა ვერ მოიპოვეს სახელმწიფო ენების სტატუსი. ძნელი სათქმელია, მიაღწევენ თუ არა ნიგერიის აღნიშნული ეთნიკური ჯგუფები, რომ ახლო მომავალში თავიანთი ენები თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ენებად აქციონ.

აფრიკაში გამონაკლისი მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ინგლისის ამ ყოფილ კოლონიაში, რომელსაც სათავეში ცნობილი პატრიოტი ნელსონ მანდელა ედგა, ხალხმა გადაადგო ინგლისელებისაგან თავსმოხვეული აპარტეიდის რეჟიმი და დამოუკიდებლობას მიაღწია. თუ ადრე ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენად მხოლოდ ინგლისური ითვლებოდა, დღეს ინგლისურის თანაბრად სახელმწიფო ენის აღიარება კიდევ 12 ეთნიკური ჯგუფის მრავალმილიონიანმა ადგი-

ლობრივმა მოსახლეობამაც მოიპოვა; ესენია: სესოტო, კოსა, ზული, ლებოა, სისკატი და სხვები.

ახიის ქვეყნებიდან ინგლისური ენა სახელმწიფო ენად დაკანონებულია სინგაპურში, ბრუნეიში და ინდოეთში ჰინდი ენასთან ერთად.

ამერიკის კონტინენტზე ინგლისურ ენას გაბატონებული სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული აქვს: აშშ-ში, კანადაში, იამაიკაში, გრენადაში, ბელიზში, დომინიკის რესპუბლიკაში, ბაგამისა და ბერმუდის კუნძულოვან სახელმწიფოებში და სხვ.

ავსტრალია-ოკეანეთის 17 სახელმწიფოს სამუშაო ენად ასევე ინგლისურია დაკანონებული. კერძოდ: ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, პაპუა – ახალ გვინეაში, მიკრონეზიაში, ფიჯის რესპუბლიკაში და სხვ.

ევროპის ქვეყნებიდან ინგლისური ენა სახელმწიფო ენად აღიარებულია ირლანდიაში, გიბრალტარში, მალტაში და რა თქმა უნდა დიდ ბრიტანეთში.

ინგლისური ენის შემდეგ სახელმწიფო ენის რანგში რიცხოვნებით მეორე ადგილზე ფრანგული ენაა, ძირითადად, საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში, რომლებიც დღეს დამოუკიდებელი ქვეყნებია; კერძოდ: სენეგალი, ჩადი, რუანდა, მალი, ნიგერი, მადაგასკარი, მავრიტანია, კოტ-დივარი (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირი), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ.

მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, კანადაში, კამერუნში და სხვ. – ფრანგული სახელმწიფო ენად ინგლისურ ენასთან ერთადაა დაკანონებული. ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა მონაკო, ლუქსემბურგი, შვეიცარია და ბელგია ფრანგული ენა სა-

ხელმწიფო ენად ითვლება სხვა ენების თანაბრად. სულ საფრანგეთის ჩათვლით, ფრანგული ენა სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს 30 ქვეყანაში მუშაობს.

მესამე ადგილს სახელმწიფო ენის რიცხოვნობით არაბული ენა იკავებს, რომელიც სახელმწიფო ენის სტატუსით აზია-აფრიკის 23 ქვეყანაში მუშაობს. კერძოდ: ალჟირში, მაროკოში, ტუნისში, ლიბიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, საუდის არაბეთში და სხვ. აზია-აფრიკის ხუთ ქვეყანაში – ისრაელში, ჩადში, ერიტრეაში, სომალსა და ჯიბუტიში არაბული ენა სახელმწიფო ენის როლში სხვა ენებთან ერთად გამოდის.

მეოთხე ადგილზე ესპანური ენაა, რომელიც სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს 23 ქვეყანაში მუშაობს: ევროპაში – საკუთრივ ესპანეთში, აფრიკაში – ეკვატორიულ გვინეაში. ყველა დანარჩენი ქვეყანა ამერიკის კონტინენტზეა (მექსიკა, გვატემალა, ვენესუელა, პანამა, კუბა, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ბოლივია, კოლუმბია, ჩილე, არგენტინა და სხვ).

პორტუგალიური და გერმანული ენები სახელმწიფო ენათა სახით 7 ქვეყანაში გამოიყენება, უპირატესად – სხვა სახელმწიფო ენათა გვერდით. ასევე, სხვა სახელმწიფო ენებთან ერთად.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო ენებიდან დღეს ყველაზე მეტად მხოლოდ ინგლისური მძლავრობს, რაც პირველ რიგში, ინგლისურენოვანი ზესახელმწიფოს – აშშ-ის მსოფლიო პოლიტიკაზე დიდი გავლენით აიხსნება [10, 25].

შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოში ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის მიხედვით ჩინურის შემდეგ მეორე ადგილზეა ინგლისური, რო-

მელიც 322 მილიონი ადამიანისათვის არის მშობლიური ენა (ამათგან მხოლოდ 55 მილიონი ადამიანი ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში). ინგლისურს, როგორც მეორე მშობლიურ ენას, 400 მილიონი ადამიანი იყენებს, ხოლო როგორც უცხო ენას – 800 მილიონი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სერიოზულად არიან შეშფოთებული ისგლისური ენის მასობრივი შემოჭრის გამო, რასაც უწოდეს „მონდიალიზაცია“ – გამსოფლიურება; ლინგვისტები თუ პოლიტიკური მოღვაწეები წუხან, რომ ბევრ ენაში საოცრად მომრავლდა ინგლისური სიტყვები [8, 25].

ფრანგები უაღრესად პატივს სცემენ თავიანთ ქვეყანას, კულტურას, ისტორიას, ენას. ამიტომ მოლაპარაკებას უმეტესად ეროვნულ ენაზე წარმართავენ. საქმიან ურთიერთობაში ინგლისურად ან გერმანულად საუბარს და მიმოწერას ეროვნული ღირსების შელახვად აღიქვამენ [11, 247].

საფრანგეთის სენატის წამყვანი სპეციალისტი ბენედიქტ რუჟე ერთ-ერთ წერილში საუბრობდა ფრანგული ენის დაცვის პოლიტიკაზე. აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის 20 მარტს 50-მდე ფრანკოფონურ სახელმწიფოში აღინიშნება ფრანკოფონიის მსოფლიო დღე. ეწეობა ფრანგული ენის კვირეული (შვეიცარიაში, კვებეკსა და ბელგიაშიც), ცდილობენ მოქალაქეთა ყურადღების მიპყრობას (ე.წ. სენსიბილიზაციას) ფრანგული ენისადმი. „თითოეულ ფრანგს უნდა დავანახოთ“ მრავალი წახნაგი ფრანგული ენისა: ის, რომ ფრანგული ენა წარმოადგენს პიროვნულსა და კოლექტიურ კაპიტალს. მათ უნდა გააცნობიერონ ფრანგული ენის როლი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მისი საერთაშორისო

მნიშვნელობა, რათა ყველასთვის მისაღები გახდეს ფრანგული ენის სიცოცხლისა და პრესტიჟის მნიშვნელობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პარალელურად ზრუნავენ რეგიონალური ენების განვითარებაზე (ბრეტონული, კატალონური, კორსიკული, ბასკური, ოქსიტანური, კრეოლური).

მართლაც, სამაგალითოა საფრანგეთისა და ფრანგების დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი [8, 33] და ეს მაშინ, როდესაც მათი ენა ისედაც დაცულია რადგან მსოფლიო ენად არის აღიარებული. ან კიდევ ავიღოთ ესპანური. 1997 წლის 7 აპრილს მექსიკის ქალაქ საკატეკაში გაიმართა ესპანური ენის საერთაშორისო კონგრესი [12, 182]. სერვანტესის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, დღესდღეობით ესპანურს ლაპარაკობს 400 მილიონზე მეტი ადამიანი და ამ მხრივ ესპანეთს მეოთხე ადგილი უჭირავს ჩინურის, ინგლისურისა და ჰინდის შემდეგ [12, 192].

ენობრივი პოზიცია პოლიტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილია. ეთნოკონფლიქტები და ეროვნული დაპირისპირებანი ეროვნული ენის ჩაგვრისა და დისკრიმინაციის შედეგია. ადამიანები მტკივნეულად განიცდიან ენობრივ დამცირებას, შევიწროებას, რადგან მცირერიცხოვანი ერები ხშირად იღვევებიან და იჩაგრებიან.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ენას პოლიტიკის სამსახურში აყენებდნენ, კრძალავდნენ მშობლიურ ენაზე სწავლას და აჩეჩებდნენ მისთვის გაუგებარ უცხოურ ენას [8, 21].

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 1946 წლის 5 მარტს, ჩერჩილის ცნობილი გამოსვლის

დროს ფულტონში მან განაცხადა: „თუ ინგლისურენოვანი ხალხების თანამეგობრობა და შეერთებული შტატები გაერთიანდებიან და ითანამშრომლებენ როგორც მეცნიერებასა და ინდუსტრიაში, ისე მორალის სფეროში, მაშინ მსოფლიოში საიმედო ბალანსი და უსაფრთხოების სრული გარანტია დამყარდება“ [13, 175].

ჩერჩილის გამოსვლას იმავე დღეებში მკაცრი კრიტიკა ელოდა. მისურის აუდიტორიამ კარგად მიიღო, მაგრამ მეორე დღით გამოქვეყნებულ გაზეთებზე ამას ვერ ვიტყვით. „ვოლ სთრიტ ჯურნალი“ წერდა: „შეერთებულ შტატებს ალიანსი არ სურს. საერთოდ, ალიანსისმაგვარიც არაფერი სურს სხვა რომელიმე ერთან“. „ჩიკაგო სანი“ აცხადებდა, რომ ჩერჩილის „დახურული სესიის სიტყვების“ ერთი კვირით ადრე შეთავაზებულ გამოცემას აუქმებდა. ლონდონის „თაიმსიც“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივად გამოეხმაურა. განსაკუთრებით მტრული პოზიცია „პრავედამ“ დაიკავა. სტალინი „პრავედაში“ ინტერვიუს იშვიათად ბეჭდავდა, მაგრამ ჩერჩილის ინგლისურენოვანი ხალხების გაერთიანების არაერთგზის მოთხოვნას სწორედ „პრავედაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუთი უპასუხა და ნათლად გამოავლინა, რაპირასაც და ხელკეცსაც ერთდროულად და კარგად რომ ხმარობდა:

„ბატონი ჩერჩილი (ჰიტლერის არ იყოს) რასობრივ თეორიაზე დაფუძნებულ ახალ ომს იწყებს. აცხადებს, თითქოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს აქვთ წმინდა სისიხლი და მხოლოდ ისინი არიან მოწოდებულნი, მსოფლიოს ბედ-იღბალი გადაწყვიტონ. ფაქტობრივად, ბატონი ჩერჩილი და მისი ამერიკელი და ინგლისელი მეგობრები იმ ხალ-

ხებს, რომლებიც ინგლისურად არ საუბრობენ, ულტიმატუმს გვიყენებენ – ან უნდა ვაღიაროთ მათი უპირატესობა, ან ომი გარდაუვალი იქნება“ [13, 176].

შინ დაბრუნებულ ჩერჩილს თავის გამოსვლასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი რეაქცია დახვდა. ეტლიმ განაცხადა, რომ ჩერჩილი ფულტონში პარლამენტის სახელით არ საუბრობდა და არ არის აუცილებელი, მისი პირადი მოსაზრება მოვიწონოთ ან არ მოვიწონოთ. ლეიბორისტული პარტია, ჩერჩილის კონსერვატიული პარტიის არაერთი წევრისაგან განსხვავებით, ამერიკის ვიზიტს დადებითად აფასებდა; ბევრს საგარეო პოლიტიკა სწორედ ფულტონის მიმართულებით მიჰყავდა. დეპუტატების ერთმა ნაწილმა კი წინადადება შეიტანა, ჩერჩილისთვის უნდობლობა გამოეცხადებინა.

ყველაზე საეჭვოდ და დამაფიქრებლად პრეზიდენტი თრუმენი იქცეოდა. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ჩერჩილი ფულტონში რა თემაზე აპირებდა საუბარს და რომ ლექციაზე მისი დასწრება თანამოაზრეობას სულაც არ ნიშნავდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, აჩესონს აუკრძალა, ერთი კვირის თავზე ნიუ-იორკში ჩასულ ჩერჩილთან შეერთებული შტატების მთავრობის სახელით ესაუბრა. საბოლოო ჯამში, ამ ამბებს ჩერჩილის და თრუმენის ურთიერთობაზე არ უმოქმედებია. ჩერჩილმა თრუმენს, როგორც რუზველტის მეგობარს, უფლება მისცა, კიბორჩხადას ნაბიჯებით ევლო დიდი მიზნისაკენ [13, 177].

ეროვნული საზღვრების მოშლის და ენობრივი ბარიერის მოხსნის მეთოდს მიმართავდა უკლებლივ

ყველა იმპერია მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. ე.ი. ძირითადი სამიზნე ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობისათვის სამი რამ გახლდათ: ტერიტორია, რელიგია და ენა, ანუ „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მსოფლიოსათვის ცნობილი დამპყრობლები, სხვადასხვა დროს რომ იდგნენ იმპერიათა სათავეში, თავიანთ ძლევამოსილ ლაშქრობას სხვადასხვა მიზნით ნიღბავდნენ. ერთნი ამბობდნენ, რომ ცივილიზაცია უნდა შეეტანათ ნახევრად ველურ ტომებში და ისინი კულტურის გზაზე შეეყენებინათ, მეორენი სხვა სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებული ტირანიისაგან გასათავისუფლებლად მოდიოდნენ, მესამენი კი, და ეს კი უფრო იშვიათად ხდებოდა, პირდაპირ რელიგიურ ომებში ებმებოდნენ, საერთო ტერიტორიის წართმევით იწყებოდა და მერე ამუშავდებოდა დაპყრობილი ქვეყნის კულტურულ-რელიგიური დაუთოვების სასტიკი მანქანა.

ამ დაუთოვებას დამპყრობელი ახერხებდა იმ ფორმით და მეთოდით ცივილიზაციის რა დონეც თვითონ გააჩნდა, ზოგჯერ შენიღბულად (ვორონცოვი) ზოგჯერ კი ე. წ. ნაჯახური პოლიტიკით.

გადავხედოთ საქართველოს ისტორიას და დავინახავთ რა კირთებით, ცეცხლით და მახვილით ცდილობდნენ არაბები, სპარსელები, თურქები და სხვანი საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას. ერის განადგურების მახვილი ტერიტორიასთან და რელიგიასთან ერთად ენას დაატყდებოდა ხოლმე თავს.

დამპყრობელი თვლიდა, რომ დამოუკიდებლობა დაკარგული სახელმწიფოს ენა იმპერიისთვის სრულიად ზედმეტი ბარგი იყო და ამ ენაზე კულტურის

განვითარება იმპერიის მომავალ მდგრადობას საფრთხეს შეუქმნიდა. შორს რომ არ წავიდეთ ახლო წარსულის მაგალითიც იკმარებდა. რაკილა დამპყრობელმა რუსმა საქართველოში მეფობა გააუქმა, ამის შემდეგ ფაქტობრივად კულტურის უპირველსი ნიშნის – ენის მოსპობა გახდა საჭირო [14, 526]. სწორედ ამიტომ გადაირეცხა გაცრეცილი პალიმფსესტები. მასზე კი ახალი წარწერები გაჩნდა. გაისმოდა ქორალური გლოვის ხმები. დრომ თანაბრად წაშალა ლაჩრებისა და გმირების საფეხურები, ჟამთა დენამ გაანიავა ხმლით მოგებული საგანძური, გააქრო ფოლიანტები, დაანგრია სასახლები. ქვეყანას წარღვნამ გადაუარა და თითქოს ყველაფერი წარიტაცა. ამიტომ ქვითინებდა დამარცხებული ისტორია პოეტის შემოქმედებაში:

შოთას მეორე, შოთას მესამე, შოთას მეოთხე
წიგნი სად არის!

ან ის – დავითი! დავით მეოთხე! ვის ჯვარს მიუძღვის გმირი სარდალი.

ვისი თორია უმტკიცესი – ათას ადგილას შუბნაძგერები! წყვილადისფერად ვინ გადაღება უსპეტაკესი მათი ცხენები!

თუმც... არა სკიპტრა ბაგრატოვანთა, ან სეფე დროშა ამილახვარის, შალვას, ბიძინას და ელიზბარის სულს ენატრება სამი ლახვარი!

მაგრამ სად არის ხმალი, – ის ხმალი!

ანდა სად არის ფარი – ის ფარი!

უკვე გაჭრილი სამი ტუზია შალვა, ბიძინა და ელიზბარი.

მათთვის პარაკლისს არ გადაიხდის ტყეში ჩადგმული ციციქნა საყდარი!

აღარ ფრუტუნებს – ბერი თევდორეს გამხდარი ჯორი აღარსად არი.

(ტ. ჭ ა ნ ტ უ რ ი ა) [3, 248].

დღეისათვის 200-მდე სახელმწიფოს შორის ტერიტორიის სიდიდით საქართველო ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით (70 ათასი კვ. კმ.) 118-ე ადგილზეა მსოფლიოში, ე. ი. მსოფლიოს 74 სუვერენულ სახელმწიფოზე დიდია, მათ შორის: დანიაზე, ნიდერლანდებზე, ბელგიაზე, შვეიცარიაზე, ისრაელზე და ა. შ.

მოსახლეობის რაოდენობით ჩვენი სამშობლო პლანეტაზე 97-ე ადგილზეა, ე.ი. მსოფლიოს 96 სუვერენულ სახელმწიფოს აღემატება, მათ შორის: ახალ ზელანდიას, თურქმენეთს, ირლანდიას, ნორვეგიას, სლოვაკეთს, ფინეთს, ყირგიზეთს, ჩადს და სხვ. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით კი საქართველო მე-80 ადგილზეა მსოფლიოში [15, 103-104].

ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ქართულად წერენ და მეტყველებენ, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ დიდ ქართველ მოაზროვნეთა, მოღვაწეთა მემკვიდრენი. ამიტომ გვმართებს კარგად ვიცოდეთ ჩვენი დედაენის ისტორია, მისი ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო ენათა შორის. უნდა გავაცნობიეროთ, რომ დედაენის გარეშე ჩვენი აზროვნება ვერ განვითარდება და სხვაგვარად ჩვენი საზოგადოების წინსვლა შეუძლებელია.

მშობლიური ენის მაღლი

ლევ ტოლსტოი მოთხრობა „Набер“ –ის სქოლიო-ში შენიშნავს – Лягушки на кавказе производят звук, не имеющий общего с кваканием русских лягушек“. თუკი საცხოვრებელი ადგილისდა მიხედვით, ბაყაყებიც კი სხვადასხვა „ენაზე“ ყიყინებენ, რა დიდი უნდა იყოს ადამიანთა შორის სხვაობა? მწუხარება მწუხარებაა, სიყვარული სიყვარულია, სიხარული სიხარულია, მაგრამ სხვადასხვა ერის კაცი სხვადასხვაგვარად განიცდის და გამოხატავს ამ გრძნობებს. სწორედ ეს თავისებურებანია მიმზიდველი და საინტერესო. ამიტომ იპყრობს ჩვენს ყურადღებას სხვადასხვა ხალხის მწერლობა და ხელოვნება. თუ ეს თავისებურება დაკარგეთ, დაკარგავთ იმ ანდამატს, ურომლისობაც ერთფეროვანს, მოსაწყენს, უღიმღამოს ხდის მწერლობას და ხელოვნებას, უფრო მეტიც საერთოდ ადამიანის სულს [16, 48].

ყოველ ადამიანს ერთი დედაენა აქვს, რომელზედაც დედა ესაუბრება, რომელზედაც ენას აიდგამს. აღსანიშნავია, რომ ფერეიდნელი ქართველებიდან ქართული ენა მხოლოდ იმ ოჯახებმა შეინარჩუნეს, სადაც ბავშვებს დედა ქართველი ჰყავდათ! ესაა მისი ერის მშობლების ენა. როგორც წესი, ადამიანი მხოლოდ დედაენაზე აზროვნებს, ფიქრობს (ცხადია, არიან გამონაკლისებიც, რომელთაც შეუძლიათ რამდენიმე ენაზე აზროვნება, მაგრამ ენის ყველა ნიუანსისა და სიღრმის წვდომა მხოლოდ დედაენაზე შესაძლებელი). თითქმის ყველა გენიალური ნაწარმოები დედაენაზე შეუქმნიათ, რადგან მხოლოდ მშობ-

ლიურ ენას აქვს განუმეორებელი ხიბლი და ადამიანის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებულია უხილავი სიმებით. დედაენაზე ნათქვამი თითოეული სიტყვა უჩვეულო ფერით, სურნელით გამოირჩევა, რაც გვაგონებს უბედნიერეს ხანას – ყრმობას, დედის ალერსსა და მშობლიური კუთხის კოლორიტულ სმებს [8, 28].

ცნობილმა ექიმებმა გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას ახდენდა ჯანმრთელობაზე არამშობლიურ სკოლებში სწავლა. მაგალითად, პედიატრმა სიკორსკიმ ჩაატარა ექსპერიმენტი პოლონეთში გერმანულენოვან სკოლებში (მსგავსი ცდა ჩაატარეს იაპონიაში ინგლისურენოვან სკოლებშიც), პროფესორმა ირაკლი ფაღავამ კი – საქართველოში. აღმოჩნდა, რომ არამშობლიურ სკოლებში ბავშვებს არტერიული წნევა უფრო მაღალი ჰქონდათ (კვირა დღეს კი წნევა ნორმალური აღმოაჩნდათ).

დიდი პედაგოგისა და მოაზროვნის კ. უშინსკის აზრით, არამშობლიურ ენაზე ბავშვის აღზრადა-განათლება უარყოფით გავლენას ახდენს მის გონებრივ განვითარებაზე. იაკობ გოგებაშვილი დედაენას უწოდებდა „გონების ბუნებითს იარაღს“. ა.წერეთელი წერდა, რომ XIX საუკუნეში პედაგოგებმა შენიშნეს, ვინც დედაენა და ქართული წერა-კითხვა იცოდა რუსულს უკეთ სწავლობდა, რუსულად სწავლის დროს კი ბავშვებს გონება უჩლუნგდებოდათ. „ეს რომ გაიგო ვორონცოვმა, ბრძანა, ქართველი ყმაწვილებისთვის ჯერ, პირველ ხანებში, დედაენა ესწავლებინათ და მერე გადაეყვანათ უცხოზე“. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილში „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ წერდა: „უდედაენოდ გონების

გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგურისაა, გონების დახშვისა და დათრგუნვისა, გათახსირებისა“.

უფრო მეტიც, ქართველმა ლინგვისტმა, ფონეტიკმა პროფ. ზ. ჯაფარიძემ ექსპერიმენტულად დაადასტურა, რომ ადამიანის მეტყველების პირველი ნიშნები ჩვილ ბავშვებშიც არსებობს. სხვადასხვა ეროვნების (კერძოდ, ქართველ და რუს) ახალშობილთა ტირილის შედარებით მან გამოავლინა სრულიად მოულოდნელი და სენსაციური ფაქტი: მათი ტირილის მახასიათებლებში განსხვავება ყოფილა, ე.ი. თურმე ისინი განსხვავებულად ტირიან. ეს დაადასტურა სპეციალურმა აპარატურამაც და ხანგრძლივმა აუდიტორულმა ანალიზმა. მეცნიერმა ეს ფაქტი ახსნა ქართულისა და რუსულის ცნობილი ფონეტიკური თავისებურებებით და გამოიტანა ეჭვიმუტანელი დასკვნა, რომ მშობლიური ენის საწარმოთქმო ჩვევათა ჩანასახი ახალშობილსაც აქვს.

აშშ-ში, შვედეთსა და რუსეთში ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების ცდებით დადასტურდა, რომ დედის ნამდერი „იავნანა“ და ბავშვთან სპეციალურად მოხლეკით, აღერსით ლაპარაკი ხელს უწყობს მისი შემეცნების განვითარებას, დედაენის ფონეტიკური სტრუქტურისა და საერთოდ უნარ-ჩვევების სწრაფ ათვისებას. უცხოეთში ჩაატარეს ცდა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ძუძუმწოვარა ბავშვზე დედაენაზე საუბარი. აღმოჩნდა, რომ ბავშვი გაცილებით ინტენსიურად წოვს ძუძუს, როცა მას დედა ესაუბრება დედაენაზე და არა – რომელიმე უცხო ენაზე [8, 32, 33].

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედაენის მოვლას, მასზე ზრუნვას. ზოგმა ადამიანმა, პოლიგლოტმა, შეიძლება იცოდეს 8, 10, 20, 40 ან მეტი ენაც კი, მაგრამ დედაენის მსგავსად ვერც ერთს ვერ დაეუფლება, სიღრმისეულ ნიუანსებს ვერ ჩასწვდება და ძირითადად მაინც მშობლიურ ენაზე იაზროვნებს. დიდი ილია ამბობდა: „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა, ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ“. მართლაც ქართველი ხალხის ისტორია, ეროვნული ფსიქოლოგია და უძველესი ტრადიციები უკუფენილია ქართულ ენაში. მასში გამოხატულია ჩვენი ხალხის სული, იგრძნობა გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა, ჩანს შორეულ წინაპართა მსოფლადქმა, რადგან ენაში ჩადებულია ქართველი ერის გენეტიკური კოდი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა.

აბსურდულია ორი მშობლიური ენის ქადაგება. სხვა ენა ადამიანისათვის ვერასოდეს გახდება დედაენა. რაც უნდა სრულყოფილად და ზედმიწევნით ფლობდეს ადამიანი უცხოურ ენას, ის ვერასოდეს შეუცვლის დედაენას, რომელიც ეროვნების ბურჯად ითვლება. დედაენაზე დიდადაა დამოკიდებული ადამიანის ხასიათის ფორმირება და პიროვნების ჩამოყალიბება [8, 34].

„ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან დასცქერიან: ბროწეულს, ლედვს, ვაზს, ღიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულ მცენარეულობას

და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრმას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის“.

ამას წერდა იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნეში და მოუწოდებდა ხალხს წმინდად დაეცვათ ეს ბურჯი ეროვნებისა. მაშინ ჩვენი ენა აუტანელ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. დაუღალავი ბრძოლითა და მონღოლებით რომ არ ეხსნათ ჩვენს დიდ მწერლებს, ვინ იცის, იქნებ საშინელ საფრთხეშიც ჩავარდნილიყო. ასეთი დიდი ბრძოლითა და სათუთი მოვლით გამოუტარებია ჩვენი ენა საუკუნეების მანძილზე, საშინელ ქარცეცხლსა და გაჭირვებაში. ჩვენი მრავალტანჯული მშრომელი ხალხი ზეპირსიტყვაობით გადმოსცემდა ხოლმე თაობებს საოცარი სხარტულობითა და იუმორით მომხიბლავ ზღაპრებსა და გამირულ თქმულებებს, ჩვენი დიდი მწიგნობრები ღამეებს ტეხდნენ და მბუჟტავი სანთლის მქრქალ შუქზე სასოებით გამოჰყავდათ ლამაზი ქართული ანბანი, ქმნიდნენ უდიდეს ეროვნულ სიბრძნეს; ერთხელ გადაწერილს კიდევ ათასჯერ წერდნენ და მკაცრი საუკუნეების წყვილიაღში, – როგორც ერთადერთ შვებასა და ნუგეშს, გაწამებული სულის მალამოსა და ვაჟკაცური სიმხნის წყაროს, რომელიც გაურკვეველი მომავლის გზას უნათებდათ, – თაობი-

დან თაობებს გადასცემდნენ ხოლმე ამ სანუკვარ ჩირადღანს [17, 381-382].

ქართულმა შემოგვინახა და გადაარჩინა ბერძნული, ბიზანტიური, სპარსული და არაბული მწერლობის ძეგლთა თარგმანები, რომელთა დედნებიც დაკარგულა (იპოლიტე რომაელის, მიტროფანეს და სხვ.). მაგალითად, სპარსული რომანის „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტის დასადგენად იშველიებენ მის ბრწყინვალე თარგმანს ქართულად („ვისრამინანს“).

და კვლავ აღვნიშნავთ, რომ ვერავითარ უცხო ენას ვერ ისწავლის კაცი ისე სრულყოფილად, როგორც დედაენას, ე.ი. იმ ენას რომლითაც მეტყველებას იწყებს. ამიტომაც არ არის მართებული ზოგიერთი მშობლის გადაწყვეტილება, რომ შვილი არაქართულ სკოლაში მიაბაროს, იმ მოტივით, თითქოს ქართულს ისედაც ისწავლის, და კიდევ ერთი ზედმეტი ენა ეცოდინებათ. ფაქტიურად ბავშვი ვერც ერთ ენას ვერ ითვისებს საფუძვლიანად, მას აღარც ერთი დედაენა არა აქვს. უცხო ენის სწავლა საჭიროა და აუცილებელი. უამისოდ ადამიანი ვერ მიიღებს სრულყოფილ განათლებას. მაგრამ უცხო ენის შესწავლა უნდა ხდებოდეს პარალელურად, მშობლებისა და მასწავლებლების დიდი მეცადინეობითა და გულმოდგინებით [17, 480-481].

როგორც დიდი ინდოელი მოღვაწე მ ა ჰ ა თ მ ა გ ა ნ დ ი მიუთითებს: მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს დაბადებიდან უცხო ენაზე „აზროვნებასა და ლაპარაკს ასწავლიან, შვილებსაც ღალატობენ და სამშობლოსაც. ისინი შვილებს თავიანთი ერის სულიერ და სოციალურ მემკვიდრეობას

აკარგვინებენ და, ამდენად, ქვეყნის სამსახურისათვის გამოუსადეგარს ხდიან“ [18, 278]. დიდი მამულიშვილი ასევე აღნიშნავდა: „რამხელა ტრაგედიაა ქვეყნისთვის, რომ უცხო ენა მისი ოფიციალური ენაა, ხოლო მშობლიურ ენას ტაბუ ადევს და ვიღაც შემთხვევითი ადამიანის მიერ ოფიციალურ ვითარებაში მშობლიურ ენაზე სიტყვის წარმოთქმა მისალოცი ხდება“ [18, 389].

ჩვენი დიდი წინაპრები შესანიშნავად ხვდებოდნენ დედაენის მნიშვნელობას ეროვნული თვითმყოფადობისა და მეობის შესანარჩუნებლად, ერთიანობის განსამტკიცებლად. უძველეს ქართველებთან ჩვენ გვაკავშირებს მხოლოდ ენა, რომელიც ჩვენს თავზე დატრიალებული მრავალი ქარტეხილისა და უბედურების მოწმეა. ვარლამ თოფურია წერდა: „ქართულ ენაში ასახულია, როგორც ეს ყველა ენაში ხდება ხოლმე, მისი შემქმნელი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“, რადგან „ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი“ (არნ. ჩიქობავა). თითოეულმა დამპყრობელმა შემოიტანა ენაში თავისი სიტყვები (რომაული, ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული...), მაგრამ ქართულმა შეძლო ამ ზეწოლის მოგერიება, არ გადაგვარებულა, შეინარჩუნა თავისი სახე და ფუნქცია.

მართლაც, ქართულ ენაზე უფრო ძვირფასი საუნჯე ქართველ კაცს არ გააჩნია. ერთი უბრალო სიტყვის სიკვდილიც კი, მისი გადაგვარება და გადაშენება, კაცის სიკვდილივით არის... რიონი რა რიონი იქნება, ან რა იქნება კახეთის ზვარი, თუ იქ რუსთაველის ენას ვერ გაიგონებ.

მუხრან მაჭავარიანის სიტყვები გავიხსენოთ:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა,
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! –
იმოდენაა!“

დიდი ხანი არაა, რაც განგაშის ზარად გაისმა ამ შესანიშნავი პოეტის სიტყვები:

„კი მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელა? –

ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰგონია ენა!!“ [19, 88].

იაკობ გოგებაშვილის „აი იათი“ აღზრდილებს თითქოს აღარ უნდა გვჭირდებოდეს გამოფხიზლება და იმის შესხენება, რომ მოყვრად მოსული მტერი უფრო საშიშია!

სიტყვა „უცხო“ არ უნდა გვხიბლავდეს და გვაბრმავებდეს, რომ არ წაგვლევოს ინგლისურმა სიტყვებმა, რუსიციზმებმა, ვულგარულმა გამოთქმებმა, ჟარგონმა და ბილწსიტყვაობამ. უცხოური ენებით მოდურმა გატაცებამ მშობლიური არ უნდა დაგვავიწყოს და უდიერად მოპყრობა არ გაგვაბედვინოს.

დიდმა იაკობმა დედაენას უწოდა „ბურჯი ეროვნებისა“, ამიტომაც აღმართეს „დედაენის“ ძეგლი საქართველოში, მაგრამ ქართულს სჭირდება მოვლა, პატრონობა ენის წინაშე, რომ ვწეროთ და ვიმეტყველოთ დახვეწილი ქართულით, ვიკითხოთ ბევრი და გავამდიდროთ სიტყვათა მარაგი [8, 4-5].

გოგებაშვილის „დედაენა“ საქართველოს შემკრეული წიგნი აღმოჩნდა. მან თავის დროზე მთელი ამერ-იმერი გააერთიანა. მას შემდეგ კი, რაც მისი სასწავლო პროგრამიდან ამოვარდნა დაიწყო, დედაენამ აღმზრდელობითი ფუნქცია დაკარგა. იუნესკოს მონაცემებით „დედაენა“ საფრთხის წინაშეა. მართალია, ქართულ ენას გაქრობის საფრთხე ჯერჯერობით არ ემუქრება, მაგრამ, როცა ენა ტრადიციებს შორდება და უცხოურ გამოთქმებს ითავსებს, საკონტაქტო ენად არ შეიძლება ჩაითვალოს მისსავე ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ იუნესკომ 2003 წელს კონვენცია მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ „აი იას“ პრინციპმა 1960 წელს ქალაქ კარაკასში აღიარება მიიღო, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო მოდელმა.

რაც შეეხება ახალ საანბანე წიგნებს, ისინი უცხო ენის სწავლების მეთოდზეა გათვალისწინებული და ძალადობის ფაქტებს შეიცავს. მათი შინაარსი ქართულ მენტალიტეტს არ მიესადაგება. ეს ფსიქოლოგებმა, ლინგვისტებმა და პედაგოგებმა დაასკვნეს. სწორედ ამ დასკვნის შემდეგ მიმართეს განათლების სამინისტროს, რომ „დედა ენა“ სკოლებში დაბრუნებულიყო როგორც სახელმძღვანელო და როგორც სწავლების მეთოდი. დღეს გავრცელებულ საანბანე წიგნებში ხან ასოა გამოტოვებული, ხან 12-ის ნაცვლად 32 წერია და ა.შ.

„რწეილი და ჭიანჭველაც“ კი საპირისპირო მენტალობით ისწავლება, თუკი ორიგინალი ნაწარმოები ბავშვებს მეგობრობასა და გაჭირვებულის გვერდში დოგმას ასწავლის, გადაკეთებული ნაწარმოები სრუ-

ლიად საპირისპიროს უნერგავს მათ. მაგალითად, ორმოში ჩავარდნილი ადამიანისა და გამვლელის დიალოგი ასეთია: გცივა? – მცივა. გეშინია? – მეშინია. ხელი გაქვს? – მაქვს. თვალი გაქვს? – მაქვს. მაშინ შენ თვითონ ამოდიო. ფაქტია, მოზარდებს განსაცდელში მყოფი ადამიანის მიტოვებას უნერგავენ. ძალადობის შემცველ ნაწარმოებებში, მაგალითად, აღწერილია, ბავშვებმა როგორ დალიეს ღიმონათი დაუკითხავად, როგორ ჩაასხეს მასში წყალი, როგორ გაურიეს წიწაკა და დაალევინეს მამას, რომლის რეაქციაზეც ისინი ხალისობენ.

ფსიქოლოგების შეფასებით, ზემოხსენებული ნაწარმოებები ბავშვებზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს და მათ მცდარ არატრადიციულ მენტალობას უყალიბებს. მაშინ, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მოზარდს ცნობიერებასა და მსოფლმხედველობას ქართულ ტრადიციებზე, ქართულ მენტალიტეტსა და ღირებულებებზე დაყრდნობით უვითარებს [20, 10].

თბილისის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად „მონარუქა“ სხვადასხვა ერის წახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ემხი და მზეოსნობა. თანდათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გამოთქმისათვის ისე შნოიანად გაკეთებულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსული და ვერც სხვა რომელიმე

ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ვედარ მიიჩნევს [21, 132]. მაგრამ დღეს რა ხდება დედაქალაქში? აი, რამდენიმე მაგალითი:

„მარშრუტკაში“ ორი თინეიჯერი ერთმანეთს ემშვიდობება

– დამიქოლინგე, რა!

– ოფკორსუნები!

მძლოლი შუახნის მამაკაცია, აშკარად შემცბარი და გაოგნებული ჩანს, ვერაფერს ხედება. თარგმანში მისთვის ნაცნობ ენაზე ასეა: ამერიკული „დამიქოლინგე“ რუსულ – ქართულ სლენგზე „დამიზვანოკე“, ხოლო „ოფკორსუნები“ – „კანეშნა, ტო“.

მთლიანობაში კი სლენგის პირველი ნაწილი ქართულად „გთხოვ, დამირეკე“ – დ ითარგმნება, მეორე კი – „რა თქმა უნდა“ – დ.

შუახნის მძლოლები იქით იყოს და, ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე ახალგაზრდა ავტომოყვარულებს დიდი მსჯელობა ჰქონდათ გამართული – რა ჰქვია „პავაროტნიკს“ ქართულად. ზოგი წერდა, რომ – ციმციმა, ზოგი – მოხვევის მანიშნებელიო. ავტოსაგზაო მოძრაობის წესების თეორიაში „პავაროტნიკი“ მოხვევის შუქურა-მაჩვენებელია. ავტოსახელოსნოში, ანუ „პროფილაკტიკაში“ კი „ჟემტიანჩიკს“, „ელექტრიკს“, „ხადავიკს“ და „დვერშიკს“ უფრო ადვილად მიაგნებთ, ვიდრე მეთუნუქეს, ელექტრობის ან სავალი ნაწილების შემკეთებელს. იქნებ უკანაც გამოგაბრუნონ: „არა გენაცვალე, მე ჟემტიანჩიკი ვარ, მე თუნუქე აქ საერთოდ არ გვყავსო“.

ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული სლენგების ასეთი სიმრავლე რუსულის ან ჩვენში ესოდენ ასე გააპოპულარებული ინგლისურის ცოდნით განპირობე-

ბული არაა. ქართული ენის მესვეურნი ამას მშობლიური ენის მიმართ უპატივცემულობას უწოდებენ.

აღნიშნული საკითხი, რაღა თქმა უნდა, ლოკალური სულაც არ არის და მხოლოდ ავტომოყვარულებით, მგზავრებით, თინეიჯერებითა და ავტოშემკეთებლებით არ შემოიფარგლება. ჩვენს სინამდვილეში ეს უფრო გლობალური საკითხია.

ამ თემაზე ჟურნალისტებიც საკმაოდ ხშირად სცოდავენ (გნებავთ – პრესისა, გნებავთ – ტელევიზიის).

მაგალითისთვის, რატომ „მუსირებს“ ქართულ ტელევიზორცეში ყოველი სიუჟეტის ნაბიჯზე სიტყვა „მუსირებს“?

ან რას ნიშნავს სრულიად გაუმართავი და ალოგიკური ფრაზა – „არც უარყოფს და არც ადასტურებს“? მხოლოდ ქართულ ტელეარხებზე შეიძლება შეხვდე ავტომანქანის მარკას „ბიემდაბლიუ“, ხოლო რუსეთის პრემიერს ყოველგვარი დადაობის გარეშე „პუწინი“ უწოდო [22, 15].

პრესა უდიდესი ზემოქმედების მქონეა, მაგრამ როგორც აღიღებული მდინარის ნიაღვარი შთანთქავს და ანადგურებს ნაპირზე ყველაფერს, ზუსტად ასევე, ემსახურება ნგრევას თავის ნებაზე მიშვებული ჟურნალისტის კალამი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, თუკი მას ვინმეს კარნახით მართავენ [18, 254].

„მტრობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“ – წმინდა ილია მართალმა ბრძანა და რა გამოდის? ყოველი ფეხის ნაბიჯზე საკუთარი ქვეყნის „მტრობა“ გვიწევს. ამის დასამტკიცებლად რუსთაველის გამზირზე ერთი უწყინარი გასეირნებაც საკმარისია. დაწვრი-

ლებით არ ჩამოვთვლით იმ მაღაზიებსა თუ კომპანიებს, რომელთაც საკუთარ აბრებზე მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერები ამშვენებს.

კიდევ ერთი კურიოზული ფაქტი: სამუშაოს მაძებართათვის ასეთი განცხადება იყო გამოკრული – მაშველი სჭირდებოდათ, რომელმაც წყალში დასახრჩობად განწირული უნდა გადაარჩინოს. მოთხოვნები შესაბამისი იყო – 100 მეტრის უმოკლეს ვადაში გაცურვა, სპორტული აღნაგობა, გამოცდილება და... ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა (?), ესე იგი, მაშველი ხედავს წყალში მოფართხალე სუბიექტს, რომელსაც წყალი აქვს ბლომად ნაყლაპი, საწყალობლად იქნევს ხელ-ფეხს და ყვირის „ჰელფ, ჰელფ“! ქართველმა მაშველმა, ინგლისური თუ არ იცის, არც ხელს გაანძრევს და ყურსაც არ გააბარტყუნებს, სანაპიროდან ფეხსაც არ მოიცვლის [22, 15].

როგორც გვახსოვს რუსული ენის ცოდნისთვის მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ ბოლშევიკებს [10, 25].

დიმიტრი ყიფიანი ენას ერის უპირველეს ნიშნად თვლიდა. მისი აზრით „უკეთუ რომელიმე ხალხი ენას კარგავს, ამით კარგავს თავის სახესა და არსებობას. მშობლიურ ენა მივიწყებულ ხალხს არ შეიძლება ხალხის სახელი ეწოდოს“ [23, 26-27].

ცხადია, „მოთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ მისი ფსიქიური ბუნებისათვის სრულიად უცხო და შეუსაბამელი ენის ტერმინებში იაზროვნოს. ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას“ [24, 160].

დღეს მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში შემოდებულია ქართული ენის კურსი, ასწავლიან ძველ ქართულ ლიტერატურას, ეთნოგრაფიას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ საკმაოდ დიდია ინტერესი ქართული ენისადმი მსოფლიოში და ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ამ უაღრესად რთულ, მაგრამ ძალზე საინტერესო და ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ენას [8, 114]. გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსეთში საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, მთავრობის დადგენილებით 1848-1867 წლებში პეტერბურგში ქართულს ასწავლიდნენ ყველა სასწავლებელში., სადაც კი კავკასიელები იღებდნენ განათლებას.

პეტერბურგის და საერთოდ, რუსეთის პირველი ქართველი პროფესორი იყო დავით ჩუბინაშვილი, ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, რომელიც იქვე განათლების მიღების შემდეგ, 27 წელი კითხულობდა ლექციებს მის მიერ დაარსებულ ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრაზე. იმავე კათედრის შემდეგი გამგე იყო ა. ცაგარელი, რომელიც 46 წელი მსახურობდა [25, 44-45].

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისეთ ზესახელმწიფოში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია ქართული ენის სწავლება 1986 წლიდან დაიწყო. მანამდე იგი ისწავლებოდა სპორადულად, ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში და, როგორც წესი, ამ კურსების მსმენელი იყო თითო-ოროლა, უმთავრესად ლინგვისტიკით დაინტერესებული სტუდენტი.

1971-1972 სასწავლო წელს ჩამოყალიბდა ქართული ენის შემსწავლელი პირველი ჯგუფი ინდიანის

უნივერსიტეტის მთავარ ფილიალში, რომელიც ამ შტატის ქალაქ ბლუმინგტონში მდებარეობს. ამ საქმის ინიციატორად მოგვევლინა სლავური ენებისა და ლიტერატურის განყოფილების დეკანი, პროფესორი უილიამ ეჯერტონი. პირველ ჯგუფში შედიოდნენ არა უბრალოდ დამწეები სტუდენტები, არამედ სამი პროფესორი, ბატონი ეჯერტონის ჩათვლით და ორი ასპირანტი [26, 80]. ქართული ენის შესწავლას ართულებდა ის გარემოება, რომ სპეციალურად ინგლისურენოვანი მსმენელისთვის გათვლილი რაიმე სახელმძღვანელო არ არსებობდა. ეს, ბუნებრივია, არ იყო გასაკვირი, ვინაიდან დასავლეთში ქართული ენის აკადემიური ფორმით სწავლების პრეცედენტი თითქმის არ ყოფილა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში, მოღვაწე შესანიშნავი ლინგვისტის, კიტა ჩხენკელის მიერ შექმნილი ქართველოლოგიური ცენტრი. მისი სამი ერთგული სტუდენტი ქალის მონაწილეობით მან შეადგინა და 1958 წელს გერმანულ ენაზე გამოსცა დღეს უკვე კარგად ცნობილი ქართული ენის სახელმძღვანელო ორ ტომად [26, 81].

საბედნიეროდ, ამერიკაში ქართულ ენას მოეწვლინა ენერგიული და ჭეშმარიტად თავდადებული პროპაგანდისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჰ ა უ ა რ დ ა რ ო ნ ს ო ნ ი, რომლის დამსახურება ამერიკელი სტუდენტების ქართული ენით და საქართველოთი დაინტერესებაში ფასდაუდებელია. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ენის სისტემატურ სწავლებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროფესორ არონსონს ინდიანის უნივერსი-

ტეგში ჰქონდა მიღებული დიპლომი და შემდგომ, სამოციანი წლების ბოლოს, უკვე ასპირანტმა, ერთი სასწავლო წელი მოსკოვში გაატარა და საქართველოსაც ესტუმრა. აქედან იწყება მის მიერ ქართული გრამატიკის ფუნდამენტური შესწავლა და შემდგომ, სამოცდაათიან წლებში მისი ლინგვისტურ-თეორიული კუთხით სწავლება ჩიკაგოს უნივერსიტეტის სლავური ენებისა და ლიტერატურის კათედრაზე. მისი სტუდენტები იყვნენ დღეს კარგად ცნობილი ქართველოლოგები: ალისა ჰარისი, ქვეინ ტუიტი და დი ჰოლისკი, რომლებსაც დღესაც მჭიდრო კავშირი აქვთ საქართველოსთან.

უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში ქართული ენით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღეს იგი ისწავლება ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტსა და კოლეჯში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო სასწავლებლებში; მაგრამ ნებისმიერ ამ დაწესებულებაში ქართული ენის კურსი არ არის სტაციონარული; კურსის გახსნა დამოკიდებულია სტუდენტების დაინტერესებაზე და ამიტომ მას უმთავრესად დროებითი ხასიათი აქვს. სისტემატურად კი, უკვე ოც წელზე მეტია, რაც იგი მხოლოდ ინდიანის უნივერსიტეტის საზაფხულო სეოლაში ისწავლება [26, 83].

ქართულ ენას უკვდავების გარანტიას ის გარემოებაც აძლევს, რომ ამ ენაზე წერდნენ რუსთაველი, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გამსახურდია. ჩვენი ერის ამ წმინდა მამათა თხზულებების ორიგინალში წაკითხვა ყოველთვის იქნება ცივილიზებული მოქალაქის სურვილი და ოცნება [14, 636].

დასავლეთ ევროპაში, მხოლოდ რენესანსმა გამოადვილა ეროვნული თვითშეგნება. წარმოშვა ლიტერატურა ხალხურ ენაზე და ლათინური ენის ბატონობამ შეწყვიტა თავისი არსებობა [27, 15]. სწორედ რენესანსის ეპოქაში წარმოიშვა ეროვნული ენები და ადგილობრივი დიალექტებისა და ლათინურის ნაცვლად, გაფორმდა ხალხური ლიტერატურული ენები. XVI საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს დაიწყო ამ ენების გამართლება და ქება. ჟ. დიუ ბელემ დაწერა ტრაქტატი „დაცვა და ქებაი ფრანგულისა ენისა“ [27, 38]. საგულისხმოა, რომ პირველად ინგლისური სიტყვა ინგლისის პარლამენტში 1362 წელს გაისმა. 1731 წლამდე კი სასამართლო პროცესი ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა [28, 65]. ჯორჯ I ინგლისური ენა არ იცოდა და თარჯიმანის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას თავის მინისტრებთან. მისი შვილიც, ჯორჯ II (1727-1760) ინგლისში თავს უცხოელად გრძნობდა. ენის უცოდინარობის გამო, მეფე ვერ თავმჯდომარეობდა საიდუმლო საბჭოს, შემდეგ კი საერთოდ არ ესწრებოდა მის სხდომებს [28, 73-74].

თუ მე მხოლოდ სახლში ან მეტად ვიწრო წრეში ვლაპარაკობ ჩემს ენაზე და ვცხოვრობ ჩემი კულტურის პრინციპებით (მატრიცით), ხოლო არსად სხვაგან არ მჭირდება, არცერთ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დონეზე, რამდენიმე თაობის შემდეგ ამ ენაზე აღარავინ ილაპარაკებს. ამის მაგალითი მრავლად არსებობს ისტორიაში [29, 110].

ჩვენ როდესაც ვიყავით იმპერიის ნაწილი, იმპერიაში კი იყო ენა, რომელიც ითვლებოდა საკავშირო კომუნიკაციის ენად, მაშინ ქართულ ენას ჩვენ რუსუ-

ლის ექსპანსიისაგან ვიცავდით. იმ დროს რუსეთში წიგნებიც კი გამოდიოდა იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსული ენის გავრცელებასა და დამკვიდრებას ხელს ის უშლის, რომ ქვეყანაში ძალიან ძლიერია ქართული ენის პოზიციები. ქართულად ითარგმნებოდა საზღვარგარეთის კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები. სპეციალური მთარგმნელობითი კოლეგია იყო შექმნილი ამისთვის. გამოდიოდა უამრავი ლექსიკონი. ეს კი აძლიერებდა ქართული ენის დაცვას იმპერიის ე.წ. ხალხთაშორისი ენის წინაშე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარება იცვლება. საქართველო ხდება დამოუკიდებელი ქვეყანა. აღარავის ეშინია, რომ რომელიღაც ენა საქართველოში ქართულ ენას დაჩაგრავს და კონკურენციას გაუწევს. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში დადგა საკითხი – ქართველ კაცს რა ენაზე ჰმართებს კომუნიკაცია გარე სამყაროსთან. დაიწყო პროცესი, რომელიც თანდათან რუსულს საქართველოში ანაცვლებს ინგლისურით. ამაში არაფერია საგანგაშო, თუ კი ამ მიმართულებით ჩვენ თვითონვე არ წავაღოთ ისე შორს, რომ ქართული ჩვენს ქვეყანაში უკანა პლანზე გადაიწვეს. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ კი ზოგიერთებისთვის ქართულ ენაზე საგანგებო ზრუნვა საეჭვოდაც კი შეიძლება გახადოს.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ინგლისურის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გამოძყენებელთა რაოდენობა განუხრელად იზრდება, დღეს ქართველების აბსოლუტური უმეტესობა ამ ენას არ ფლობს იმდენად, რომ ინგლისური ტექსტის კითხვისას, ანუ ინგლისურენოვანი მწერლის ნაწარმოების

მხატვრულ ღირსებებს ეზიაროს. შესაბამისად, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ინგლისურმა რუსული მხოლოდ ელემენტარულ, პრაქტიკულ-გამოყენებით დონეზე ჩაანაცვლა.

ინგლისურის აღზევება ქართულის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ერისთვის დამღუპველია. მართალია, დღეს ინგლისური ძირითადი საერთაშორისო ენაა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რა იქნება ნახევარი ან ერთი საუკუნის შემდეგ. გამორიცხული არაა მისი ადგილი ჩინურმა ან რომელიმე სხვა აზიურმა ენამ დაიკავოს. ამიტომ მოვუაროთ ქართულ ენას, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე მრავალი საერთაშორისო ენის კონკურენციას გაუძლო და დღემდე ქართველობის ბურჯს წარმოადგენს [30, 17].

ქართული ენისა და დამწერლობის სათავმებთან

ქართული ენა ცოცხალ ენათა შორის ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ამ სიტყვის პირდაპირი და არა მეტაფორული გაგებით: საერთო-ქართველური ფუძე-ენა თანაარსებობდა სივრცესა და დროში საერთო-ინდოევროპულ და საერთო-სემიტურ ფუძე-ენებთან, რაზედაც ცოცხლად მეტყველებს ენობრივი კონტაქტების შედეგად ურთიერთნასესხობათა პოენიერება ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე; საერთო-ქართველური ფუძე-ენის ისტორიულად დადასტურებულ ენებად დიფერენციაციის, უფრო ზუსტად, საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან ქართული ენის გამოყოფის თარიღად, ენობრივი მონაცემების, მათ შორის ენობრივი კონტაქტების კვალის მიხედვით, ძვ. წ. V-IV ათასწლეულების მიჯნა უნდა იქნეს მიღებული. ამ პერიოდიდან იწყება საკუთრივ ქართული ენის დამოუკიდებელი ისტორია. ქართული ენის განსაკუთრებულ სიძველეზე მეტყველებს ენობრივი კონტაქტების მრავალრიცხოვანი ფაქტები [31, 9].

ქართული ენა თავისი ლექსიკური შემადგენლობით და წყობით, მის მონათესავე სხვა ადგილობრივ კავკასიურ ენებთან ერთად, განსხვავდება ყველა თანამედროვე ევროპული და აზიური ენებისაგან. გამოწინააღმდეგებს მხოლოდ ბასკური ენა ბასკონიაში.

ქართული ენა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. კონსონანსების სიჭარბე; 2. გრამატიკული სქესის უქონლობა. ქართულმა, ისევე როგორც ზოგიერთმა სხვა კავკასიურმა ენამ (აფხაზური და ყაბარდოული)

კლას-კატეგორიებად დაყოფა არ შემოინახა; 3. სახელთა ბრუნვის ფორმები აღინიშნება დამატებითი მარცვლით; 4. ზმნები იყოფა სუბიქტურად და ობიექტურად; არსებობს პასიური კონსტრუქცია; 6. ზმნის სახე, რიცხვი, დრო, პირი გამოსახული პრეფიქსებითა და სუფიქსებით; 7. ზოგიერთი ზმნისზედა იბრუნვის. ქართველურ ენათა ჯგუფში შედის: საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური, რომელთაც აქვთ რიგი დიალექტები. ენათა ამ ჯგუფს ენათესავება წინა აზიის მრავალი ძველი ენა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ენები [32, 16-17].

ვარაუდობენ, რომ ქათულ ფუძეენას (პრეპართულს ანუ წინარეპართულს) პირველად გამოეყო სვანური, დაახლოებით ათასი წლის შემდეგ კი გაიყო მეგრულ-ჭანური და ქართულიც. ეს დადასტურდა ლექსიკურ-სტატისტიკური ანუ გლოტოქრონოლოგიური მეთოდითაც.

ქართველოლოგ გიორგი კლიმოვის აზრით, სვანურის გამოყოფა საერთო ქართველური ფუძეენიდან დაწყებულა ძვ.წ. II ათასწლეულის შემდეგ, ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია კი – ძვ.წ. III საუკუნეში.

თამაზ გამყრელიძე და გივი მაჭავარიანი პირველ მოვლენას ათარიღებენ ძვ.წ. X საუკუნით, ქართულ-ზანურის გაყოფას კი ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით.

ვარაუდობენ, რომ 4-5 ათასი წლის წინათ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართველური ფუძეენის დიალექტები ყოფილან, შემდეგ კი ჩამოყალიბებულან ენებად. ძველი ქართული უფრო ახლოსაა ფუძეენასთან, ვიდრე დღევანდელი ქართველური

ენები. არქაული ფორმების რეკონსტრუქციისათვის ძალზე ფასეულია ზანურისა და სვანურის მონაცემები. სამწუხაროდ, წერილობითი ძეგლების არარსებობა ამ ენებზე შეუძლებელს ხდის მათი არქაული სახის აღდგენას [8, 49].

ქართული კულტურა და ენა საქართველოს ყველა მკვიდრისთვის საერთოა. ქართველური ენების ნათესაობა, ერთიანი წარმომავლობა დამტკიცებულია რეგულარული კანონზომიერი ბგერათშესატყვისობით, რაც თვალსაჩინოა არამეცნიერისთვისაც კი. ქართველური ტომების ნათესაობის დასადგენად განსაკუთრებით ფასეულია ტოპონიმის, გასათვალისწინებელია ამ ენების ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური სისტემები, ლექსიკური მასალა [8, 50].

ქართული ენის ფიქსირებული ისტორიის პერიოდიზაციაზე არის აზრთა სხვადასხვაობა, რომლის მთავარი მიზეზი ქართული სალიტერატურო ენის უპრეცედენტო კონსერვატულობაა. ძველი ქართული და ახალი ქართული არ წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ენას, როგორც მაგალითად ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული, ლათინური და იტალიური ან ძველი სომხური (გრაბარი) და ახალი (აშხარაბარი) და სხვ. ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ა ე რ თ ი ე ნ ა ა : საუკუნეთა მანძილზე ძველი ქართული ახალი ქართულით შეიცვალა: ცვლა დაეტყო ლექსიკასა და გრამატიკას, მაგრამ ეს ცვლილება, მეტადრე გრამატიკული სისტემა მოსალოდნელზე მცირეა: არა თუ ვეფხისტყაოსანი, არამედ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „მუშანიკის წამება“ (XI საუკუნის ტექსტი) თითქმის სრულად გასაგებია ახლანდელი კულტურული მკითხვე-

ლისათვის. მაგრამ პერიოდიზაცია ხომ სწორედ ერთი ენის ისტორიას სჭირდება. ორი სხვადასხვა ენის, მაგალითად, ლათინურისა და იტალიურის ისტორიებს, ცხადია, ერთი, საერთო პერიოდიზაცია ვერ ექნება [31, 13].

ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი გახდა ქართული ზედიალექტიკური კოინე – დედაქალაქის მეტყველება. სრულიად საქართველოს პირველი დედაქალაქი – მცხეთა – კოინე – დედაქალაქის მეტყველება. სრულიად საქართველოს პირველი დედაქალაქი – მცხეთა – თავისი მდგომარეობის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ჯერ კიდევ ფარნავაზის მიერ ცალკეულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე, კავკასიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, ის აკონტროლებდა სამხრეთ კავკასიაში გამავალ საქარავნო გზათა უმრავლესობას, მათ შორის ე.წ. „აბრეშუმის გზას“, რომლის ფუნქციონირებაც, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალისა, არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უნდა დაწყებულიყო; აკონტროლებდა აგრეთვე, ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადასარეკ ტრასებს, რასაც კავკასიის ეკონომიკისთვის ტრადიციულად ჰქონდა გადაამწყვეტი მნიშვნელობა. ამ მიზეზთა გამო ხალხმრავალ ანტიკურ და ელინისტურ მცხეთაში ქართველებთან ერთად რამდენიმე ანგარიშგასაწვეი დიასპორა ბინადრობდა: ებრაელთა, სპარსთა, ბერძენთა, სომეხთა და სხვ. მცხეთაში ისინი კომპაქტურად, უბნებად იყვნენ დასახლებულნი. მცხეთელი ქართველები, და ეს ბუნებრივია დედაქალაქისთვის,

სხვადასხვა ქართული ტომების კონგლომერატს წარმოადგენდნენ, და მცხეთის მეტყველებაც, აქედან გამომდინარე, ერთ რომელიმე, მათ შორის არც ადგილობრივ დიალექტს არ ემთხვეოდა არც ფონეტიკური შედგენილობისა თუ პროცესების, და არც ლექსიკის თვალსაზრისით. მასში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ის ბგერები, ფონეტიკური პროცესები და ლექსიკა, რაც საერთო იყო ყველა იმუამინდელი ქართული დიალექტისთვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედაქალაქის მეტყველებაში ცალკეულ დიალექტთა სპეციფიკა ნიველირებული იყო, ანუ მცხეთის მეტყველება ზედიალექტურ თუ ინტერდიალექტურ კოინეს წარმოადგენდა.

მაგრამ თუნდაც ზედიალექტიკური, როგორი მდიდარი ლექსიკაც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ იტვირთავს სახელმწიფო ენის ფუნქციებს, რადგან მასში არ მოიპოვება საკმარისი ტერმინოლოგიური ბაზა, სახელმწიფოს ფუნქციონირების საკანცელარიო-ადმინისტრაციული, დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა სფეროებისათვის. მართალია ქართულ ენაში მოიპოვება სოციალურ სტრუქტურათა თუ დასახლებათა ტიპების არაერთი ტერმინი ნამემკვიდრევი ჯერ კიდევ საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან, მაგრამ ტერმინთა ეს ბაზა პრინციპული ხასიათის შეფასებასა და გადახალისებას მოითხოვდა თვისობრივად განსხვავებული ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას წინ უძღოდა მისი ტერმინოლოგიური უზრუნველყოფის ინტენსიური პროცესი, რომელიც მისი ფუნქციონირე-

ბის ყველა ეტაპზე თანსდევდა მას და დღემდე გრძელდება [31, 9-10].

ევროპელი მეცნიერები უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაინტერესდნენ კავკასიური, კერძოდ, ქართველური, ენებით. ცნობილი ენათმეცნიერი ფრანც ბოპი (1791-1867წწ.), 1847 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კავკასიის წევრები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახისა“, ქართველურ ენებს (საკუთრივ ქართულს, მეგრულს, ლაზურს და სვანურს) უწოდებს „იბერიულს ანუ ქართულს“. ავტორი შესავალ ნაწილში გადმოგვცემს როზენის, კლაპროთის, სენმარტენის, ბროსეს შეხედულებებს ქართველურ ენათა შესახებ და შემდეგ ასაბუთებს საკუთარ თავლსაზრისს.

ფრანც ბოპის შრომის მიზანია ცხადი გახადოს, რომ ენობრივი ორგანიზმის ყველა ნაწილში – სახელთა ფლექსიაში, ზედსართავებში, ნაცვალსახელების ფუძეებსა და ბრუნებაში, რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღვლილებაში – პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით – ქართული ენა ინდოევროპულ ენებთან ნათესაობას ავლენს (სანსკრიტთან და სხვ.).

როგორც მოსალოდნელი იყო, ბოპის აღნიშნულ ნაშრომში არ არის ლაპარაკი ფონეტიკურ შესატყვისობათა შესახებ; საკითხი განხილულია მხოლოდ მორფოლოგიისა და ფლექსიკის ჩვენებათა მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოპის წიგნში წარმოდგენილი ენობრივი მასალა და შედარებები თავის არსებით ნაწილში დამარწმუნებელი არ არის, მაინც უნდა ითქვას, რომ მან გამოთქვა რიგი საინტერესო

და უდავოდ სწორი დაკვირვება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის მორფოლოგიის კვლევის დარგში. ბოპის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი მოგვცა აკადემიკოსმა მარი ბროსემ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართულს ინდოევროპული ენების მონათესავედ თვლიდა.

ქართული ენის გენეზისური ურთიერთობა სხვა ოჯახის ენებთან, ასე დაწვრილებით, როგორც ბოპმა განიხილა, არც ადრე განუხილავს ვინმეს და არც – შემდეგ; ამ მხრივ ბოპის ცდას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს [1, 93]. როგორც დავინახეთ, გარკვეულწილად ანალოგიური დებულება წარმოადგინა ჯერ კიდევ 1834 წელს დიდმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. სამაგიეროდ მ. მიულერი 1855 წელს ამტკიცებდა, რომ კავკასიური ენები თურანული (ე.ი. თურქულ-თათრული) ენების შორეული მონათესავენი არიან, ხოლო 1888 წლიდან ნიკო მარი ცდილობდა ქართველური ენების სემიტურ ენებთან მონათესაობა დაესაბუთებინა. შემდგომმა კვლევა-ძიებამ უცილობლად გვიჩვენა ყველა ამ მტკიცების უსაფუძვლობა. უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1864 წელს გამოთქმული დებულება (ფრ. მიულერი), რომ კავკასიური („იბერულ-კავკასიური“) ენები არ ენათესავენ არც ინდოევროპულსა და არც ურალურ-ალთაურ (თურქულ-თათრულ) ენათა ოჯახებს, ისინი, ბასკურთან ერთად, ნარჩენია ოდესღაც მრავალრიცხოვან ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ ინდოევროპული, სემიტური თუ ურალურ-ალთაური ენები გავრცელდებოდნენ. ქართველი მეცნიერებიდან ინდოევ-

როპულთან ან თურანულთან ნათესაობის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, რომელმაც ქართული ასევე ცალკე განსხვავებული ჯგუფის ნაშთად მიიჩნია [33, 327-328].

დღეს გაზიარებული მტკიცებულების თანახმად, ქართველურს აკუთვნებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. თვით საქართველოში გავრცელებული ზოგი ენა სხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის. ამიტომ გეოგრაფიული ცნებაა კავკასიის ენები, ხოლო გენეალოგიური – კავკასიური (ან იბერიულ-კავკასიური) ენები სადაც 40-მდე ენა შედის. მაგ., კავკასიაში ინდოევროპულია სომხური (არმენული ჯგუფის), ოსური (ირანული ჯგუფის), რუსული, უკრაინული (სლავური ჯგუფის), ბერძნული; თურქულ – ალთაურია – აზერბაიჯანული [8, 20].

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ენათა ოთხი ჯგუფი:

1. ქართველური (ქართული, ზანური ანუ მეგრულ-ჭანური, იგივე მეგრულ-ლაზური და სვანური.
2. აფხაზურ-ადიღეული ანუ აფსურ-ადიღეური (აფხაზური ქვეჯგუფი: აფხაზური ანუ აფსური და აბაზური; ადიღეული ქვეჯგუფი: ადიღეური ანუ ჩერქეზული, ყაბარდოული და უბიხური)
3. ნახური ანუ ვეინახური (ჩეჩნური, ინგუშური, ქისტური, ბაცბური ანუ წოვათუშური
4. დაღესტნური (30-მდე ენა); დაღესტნურში გამოიყოფა ოთხი ქვეჯგუფი:

ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოური; ბ) დარგუული; გ) ლაკური; დ) ლეზგიური.

დაღესტნური ენებია ასევე: არჩიული, აღულური, ახვახური, ბოთლიხური, ბაგულალური, კაპუჭური, კარტაული, კრიწული, კუბახური, რუტულური, უდიური, ტაბასარანული, წახურული და სხვ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ყველაზე ძველი და კულტურული ენაა ქართული, რომელსაც წერილობითი ძეგლები მოეპოვება V საუკუნიდან და თექვსმეტსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციები აქვს.

კავკასიური ენებიდან მხოლოდ ცხრა ენას აქვს დამწერლობა, შექმნილი რუსული (სლავეურ-კირილური) ანბანის საფუძველზე: აფხაზურს, აბაზურს, ჩეჩნურს, ინგუშურს და ხუთ დაღესტნურ ენას – ხუნძურს (ავარულს), დარგუულს, ლაკურს, ლეზგიურს, ტაბასარანულს. დანარჩენი უმწერლობო ენებია. ენათა მრავალრიცხოვნობის გამო კავკასიას „ენათა მთას“ უწოდებენ [8, 47-48].

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესი და სრულყოფილია როგორც ბგერათა სატყვისობის, ისე გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით მსოფლიოს დამწერლობის სისტემათა შორის. ამას ხაზს უსვამდნენ უცხოელი მეცნიერები: ინგლისელი დევიდ მარშალ აღენი, გერმანელი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, რუსი პეტრე უსლარი და სხვ. ანბანის დახვეწილობა და სრულყოფილება არ გულისხმობს გრაფიკული ნიშნების გარეგნულ სილამაზეს. მთავარი ისაა, რომ ქართულ ანბანში თავიდანვე თითოეული ასო შეესაბამება ცალკეულ სამეტყველო ბგერას – ფონემას და ყველგან ერთნაირად იკითხება.

თანამედროვე ქართულში 33 ასო და 33-ვე ბგერაა, ე.ი. ანბანში სრულყოფილადაა ასახული ქართული წარმოთქმის (არტიკულაციის) მთელი სიმდიდრე. ამ მხრივ არც ერთი სხვა ანბანი არაა მსოფლიოში ასე სრულყოფილი [8, 84].

ეროვნული დამწერლობის კვლევისას გვერდი არ უნდა ავუაროთ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ მასალებს, მოპოვებულს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ენოლოგიური და ბრინჯაოს კულტურების მაღალი მხატვრული დონე, შალვა ამირანაშვილის აზრით, „უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა“. იგივე ავტორი თვლის, რომ ამირანის გორაზე ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, რომელიც ზუსტად ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება, შეიცავს ყურის ქვეშ ამოკაწერის წესით შესრულებულ ათ განსხვავებულ ნიშანს, ჭურჭელზე სიმეტრიულად გარს შემოვლებულს, რომლებიც პიქტოგრაფიული ხასიათისაა და ადრეული ხანის ნამდვილი დამწერლობის ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოში უძველეს პერიოდში პიქტოგრაფიული დამწერლობის არსებობას ადასტურებს არქეოლოგი ბორის კუფტინიცი. იგი ამბობს, რომ თრიალეთის სიფელ ოზნში ნაპოვნი ფიალა შეიცავს სიმბოლურ ნიშნებს, რომლებიც წარმოადგენს პიქტოგრაფიულ დამწერლობას და ემსგავსებაო პროტოელამურ ნიშნებს. ვ. გობეჯიშვილის აზრითაც, ეს ნიშნები უძველესი ქართველური ტომების ტაბალე-

ბის (RESP. ტიბარენების, იბერების) მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობა არისო [34, 34].

ძველი ცივილიზაციის მოთავენი – ბერძენი ავტორები, რომლებიც ეროვნული ინტელექტის ძალმოსილებით გაღაღებულნი, ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ – მათ განსაკუთრებით გამოარჩიეს კოლხეთი და კოლხები. ჩანს, მისი რეალური საფუძველი უცილოდ არსებობდა. თანაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ბერძენ ავტორთა მხრივ წარმოჩენილი კოლხური კულტურის უმაღლესი დონე არ განესაზღვრა საკუთრივ სამწერლო კულტურას. ეტყობა, ფაქტიურად ეს ასეც ყოფილა. ამას კოლხური ოქროს საწმისის უძველესი და ადრე შუა საუკუნეების ბერძნული ინტერპრეტაციები ამხელს.

ევსტათი თესალონიკელმა (XII ს.), რომელმაც დიონისიოს პერიეგეტის ერთ-ერთი თხზულება განმარტა, ხაზგასმით აღნიშნა: ო ხ ა რ ქ ს ი [პერგამონელი] ა მ ბ ო ბ ს, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხ ე რ ხ ი ო ქ რ ო დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ა, რომლის გამოცო, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“ [34, 27].

სხვა ბერძენ ავტორებს, პარალელურად, მოეპოვებათ ისეთი ცნობები, რომლებიც განამტკიცებენ აზრს კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ თვით წინაბერძნულ, კრეტა-მიკენის ზეობის ხანაში. ასე, მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ IV წიგნში არგოსი, ძე ფრიქსესა და აიეტის ასულის ქალკიოპესი, ელადაში მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს გადმოცემას აია-კოლხეთის და არსების შესახებ და მის აწინდელ ვითარებასაც უთ-

ვალისწინებს, კერძოდ იმას, რომ კოლხებს დღესაც კი „შენახული აქვთ თავიანთ მამაპაპათაგან ნ ა წ ე რ ი კ ვ ი რ ბ ე ბ ი, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი. ცნობილი მეცნიერი კრიტიკერი შენიშნავს, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიად არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი, ბევრად უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხიდელთა მოგზაურ ვაჭართა შორის“ [34, 29].

მკვლევარმა ვლ. სიჭინავამ „კირბები“ (კვირბები), იგივე „კირიბიში“, დაუკავშირა მეგრულში შემორჩენილ ლექსემას „კირიბი“, რაც „ცხვარს“ ნიშნავს. ამ მოსაზრებას ამაგრებს ძვ. წ. IV-III სს. ბერძენი ავტორის პალეფატეს თხზულებიდან მომდინარე ცნობა, რომელსაც გადმოგვცემს ანონიმური ავტორი მითოგრაფიული ტრაქტატის ერთ-ერთ თავში: „ოქროს საწმისისათვის“. აქ ნათქვამია, რომ კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიაც აღწერილი იყო ქიმიის საშუალებით ოქროს მიღების შესაძლებლობანი. კოლხეთის ოქროს საწმისის ანალოგიური განმარტებაა შემონახული იოანე ანტიოქელთანაც (VII ს.) და ს ვ ი დ ა ს (II ს.) ლექსიკონშიაც. ამ ცნობებში განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ბერძენთა წარმოდგენით ქართულ (კოლხურ) დამწერლობას ასე ძველი ფესვები აქვს [33, 767-768].

თეიმურაზ ბაგრატიონი ქართული ანბანის წარმოშობას ფარნავაზის წინარე ხანაში ვარაუდობს, რომელსაც ქურუმები იყენებდნენ. ამ ვერსიას ზოგიერთი სომხური წყაროც უჭერს მხარს. მაგალითად,

XIII საუკუნის სომეხი მემკვიდრე მხითარ აირივანეცი ნაშრომში „ქრონოგრაფიული ისტორია“, რომელიც სხვადასხვა მემკვიდრეთა მონაცემებზეა აგებული (სამუელ ანეცი, ვარდან აღმოსავლელი, კირაკოს განძაკეცი და სხვ).

ქართული ანბანის წარმოშობა წარმართულ ეპოქაში გადააქვს სულხან-საბა ორბელიანსაც. ამავე აზრს იცავს ბატონიშვილი ვახუშტი [1, 178-179].

და მაინც, ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფუძემდებლად ითვლება ივ. ჯავახიშვილი („ქართული პალეოგრაფია“), რომელიც ქართულის წარმოშობის თარიღად ასახელებდა არა უგვიანეს VII საუკუნეს. ქართულ ანბანს ძ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებდა პ. ინგოროყვაც.

რ. პატარიძის აზრით ქართული ასომთავრული იგივე უნიკალური წარმართული კალენდარია, რომელშიც დაცულია მზისა და მთვარის კალენდარული სისტემები, თითოეული ასო-ნიშანი იდეოგრაფიკაა, აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, ასტრონომიული და კალენდარული დანიშნულება.

„ქართულ ასომთავრულში“ (1980წ.) რ. პატარიძე ქართული ანბანის შექმნის თარიღად ასახელებს: არა უადრეს ძვ. წ. 403 წლისა და არა უგვიანეს ძვ. წ. 284 წლისა (ქართული ასომთავრულის სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადების წელი).

შემდეგ ნაშრომში („ქართული მწიგნობრობა“, 1989წ.) რ. პატარიძემ დააზუსტა ეს თარიღები და აღნიშნა: ქართული ასომთავრული შეიქმნა ძვ. წ. 415 წელს, 412 წელს მან დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა, ძვ. წ. 284 წელს ფარნავაზ მეფემ შემოიღო

სრულიად სახელმწიფო ქართული მწიგნობრობა და ეროვნული წელთაღრიცხვაო.

ქართული ანბანი უნდა შეექმნა აღმოსავლური და დასავლური კულტურების ზედმიწევნით მცოდნე პიროვნებას, ქართველ ქურუმს (ეგებ ქართველ პითაგორელს), რომელმაც მთელი ამ ცოდნის სინთეზი მოახდინა.

ანბანსაც და კალენდარსაც ქურუმთა წრე ინახავდა, როგორც საიდუმლო ცოდნას, სანამ ფარნავაზმა არ გამოაცხადა ის საერთო ქართულ სახელმწიფო დამწერლობად.

ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინების დაწყებად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ახ. წ. 311 წელი, რასაც გვაუწყებს დავათის სტელაც (367წ.) [8, 91].

ასომთავრულის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ნეკრესის წარწერებში (I-III სს.), მანამდე კი უძველესად ითვლებოდა პალესტინისა და ბოლნისის წარწერები [8, 95].

სომეხი ისტორიკოსის კორიუნის (V ს.) ნაშრომში და სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ აღნიშნულია, თითქოს ქართული ანბანი შექმნა სომეხმა განმანათლებელმა მესროპ-მაშტოცმა V საუკუნის 20-იან წლებში სომხურ და ალბანურ ენებთან ერთად. მესროპ-მაშტოცი (361-440) მოღვაწეობდა მაშინ, როცა ქართლში მეფობდა ბაკურ მეფე. კორიუნის ცნობას იმეორებს მოსე ხორენელი (V ს.), მაგრამ იმავე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი მაშტოცს მიაწერს მხოლოდ სომხური ანბანის შექმნას. მეცნიერებაში დიდი ხანია დოკუმენტურად დამტკიცებულია მესროპის მიერ ქართული ანბანის შექმნის

უსაფუძვლობა. მიუხედავად ამისა ბევრ უცხოურ და საცნობარო ლიტერატურაში სწორედ სომხური ვერსიაა დაფიქსირებული.

აღიარებულია, რომ ქართული მხედრული დამწერლობა უნიკალურია მსოფლიო ამბანურ დამწერლობათა სისტემებში. ამისი მტკიცებისათვის არსებობს ობიექტური, გრამატოლოგიური კრიტერიუმი: მხედრული წარმოადგენს ფონოლოგიური დამწერლობის იდეალური ფორმულის „ერთი ფონემა: ერთი გრაფემა“ რეალიზაციის ერთადერთ პოზიტიურ ნიმუშს კაცობრიობის დამწერლობათა შორის [31, 19]. ეს მაშინ, როცა საკუთარი ანბანი არ გააჩნიათ ისეთ უკვდავ ენებს, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და სხვ.

ქართული ენის სტატუსი

ქართული ენა ქართველი ერის, ყოველთა ქართველთა ეროვნული ენა –საქართველოს სახელმწიფო ენაა. საქართველოს გამაერთიანებელი პირველი მეფის ფარნავაზის შესახებ მემატრიანე აღნიშნავს, რომ „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“ [35, 17]. ამ ფაქტს ავტორი რამდენჯერმე აღნიშნავს. შეიძლება გავიკვიროთ: კაცმა რომ თქვას, რამდენჯერ უნდა განმეორდეს ერთი და იგივეო. არა, ეს გამეორება არაა, ესაა ერთი სათქმელის გაბმულად, გახანგრძლივებულად თქმა, ახალ-ახალი ფერადოვნებითა და სურნელებით აქლერება, რათა ღრმად და სამუდამოდ ჩაეებჭდოს მკითხველს და აკი თითქმის ოცდა-

ოთხი საუკუნეა, რაც შეგვენივთა „აღმასივით გამ-
 კვეთავი და გამომაფხიზლებელი ფრაზა“ – მაუწყე-
 ბელი ქართველი მეფის ზეობისა. ახლა ისიც გავიხ-
 სენოთ, თუ როგორ ამთავრებს ავტორი თხრობას: „ა
 მ ა ნ (ფარნავაზმა—ა.ს.) გ ა ნ ა ვ რ ც ო ე ნ ა ქ
 ა რ თ უ ლ ი, დ ა ა რ დ ა რ ა ი ზ რ ა ხ ე ბ ო
 დ ა ს ს უ ა ე ნ ა ქ ა რ თ ლ ს ა შ ი ნ ა თ
 ვ ი ნ ი ე რ ქ ა რ თ უ ლ ი ს ა, დ ა ა მ ა ნ შ
 ე ქ მ ნ ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა ქ ა რ თ უ ლ
 ი“ [35, 17]. თხრობის ასეთი დასასრული წარმოად-
 გენს ერთგვარ შეჯამებას, კვინტესენციას ფარნავა-
 ზის საქმიანობისას; ამასთანავე, ესაა აპოთეოზი მი-
 სი მოღვაწეობისა. ამ ფრაზაში ჩაქსოვილია არა მარ-
 ტო ინფორმაციული, შემეცნებითი ფუნქცია, არამედ,
 უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია მთქმელისა
 თუ მწერლის ემოციური დამოკიდებულება ფაქტი-
 სადმი. აშკარაა, რომ ამას ამბობს ადამიანი, რომე-
 ლიც პირადად იტანჯება და მწვავედ განიცდის, რომ
 მის ქვეყანაში მშობლიურ ენას დაკარგული აქვს მო-
 ქალაქეობრივი უფლება, სახელმწიფოებრივი ფუნ-
 ქცია და აი, მოხდა სასწაულებრივი გარდატეხა.
 მშობლიური ენის დევნით განაწამები და შეურაც-
 ხყოფილი ადამიანი მოესწრო იმ საოცნებო დღეს,
 როდესაც ფარნავაზის სიბრძნითა და ქველობით მი-
 სი ქვეყანა იმდენად გაძლიერდა, რომ ქართული ენა
 სახელმწიფო ენად დაკანონდა. მშობლიურმა ენამ
 თავისი ღირსება და პატივი, აღიარება და უფლებები
 მოიპოვა და ამ დიდი ეროვნული და მოქალაქეობრი-
 ვი აღიარებით აღზევებული მამულიშვილი აღტაცე-
 ბითა და თავმეუკავებელი ბედნიერებით საქვეყნოდ
 ღაღადებს – „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქარ-

თლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ესაა ფაქტით გამოწვეული უშუალო რეაქცია იმ მამულიშვილისა, რომელიც სწორედ იმ ცხოვრებით ცხოვრობს, იმ ატმოსფეროთია გაუღენთილი, როდესაც მის ქვეყანაში ხდება ეს დიდი ისტორიული ძვრები. ძვრები, რომელთაც საძირკველი დაუდეს ერისა და ენის სიმტკიცესა და განვითარებას.

ფარნავაზისა და მისი ეპოქის შესახებ ჩვენამდე რომ არავითარ ცნობას არ მოედწია და ეს ბოლო სამი სტრიქონი შემორჩენოდა ისტორიას, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა ფარნავაზის დეაწლისა და ეპოქის გრანდიოზული შემოქმედებითი მასშტაბების გასათვალისწინებლად. საქმე ისაა, რომ მწიგნობრობის შექმნასა და განვითარებას ერი მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც უამრავი სოციალური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრობლემები წარმატებით აქვს დაძლეული, როდესაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დიდ აღმავლობას განიცდის და ყოველივე ამის თანმიმდევრული და ლოგიკური დაგვირგვინებაა სულიერი საგანძურის, მწიგნობრობის დაფუძნება და განვითარება. მწიგნობრობის დამამკვიდრებელნი არ ეტყვიან მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეთა „რუბრიკაში“, ასეთი ადამიანების შესახებ კონსტანტინე გამსახურდია წერს, რომ ისინი ან ბელადები არიან, ან წინასწარმეტყველნი. ჭეშმარიტად რომ ასეა! და სწორედ ამ რანგში გაიაზრა შთამომავლობამ ფარნავაზი [36, 12-13].

ღიას, ფარნავაზმა ბრძოლითა და სიბრძნით შეძლო ცალკეული კუთხეების შემომკვიდრება და ერთიანი, მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა. ამ დიდი მთლიანობის ხერხემლად მან მშობ-

ლიური ქართული ენა აქცია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული დააკანონა, უდიდესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტი და ჭკვიანი მმართველის შორს გამიზნული ნაბიჯია. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ქართველი ტომების გაერთიანებისა და შემჭიდროვების საქმეს. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ეს არის ფარნავაზის მთელი მოღვაწეობის ამოსავალი წერტილი, მისი მეფობის მთავარი არსი [37, 177].

ამდენად, ფარნავაზის მიერ სახელმწიფო ენად გამოცხადებული ქართული – გახდა სახელმწიფო ენა არა მხოლოდ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ სამეფო კანცელარიის ენა, არამედ ის აღიჭურვა პოლივალენტური ფუნქციით და გახდა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურისა და რელიგიის ერთადერთი ენა ქართულ სახელმწიფოში [31, 6].

ძვ.წ. II-I საუკუნეებში გარესამყაროსთან გაცხოველებული ურთიერთობის და უცხოელთა ექსპანსიის შედეგად, საშიშროება შეექმნა სახელმწიფო ენას. ანტიკური ხანის საქართველოში ზეწოლის შედეგად ფართო გამოყენება პოვა დამწერლობის უცხოურმა – ბერძნულმა და არამეულმა სისტემებმა. როგორც ცნობილია, ამ დამწერლობითა და ამ ენებზე ჩვენამდე მოაღწია ანტიკური საქართველოს არაერთმა საყურადღებო ძეგლმა.

აღმოჩენილ წარწერათა შორის გვხვდება ბერძნული, არამეული და, აგრეთვე, ზოგჯერ ებრაულიც. გამოირჩევა სამშენებლო წარწერები, ეპიტაფიები, წარწერები ხელისუფლების ნიშნებზე (ინსიგნიებზე), სამკაულზე და ვერცხლის ჭურჭელზე [33, 768].

ოთხი საუკუნის განმავლობაში, პირველიდან მე-
 ოთხის ჩათვლით, მიუხედავად ხანმოკლე წარმატებე-
 ბისა, ქვეყანაში ღრმა პოლიტიკური კრიზისია, რამაც
 პირველ რიგში ქართული ენის, როგორც სახელმწი-
 ფო ენის სტატუსზე იმოქმედა. მართალია ქართველ
 მეფეს რომშიც ეპატიუებიან და ბიუსტსაც უდგამენ,
 მაგრამ გაურკვეველია რა კონფესიის ფარგლებში
 სწირავს მსხვერპლს კაპიტოლიუმში. ამ ხნის განმავ-
 ლობაში ორჯერ, პირველსა და მეოთხე საუკუნეში,
 სამეფო შუაზე იჩეხება, დგინდება ორხელისუფლები-
 ანობა. არმაზის კერძ სამეფოზე სპარსეთი ბატო-
 ნობს, მუხრანის კერძს—რომი განაგებს. აღრევაა რე-
 ლიგიური თვალსაზრისითაც. მცხეთაში წამყვანი
 მზღვანობა ჩანს, ეს კარგად არის ასახული არმა-
 ზისხევის სამაროვნის მასალებით და იმ სოციალურ
 სიტრეღით, რომელიც აქ არის წარმოდგენილი
 სამეფო ელიტაში. ვინ არიან ესენი — პიტიახში,
 ეზოსმოძღვარი, ან სახელდებით — სერაფიტა, ზევა-
 ხი, იოდმანგანი, ხსეფარნუგი, აგრიპა. ნიშნეულია,
 რომ თუ არა ბერძნულ ტექსტში ნახსენები „იბერიის
 მეფე“, არამეული ტექსტით ვერც შევიტყობდით, რომ
 საქმე იბერიის სამეფო კარს ეხება და მის კარზე
 დამკვიდრებულ უცხო ინსტიტუტების პატრონებს.
 არამეული და ბერძნული ტექსტები უცილობლად მი-
 უთითებს სახელმწიფო აპარატის და კანცელარიის
 სამუშაო ენაზე. ქ ა რ თ უ ლ ი ა რ ა თ უ დ ა
 მ წ ე რ ლ ო ბ ა , ა რ ა მ ე დ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე
 ბ ა ც გ ა მ ო დ ე ვ ნ ი ლ ი ა. ქართულს იყენებს
 ალბათ დაბალი ფენები, მასა. ჩანს, რომ მცხეთა
 კვლავ მრავალენოვანი ქალაქია, შეიძლება ნომინა-
 ლურად, მაგრამ მაინც, ქართველი მეფის ხელში იმ-

ყოფება. ტომთა აღრევას სწორედ მცხეთის ქვეყანაში აქვს ადგილი. აქ არის დადასტურებული თითქმის ყველა, არამეული, ფალაური, ბერძნული დამწერლობის ნიმუში, რომელთა თარიღიც, ძირითადად, ახ.წ.ად. I-III საუკუნეებზე მოდის (მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, დედოფლის გორა. . .). როგორი შეიძლება იყოს ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უცხო კულტურული ექსპანსიისადმი, იმ მოსახლეობისა, რომელსაც წარმართობიდან გააჩნდა საკუთარი ეროვნული დამწერლობა და საკუთარი ეროვნული კულტურა. წარმოვიდგინოთ პიტიასშთა განსასვენებელი II-III საუკუნეებში. სამთავროს სამაროვანი დამშვენებული იყო ებრაული და ბერძნული ეპიტაფიებით, არმაზისხევში კი აღმართული იყო არამეულ-ბერძნული ბილინგვა, მის ახლოს კი ე.წ. შარაგასის „გამარჯვების სტელა“, რომლებიც ელიტარულ განსასვენებელ ადგილს გამორჩეულ სახეს აძლევდა. ეს იყო სილუეტი ქართლის სამეფოს სოციალურად და პოლიტიკურად დაკნინებული გარემოსი. მაგრამ როგორი განვითარება მიიღო ყოველივე ამან, რა სურათი გვაქვს ორი საუკუნის შემდეგ: ებრაული წარწერები აყრილია საფლავებიდან და სამარხის კედლებად არის გამოყენებული. ბერძნული წარწერა, სადაც ქალაქის მთავარი მხატვრის თუ არქიტექტორის სახელი აქოლისი იყო აღნიშნული, ისიც საფლავის ქვად გამოუყენებიათ. მეორე ბერძნულწარწერიანი ქვაც, სადაც იგივე აქოლისი იყო მოხსენიებული, ეკლესიის შესასვლელში დადეს წარწერის ნაწილით ქვევით. რაც შეეხება არამეულ წარწერებს – ბილინგვას და ე.წ. შარაგასის სტელას, ისინი მოუგლუჯიათ ადგილიდან და იმავე სამარო-

ვანზე ქვის სამარხის კედლებად გამოუყენებიათ. ეს იყო მცხეთელების პროტესტი ქართლის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე. ეს გზა კი I-II საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო, როდესაც ქართლის საზოგადოებას ახლი სოციალური ფენა მოეწვინა ფეოდალ აზნაურების სახით, რომლის ისტორიული მისიაც, სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენა იყო. სწორედ ეს იყო განმსაზღვრელი, როდესაც ისინი სამეფო კართან ერთად, არ ერიდებიან სისასტიკეს, სპარსული იდეოლოგიის – მაზდეანობის განსადევნად, და ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის დასამკვიდრებლად [38, 102-103].

არაბთა ბატონობის დროს ახალი ძალით იწყება ბრძოლა ქართული ენისა და ქრისტიანული სარწმუნოების სტატუსის აღსადგენად. VIII-IX საუკუნეებში, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პერიოდში, როდესაც პარალელურად მიმდინარეობს მოძრაობა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბიზანტიის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა აღიმართება. გაერთიანებული საქართველო ბუნებრივია სრული დამოუკიდებლობისათვის ყველა ღონეს მიმართავდა. ასევე ბიზანტიაც ყველა ღონეს ხმარობს სხვადასხვა საშუალებებით შეინარჩუნოს თავისი გავლენა კავკასიაში. აქ უკვე ყურადღება გამახვილებულია, როგორც რელიგიურ ფაქტორზე, ასევე ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით.

„უკვე IX საუკუნეში, როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწვერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა

და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიც. უპირველეს ყოვლისა – ჩერქეზებსა და ალანებში“ [39, 133].

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში თავიდანვე ბერძნული ეკლესია გაბატონდა. საეკლესიო მღვდელმსახურებაც ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. მაგრამ დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ეკლესიასა და ბერძნულ ენას იმთავითვე უპირისპირდებოდა ქართული ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს სახით [40, 511].

მნიშვნელოვნად ანგარიშგასაწევი ფაქტორია, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. იმ დროს, ტაოკლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად იმთავითვე ყუველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა, X საუკუნის შუა წლებში, უკვე გაერთიანებულია სრულიად საქართველოს ეკლესიასთან [40, 512].

ამიტომ იყო, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფეებმა ეკლესიური გამოყოფის მოპოვებისთანავე დაიწყეს ძველი (ბიზანტიური) საეპისკოპოსო კათედრების მოშლა დასავლეთ საქართველოში და მათ საპირისპიროდ ახალი ქართული კათედრების დაარსება. X საუკუნის მანძილზე მოიშალა გუდაყვის (ძიდანევის) კათედრა, ფოთის კათედრა, ხოლო აშენდა ჭყონდიდის, მოქვის, ბედიისა და სხვა საყდრები, სადაც შეიქმნა ახალი, ქართული საეპისკოპოსო კათედრები. ასე თანდათან იღვენებოდა ბიზანტიის ეკლესიის

გავლენა. ბიზანტიის ეკლესია ღვთისმსახურებას დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ენაზე აწარმოებდა. მცხეთის ტახტს კი ქართული ენა შემოჰქონდა. აღნიშნული გარემოება დიდად უწყობდა ხელს მცხეთის ტახტისა და ეგრის-აფხაზეთის მეფეების ერთობლივ საქმიანობას, რადგან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ქართული ეროვნულ ენა იყო და ამდენად ბევრად უფრო მისაღები, ვიდრე ბერძნული [40, 425-426].

ასეთ ვითარებაში შემუშავდა „ქართლის“ პოლიტიკური მნიშვნელობის ის ფართო გაგება, რომელიც გვამცნობს, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“ [41, 279-280]. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მერჩულეს ეს ფორმულა IX საუკუნის შუა წლების მოვლენებს ასახავს. საქმე იმაშია, რომ IV მსოფლიო საეკლესიო კრების კანონის თანახმად ადგილობრივი ეკლესიის საზღვრები სახელმწიფო საზღვრებს უნდა დამთხვეოდა, ქართულენოვანი ლიტურგიის ფუნქციონირების არეალის, ანუ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებად აღიქმებოდა.

სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს ბიზანტიის საიმპერატორო კარის გაღიზიანება. დიპლომატიური ლავირების მოშველიებით ბერძენთა შორის ხშირად ისმებოდა კითხვა – შეძლებდა თუ არა ქართული ენა მეცნიერებისა და აზროვნების ენად გადაქცეულიყო? ჰქონდა თუ არა მას თავისთავადი მნიშვნელობა? აქვთ თუ არა ქართველებს უფლება და საშუალება ღვთის მსახურება დედაენაზე შეასრულონ?

და მათ მოჰყავდათ ბიზანტიაში განმტკიცებული შეხედულება, რომ მწერლობა შესაძლებელია თურმე იმ სამ ენაზე, რომლებზედაც აღნიშნული იყო ბრალდება ჯვარცმული ქრისტესი, ესე იგი – ბერძნულ, ლათინურ და ებრაულ ენებზე. ამიტომ ისინი აღნიშნული არგუმენტის მოშველიებით ეჭვის თვალით უყურებდნენ სხვა ენაზე არსებულ ქრისტიანულ ლიტერატურას. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად სინას მთის გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, იოანე-ზოსიმეს პირით X საუკუნეში ქართველებმა ასეთი შეხედულების წინააღმდეგ წამოაყენეს თეორია, რომლის მიხედვით, ქართული ენა სავსებით გათანასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რომ ისინი „ორნი“ დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა, და მეგობარნი, ვითარცა ნინო და ჰელენე „დედოფალი“. უფრო მეტიც, ავტორი აყენებს ქართული ენის მესიანური დანიშნულების იდეას. ქართული ენის საქებრად გასაოცარი ექსპრესიით დაწერილ ჰიმნში ავტორი ავითარებს იმ აზრს, რომ ქართულ ენას აქვს უფლება და შესაძლებლობა არა მხოლოდ ორიგინალური, ადგილობრივი კულტურის შექმნისა, არამედ შეუძლია მსოფლიო ენად გადაიქცეს, მსოფლიო კულტურის მესაჭეობა ქართულმა ენამ იკისროს: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს... და ეს ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა...“ [42, 47, 48].

აღნიშნული ძეგლი, რომელიც „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ანუ მოკლედ „ქებაის“ სახელწოდებით არის სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი, მცირე მოცულობის ნატიფი სტილით შესრულებული ნაწარმოებია. ძეგლის დედაარსს ქართული ენის განსაკუთრებულობის მტკიცება წარმოადგენს, რაც თხზულების მიხედვით გამოვლინდება მომავალში, მეორედ მოსვლის უამს: მაშინ ქართული მესიის ენა იქნება.

უფალთან ქართული ენის სხვებზე მეტი სიახლოვე რომ თვალსაჩინო გახადოს, ავტორი ეძიებს ანალოგიას და „სახარებაში“ მის შესატყვისად ქრისტეს უსაყვარლეს მოწაფესა და მეგობარს ლაზარეს სახავს.

„ქებაიში“ ხაზგასმულია, რომ ქართული ენის არსება ცხადყოფილი არ არის, ამის გამო ის არც სათანადოდ დაფასებულია, მაგრამ ქართული რომ ნამდვილად უფლის მიერ რჩეული ენაა, ამის დამადასტურებელი ფაქტები აწმყოშივე გვეძლევიან სასწაულების სახით.

თხზულება ელდასავითაა. მკითხველს სახტად ტოვებს ძველი ქართველი მწერლის ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნება, ეთნიკური კუთვნილებით გამოწვეული დაუფარავი სიამაყე მის ხმაში. ასე მკაფიოდ, ასე ძლიერად, ასეთი ღირსებით ქართულ ლიტერატურაში მშობლიური ენის სიყვარულის შესახებ არასოდეს თქმულა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია: ქართველი ერის ისტორიისათვის „ქებაის“ ავტორი არ არის მარტოდენ კონკრეტული მწიგნობარი, იგი აღიქმება როგორც ზოგადი „ცხოველყოფილი სახე ქართველობისა“ [43, 40].

ძველთან და მისი ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. ერთი ეკუთვნის კორნელი კეკელიძეს, რომელიც თვლიდა, რომ „ქებაის“ ავტორი X საუკუნის საბაწმინდელსინელი მწიგნობარი იოანე-ზოსიმეა.

პაველე ინგოროყვა კი თხზულების სავარაუდო ავტორად გიორგი მერჩულეს ასახელებდა. მისი აზრით: „ეს ძველი გამოსულია გიორგი მერჩულის სალიტერატურო სკოლიდან. არაა გამორიცხული ისიც, რომ ავტორი იყოს თვით გიორგი მერჩულე“.

პაველე ინგოროყვა „ქებაის“ წყობილსიტყვაობის ნიმუშად მიიჩნევდა, ისევე როგორც იდენტიფიკაციისათვის მოხმობილ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ამოღებული ტექსტის ნაწყვეტს. მაგრამ „ქებაი“ არ არის ლექსი. მართალია, მასში შეინიშნება გარკვეული რიტმი, მთლიანობაში ძველი არ წარმოადგენს რიტმულად ორგანიზებულ სისტემას. მეტიც, „ქებაი“ არათუ ლექსი არ არის ფორმით, იგი შინაარსობლივითაც არ არის პოეზია. თავისი სტრუქტურით ეს ტექსტი მეცნიერული მსჯელობის ანალოგიურია. მასში გამოიყოფა ლოგიკურად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე მიკროტექსტი: პირველი მიკროტექსტი წარმოადგენს დებულებას (ქართული ენის განსაკუთრებულობის მაჩვენებელია მისი დამარხულობა); მეორე მიკროტექსტი არის დებულების საზრისის განმარტება (ქართული ენა ლაზარეა, ნინო განმანათლებელი და ელენე დედოფალი იგივენი არიან მისთვის, რაც ლაზარესთვის დები მარიამ და მართა, რომლებიც ძმის აღდგენისათვის ქრისტეს წინაშე შუამდგომლობენ); მესამე მიკროტექსტით ხდება დებულების არგუ-

მენტირება (ქართული ენა რომ 4 დღეს დამარხული ლაზარეა, ამას აჩვენებს ქართული სახარება, კერძოდ კი, მისი პირველი ასო „წ“, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაცაა 4000; ეს კი იგივეა, რაც 4, რადგან წმინდა წერილით 1000 წელი უდრის 1 დღეს, ე.ი. 4 უდრის 4000); მომდევნო მიკროტექსტი წარმოადგენს დასკვნას (ქართული ენა ქრისტეს დაბრუნებით, ე.ი. მეორედ მოსვლით, ვითარცა უფლის რჩეული, ღაზარესავით აღდგება); მეოთხე მიკროტექსტი კი დამატებითი არგუმენტია (ქართული ენის რჩეულობას, ღაზარეობას მისი სხვებზე ადრე მოქცევა, ქართული ქრისტიანობის სხვებთან შედარებით ხანდაზმულობა ადასტურებს) [43, 42].

ძეგლის დათარიღებას და რეალური ავტორის ძიებას საინტერესო და ანგარიშგასაწევი ნაშრომები მიუძღვნეს მეცნიერებმა ე. ჭელიძემ და მ. ჩხარტიშვილმა. ახალი ვარაუდით ძეგლი უნდა შექმნილიყო IV საუკუნის შუა ხანებში, ხოლო მისი ავტორი უნდა იყოს რვე მირიანის ძე.

აღნიშნული ვარაუდის სასარგებლოდ მარიამ ჩხარტიშვილს მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: IV საუკუნის დამდეგისათვის ქართლს შეექმნა მეტად რთული საგარეო-პოლიტიკური პირობები. სასანური ირანის აგრესიის გარდაუვალობამ იგი დაღუპვის საფრთხის წინაშე დააყენა. ასეთ დროს მეფე მირიანი ატარებდა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის გამიზნულ პოლიტიკას. მის მიერ ქართული სახელმწიფოს დამაარსებლის, ქართული ენისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მიმნიჭებლის ფარნავაზის საფლავის „შემკობა“, რის შესახებაც საგანგებოდ გვამცნობს ლეონტი მროველი, სწორედ ამ კურსის

მაჩვენებელია. ქრისტიანობის მიღებაც ეროვნული გადარჩენის სწრაფვით გამოწვეული აუცილებლობა იყო. მაგრამ ახალი სარწმუნოების აღიარებას ქართველი მოაზროვნენი ქართველობის შენარჩუნების ფიქრისაგან არ შეიძლებოდა გაეთავისუფლებინა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ ეტაპზე ქრისტიანობა, როგორც კოსმოპოლიტიური სარწმუნოება, რომელსაც ქართველთა თვალსაწიერში შემოჰყავდა სხვა ერებიც, ზოგადსაკაცობრიო კულტურული ფასეულობანი, ეროვნულ მეობას უქმნიდა არანაკლებ საფრთხეს, ვიდრე ირანის სამხედრო აგრესია. ამას უნდა გაემძაფრებინა ზრუნვა ყოველივე ქართულისათვის. ამ პროცესისგან განზე არ შეიძლება დარჩენილიყო მეფის ძე [43, 47-48].

ბიზანტიელთა სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ მათი სატახტო ქალაქი ღვთისმშობლის საგანგებო მფარველობის ქვეშ იმყოფება, ქართულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ უპასუხა სწორედ ამ დროს IX საუკუნეში ჩასახული აზრით, რომ ქართლის ქვეყანა „წილხვდომილია“ იმავე ღვთისმშობლისა. ეს აზრი, X საუკუნეში მთლიან სისტემად ჩამოყალიბდა და თავი იჩინა ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“. ძეგლში აღნიშნულია: როდესაც ილარიონი მივიდა ულუმბოს მთაზე, ადგილობრივი ბერძნული ლავრის მამასახლისმა მოინდომა მისი და მისი მოწაფეების იქიდან გაძევება. ამისათვის დაიმსახურა კიდევ ღვთისმშობლის მხილება: „უბადრუკო! – რაისა ინებე განძებანი უცხოთა მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათვის ძისა და ღმრთისა ჩემისა? ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მ ა თ ი ს ა ე ნ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ნ ი? და რო-

მელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მინიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათვის მათისა, ვინაიდან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაი და ნათელ იღეს“ [44, 517].

ქართული ენის დაცვას ბიზანტიის ბერძნულენოვანი გავლენისაგან ეხება გიორგი მთაწმინდელი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“, სადაც მოგვითხრობს პატარა ექვთიმეს მძიმე ავადმყოფობის ამბავს უცხოეთში. მამას მისი გადარჩენის იმედიც კი გადაეწურა და ყოველ წამს ელოდა შვილის სიკვდილს. სასოწარკვეთილი მშობელი ღვთისმშობლის წმინდა ტაძარში წავიდა და წმინდა მარიამის ხატს ევედრებოდა შემწეობას. სენაკში დაბრუნებულმა იოვანემ იგრძნო საკვირველი სურნელი და დაინახა ექვთიმე, რომელიც ღვთისმშობლის მადლით წამოწეულიყო და საწოლზე სრულიად გამოჯანმრთელებული იჯდა. გახარებულ მამას ექვთიმემ უამბო წმინდა მარიამის გამოცხადების ამბავი: „აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქ ა რ თ უ ლ ი თ ა ე ნ ი თ ა : – რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? – ხოლო მე ვარქვ, ვითარმედ: – მოვკვდები დედოფალო! – არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ, და ქ ა რ თ უ ლ ა დ ხ ს ნ ი ლ ა დ უ ბ ნ ო ბ დ ი“ [45, 390].

მართლაც ექვთიმე განიკურნა. მანმადე თუ ქართულად ძლივს ლაპარაკობდა, ახლა წყაროსავით გადმოსჩქეფდა მისი პირიდან უწმინდესი ქართული: „ვითარცა წყარო აღმოდიან უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“. იგი ქართველებს მოევლინა ახალ ოქ-

როპირად და წიგნთაგან დიდად ნაკლოვანი ქვეყანა გაამდიდრა სულიერი საუნჯით.

ქართული ენის ღირსება და ბერძნულ ენასთან სწორუფლებიანობა ხაზგასმულია კვლავ ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“, სადაც გადმოცემულია, რომ იმპერატორმა ბასილ II მაკედონელმა (976-1025 წწ.) თავისი ორი ვაჟის, ალექსანდრესა და ლეონის აღზრდა მიანდო არა ბერძნებს, არამედ ილარიონის ქართველ მოწაფეებს, რომელთაც უთხრა: „ლოცვა ყავთ ამათთვის, წმიდანო მამანო, და ასწავეთ ამათ ენაი და წიგნი თქვენი, რათა შვილნი ლოცვისა თქვენისანი იყვნენ ეგენი“ [44, 524].

საერთოდ, მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა, ყველასათვის თუ არა, ბევრისთვის მისაწვდომ და გასაგებ ხელობად და ცოდნად იქცა, საიდუმლო პოლიტიკური და სამხედრო ცნობების შესატყობინებლად განსაკუთრებული, გარეშე პირისათვის სრულებით წაუკითხავ-გაუგებარი, ანბანის შექმნა აუცილებელი გახდა. ამიტომაც, რომ ყველა კულტურულ ერს, ჩვეულებრივს გარდა, საიდუმლო მრავალი სხვადასხვანაირი ანბანიც ჰქონდა ხოლმე. ქართულად, საიდუმლო ანბანის გარდა, საიდუმლო ენაც, მეტყველებაც არსებობდა, რომლის მთავარს, სიტყვათა სახის შემცვლელ ელემენტს მარცვალსა და მარცვალს შუა განზრახ ჩანართი მარცვალი, მაგალითად „წ“ შესატყვისი ხმოვნითურთ შეადგენდა. ამის წყალობით „შიკრიკი მოვიდა“ – მაგიერ გამოდიოდა „შიკწირი-წიკიწი მოწოვიწიდაწა“.

საქართველოში ასევე სცოდნიათ კრიპტოგრაფიის ხელობა. აკად.მ. ბროსეს ნათქვამი აქვს, რომ ბევ-

რი სხვადასხვა ქართული საიდუმლო ანბანის ნიმუში ჰქონია ხელთ.

უძველეს ნიმუშად ჯერჯერობით მაინც პავლე ინგოროყვას მიერ განმარტებული X საუკუნის ხელნაწერში შენახული საგალობელთა კრებულის შემდგენელი მიქაელ მოდრეკილის „მიქაელის“ კრიბტოგრამაა, რომელშიაც ასოების მაგიერ რიცხვითი მნიშვნელობაა გამოყენებული: „ორმოცი ათი ექუსასი ერთი ხუთი და ოცდაათი“. რაკი 40 ძველ ქართულ მწერლობაში ასო „მ“ – ანით, 10 „ი“ – ნით, 600 „ქ“ – ანით, 5 „ე“ – ნით, 30 „ლ“ – ასით აღინიშნებოდა. ამიტომ ამ საიდუმლო ანბანის მცოდნე პირს ზემომოყვანილ რიცხვთა კრებული „მიქაელ“ – ადუნდა წაეკითხა.

ძველად რას უწოდებდნენ ჩვენში საიდუმლო ანბანს, ჯერ არ ვიცით, მაგრამ XVII საუკუნეში „ანჯანის ანბანი“ –ს სახელით ყოფილა ცნობილი. ეს ტერმინი გორგიჯანიძეს აქვს ნახმარი, რომელსაც თავის თხზულებათა კრებულში საიდუმლო ანბანზე აქვს საუბარი და ერთი ამგვარი ნიმუშიც აქვს მოყვანილი [46, 134, 136].

საზგასასმელია, რომ სრულიად ქართული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრების პერიოდებში, უგამონაკლისოდ ყველა ამ პოლიტიკურ ერთეულში ქართული ინარჩუნებდა სახელმწიფო ენის სტატუსს და, ამდენად, ქართული ენის ოფიციალური ფუნქციონირების არეალის საზღვრები ერთიანი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებად აღიქმებოდა; მაგალითად: „ივერიელთა ერთობის ტრახტატი“, ხელმოწერილი 1790 წელს ქართველთა მეფე-მთავრების მიერ, თავის პრეამბულაში

გვამცნობს „ერთობის“ საფუძველს: „ვინაიდან ყოველ-
თავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქარ-
თლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა
აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კა-
თოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ე-
ნისა მქონებელნი, აქვსთ მავასახელობი-
თიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და
მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“ [31, 5].

ივერიის მარჯუნივში

როგორც დავინახეთ, მთელი შუა საუკუნეების
განმავლობაში, ქართული ჩვენ-ჯგუფის წევრები ერ-
თობად თავს მოიაზრებდნენ ისეთ ფასეულობებზე
დაყრდნობით, როგორცაა ქართული ენა, ქრისტიან-
ული სარწმუნოება და მეფობის ინსტიტუტი [47, 14].

სწორედ ამიტომ XIX საუკუნის დასაწყისიდან
მოყოლებული რუსეთის ხელისუფლებამ საქართვე-
ლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქ-
მების შემდეგ მთავარი ძალა მიმართა ქართული ერ-
თობის არსებობის ტრადიციული ელემენტების, მე-
ფობის ინსტიტუტის, ქართული მართლმადიდებელი
ეკლესიის და ქართული ენის შესუსტება-გაუქმების-
კენ [47, 15].

ენის წართმევით ქართველ ხალხს, მოზარდ თა-
ობას ერთმეოდა თავის ქვეყანაში სულიერი კონტაქ-
ტის ყველაზე ეფექტური იარაღის გამოყენების – აზ-
რის, ჭკუის, ეროვნული მეობის, თავისთავადობის, პი-
როვნული ღირსებისა და თავისუფალი შემოქმედების
საშუალება [48, 24].

ცარიზმისათვის და მისი სწავლულებისათვის ნათელი იყო, რომ საერთო ქართული ენის დაშლით და ოდინდელი გვარ-ტომობრივი ქართველური ენების აღდგენით ქართველებს დაქუცმაცებისა და შუასაუკუნეებრივი სიბნელისაკენ მიაქანებდა, რაც თავისთავად ერთიან ქართულ სხეულს კლავდა. ცარიზმმა იცოდა, რომ საერთო ქართული დამწერლობისა და მისი მდიდარი ლიტერატურის წაქცევა იოლი როდი იყო, ამიტომ შენიღბული გზით ჯერ ქართველური ენები უნდა გაერუსებინა. ამ მიზნით კიდევაც შედგენილ იქნა რუსული გრაფიკული ანბანი – „დედა ნინა“ და „ლუშნუ აბაან“. გათვალისწინებული იყო, რომ სამეგრელოს მოსახლეობა მეგრულ ენაზე, ხოლო სვანეთის – სვანურზე უნდა გადაეყვანათ, რათა შემდეგ ისინი იოლად გაერუსებინათ (აბა რა ლიტერატურით გაუმკლავდებოდნენ ისინი რუსულს?). ამის შემდეგ კი რუსეთს შეტევა ქართულზე უნდა გადაეტანა [49, 35].

ეს ამოცანა გარკვეულწილად სათავეს იღებს დეკაბრისტთა პროგრამიდან. კერძოდ პ. პესტელის მიერ დაწერილი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც „რუსკაია პრავდა“ უწოდა. ამ საპროგრამო დოკუმენტის მიხედვით რუსეთის დედაქალაქი ნიჟნინოვგოროდი უნდა ყოფილიყო, ახალი სახელით – ვლადიმირი. აქედან ჩანს დეკაბრისტების მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ. „რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერი და ტომი უნდა გარუსდეს, – ნათქვამია „რუსკაია პრავდაში“ – რუსეთის სახელმწიფოს მთელ სივრცეზე მხოლოდ ერთი – რუსული ენა უნდა ბატონობდეს. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი მტკიცე კავშირით შეიკვრება და ერთ

ერად ჩამოყალიბდება. ყველა ერისა და ტომის განსხვავებული სახელწოდება უნდა მოისპოს და საერთო რუსულ სახელწოდებაში შეირწყას. რუსეთის მთელ ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს ერთი და იგივე კანონები და მმართველობის ერთნაირი ფორმა“.

როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ რუსები საქართველოში და ან საერთოდ კავკასიაში? აქ უკვე სხვა ანდერძი მოქმედებდა. ამის დასტურია პეტრე პირველის პოლიტიკური ანდერძი, რომელიც 1812 წელს, რუსეთთან ომის დროს ხელში ჩაუვარდათ ფრანგებს. სწორედ ეს დოკუმენტი წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ექსპანსიურ მისწრაფებათა საფუძველს. კერძოდ, პეტრე პირველი წერდა: „კონსტანტინოპოლისა და ინდოეთისაკენ წავიწიოთ. ამ მიზნით შევქმნათ საომარი ვითარება, ხან თურქეთთან, ხან სპარსეთთან. ერთმორწმუნე კავკასიელი ძმებისათვის გავისარჯოთ. შევეცადოთ, რომ ამა თუ იმ მხარემ მფარველობის თხოვნით მოგვმართოს, მერე კი მათ სრულ დამორჩილებას მივაღწიოთ. შევიყვანოთ ჯარი დროებით და მანმადე დავეტოვოთ, სანამ საბოლოოდ იქ არ დავრჩებით“ [50, 72].

იმპერიული გეგმის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს ყოფდნენ ქართველების, რუსების, თათრების, სომხების, გერმანელების და მაღაკნების მოსახლეობის შესაბამისად. თბილისიც ასევე ნარევი ქალაქად უნდა გამოცხადებულიყო. ყველა ამ ნაწილში მმართველობაც ეთნიკური მოსახლეობის ენების მიხედვით უნდა წარმოებულიყო შერეულად – თანახსორუფლებიანობის პრინციპზე (?!). თუ ამ მხრივ რაიმე გართულება და გაუგებრობა წარმოიშობოდა, მა-

შინ არბიტრის (მსაჯულის) როლიც რუსეთს უნდა შეესრულებინა (რაც რუსული ენის „უდიდესი ავტორიტეტით“ აიხსნებოდა!) [49, 37].

ამდენად, კოლონიური ბატონობის განმტკიცებაში, უწინარესად, იგულისხმებოდა რუსული ენის, ფსიქოლოგიის, წესების დამკვიდრება. რუსული ახალშენების მოწყობით საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეიცვლებოდა. ასეთ პირობებში უკიდურესად შევიწროვდებოდა ქართული ენის მოქმედების არეალი, მკვიდრი ეროვნების წინააღმდეგობაც ძალას დაკარგავდა და მათი დამორჩილება ადვილად მოხერხდებოდა [51, 85].

ის ვინც რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა თითქმის ყველა დაუპირისპირდა ქართულ ენასა და ეროვნულ კულტურას. ასე მაგალითად, 1804 წლის 29 მაისს, იმპერატორისადმი წარდგენილ პატაკში, ციციანოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ვახტანგ ორბელიანი რუსული მმართველობის მიმართ განსაკუთრებულ ერთგულებასა და თავდადებას იჩენდა. ამის გამო მას პოლკოვნიკობა მისცეს და 750 მანეთი წლიური ჯამაგირი დაუნიშნეს. ამ ამბავმა იგი მეტად გაადიდგულა. მას აუთვალწუნებია ქართული ენა და საერთოდ ქართველობა. ჯავრობდა, როცა ბავშვები ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ. თურმე ფიქრობდა: ჩემმა შვილებმა თუ ქართული ენა არ დაივიწყეს უიმისოდ რუსეთში სასწავლებლად ვერ გამოდგებიანო. რუსეთის ერთგულებისათვის საკუთარი ენის უარყოფელი ვახტანგ ორბელიანი ამახინჯებდა ახალგაზრდობის სულიერ განვითარებას [52, 56-57].

სწორედ ვახტანგ ორბელიანის მსგავსი ქართველების გასაგონად ბრძანებდა დიდი ილია: „ჩვენ რომ ერთმანეთს გადავუდექით, თავი შევეყავით ჩვენს პატარა ხუხულებში... რასაკვირველია, ენაც, დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა... ჩვენ თვითონ დავცარიელდით გუდაფშუტასავით და ენაც გადატაკდა, ცალიერი სიტყვებიდა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს... სხვა რისთვის გვინდა ენა? – საერთო სახელი „ქართველი“ კერძობითი გავხადეთ, „მამული“ – დანეხვილ ნაფუძრად, „პატივი“ – ნეხვად, „თავი“ – გოგრად, და ჩვენი კაცობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ „კაცი“ კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ „კაცური“ არ დაუმატეთ... [53, 94].

განვლილი წლების გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდება, რათა პერსპექტივაში მთელის სისრულით აღიქვა წარსული მოვლენების მნიშვნელობა. ყოველი ერის ისტორიას თან ახლავს ჭრილობები, რომელთაც გაქრობა და დავიწყება არასოდეს უწერია, მაგრამ უსათუოდ უნდა მოშუშდეს, რომ მასზე დინჯად და ობიექტურად ილაპარაკო.

XIX საუკუნის ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თავიანთი მადლიანი მოღვაწეობა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ყოველ დარგს სწვდებოდა, ენის სიწმინდის დაცვით დაიწყეს: ილია ჭავჭავაძემ პირველად ქართული ენის ბარბაროსულად დამმახინჯებელთა წინააღმდეგ აღიმადლა ხმა და თაობათა შორის ცნობილი ბრძოლაც ჩვენში ენის საკითხებით დაიწყო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი სასიქადულო ქართული ენა, რომლის ადგილი (თუკი საერთოდ შეიძლება ენების შედარება) იქნებ ბევრი

არ აღმოჩნდეს ქვეყანაზე, უდიდესი მზრუნველობით მოვლილი გადაეცემოდა ხოლმე თაობიდან თაობებს [17, 459].

ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლას წინ აღუდგა გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი. იგი ერთ-ერთი პირველი, მტკიცედ და მკაცრად გამოექომაგა ენასაც და ეროვნულ თავმოყვარეობასაც. ყველასათვის ცნობილია მეფის მაღალი მოხელის გიორგი მუხრანბატონის ანტიეროვნული ბროშურა, რომელიც კაცობრიობის პროგრესად პატარა ერების მოსპობისა და დიდი ერების გაბატონებას თვლიდა, გარდაუვალად მიანიჭდა მცირე ერების გაქრობა. გაბრიელ ეპისკოპოსი აღაშფოთა ამ დიდმპყრობელურმა „თეორიამ“, იგი მაშინვე გამოეხმაურა მკაცრად და დასაბუთებულად. „ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ენა შეერთდეს, თან მცირე ხალხი... გარეშე ყოველისა იძულებისა, განქარდეს და მის მაგიერად სრულიად სხვაგვარი ენა მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ის ხალხი, ეს შეუძლებელია“. მომეტებულ დეცენტრალიზაციას იქნებ თავისი უარყოფითი მხარე ჰქონდეს, წერს იგი, „მაგრამ ისევ ისა სჯობია პირველს, ე.ი. ცენტრალიზაციას“. შენ ამტკიცებ, „სუყველა მცირე ხალხის ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ სახელმწიფო ამით ვერ გამაგრდება“. და ჯონ მილის თხზულებას შეახსენებს თავისუფლებაზე: გაიხსენე „მესამე თავი, სადაც ის უცხოთ ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობა, ე.ი. ყოველი საკუთარი განმასხვავებელი თვისება, ხასიათი – საჭირონი არიან ყოველი კაცისა (მაშასადამე ხალხის) კეთილმდგომარეობისა და ბედნიერებისათვის. თუ ეს ასეა,

მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს და არც დიდი ხალხისათვის არის სასურველი...“.

გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. „... გმადლობ შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიც მდიდარი ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა... უარჰყვეს... შენ გამოესარჩლე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი...“ ასე მიმართავენ მას გამოთხოვების ჟამს 1896 წელს, თუმცა იმ პაექრობის შემდეგ მეოთხედი საუკუნე იყო გასული [17, 51-52

ქართული ენის დევნის გამო რუსი მოღვაწე ნიკ. დურნოვიც კი აღშფოთებით აღნიშნავდა: „რუსეთის საეკლესიო იერარქიას დიდი მსხვერპლი მოაქვს და უფრო მეტად ღუპავს მართლმადიდებელ ქართველებს, ვიდრე სარაცინელები, სპარსელები, თურქები, რომლებიც ენას მაინც არ გლეჯდნენ მათ “ – ო.

ოფიციალური რუსული ეკლესია სდევნიდა ყოველივე ქართულს. ქართველთა ტაძრებში წირვა-ლოცვის დროს ეპისკოპოსები, ქართველ მორწმუნეებს თარჯიმნის მეშვეობით უქადაგებდნენ. საგულისხმო ფაქტი, რომელიც ბოდბის მონასტერში მოხდა, მონასტერში, სადაც ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინოა დაკრძალული... მოხუცებულმა ქართველმა ქალებმა ეპისკოპოსს მიმართეს თხოვნით – წელიწადში ერთხელ მაინც ქრისტეს აღდგომის ღამეს, წირვა-ლოცვის ქართულად მოსმენის საშუალება მოგვეცითო... ეპისკოპოსმა კი მათ „ბრძნულად“ ურჩიათ: უმჯობესი იქნება რუსული ენა შეისწავლეთო...

რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველ ეპისკოპოსთა დევნის ფაქტებზე [54, 165].

ამიტომაც ამბობდა ვაჟა-ფშაველა, რომ „იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მიჟღვარებისა. მოწამლულმომშამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს... და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დადგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასაბრუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა...“ [55, 409].

იმპერიის სკოლებში, განსაკუთრებით XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთის განათლების ბედს განაგებდნენ მეფის სატრაპები ტოლსტოი და პობედონოსცევი სკოლებში გამეფებული იყო ე.წ. „კლასიციზმი“, ე.ი. ლათინური და ბერძნული ენები. მოწაფეებს სულს უხუთავდნენ და ტვინს უფიტავდნენ, რათა არსებითი სახელები და თანდებულები მტკიცედ და სამუდამოდ ჩაბეჭდილიყო მეხსიერებაში. ეს ყველაფერი ლექსებად იყო დაწყობილი და თუთიყუშებივით აზეპირებინებდნენ. იაკობ მანსვეტაშვილი გეოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით შემდეგს იგონებს: „მოგეხსენებათ, რომ იაპონია კუნძულებზე სძევს, რომელთაგან სამია მოზრდილი და აღსანიშნავია, სახელდობრ: ნიპონი, იეზო და კიუსიუ. და აი რომ, – ღმერთმა ნუ ქნას – არამც და არამც ჩვენ სიცოცხლეში არ დაგვიწყებოდა ეს

დიდად მნიშვნელოვანი სამი სახელი, ასე გალექსილად გვასწავლიდნენ:

„ნიჰონ, იეზო–სიკოკო,

კიუ-სიუ დრიკოკო!“

ან კიდევ ჩრდილო ამერიკის ახლოს მდებარე კუნძულები: კუბა, იამაიკა, პორტორიკო, გაიტი, – რუსულად ასე იყო გალექსილი:

„Куба, ямайка, _ знай _ ка

Порторико, Гаити, _ не забивайте“ [56, 13].

1871 წლის 14 მაისს გამოიცა საიმპერატორო კარის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქართული ენა უქმდებოდა ყველა ტიპის სასწავლებელში. დიდაქტიკური მოსაზრებით, ქართული ენა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე დატოვეს. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართულ პრესაში იმპერატორის დადგენილების საწინააღმდეგოდ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რამაც ხელისუფლება აიძულა, დროებით უკან დაეხია. რუსეთის სინოდმა, ქართველებისთვის თვალის ახვევის მიზნით, საიმპერატორო გადაწყვეტილება ოდნავ სახეცვლილი ფორმით ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვითაც სასულიერო სასწავლებლებში ქართლი ენის სწავლება დაშვებულ იქნა, როგორც დამხმარე საშუალება რუსული ენის შესასწავლად, ქართული ენისა და ლიტერატურისათვის ცალკე საათები არ გამოყოფილა. იგი სხვა საგნებთან ერთად გააერთიანეს. დადგენილების შესაბამისად, სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ქართული ლიტერატურა და

საქართველოს ისტორია ისწავლებოდა რუსული ლიტერატურისა და ისტორიის კურსთან ერთად.

შეზღუდვის მიუხედავად, ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი პედაგოგები კვლავ ძველებურად აგრძელებდნენ მოღვაწეობას. სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან მათზე მკაცრი ზედამხედველობა იყო დაწესებული. 1873 წელს რუსეთის სინოდმა ი. გოგებაშვილისა და სხვა ქართველი პედაგოგების საქმიანობის შესასწავლად გამოგზავნა სპეციალური კომისია. კომისიის მოხსენების საფუძველზე ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი პედაგოგები გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ დიდი პედაგოგი სახელმწიფო სამსახურში არასოდეს ჩამდგარა და მთელი თავისი მოღვაწეობა პედაგოგიური მეცნიერების განვითარებას მოახმარა [57, 326].

ქუთაისის პროგიმნაზიის ყველა კლასში ქართული, როგორც საგანი ისწავლებოდა, მაგრამ, მოსწავლეებს შესვენებაზე სასტიკად ეკრძალებოდათ ერთმანეთში ქართულად საუბარი. ის, ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, მას ზედამხედველი აჯარიმებდა და საჯარიმო ბარათს გადასცემდა. დაჯარიმებულს უნდა მოეხერხებინა ბარათის სხვისთვის გადაცემა. ვისაც დღის ბოლოს საჯარიმო ბარათი აღმოაჩნდებოდა, უსადილოდ ტოვებდნენ [58, 201].

ალექსანდრე II-ის მკვლელობის (1881 წლის 1 მარტი) შემდეგ რეაქციამ კულმინაციას მიაღწია. გამკაცრდა ცენზურა. ცარიზმი იმპერიის სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა. განსაკუთრებული სამიზნე ქართული ენა გახდა. სახალხო სკოლებში ქართულ ენაზე არა თუ სწავლა, ლაპარაკიც კი აიკრძალა და მის ნაცვლად რუსული ენა შემოიღეს. საქართველოს

ეროვნული მთლიანობის საზიანოდ, სამეგრელოში მეგრულ, სვანეთში სვანურ და აჭარაში თურქულ ენებზე სწავლების დანერგვა გადაწყვიტეს [59, 50].

1884 წლის იანვარში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ გამოსცა საგანგებო დადგენილება სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ჩატარდა წინასწარი სამუშაოც. ხელისუფლება იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ აქციას, რომ პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნეს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პროფესორი გრენი [60, 7], რომელსაც რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული ენის ანბანის შექმნა დაევადა. ასევე გადაწყვიტეს რელიგიური ლიტერატურის მეგრულად თარგმნა და ღვთისმსახურების ამ ენაზე გადაყვანა. ხელისუფლების წამოწყებებს ადგილობრივი ელიტის და საზოგადოების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. რუსულის ბაზაზე შექმნილი მეგრული და სვანური ანბანი და ამ ენებზე გამოცემული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ეწვია სამეგრელოს, სადაც წარმოთქვა ცნობილი სიტყვები „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო.“ [59, 50].

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ განსაკუთრებით მიზანსწრაფული ხდება იმპერიის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო: საქართველოს ნაწილის, ქართველთა განსახლების ტერიტორიის ნაწილის – აფხაზეთის – ჩამოცილება საქართველოდან; ადგილობრივი, მკვიდრი, ქართული მოსახლეობის მაქსი-

მალური შევიწროვება; აფხაზეთის ასიმილაცია. ეს ყოველი შესაძლებელი გახდებოდა კერძოდ, მაშინ, თუ აფხაზეთიდან განიდევნებოდა ქართული ენა, ქართული ეკლესია, ქართული კულტურა, ე.ი. აფხაზები და იქაური ქართველები მოსწყდებოდნენ ქართულ სამყაროს.

აფხაზეთის კოლონიზაციის დაჩქარებული ტემპებით განხორციელება დაემთხვა რუსეთში პოლიტიკური რეაქციის დასაწყისს, რომელიც დაკავშირებული იყო იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობასთან და ალექსანდრე მესამის მეფობის დასაწყისთან. კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენდა: პირველი – სიტუაციის შეცვლა აფხაზეთში, უცხოტომელთა ჩამოსახლების კვალობაზე ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება; მეორე – ეკლესიიდან ქართული ენის განდევნა; მესამე – საეკლესიო სამრევლო და საერო სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვა. მეოთხე – ქართული მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროება; მეხუთე – აფხაზების გარუსება, მათი ასიმილირება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის კოლონიურმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენდნენ, ღვთისმსახურება საეკლესიო სლაავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება; ღვთისმსახურების საეკლესიო-სლაავურ ენაზე აღ-

სრულების და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა [61, 92-93].

ცხადი იყო, რომ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ქართული ენის განდევნის შემდეგ. ეს არ არის გადაჭარბებული მტკიცება – ქართული ენა და მისი ფუნქციონირება გადამწყვეტი ძალის იარაღი იყო, რასაც კარგად აცნობიერებდნენ მეფის სატრაპები.

აფხაზეთის ეკლესიიდან და სკოლებიდან ქართული ენის განდევნის აუცილებლობაზე მთელი შესაძლებლობით იბრძოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი [61, 94].

ცნობილია, რომ რუსმა კოლონიზატორებმა ქართველი ერი დაჰყვეს ხალხებად: „მეგრელები“, „გურულები“, „სვანები“, „იმერლები“, „აჭარლები“, და საკუთრივ „ქართველები“ (ქართველები და კახელები). მიზანი ნათელი იყო: თუ აღარ იარსებებდა ერთიანი ქართველი ერი, მაშინ აღარც ერთიანი საქართველოს მოთხოვნა იქნებოდა შესაძლებელი. მაშინ აფხაზეთის საქართველოდან „გაყვანაც“ განხორციელებადი საქმე იქნებოდა. კოლონიური პოლიტიკის ამ მიზნის ხორცშესხმას წინ ეღობებოდა, პირველ რიგში, ქართული ენის ფაქტორი. „მეგრელებად“, „გურულებად“, „სვანებად“, „იმერლებად“ და „ქართველებად“ „დაშლილი“ ქართველი ერი მაინც ერთ ერად – ქართველ ერად დარჩებოდა, სანამ მეგრელიც, გურულიც, სვანიც, აჭარელიც, იმერელიც, ქართლელიც და კახელიც ერთ ენაზე – ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე

ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ დ ა, სანამ ეკლესიაში ღვთისმსახურება ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე ა ღ ე ს რ უ ლ ე ბ ო დ ა, სანამ სკოლებში ბავშვები ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე ი სწავლიდნენ... [61, 96].

სოხუმის ოკრუგში მცხოვრები „აფხაზების“ აბსოლუტურმა უმრავლესობამ რუსული არ იცოდა, რის გამოც მათ ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ ღვთისმსახურების აღსრულება იმ ენაზე, რომელიც მათ უფრო ესმოდათ. ამ მოთხოვნას მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, რაც, რა თქმა უნდა, აშინებდა კოლონიურ ხელისუფლებას.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ფრაზა – „Абхазцы не имея своей письменности, одинакого грузинского и славянского языков“ – არადამაჯერებელია. თუ აფხაზებმა ქართული ენა არ იცოდნენ, ქართულს და მეგრულს კი ტრადიციულად ფლობდნენ და ამიტომაც არსებობდა მოთხოვნა ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების შესახებ...

რუსეთის ეკლესიის სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, იმ ეკლესიებში, რომლის მრევლს მეგრელები (ე.ი. ქართველები) შეადგენდნენ, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღესრულებინათ. სოხუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა, თვით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, ასეთი იყო: სოხუმში 1900 წლისათვის ცხოვრობდა 1658 მეგრელი (ე.ი. ქართველი), 1300 იმერელი (ე.ი. ქართველი), 200 ქართველი და 100 აფხაზი, ე.ი. სულ სოხუმში 3158 ქართველი და 100 აფხაზი ცხოვრობდა. მაშ ვისთვის აღასრულებდნენ სოხუმის ეკლესიებში ღვთისმსახურებას

რუსულად, თუ კი სოხუმში არაქართველი მოსახლეობა აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენდა (100 კაცი)? სოხუმის ეკლესიებში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება არც რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს და არც საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას არ მიუღია, სოხუმის ეპისკოპოსი აშკარად თვითნებობდა [61, 102-103].

მეფის ხელისუფლება ასევე ენერგიულად იბრძოდა, რათა მაჰმადიანი ქართველებისათვის ქართული ენა უცხო ყოფილიყო. მთელი მისი მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული ენა გამხდარიყო ერთადერთ სასაუბრო ენად.

ცარიზმი ავიწროებდა აგრეთვე პროგრესულად მოაზროვნე ქართველ პედაგოგებს, რომლებიც ეროვნულ სულს აღვივებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. შოვინისტური ძალისხმევა მიმართული იყო სწორედ ასეთ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი მასწავლებლების წინააღმდეგ. ცარიზმის ჩინოვნიკების შეფასებით ქართველი პედაგოგები „უბნელებდნენ მოსწავლეებს გონებას, არასწორი მიმართულებით მიჰყავდათ მათი აღზრდის საქმე, უნერგავდნენ ქართულ ნაციონალიზმს“!

აი, როგორი ხასიათის წერილი გაუგზავნა ბათუმის ოლქიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ადგილობრივმა გუბერნატორმა. წერილი ეხებოდა ქართველ პედაგოგს მირიან რამიშვილს, რომლის დანიშვნა თურმე ბათუმის ოლქის სკოლაში ყოველად მიუღებლად ჩათვალეს. წერილში ხაზგასმულია: „მე იძულებული ვარ გთხოვოთ თქვენ მიაქციოთ ყურად-

დება ბათუმის ოლქში ისედაც შემცირებულ რაოდენობას... ადგილობრივი მოსახლეობა რელიგიური შეხედულებების გამო ირიბად უჭურებს რუსულ სკოლებს და ასეთ სკოლებში მასწავლებლებად ქართველების დანიშვნა და თანაც ისეთების, რომლებიც პოლიტიკურად არასაიმედოა, ნამდვილად არასასიამოვნოა. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი პედაგოგები ყოველ ღონეს ხმარობენ გააგრძელონ თავიანთი პოლოტიკური შეხედულებები მაჰმადიანებზე და მათში შეიტანონ ქართული წიგნიერება. ვიმეორებ „ქართული წიგნიერება“. შემდეგ გუბერნატორი განაგრძობს, რომ ქართველებს არა თუ შეუძლია სასკოლო ქსელის გაზრდა ოლქში, არამედ თავის შემოქმედებით მუსულმანების თვალში ამცირებენ სკოლების მნიშვნელობას და ამიტომ ქართველები არ უნდა იქნან დაშვებული სკოლებში პედაგოგებად, ეს სახიფათოა, როგორც პოლიტიკურად, ასევე ზნეობრივად. უნდა ვეცადოთ პედაგოგებად იყოს მხოლოდ და მხოლოდ რუსები იმისათვის, რომ მძლავრი ტემპით დაიწყოს ოლქის სკოლებში რუსიფიკაციის პროცესი“. ამისათვის კი აუცილებელია – როგორც მიუთითებდა გუბერნატორი – რუსული სკოლების გახსნა. საჭიროა პედაგოგებად იმუშაონ რუსებმა, სომხებმა და თუგინდ მუსულმანებმაც, გარდა ქართველებისა, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა. ამით ეს მხარე (ბათუმის ოლქი) კიდევ უფრო შეეზრდება რუსულ – ნაციონალურ კულტურას“ [62,40-41].

რაც შეეხება სამცხე –საათაბაგოს, ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში ოსმალეთის კლანჭებში ჩავარდნილი მოსახლეობა ნელ-ნელა სტოვებდა თავის ეროვნულ სარწმუნოებას. მართალია, მესხეთის ქარ-

თველთა ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, თავს თურქად აცხადებდა, მაგრამ იყო მეორე ნაწილი – ქართველი კათოლიკეები, რომლებიც თავს „ფრანგებად“ აცხადებდნენ და ამიტომ თურქებმა ვერ შეძლეს ქართული ენის ამოგდება. ცარიზმის ბატონობის პერიოდში, ქართული ენა გახდა საერთო დამაკავშირებელი „თურქი“ ქართველებისა და კათოლიკე („ფრანგი“) ქართველებისათვის, ე.ი. ქართული ენა აერთიანებდა სამცხე-საათაბაგოს ქართულ მოსახლეობას [63, 82]. და მაინც, ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი „პოლიგონი“ თბილისის სასულიერო სემინარია იყო. XIX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდია, როდესაც ანტიქართული „ტრიუმფირატი“ გააფთრებით ებრძვის ქართულ ენასა და ქართულ თვითშეგნებას. ესენი იყვნენ ეგზარქოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი“ იანოვსკი და სემინარიის რექტორი ჩუდევცი. 1886 წლის 24 მაისს, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა ახალგაზრდამ, 20 წლის იოსებ ლაღიაშვილმა, ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის რექტორი პავლე ჩუდევცი! ოფიციალური, ანუ სასამართლოსა და მაშინდელი პრესის ვერსია ამ მკვლელობისა ასეთია: სემინარიის ზედამხედველმა ლაღიაშვილს ქართულად დაწერილი დღიური აღმოუჩინა, ამისთვის სტიპენდიაც მოეხსნა და პანსიონიდანაც დაითხოვეს... [64, 51]. მომხდარი ფაქტის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა რეაქცია ხელისუფლების მხრიდან. მოგვიანებით, 1896 წლის 16-24 იანვარს სემინარიის პედაგოგიური კრების გადაწყვეტილებით მიიღეს დადგენილება: „მოსწავლეთა შორის რუსული სამეტყველო ენის ხმარების გაძლიერების შესახებ“. დადგენი-

ლება მოითხოვდა სემინარიის შენობაში და მის ფარგლებს გარეთაც კი ქართულ ენაზე მეტყველების ფაქტების არა მარტო აკრძალვას, არამედ ქართულად დალაპარაკების საბაბის წარმოშობასაც კი. ქართულად მეტყველება სრულიად აკრძალათ მოსამსახურეებს [65, 110].

აღნიშნული პოლიტიკის შედეგად XX საუკუნის დასაწყისში თბილისის ქუჩებში იშვიათად გაისმოდა ქართული ლაპარაკი. დაწესებულებებში უცხო ენა ბატონობდა, უცხო ენაზე უნდა მიემართათ კერძო საეკატორებშიც. როგორც ცნობილი მოღვაწე სამსონ ფირცხალავა იგონებს: „საქართველო გაძევებული იყო თბილისიდან და ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, რომ თბილისს დაჰკარგოდა სრულიად ქართული იერი“. ქართველს ანგარიშს არ უწევდნენ. ოფიციალური გამოსვლების დროს ქართველთა წარმომადგენლებს უკან აყენებდნენ. ასეთი მოპყრობა ფსიქიკურად მოქმედებდა ქართველებზე, ისინი თავისთავად გაუბედავნი გახდნენ, თავის გამოჩენას ერიდებოდნენ [66, 39]. 1902 წელს დეკანოზმა ვოსტოგოვმა სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ეგზარქოსთან შეთანხმებით საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის შეადგინა ახალი სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ყველა სახის სკოლაში სწავლების ენად აღიარებულ იქნა რუსული ენა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ითხოვდნენ „ნაციონალისტ“ მასწავლებლებს და მათ ადგილს რუსი და სხვა არაქართველი მასწავლებლები იკავებდნენ. განათლების სფეროზე რუსიფიკატორთა ფართო შემოტევამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. სამეგრელოში,

აჭარაში, იმერეთში და ა.შ. საპროტესტო გამოსვლებსაც კი ჰქონდა ადგილი. ბევრგან მოსწავლეები უარს ამბობდნენ საგნების რუსულად სწავლებაზე და ტოვებდნენ სკოლებს. მოთხოვნილება ეროვნულ სკოლებზე კიდევ უფრო იზრდებოდა [67, 86]. რუსეთის სახელგანთქმული მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილი (იუჟინი), რომელიც თვითონ სწავლობდა გარუსებულ სკოლაში, წერს: „მასწავლებლებს არ შეეძლოთ აეხსნათ, რომ **нык** არის ხარი ან **дом** – სახლი, არამედ უნდა ეჩვენებინათ ხარი და სახლი. უფრო განყენებული ახსნა-განმარტებისათვისაც ეს მეთოდი იხმარებოდა. მასწავლებელი ვერ გაბედავდა გადაეთარგმნა ქართულად, მაგალითად ფრაზა: „**курица снесла яйцо**.“ ის ცუცქით უნდა დამჯდარიყო, ქათმისებურად დაეკაკანებია და გამოეღო ქვემოდან კვერცხი, ეჩვენებია ის კლასისათვის და შემდეგ დაევალებულებიანა მოწაფეები, რომ მოტანილი ფრაზა დაესწავლათ“ [68, 331].

საგულისხმოა საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის წერილის შინაარსის ის ადგილი, რომელიც გაუგზავნა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს უფროსს პეტერბურგში: „ ... ქუთაისში ადგილობრივი ენა მეგრულია, რომელიც ქართულ, ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად ეგრეთწოდებულ ავარიული ენების (!) ჯგუფს ეკუთვნის. მათ არა აქვთ თავიანთი მწერლობა და ხმარობენ ქართულ ანბანს“.

მოტანილი ცნობა ცხადად მოწმობს მეფის ამ უბადრუკი მოხელის ნამდვილ განზრახვას [68, 333].

საქართველოში ბევრი გამოთქვამდა წუხილს, რომ დედა-ენა ეკარგებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ სავალალო პროცესში თვით ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილსაც მიუძღოდა ბრალი. მაგალითად, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე გულისხმობდა საზოგადოების, განსაკუთრებით კი თავადაზნაურული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ნებაყოფლობით უგულვებელყოფდა მშობლიური ენის ხმარებას და რუსულად მეტყველებდა იქაც, „სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ იყო აღკრძალული“. ამ ე.წ. საზოგადოების განათლებულ „მოწინავე კლასს“ მშობლიური ენის გარეშეც იოლად შეეძლო ცხოვრება, უცხო ენის ცოდნით, მაგრამ მას უნდა შეეგნო, რომ დანაშაულს სჩადიოდა ქართველი ხალხის წინაშე, როცა მშობლიურ ენას ივიწყებდა [69, 59].

ილია აღნიშნავდა, რომ ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, განსაკუთრებით ქალაქებში, თავილობდა მშობლიურ ენაზე საუბარს. „ნათქვამია, თეფხი თავიდან ყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვლის ჩვენც; თუ ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას დავაკვირდებით“. არისტოკრატიულ ფენას არ ესმის ქართული სიტყვიერების სიმდიდრე და ყოველივე გადაავიწყდა, რაც ენის ღირსებას წარმოადგენს. „ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“ [59, 70-71].

ქართული ენის შევიწროებამ და შებღალვამ, შინ და გარეთ აბუჩად აგდებამ კულმინაციას მიაღწია. რადგანაც სკოლაში არ ითვლებოდა სავალდებულო საგნად, რის გამოც „ქართულ ენას „სხვათა

შორის“ მისჩერებია ქართველი მოწაფე და ქართველი მშობელი...“

ქართული ენის დავიწყება კი ხელს უწყობდა ახალგაზრდებში საკუთარი ქვეყნის ისტორიის არცოდნას, ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას: „ის ენა, რომელზედაც ბავშვობის ხანაში, მშობელი დედა გვიმღეროდა ტკბილ იავნანას, გვინერგავდა სპეტაკ სიყვარულს სამშობლოსადმი, წარსულის ღრმა პატივისცემას, ის ენა, რომელზედაც დედა მოგვითხრობდა საქართველოს თავგადასავალს, ბედ-იღბალს, წარსულს და მთელ მის ისტორიას, დღეს ის დავიწყებია ქართველ მოწაფეს და გადაგვარების გზას დამდგარა“ – გულისტკივილით აღნიშნავდა გაზეთი „თემი“ [47, 65]. მოდას აყოლილი „ვაი-ქართველები“ სკოლაში მიბარებადღე ბავშვს უაზროდ ატიკტიკებდნენ რუსულ ენაზე და ვინიცობაა ქართული წამოცდებოდათ, ყურსაც აუწევდნენ [47, 68]. ბავშვს აღარ ესმოდა ოჯახში ქართული ენა, ქართული ლაპარაკი. ქართული „აილუფხა“ სხვა ენაში. ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ქართულად ძლივს ახერხებდა საუბარს, „წამდაუწუმ წაურუსულებდა“. ქალები, ჩვენი მომავალი დედები ხომ სულ „პარუსკობდნენ“ [47, 71].

გაზეთ „იმერეთის“ 1913 წლის №4-ში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ ნარკვევში – „ჩვენ და უცხოელები“, ვხვდებით ეროვნული პრობლემების საინტერესო ახსნას და წარმოჩენას. კერძოდ, ავტორი წერს: „მეტად კრიტიკულ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ქართველი ერი, იგი კარგავს ენას, ხელიდან ეცლება ტერიტორიები, კარგავს და ივიწყებს ეროვნულ კულტურას, მაგრამ მკვდარი მაინც არ არის, მაშ რით

მოგვაგონებს იგი მკედარს? იმიტომ რომ კარგა ხანია მან უფლება დაკარგა და ამ უფლებისათვის ჯერ კიდევ არ ამოუღია ხმა, ბრძოლა არ დაუწვია. სანამ ქართველი ერი ნამდვილ ეროვნულ უფლებას არ მოიპოვებს, იმ უფლებას, რომლის ფარგლებშიც განვითარდება, ფრთებს გაშლის და აყვავდება ჩვენი ეროვნული კულტურა, მანამ ვერავითარი ძალა ვერ იხსნის გაქრობისაგან. ჩივილი, გოდება, ცრემლის ღვრა, თუნდაც წყევლა-კრულვა ვერას უშველის ძველ ერს, რომელიც თანდათანობით ისტორიული პირობებით გაქრობის გზას ადგას, სანამ ქართველ ერს ისეთივე უფლება არ ექნება მოპოვებული, როგორითაც სხვა ერები საზრდოობენ, მანამ მისი აღორძინება გაზაფხულის ზღაპარია.

ვინ უნდა მოუპოვოს ერს ეს უფლება, ცხადია თვითონ ერმა, თორემ უცხოელი იტყვის რა მენაღველება და თუ ხსნა აღარაა დაე გაქრეს, ვინაიდან სხვები აღმოცენდებიან უფრო ტურფა და ძვირფასი, მათგან თანაგრძნობის გარდა არაფერს არ უნდა ველოდეთ.

აბა სხვამ როგორ უნდა იზრუნოს შენთვის, თუ თვითონ შენ არ სცემ პატივს შენს თავს და სხვას შესაჭმელად ნებდები. აი იმიტომ არის რომ უცხოელები ჯერ კვირობენ ჩვენს უმოქმედობას და ბოლოს ჩვენი დაპატრონების სურვილიც აღიძრება მათში“ [70, 213].

იმავე გაზეთის ფურცლებზე, უცნობი ავტორი „ფარცხანელის“ ფსევდონიმით გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: ქართველი ერის საჭიროებისათვის აუცილებელია ენის, ტერიტორიის, სახელის და გვარის შენარჩუნება, რასაც სამი უმთავრესი მტერი ჰყავს,

გარეშე უხეში ძალა, ნაციონალური შეუგუებლობა, მამულის „უსიყვარულობა“ და თუ „მთავრობის შკო-
ლებში ენას სათანადო ადგილი არ უჭირავს, ჩვენ
ჩვენი მოქმედებით ოჯახშიც, სადაც არავინ შემოგ-
ვხტომია და არ აუკრძალავს ლაპარაკი ქართულად,
ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა რუსულად
ულურტულებს თავის ცოლ-შვილში, იტყვიან ეს აღ-
ზრდის ბრალიაო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ
ჩვენს შვილებს ისე არ ვზრდით, როგორც ამას ნა-
ციონალური შეგნება მოითხოვს“ [70, 215].

არ არის შემთხვევითი, რომ ყველა იმპერიის უმ-
თავრეს ამოცანას შეადგენდა ადგილობრივი ენის აკ-
რძალვა, ან შეძლებისდაგვარად, მოსპობა და გადაყ-
ვანა იმპერიის ენაზე. „რუსიფიკაცია“, პირველ რიგში
პოლიტიკური სტრატეგია იყო, რომელიც ენობრივ
გარდაქმნას გულისხმობდა და გულისხმობს. კოლო-
ნიების მოსახლეობა, ბუნებრივად, კოლონიზატორე-
ბის ენაზე იწყებდა ლაპარაკს. მართალია, ძირითა-
დად ცუდად და საკუთარ ენასთან „ნაზავის“ სახით,
მაგრამ გარკვეული „მაღალი“ ფენები, რომლებიც
სწავლას ახერხებდნენ მეტროპოლიაში, ბუნებრივად
იქცეოდნენ „გერმანოფონებად“, „ფრანკოფონებად“,
„ანგლოფონებად“, „რუსოფონებად“ და ა.შ. [29, 266-
267]. გიორგი ლასხიშვილი იგონებს, რომ ოდესაში
მყოფი ქართველი სტუდენტებიდან „ზოგმა მათგანმა
ქართული ლაპარაკიც არ იცოდა“ [71, 20].

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში
მიუთითებს, რომ რუსეთის საზღვრებში, ყოველ არა-
რუსს („ინოროდცეს“) რწმენის საკითხებში ქონდა
საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველობა; სომხები,
მაჰმადიანები, ებრაელები და სხვები აღმსარებლობის

საქმეში თავად იყვნენ უფლებამოსილნი. ასევე გააჩნდათ საკუთარი სასწავლებლები, სადაც სწავლამათ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. მათი სასულიერო წოდებაც თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყო რაიმე ზეწოლისაგან. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ყოველივე ამ სიკეთეს მოკლებული იყვნენ მხლოდდამხლოდ მართლმადიდებელი ქართველები [72, 41].

პირველი მსოფლიო ომის წინ ნათელი გახდა, რომ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ, რომელსაც იმპერიის განაპირა მხარეებში ახორციელებდნენ, საერთო მარცხი განიცადა. რეაქციის უკან დახევა დაადასტურა სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა პირველმა ყრილობამაც, რომელიც 1913 წლის დეკემბერსა და 1914 წლის იანვარში მიმდინარეობდა. აღნიშნული ყრილობის მუშაობაში მოწინავე ქართველ პედაგოგთაგან არსებული საგანმანათლებლო სისტემის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ ივანე გომართელი და დიმიტრი უზნაძე. იმპერიის მოწინავე ინტელიგენციის ძალისხმევით შედეგად ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლება ეროვნულ ენაზე უნდა წარმართულიყო [67, 88].

და მაინც, ქართველი ერის „გამოღვიძებაში“ უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენმა „სამოციანელებმა“. ი. გოგებაშვილის დედაენის გამოცემა (1876წ.), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა (1879წ.) და ა.შ.

უმნიშვნელოვანესია ქართული (ქართულენოვანი) თეატრის გარშემო მიმდინარე მოვლენები. ქარ-

თველი საზოგადო მოღვაწეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ თეატრს და მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით, იწყება მოძრაობა ქართულენოვანი თეატრის ჩამოყალიბებისათვის („სცენის გამართვისათვის“), სადაც დაიდგმებოდა შექსპირის, მოლიერის და სხვათა ნაწარმოებები. აღნიშნულ მოვლენებს ეხმაურება ილია ჭავჭავაძე. მისი აზრით, სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაყენებული ქართული ენისათვის სცენა „სწორედ ცისნამია დამჭკნარის ყვავილისათვის“. ილიას თეატრი ესახება „იმ ადგილად, ს ა დ ა ც ჩ ვ ე ნ ი ე ნ ა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შეგნებითა და სიმდიდრითა“ [59, 71].

პირდაპირ განსაცვიფრებელია ქართველ მოღვაწეთა სიბრძნე და გამჭრიახობა. მართლაც რა ხდებოდა? აღარ იყო საქართველო, როგორც სახელმწიფო, იგი რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ორი პატარა გუბერნია გახდა, ამიტომ მას აღარ გააჩნდა არავითარი სახელმწიფო დაწესებულება. ასეთ ვითარებაში იქმნება ბანკი, რომელიც, ფაქტიურად, ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებს ასრულებდა; შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც განათლების სამინისტროს ფუნქციებს წარმატებით ასრულებდა; დაარსდა სათეატრო საზოგადოება, რომელიც კულტურის სამინისტროს მოვალეობას ეწეოდა! მაშასადამე, ფაქტიურად შეიქმნა სამი სამინისტრო! ეს კი ხდებოდა ცარიზმის გაძლიერებული რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, როცა ყოველგვარი ქართული იდევნებოდა და ისპობოდა. აღტაცებისა და მადლიერების გარეშე როგორ

უნდა ვილპარაკოთ ჩვენს იმ წინაპრებზე, ვინც ასე ბრძნულად, მოქნილად და გონივრულად ეღვაწა ერისთვის! მათ შორის ხომ ილია ჭავჭავაძე უპირველესი და უდიდესი იყო [73, 91].

ეროვნული უმცირესობის საკითხისათვის

თანამედროვე მსოფლიოში 340 მილიონი ადამიანი არ ცხოვრობს თავის სამშობლოში და ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს, აქედან 80 მლნ. – მღე ადამიანი ჯერ კიდევ რჩება ენობრივ უმცირესობად [74, 131].

თუ რომელიმე ხალხის განსახლების დროს ხდება მისი ცალკე ჯგუფების გეოგრაფიული მოწყვეტა, რაც უფრო ხშირია საზღვაო გზით გადასახლების დროს, მაშინ ძირითადი „მშობლიური“ ხალხისაგან გამოიყოფა ახალი დამოუკიდებელი ეთნოსები. სწორედ ასე დაემართათ ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს, ჰოლანდიელებს და დასავლეთ ევროპის სხვა ხალხებს, როცა კოლონიურ პერიოდში (XVI-XIX სს.) მოხდა მათი განსახლება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანის მკვიდრი მოსახლეობისათვის წართმეულ და დაპყრობილ მიწებზე. ასეთ ახალ ეთნოსებს წარმოადგენენ ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგი კანადელები, ლათინური ამერიკის თითქმის ყველა „მსხვილი“ ხალხი, ინგლისელები, ავსტრალიელები, ინგლისელ-ახალზელანდიელები და სხვა მრავალნი.

ზოგიერთი ეთნოსოციალური ერთობები ჩამოყალიბდნენ ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაზე, რომლებიც დღეისათვის შემორჩნენ ასობით, ხოლო ნაწილი მხოლოდ ათობით ადამიანს მოითვლის. მაშინ, როდესაც სხვა ეთნოსების – ერების ფორმირება მოხდა ახალსა და უახლეს პერიოდში მილიონებს შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის რაოდენობის ნახევარს შეადგენს მხოლოდ 11 დასახელების ხალხი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანია (100 მილიონზე მეტი) [75, 7]. ესენი არიან ჩინელები, უკვე დიდი ხანია მილიარდზე მეტი, ჰინდუსტანელები (200 მილიონზე მეტი), აშშ – ს ამერიკელები (დაახლოებით 180 მილიონი), ბენგალიელები (170 მილიონი), რუსები (150 მილიონზე მეტი), ბრაზილიელები (135 მილიონამდე), იაპონელები (120 მილიონზე მეტი) [75, 300].

ეროვნული სახელმწიფოები მოიცავენ უამრავ რელიგიურ, ენობრივ და რეგიონალურ დაჯგუფებებს, რომელთაგანაც რომელიღაც მაინც გამოთქვამს პრეტენზიას „ერის“ სტატუსზე. ყოფილი იუგოსლავია, რომელიც თავის დროზე ვერსალელმა მშვიდობისმყოფელებმა განსაზღვრეს, ჩათვალეს, როგორც „სლაეთა ქვეყანა“. სინამდვილეში ის ყოველთვის დასახლებული იყო სხვადასხვა რელიგიურ-ეთნიკური ერთობებით, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი ენა და ისტორია. ამას მოჰყვა ეთნიკური წმენდის საშიშროება და ეს მოხდა კიდევ ბოსნიელი სერბების მხრიდან [76, 94-95].

თანამედროვე პირობებში მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი ძალები ცდილობენ მრავალეროვნულ ქვეყნებში ორი ძირითადი მოდელით დაარეგულირონ

ნაციონალური უმცირესობების და სხვა ეთნიკური ჯგუფების პრობლემა.

პ ი რ ვ ე ლ ი – ეს არის მოდელი, რომლის არსი მდგომარეობს ეროვნული უმცირესობების და ეთნოსების ასიმილაციაში (მესამე-მეოთხე თაობა და ა.შ.). იგი დამახასიათებელია ამერიკის, კანადის, საფრანგეთის, თურქეთის და სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის. კლასიკურ მაგალითად შეიძლება დასახელდეს რუსეთიც, სადაც ებრაელების თითქმის მთლიანი ასიმილაცია მოხდა, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ რუსეთში ებრაელთა უმცირესობამ თვითონ მოახდინა ინტელექტუალური ზეგავლენა უმრავლესობაზე და სხვა უმცირესობებთან ერთად დიდი გავლენა იქონია რუსული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. თუმცა ეროვნული სულის გამოდევნის პროცესმა მთლიანობაში უარყოფითი ნაკადი შესძინა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. ამ მოდელთან ახლოს დგას ყველა ყოფილი საბჭოთა რესპიბლიკა.

მ ე ო რ ე მოდელად მოიაზრება მხოლოდ კულტურული პლურალიზმი, როდესაც ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს ერთიანი ნორმატიული კულტურა და ფიქსირდება კულტურული მრავალსახეობა [77, 40-41].

XX საუკუნის 90-იან წლებში გამოიკვეთა ე.წ. არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვის ზრდა. ეს ის ქვეყნებია, სადაც ეროვნული უმცირესობების სეპარატიზმის გამო სახელმწიფო, ფაქტიურად, დაშლილია ცალკეულ ნაწილებად და ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეუძლია თავისი იურისდიქცია გაავრცელოს

საკუთარი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, მომავალი მსოფლიოს ძირითადი პოლოტიკური წინააღმდეგობა იქნება დაპირისპირება სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის [78, 47].

XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს [78, 149].

ისტორიული და სოციალური განვითარების შედეგად უკვე ჩამოყალიბებული ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენს ერთიან ცოცხალ ორგანიზმს თავისი შინაგანი სტრუქტურით. როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმში, ეთნოსშიც, ახალ ბუნებრივ-კლიმატურ ან უცხო ეთნო-კულტურულ გარემოში მოხვედრისას, იწყებს მოქმედებას ადაპტაციური მექანიზმი, გამომუშავებული საუკუნეების მანძილზე. ამ მექანიზმის ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ესა თუ ის ეთნოსი შეეგუოს ახალ გარემოს, შეითვისოს მისთვის არატრადიციული ფასეულობები და წარმოდგენები, თანამედროვე საზოგადოების ნორმები, წავიდეს გარკვეულ კულტურულ კომპრომისზე ისე, არ დაარღვიოს მისი სპეციფიკურობა და სისტემური მთლიანობა, ანუ ადაპტაცია არ გადაიზარდოს ასიმილაციაში. ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, ეთნოსთა სწორედ ეს მადაპტირებელი უნარი შეიძლება იქნას მიღებული ეთნიკურ ჯგუფთა განმასხვავებელ, საკლასიფიკაციო ნიშნად, მათი ტიპოლოგიზაციის საფუძველად. უხეში დაყოფით ეთნოსები ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს ად-

ვილადმოდერნიზებად და ძნელადმოდერნიზებად, ან დასავლურ და აღმოსავლურ ტიპებს. თუ მივმართავთ კვლევის სისტემურ მეთოდოლოგიას, ეთნიკური სისტემები ამ მახასიათებლის მიხედვით შეესაბამება ღია და დახურულ სისტემებს [79, 81].

ეროვნული უმცირესობის საკითხი ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. ცნობილია, რომ არსებობს ეთნიკური საზღვრები და არსებობს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური საზღვრები. ეს ორი ცნება ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ სრულ ჰარმონიასთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ეს საზღვრები ყოველთვის დაშორებულია. ამიტომ პოლიტიკურ საზღვრებში ხშირად ხდება მრავალი ერის წარმომადგენელი. პოლიტიკური საზღვრები ერთ მთლიან სახელმწიფოს გამოხატავს და მასში მოხვედრილი ადამიანები უკვე ერთი უზარმაზარი სოციუმის ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ეროვნული უმცირესობები, რომელნიც დომინანტ, ავტოქტონური ერის გვერდით ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უკვე პოლიტიკურად დომინირებული ერის „საკუთრება ხდება“. სწორედ ეს პრინციპი აქვს აღებული დასავლეთ და, თუ გნებავთ, აღმოსავლეთ ქვეყნებსაც, სადაც, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ყველა მოსახლე, ეროვნების მიუხედავად, ითვლება იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, მის შემადგენელ ნაწილად, რომელიც ავტოქტონური ერის სახელს ატარებს.

არ არსებობს ადამიანისათვის იმაზე მაღალი რამ, ვიდრე ეროვნებაა. ეროვნების გარეშე ადამიანი მოუწესრიგებელი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს. ეროვნულობაშია აკუმულირებული მისი სტრუქტურა,

თავისი თავის და ადგილის პოვნა. ეროვნული მიკუთვნებულობა მიღებულია როგორც აუცილებელი, თავისთავადი. იგი ახდენს არსებით გავლენას ხალხის მოქმედებაზე ისეთ სიტუაციებში, როცა ეროვნულობის დაცვა უთანასწორდება ცხოვრების და შთამომავლობის დაცვას. მაგრამ არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც ეროვნულობა, როდესაც იგი საკუთარი ამბიციების დასაოკებლად სეპარატისტული და პოლიტიკანური ელიტის მანიპულირების საგანი ხდება.

დაყოფილი საზოგადოებები არის არასამართლებრიობის შედეგი. თუ არ არსებობს სამართლებრიობა, მღელვარება და კონფლიქტი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის თითქმის გარდაუვალია. ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი კ ი უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ე ნ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა თ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ს, ხ შ ი რ ა დ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს გ ა რ ე დ ა ნ ა ქ ვ ს ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი დ ა ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება გახანგრძლივებული, ძვირად ღირებული კონფლიქტი, საზოგადოების და ეკონომიკის დეზინტეგრაცია და, ბოლოს, რაც მთავარია, დიდი საკითხის წინაშე აღმოჩნდება ის ღირებულებები, რომელთა დაცვა გახდა კონფლიქტის თავდაპირველი მიზეზი, ანუ კონფლიქტი შეუქმნის საფრთხეს თავად ეთნიკური ჯგუფის არსებობას, ეთნიკურ კულტურას.

ხშირად უმცირესობა თვლის, რომ პიროვნული უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოების ავტონომიური მოწყობა. არსებობს აზრი, რომ გადაწყვეტილება ტერიტორიული ავტონომიის მინი-

ჭების შესახებ არ არის მართებული, რადგანაც იგი წარმოქმნის სხვა უმცირესობებს ავტონომიის შიგნით. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს არ უჭერენ ტერიტორიულ ავტონომიას, ისინი უფრო მეტად ემხრობიან კულტურული ავტონომიის მინიჭებას. ხოლო იმის გამო, რომ კულტურული ავტონომიაც ხშირ შემთხვევაში თავისთავად მოითხოვს გარკვეულ ტერიტორიას, უმცირესობა უმჯობესად თვლის გარკვეული დოზით მოიპოვოს ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია და ამით დაიცვას იდენტურობა.

მაგრამ პოლიტიკურ სამყაროში ისიცაა ცნობილი, რომ უმცირესობები ყოველთვის იმაზე მეტს ითხოვენ, ვიდრე სახელმწიფოს მიაჩნია საჭიროდ მიანიჭოს მათ. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეროვნული სახელმწიფოების უმეტესობა თავს თვლის მონოეთნიკურ საზოგადოებად, თუმცა იგი თავისი შემადგენლობით პოლიეთნიკურია და არ ქმნის განსაკუთრებულ კანონებს ეთნიკური უმცირესობისათვის, სჯერდება მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვას, რაც თავისთავად გულისხმობს ჯგუფის დაცვასაც.

თავისთავად პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ყველა ადამიანს, განურჩევლად იმისა, ეთნიკური უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელია იგი, უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები და სახელმწიფოს წინაშე თანაბარი მოვალეობა. სახელმწიფო მათ, როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქეებს, ერთნაირად უნდა იცავდეს, ამიტომ არსებობს ტენდენცია, რომ თავისი იდენტიფიკაცია ყველამ მოქალაქეობას დაუკავშიროს.

ასევე პრობლემურია სახელმწიფო მოწყობისათვის ეთნიკური თვითშეგნების საკითხი. იგი თავის მხრივ უკავშირდება სხვის (არასაკუთარი) ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თვითგამორკვევის უფლების განსაზღვრას ე.ი. იმ ეთნიკური ჯგუფების, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობებს. ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ნ ი ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ ა დ ი ა რ ე ბ ე ნ, რ ო გ ო რ ც თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა ს, ა ს ე ვ ე ს ა ზ დ ვ რ ე ბ ი ს დ ა უ რ დ ვ ე ვ ლ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს, რ ა ც თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ე რ თ მ ა ნ ე თ ს ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა.

არსებობს მოსაზრება „შიდათვითგამორკვევის“ შესახებ, რომელიც გულისხმობს ერთი სახელმწიფოს შიგნით ეთნოუმცირესობათა „თვითგამორკვევას“. ამიტომ სახელმწიფოს გარაღქმნების პერიოდში საჭიროა ყოველივე ზემოთმოყვანილი საკითხის არამარტო პოლიტიკური გააზრება, არამედ მეცნიერული კვლევაც. ასეთი შესწავლის გარეშე ამ საკითხების გადაჭრა არ შეიძლება, რადგან, თუ უმცირესობებს განსაკუთრებულ უფლებებს მიანიჭებენ, წარმოიქმნება საშიშროება, კოლექტიური უფლებების მოთხოვნებმა მიიღოს ავტონომიის, თვითმართველობის, თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობის, პოლიტიკური გამოყოფის და სხვა მეზობელ სახელმწიფოსთან შეერთების ფორმა, რაც დაემუქრება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას [79, 305-306]. ამერიკელი

მკვლევარები კ ე გ ლ ი და ვ ი თ ქ ო ფ ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ ს ო ფ ლ ი ო შ ი ე თ ნ ი კ უ რ ი დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ს უ რ ა თ ს ი ძ ლ ე ვ ი

ან: დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში 31 ეთნოპოლიტიკური ჯგუფია. შეიარაღებულ კონფლიქტში არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არ არის ჩაბმული. ხუთი ეთნიკური ჯგუფი საშუალო რისკის პირობებშია მოხვედრილი (ბასკები, ჩრდილოეთ ირლანდიელები და სხვ.) [78, 149]. აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი საბჭოთა კავშირი ითვლის 59 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს. აქედან ორი ეთნიკურ ომშია ჩაბმული. რვა იმყოფება მაღალი, ხოლო შვიდი საშუალო რისკის მდგომარეობაში (მათ შორის არიან სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ბოსნიელები, კოსოვოს ალბანელები).

აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 34 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს აერთიანებს. ხუთი ჯგუფი ომის მდგომარეობაშია, სამი იმყოფება მაღალი რისკის პირობებში. კიდევ 12 ჯგუფის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო რისკის დონე (კარენები, მინები, შანები ბირმაში, უიღურები და ტიბეტელები ჩინეთში).

დასავლეთი და სამხრეთ აზია 25 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. მათგან 11 ეთნიკური ომის ვითარებაში, 6 მაღალი და 13 საშუალო რისკის კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ ხაზარები, ტაჯიკები, უზბეკები ავღანეთში, ქაშმირები ინდოეთსა და პაკისტანში, თამილები შრი-ლანკაში).

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 28 ეთნოპოლიტიკური ჯგუფი გამოიყოფა. 3 ჯგუფი ჩაბმულია ეთნიკურ ომში. მაღალი რისკის პირობებში იმყოფება 6, საშუალო რისკის პირობებში კი 2 ჯგუფი (ქურთები თურქეთსა და ერაყში, შიიტები ერაყსა და ლიბანში, არაბები ისრაელში). ტროპიკუ-

ლი აფრიკა 57 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს მოიცავს, რომელთაგან 11 ეთნიკური ომის მდგომარეობაშია, 12 მაღალი რისკის, ხოლო 8 საშუალო რისკის დონეზე იმყოფება (პუტუ ბურუნდიში, იორუბა ნიგერიაში, ტუტსი ზაირში, აფარები ეთიოპიაში).

ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი სულ 32 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. მათგან ეთნიკური ომის მდგომარეობაშია ერთი, ხოლო საშუალო რისკის მდგომარეობაშია 11 ჯგუფი (მისკიტო–ნიკარაგუაში და მაია–მექსიკაში და სხვ.).

სრული აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ნებისმიერ ხალხს, ვისაც ეროვნული იდენტურობა აქვს, სახელმწიფო უნდა ჰქონდეს, ამ ლოგიკით თანამედროვე მსოფლიოში 6 ათასამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნებოდა, რაც სრული აბსურდია. საერთაშორისო სამართალში აღიარებული პრინციპი – ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი თანამედროვე ეტაპზე სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის მეორე ფუნდამენტურ პრინციპთან – ტერიტორიულ მთლიანობასთან [78, 151]. თამანედროვე მსოფლიოსათვის სამართლიანობისა და წესრიგის გარკვეული ბალანსის მოძიება და მათ შორის წყაღამყოფი ხაზის პოვნა არის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა და მრავალი მკვლევარის მოსაზრებით, კვლავაც დარჩება მომავალ მსოფლიოში.

ამერიკელი მკვლევარი გ. გოტლიბი თავის წიგნში „ერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“ ცდილობს გადაჭრას ეს პრობლემა და გვთავაზობს თავის თეორიას „სახელმწიფოს აღუს ერები“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა სისტემის გვერდით უნდა შე-

იქმნას ახალი სივრცე – ერების სისტემა. ერის სტატუსის მქონე ერთეულებს შეეძლება გახდნენ საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები და წარმოდგენილი იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში ე. ი. ერებს ენიჭებათ საერთაშორისო სტატუსი, რომელიც არ გულისხმობს ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნას. დაახლოებით ამ პოზიციას ეკავებოდა ესპანელი მკვლევარი მ. გიბერნო. მისი აზრით, ეროვნული უმცირესობანი გახდებიან საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილენი მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეზე. გიბერნოს მიაჩნია, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომლის შიგნითაც უკვე შესაძლებელია თანაბარ სუბიექტებად გამოიკვეთონ როგორც სახელმწიფოები, ისე სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ერები. კერძოდ, შოტლანდიას, უელსს, კატალონიას, კასტილიას და ბასკეთს, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მსგავსად, უნდა ჰქონდეთ უფლება წარმოადგენდნენ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრებს, სარგებლობდნენ პოლიტიკური ავტონომიის იმავე დონით ევროკავშირში და ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები ევროპარლამენტში. ისინი, ფაქტიურად, იძენენ იმ უფლებებს, რაც ადრე მხოლოდ სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ სახელმწიფოს შიგნით ისინი კვლავ რჩებიან ეთნიკურ უმცირესობად [78, 154].

უმცირესობის საკითხი ჩვენთვის მეტად აქტუალური პრობლემაა. ძირითადად არსებობს რამდენიმე სახის უმცირესობა: პოლიტიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობები [80, 23].

პირველ რიგში, აუცილებელია განვასხვავოთ მონოეთნიკური და პოლიეთნიკური სახელმწიფოები. რის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად ერთგვაროვანი სახელმწიფო წარმონაქმნი რეალურად არ არსებობს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პირობითად მონოეთნიკურ სახელმწიფოდ ჩაეთვალიათ ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (უკიდურეს შემთხვევაში 95%) მიეკუთვნება ერთ ეთნოსს. ასეთებია, მაგალითად, ბანგლადეში, ბრაზილია, იორდანია, იტალია, მადაგასკარი, ნორვეგია, პორტუგალია, გერმანია, იაპონია, არაბული ქვეყნების უმრავლესობა [75, 3000-301].

„საბჭოთა მეცნიერებაში“ ცნება „უმცირესობის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა სინონიმური გამონათქვამები: „ეროვნული უმცირესობა“ და „მცირე ხალხები“ [81, 94].

უცხოელი მეცნიერები იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა „ეროვნული უმცირესობები“, „ინდიგენური ხალხი“, „ურბანული უმცირესობები“ და ა.შ. [81, 95].

ბოლო პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება „ეროვნული უმცირესობის“ დეფინიციასთან დაკავშირებით. მაგალითად, ლ. კიკნაძის აზრით, „ამა თუ იმ ხალხის სიჭარბე ხშირად რიცხოებრივია, თუმცა ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც არა აქვს სოციალური პრივილეგიები და მიიჩნევა თავს უუფლებოდ, შეიძლება განისაზღვროს, როგორც უმცირესობა“ [82, 32]. ეს განმარტება მთლად გასაგები ვერ არის. მართალია, სტატის

ავტორი უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობა, მაგრამ რამდენად მისაღებია ასეთი დეფინიცია? რას ნიშნავს, რომ „ამა თუ იმ ხალხის სიტყარბე ხშირად რიცხობრივია“? ხალხის სიტყარბე სხვას რას უნდა წარმოადგენდეს თუ არა რიცხობრივ უპირატესობას! ან ეთნიკური ჯგუფის სოციალური პრივილეგიების ნაკლებობა და უუფლებობა შეიძლება იყოს „ეროვნული უმცირესობისათვის“ მიკუთვნების კრიტერიუმი?

ადმოსავლეთ ევროპაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე დრამატულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალეს სიტუაცია ამ რეგიონში. საჭირო გახდა ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნა და ამ მიზნით ევროთათბირში სტრუქტურული ცვლილებების შეტანა (ე უ თ ო).

ჰოლანდიის ინიციატივით შემოღებული იქნა ეროვნულ უმცირესობათა საქმეში უმაღლესი კომისრის თანამდებობა 1992 წლის ივნისში ჰელსინკში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე [83, 152].

ეროვნული უმცირესობების ამჟამად ყველაზე მიღებული განსაზღვრება ეკუთვნის გაეროს დისკრიმინაციის აცილების და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალურ რაპორტიორს (მომხსენებელს) ფრანჩესკო კაპოპორტს. თუმცა ამ განმარტებამ ყველა ექსპერტი არ დააკმაყოფილა და გაერო ჯერ კიდევ ეძებს მის დეფინიციას. ამ განმარტების თანახმად, „ეროვნული უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვანი, არადომინანტური პოზიციის, ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლის წევ-

რებს აქვთ დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები და თავისთავად გამოხატავენ სოლიდარობას თავისი კულტურის, ტრადიციის, რელიგიისა და ენის დასაცავად [81, 96].

ეთნიკური ისტორიის პროცესში ყოფილა შემთხვევები, როდესაც რომელიმე ეთნოსის (ეთნიკური ერთობის) ნაწილი გადაადგილების, ან სხვასთან შერწყმის დროს აღმოჩენილა ცალკე ძირითადი ბირთვისაგან, და განვითარებული დამოუკიდებლად. ამავე დროს შეუნარჩუნებია თავისი ეთნიკური ერთობა. საერთო კულტურითა და წარმოშობით ადამიანთა ასეთი სპეციფიკური ჯგუფები, განცალკევებით არიან ირგვლივ მყოფი ეთნიკური მასივისაგან, ხალხისაგან, ანუ ერისაგან და იწოდებიან ეთნოგრაფიულ ჯგუფებად. მსგავს ჯგუფებს, აკადემიკოს ი.ვ. ბრომლის აზრით, შეიძლება ვუწოდოთ „ეთნიკოსები“ [75, 32]. (ბერძ. ethnikos) იხმარება ამა თუ იმ ტომთან, ხალხთან დაკავშირებული მნიშვნელობით [84, 123].

მაშასადამე, ეთნოგრაფიული ჯგუფი ასევე სპეციფიკური ერთობაა. მას შეიძლება მივაკუთვნოთ თურქულენოვანი გაგაუზები ბულგარეთში, ირანულენოვანი ირანელები უზბეკეთში, მანჯურულენოვანი ოროკები სახალინზე და სხვ.

ეთნოგრაფიული ჯგუფი არ შეიძლება გავაიგივოთ ეროვნულ უმცირესობასთან, რომელიც წარმოადგენს ერის ეროვნული ერთობის ნაწილს ძირითადი საცხოვრებლის საზღვრებს გარეთ, თუმცა მათ შორის შესაძლებელია ზოგიერთი გარდამავალი ტიპი ვიგულისხმოთ [85, 58-59].

ტერმინები „უმცირესობა“ – „უმრავლესობა“ რელატიურია. უმცირესობა მხოლოდ უმრავლესობასთან მიმართებაში არსებობს (და პირიქით) და შეესატყვისება საზღვრების გარკვეულ სისტემას. თანამედროვე საზოგადოებაში ეს საზღვრები ძირითადად სახელმწიფო საზღვრებს გულისხმობს. სახელმწიფო საზღვრების შეცვლამ, ბუნებრივია, შეიძლება გამოიწვიოს უმცირესობა-უმრავლესობის თანაფარდობის ცვლილებებიც. ამასთანავე, გარკვეულ საზღვრებს შიგნით მყოფი უმცირესობა სხვაგან შეიძლება უმრავლესობას წარმოადგენდეს, ან პირიქით.

ყველა უმცირესობას აქვს საერთო ნიშანი-პოტენციურად კონფლიქტური დამოკიდებულება სახელმწიფოსა და დომინანტურ ერთან [86, 22].

„სოციალური იდენტიფიკაციის თეორიის თანახმად, ადამიანები მიდრეკილნი არიან უფრო მეტად პროზიტიურად დაახასიათონ ის „წარმოსახვითი ერთობა“ (ყველაზე ხშირად კი ერი), რომელსაც თავად მიეკუთვნებიან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობის შიგნით მყარი კავშირის შენარჩუნებისათვის. შესაბამისად, მას, ვინც ამ ერთობას არ მიეკუთვნება, ყველაზე უარყოფით თვისებებს მიაწერენ [87, 73-74]. მაგალითად, ლეკი ანწუხები თავიანთ თავს უწოდებენ „მარახშალ“ („შნოიანი“, „ლაზათიანი“), ხოლო ისინი მეზობელ კაპუჭებს უწოდებენ „ხვანალებს“, რაც საპაღნეაკიდებულ პირუტყვს ნიშნავს [88, 18].

ეთნიკური ჯგუფის სოციალური ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი ე.წ. ეთნოცენტრიზმის ფენომენი ამერიკელმა ანთროპოლოგმა უ. ს. ა. მ. ე. რ. მ. ა გამოავლინა. ეთნოცენტრიზმისათვის მნიშვნელოვა-

ნია სხვა ეთნოსების შეფასებისას საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ეტალონურად, რეფერენტურად აღიარება, შესაბამისად სხვა ჯგუფი მიიჩნევა თავისაზე უარესად, რაც იწვევს მათდამი აგდებულ, მტრულ დამოკიდებულებას, უნდობლობას. ეთნოცენტრიზმი, როგორც წესი, თავს იჩენს ეთნიკური ჯგუფისათვის ექსტრემალურ სიტუაციაში, როდესაც მის იდენტურობას საფრთხე ემუქრება [79, 92]. მაგალითად, კატეგორია „ზანგი“ შესაძლოა მხოლოდ ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავდეს და არანაირ ნეგატივიზმის საფუძველს არ ქმნიდეს, მაგრამ როდესაც კატეგორიას „ზანგობა“ დაემატება მისი მუსიკალურობა, სიზარმაცე, ცრუმორწმუნეობა, ჩამორჩენილობა და ა.შ., ჩვენ უკვე საქმე გვაქვს სტერეოტიპულ ხატებთან და წარმოდგენებთან. ფაქტობრივად, აქ ლაპარაკია ხატ-წარმოდგენებზე, სოციალურ განწყობაზე, წინასწარ ეთნიკურ განწყობაზე [79, 277].

ადამიანთა ცნობიერების ერთ-ერთი აუცილებელი აქსესუარი „ჩვენ – ისინი“, უკვე მკაფიოდ იკვეთება პირველყოფილ საზოგადოებაში. კერძოდ, თავისიანისა და უცხოს ფენომენი. სხვა ტომის წარმომადგენლები მტრებად ითვლებოდნენ. შემგროვებლები და მონადირეები კი მტერს არაადამიანად თვლიდნენ. ბრძოლის დროს ადამიანი არ კლავდა მას, ვინც ფლობდა ისეთივე ინფორმაციას, როგორსაც თვითონ... ის ანადგურებს უცხოს, მტერს, ვისი „ფიზიონომია“ მისთვის უცნობია [89, 117].

ძველი ეგვიპტელები საკუთარ თავს უწოდებდნენ „რემქს“ (რაც მათ ენაზე ნიშნავდა „ადამიანს“), ხოლო დანარჩენი ხალხი მათთვის „ველურები“ იყვნენ [90, 42].

ჩინეთში, ცინის ეპოქისა და უფრო ადრეული ხანის წერილობით ძეგლებში, აგრეთვე გომინდანის რეჟიმის დროინდელ ლიტერატურაში, ჩინეთის მცირერიცხოვანი ერების აღმნიშვნელ თითქმის ყველა იეროგლიფს, რომელიც კლასიფიკატორის ფუნქციას ასრულებდა და იკითხებოდა, როგორც „ძალი“. ეს ფაქტი, ცხადია მიგვითითებს ჩინური ეთნოცენტრიზმის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელზე – ეროვნული უმცირესობისადმი ღამის ზოოლოგიურ ზიზღზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (უპირატესად ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე) მცხოვრები ტაიების თვითსახელწოდებაა ტ ა ი, ტ ჰ ა ი, რაც სიამურ ენაზე ნიშნავს „ადამიანს“. სხვა ეთნოსების მიმართ კი ისინი იყენებენ კლასიფიკატორს meng („მწერი“, „მწერები“). ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ეთნოცენტრიზმის ფრიად ვულგარულ გამოვლინებასთან [90, 43].

აფრიკაში მცხოვრები ჰოტენტოტების ავტოეთნონიმია კ ო ი კ ო ი ნ, რაც მათ ენაზე „ნამდვილ ადამიანებს“ ან „რჩეულ, საუკეთესო ადამიანებს“ ნიშნავს. მეზობელ ბუშმენებს კი ისინი უწოდებდნენ ს ა ნ ს, რაც „ველურის“ შინაარსს იტევდა. ეს საგულისხმო ფაქტი უკვე იმის თვალსაჩინო მოწმობაა, რომ ეთნოცენტრიზმი კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებთანაც არანაკლებ ექსპრესიული ფორმით იჩენს თავს [90, 44]. ხამურაბის კანონების მიხედვით ძველი ბაბილონი მსოფლიო სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომაც ყველა თავისუფალი, თანასწორი იყო კანონის წინაშე. არ არსებობდა რაიმე პრივილეგია ეროვნული ნიშნის მიხედვით. ელამელის, ბაბილონელის, ქანაანელის მიმართ კანონი ერთნაირად მოქმედებდა. ხამურაბის

კანონებმა არ იცის მოსულისა და უცხოტომელის ცნება [91, 10].

ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ „სტუმრობა უცხოელებისა, რომლებიც აღზრდილი არიან სულ სხვა კანონებზე, სახელმწიფოსათვის არაა სასარგებლო და ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კარგად მართვის საქმეს“. მართლაც, პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ემიგრანტების მოზღვავება, განსაკუთრებით კი მცირე სახელმწიფოსათვის, დემოკრატიული ვითარების თვალსაზრისითაც წამგებიანია [92, 47].

ეთიკური აღზრდის პრინციპების თვალსაზრისით, ელინისტური ეპოქის არსებითი მახასიათებელი მისი არაეთნიკურად და რელიგიურად გაუდიფერენცირებელი ხასიათია და სამოქალაქო კონვენციაში თვისის განსაზღვრა ოდენ კულტურული მახასიათებლებით შემდეგია: ბერძენია ყველა ვინც ცხოვრობს ბერძნულ კულტურაში.

ელინისტურ ეპოქაში ეთნიკური საზომი დაიკარგა მონოთეიზმშიც – იუდეველია ყველა, ვინც აღიარებს მოსეს სჯულს (ეთნიკური წარმოშობისა, თუ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად), რისი ერთ-ერთი მიზეზიც არის ებრაული ენის სიკვდილი და მოსეს სჯულის მიმდევართა ამეტყველება არამეულ, ბერძნულ, ლათინურ თუ ქართულ ენაზე [93, 92].

ბერძენ-რომაელ ავტორთა თვალსაზრისით ამა თუ იმ პირისა თუ ჯგუფის ეროვნული კუთვნილების გასარკვევად მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ სისხლით მონათესაობას (ე.ი. პირის, ჯგუფის) ცხოვრების წესსაც: სოციალურს, ეკონომიკურს, რელიგი-

ურსა და კულტურულს. დიდი, თუ არა გადამწყვეტი, მნიშვნელობა ჰქონდა ენობრივ ფაქტორსაც.

მე.წ. 380 წელს ისოკრატე ამაყად აცხადებდა, რომ „ელინური კულტურის წყალობით სახელწოდება ელინი აღნიშნავს უკვე არა წარმომავლობას, არამედ სულიერ ერთობას; ელინებს უკვე უწოდებენ არა მათ, ვინც სისხლით მონათესაობენ, არამედ მათ, ვინც ჩვენს განათლებას არიან ნაზიარები“ [94, 14]. არისტოტელეს შეხედულებით, ბარბაროსი და მონაბუნების მიხედვით იდენტური ცნებები იყო. ბარბაროსები ელინებისათვის წარმოადგენდნენ თავისუფალ ცხოველებს. არისტოტელე იმოწმებდა ევრიპიდეს, რომელიც ამბობდა: „ბერძენთ ნება აქვთ ბატონობდნენ ბარბაროსებზე“ [93, 125].

მის საწინააღმდეგოდ კი, მოციქული პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც დედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ხართ ქრისტე იესოში“ [95, 408]. მაშასადამე მათ ყველას აქვთ ერთი და იგივე ადამიანური ღირსებები და თანაბარი მოვალეობანი მათი ზნეობრივი ქმედებებისადმი. ყოველი ადამიანის თანასწორუფლებიანობა მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების საშუალებით იყო შესაძლებელი.

საერთოდ, დემოკრატიის ფუძემდებლები ბერძნები ხასიათდებოდნენ ლამის ზოოლოგიური ქსენოფობიით, და არა მარტო ბარბაროსების მიმართ, არამედ სხვა ბერძნული პოლისის (ქალაქ-სახელმწიფოს) მოქალაქე ბერძნების მიმართაც კი: კლასიკური ბერძნული ეპოქის სამოქალაქო სამართლის თანახმად, ბავშვები მოქალაქისა და უცხოელის (ანუ სხვა ბერ-

ძნული პოლისის მოქალაქის) ქორწინებიდან უმრავლეს შემთხვევაში ვერ იღებდნენ მოქალაქეობას. ასეთი მდგომარეობა დაკანონებულ იქნა ათენში პერიკლეს მიერ ძვ.წ. 451 წელს. ამის გამო გაჩნდა პრაქტიკა სპეციალური შეთანხმებებისა, რომელთა თანახმად ასეთი ინტერნაციონალური ქორწინებანი ითვლებოდნენ კანონიერად შეთანხმებაში მონაწილე ქალაქ – სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის. ეს იყო ხელშეკრულებები ე.წ. ეპიგამიის შესახებ [93, 108-109].

რაც შეეხება ძველი მსოფლიოს კლასიფიკატორულ-კვალიტატიურ ტერმინთა შორის უპოპულარეს „ბარბაროსს“, ის ბერძნულ ენაზე თავდაპირველად ნიშნავდა ზოგადად „უცხოს, უცხოელს, ელინისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკეს“ და ფაქტობრივად მოკლებული იყო რაიმე ოდიოზურ ნიშანს, თუმცა მოგვიანებით მან შეიძინა „უხეშის, ველურის, უკულტუროს სემანტიკური ნიუანსიც“ [90, 44

არის მოსაზრება, რომ ბერძნები ბარბაროსს ყველა არა ელინს ანუ არა ბერძენს უწოდებდნენ. უცხოენოვანი ხალხების საუბარი ბერძნებს, ბუნებრივია, არ ესმოდათ და მათი სმენისათვის გაუგებრად აღიქმებოდა. ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, აქედან გამომდინარეობს სიტყვა „ბარბარ-ოს“ – ი. თანდათანობით ძველმა ბერძნებმა მათგან განსხვავებული კულტურის ხალხებს ქედმაღლურად დაუწყეს ყურება. ისინი მათ უფრო დაბლა მდგომად, ველურებად მიიჩნევდნენ. ამიტომ თანდათან ტერმინი „ბარბაროსი“ ველურის სინონიმი გახდა [96, 49].

თუმცა, როგორც ჩანს, ტერმინი „ბარბაროსის“ გამოყენებას „ელინთან“ დაპირისპირებაში განსაკუთრებით ფართო გასაქანი ეძლევა მაშინ, როდესაც

ბერძენ ტომებს საბოლოოდ უყალიბდებათ ეთნიკური ერთობის შეგნება და მათთან მყარად იკიდებს ფეხს ის აზრი, რომ „ძველი ელინები“ ბარბაროსი ხალხებისაგან განსხვავდებოდნენ როგორც მეტი მოსაზრებულობით, ისე უფრო სრული თავისუფლებით სულიერი მიამიტობისაგან (ჰეროდოტე).

ძველი ბერძნები აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე ჯერ კიდევ „დიდი კოლონიზაციის“ ხანაში (ძვ.წ. VII-VI სს.) იკიდებენ ფეხს. ადგილობრივ ავტოქტონურ მოსახლეობასთან ინტენსიურ კონტაქტში შესვლის შემდეგ ისინი ნიადაგ ეცნობიან ბერბერთა შორის იმხანად ფართოდ გამოყენებულ ეთნონიმს „ბრაბერ – ბრაბარს“ ან „ბერაბერ – ბარაბა – ბარაბარს“, რომელსაც ითვისებენ „ბარბარ – ბარბაროსის“ ფორმით.

როგორც ჩანს, ბერბერებმა თავისი ეგზოტიკური ყოფით, კულტურით, უცნაური გარეგნობით და წესჩვეულებებით, აგრეთვე ბერძენთათვის სრულიად გაუგებარი ენით, იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ევროპელ კოლონისტებზე, რომ ისინი ელინთათვის „სრულიად უცხო, უცნაური, არაჩვეულებრივი ხალხის“ ერთგვარ ეტალონად იქცნენ. ასეთნაირმა ეთნოკულტურულმა სტერეოტიპმა თავის მხრივ, „ელინი – არაელინის“ დისტომიურ შეპირისპირებას ჩაუყარა საფუძველი და დროთა განმავლობაში ტერმინი „ბარბაროსიც“ თანდათან დაიცავდა დასაბამითი ვიწრო – ეთნიკური შინაარსისაგან და აღნიშნულ დისტომიას მოერგო როგორც ზოგადად „უცხოს, უცხოტომელის, უცხოელის“, „გაუგებრად მოლაპარაკის“ სინონიმი... მოგვიანებით, სხვა არაქლინ ეთნოსებთან ურთიერთობის ნეგატიური გამოც-

დილების დაგროვების პირობებში კი, „ბარბაროსმა“ არა მარტო „უცხოოს“, უცხოელის, უცხო ტომელის“, არამედ „უხამსის, უხემის, უკულტუროს, ველურის, წარმართის“ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა [90, 49-50].

ტერმინის – „ბარბაროსის“ ბერბერთა ტომობრივი სახელწოდებისაგან მომდინარეობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ძველ ქართველ მწიგნობართაც ბარბაროსები მაინცდამაინც აფრიკელებად ჰყავდათ წარმოდგენილი. თქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, სადაც ვკითხულობთ: „ბარბაროზი – აფრიკის თემი შავნი. აფრიკაში თემი ერთი შავთა, წარმართი, მონა უცხოთესლი“ [97, 50].

რომაელებმა პირველებმა შემოიღეს მოქალაქის ცნება („რომის მოქალაქე“. რომის მოქალაქე ყოფნისათვის რომაელად (ე.ი. ეთნიკურ ლათინად) ყოფნა არ იყო აუცილებელი. რომი არა თუ არ განარჩევდა თავის მოქალაქეებს ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, მეტიც, ის ანიჭებდა რომის მოქალაქეობას მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოქალაქეებს, რითაც ათანაბრებდა რომის მკვიდრთან. რომის მოქალაქეობის აუცილებელი პირობაც და შედეგიც რომაულ სამოქალაქო კონვენციაში გაწვევრიანება იყო [93, 114].

ამავე დროს რომაული ფორმულა დაღადავდა *divide et impera* – ე.ი. სახელმწიფოში დასაქმებულ ეროვნებათა შორის სთესე შური და გათიშე, არევა-დარევასა და ერთმანეთთან კინკლაობაში ამოხადე სული მათ ეროვნულ და პოლიტიკურ მისწრაფებებ-

სო [98, 150]. ძველი რომის 12 ტაბულის კანონების მიხედვით კი რომის ტერიტორიაზე მხოლოდ რომის მოქალაქეს ჰქონდა მიწის საკუთრების უფლება. უცხოელები ამ შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ [91, 16].

რომში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი დანაშაულისათვის განსხვავებულ სასჯელს იღებდა. მაგალითად, ჯვარზე გაკვრას ჰქონდა მკვეთრად გამოხატული კლასობრივი და ეროვნული ხასიათი: რომის მოქალაქის და, საერთოდ, თავისუფალი ადამიანის სიკვდილით დასჯა ჯვარზე მკაცრად იყო აკრძალული ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი [99, 39].

ასევე, ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ეთნიკური განსხვავება განუყოფელი იყო სამართლებრივ განსხვავებასთან. საერთო სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესს განიცდიდა და ადამიანს ასამართლებდნენ არა იმ ტერიტორიის, მხარის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც ცხოვრობდა, არამედ იმ ტომის ტრადიციიდან გამომდინარე, საიდანაც იყო მისი წარმოშობა. ამიტომ, მართლმსაჯულების განხორციელება, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა განსასჯელის ეთნიკური ვინაობის გამორკვევას. არსებულ საქმის წარმოებას დოკუმენტებში, ნაწილობრივ ადრეფეოდალური ხანის ნარატიულ წყაროებში, ეთნონიმები მითითებულია ადამიანის პირად სახელთან ერთად. ზოგჯერ ის პირდაპირ დასახელებულია გოთად, ფრანკად, რომაელად და ა.შ. ზოგჯერ ნათქვამია, რომ ის ცხოვრობს ამა და ამ ხალხის კანონების მიხედვით [100, 228].

ოფიციალური ბიზანტიური სამართალი არ მიჯნავდა ადამიანებს ეთნიკური ნიშნით, ყველა თანასწორი იყო, თუკი აღიარებდა მართლმადიდებლობას და იცავდა ბასილევსის ერთგულებას. ამ სამართლით, მართლმადიდებლობის აღიარება, ფაქტობრივად, სავალდებულო იყო ბერძნებთან გასათანაბრებლად, რაც ეთნიკური თანასწორობის კანონს ფიქციად აქცევდა. ეთნიკური თანასწორობის კანონი პრაქტიკაში ყოველ ნაბიჯზე ირღვეოდა: იმპერიაში მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების მონები, მაშინ როდესაც იკრძალებოდა ბერძენი მონის ფლობა. მართალია, ხელისუფლება დიდ სიფრთხილეს იჩენდა უცხო ეთნოსთან დამოკიდებულებაში პოლიტიკური გართულებების დროს, მაგრამ როცა ეს გართულებები ცხრებოდა, უხეშად დევნიდნენ ორთოლოქსიდან განსხვავებულ კონფესიებს და ძალას მიმართავდნენ ქალკედონიზმის დასანერგად [101, 79].

შუა საუკუნეების დასაწყისით ევროპაში უცხოელის ბედს მთლიანად ის მეფე ან ფეოდალი სწყვეტდა, რომლის სამფლობელოში სავაჭროდ ან სხვა საქმიანობისთვის უცხო პირი აღმოჩნდებოდა. ევროპის ქვეყნებში, როგორ ჩანს, საკმაოდ მძიმე ადათ-წესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ, მიუხედავად დაცვის სიგელის ქონებისა, ამ უკანასკნელთა პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა არ იყო უზრუნველყოფილი. საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც, თუ სხვის სამფლობელო ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი ერთი წლის და ერთი დღის განმავლობაში ვერ მოიპოვებდა ადგილობრივი ფეოდალის მფარველობას, უკანასკნელს უფ-

ლება ჰქონდა უცხო პირი თავის ყმად ექცია, ქონება კი ჩამოერთვა [102, 214].

მართალია სასანიანთა ირანში სპარსელები თავს არავის უყადრებდნენ, მათ შორის არც სხვა ირანული მოდგმის ხალხებს, მაგრამ ეთნიკური ნიშნითაც არავის ჩაგრაუდნენ და ესეც აქემენიდური ირანის მემკვიდრეობა იყო, თუმცა თვით აქემენიდურ ირანთან შედარებითაც კი, სასანიდი მეფეების აღზრდის ინსტიტუტს ახასიათებდა ეთნიკური შემწყნარებლობის არნახული დონე – სასანიური ირანის იმპერიაში შემავალი არცერთი ხალხი ძალმომრეობით არ გადაშენებულა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დღემდე მოაღწია თავისი ეთნოგრაფიული კულტურითა და დედაენით; მეტიც, თავისი ისტორიული საზღვრებით. შესაძლებლობის მიუხედავად, სპარსელებს არ მოუხდენიათ და არც უცდიათ მათი ეთნიკური ასიმილაცია.

ამ მხრივ ახლო აღმოსავლეთში ირანის იმპერიას ერთადერთი ანალოგი მოეძებნება საქართველოს სამეფოს სახით, იმის გათვალისწინებით, რომ ფარნავაზმა პირველი სრულიად ქართული სახელმწიფო სპარსთა სამეფოს მსგავსად მოაწყო [93, 197].

საქართველო მხოლოდ ქართველური ტომებით არ უნდა ყოფილიყო დასახლებული, ასევე როგორც სხვაგან, ჩვენთანაც იყო ინტენსიური შერევის ზონები.

გზები საგრძნობ გავლენას ახდენდა არა მრტო ეკონომიკური, არამედ ხალხთა შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამ გზებზე მდებარე დასახლებებისათვის უცხო არ იქნებოდა კავშირები სხვადასხვა ეკონომიკურად გან-

სხვაებულ ჯგუფებთან და კულტურებთან (სხვა სურათია გზიდან მოშორებულ პუნქტებში). გარდა მშვიდობიანი ურთიერთობისა, ხშირი იქნებოდა როგორც სამეზობლო, ისე შორეული შემოსევები, აგრეთვე აბორიგენტა მიერ სხვათა დაპყრობა და ტყვეთა წამოსხმა. მომთაბარეთა მასების დაუსრულებელი მოძრაობები, სხვადასხვა ტომთა თუ ცალკეულ ინდივიდთა გადაადგილებანი, რაც ისტორიული წყაროებით შესაძლებელია არ იყოს ასახული და რაც წარმოადგენდა დემოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ პროცესებს, რომლის დროსაც მოსული მოსახლეობის ნაკადის ინფილტრაცია აბორიგენტებთან მიმდინარეობდა. მისი საბოლოო შედეგი ძალზე მნიშვნელოვანი ხდებოდა ეთნიკურად განსხვავებული ელემენტების „დალექვით“ და მათი შემდგომი გამოვლინებით დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მრავალფეროვანი კომბინაციებით [103].

მრავალ ობიექტურ გარემოებათა შედეგად, ქართლი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან სხვადასხვა მიზეზით მოსული ეთნოსების სამშობლოც გახდა. სწორედ აქ, ქართლში ჩაეყარა საფუძველი, სახელმწიფოს თანაცხოვრების ფენომენს, რაც ქართულ მიწაზე ჩამოსახლებულებს ყველა პირობას უქმნიდა შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, რელიგია, ტრადიციები და ამასთანავე გაეთავისებინათ ქართველთა კულტურულ-ზნეობრივი ღირებულებები [104, 3].

„ქართლის ცხოვრება“ არ გამოხატავს მტრისადმი სიძულვილს. ცალკეული ადამიანის დახასიათების დროს, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის ეთნიკურ წარმოშობას. ადამიანი კარგია და კეთილი,

ან ცუდი და „მესისხლე“, მიუხედავად მისი ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილებისა.

განსაკუთრებით თბილადაა განწყობილი „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს მეზობელი, კავკასიელი ხალხების მიმართ. ამ მხრივ თხზულებას გამოკვეთილი პოზიცია აქვს: როდესაც ქართველები, სომხები, ალბანელები და სხვა კავკასიელი ხალხები ერთად იბრძვიან, მათ მტერი ძნელად თუ დაამარცხებს [96, 35].

ისტორიულად ქვეყნის შიგნით გადაადგილების, თუ ქვეყნის გარედან მოსული „უცხო“ სოციალური სტატუსი საქართველოში მკვეთრად იცვლებოდა. ეს ვლინდებოდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – მიწათსარგებლობაში, მმართველობაში, დასახლების ფორმაში, ქცევის ნორმებში [105, 92].

XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის მიხედვით ქართლში მოსულმა ებრაელებმა მცხეთის მამასახლისისაგან დასახლების ნებართვის საფასურად ხარკის გადახდა იკისრეს. იგივე ავტორის ცნობით, ქართლის ხელისუფალთ ქვეყანაში მიუღიათ და დაუსახლებიათ თურქები, ბერძნები, ასურელები და ხაზარები იმ პირობით, რომ ისინი ააშენებდნენ ახალ ქალაქებს, ხოლო უკვე არსებულთ გაამაგრებდნენ [105, 93].

არქეოლოგიური ძიებების საშუალებით მოპოვებული ეპიგრაფიკული ძეგლები დამატებით ინფორმაციას გვაწვდიან ქართლის სამეფო დედაქალაქის – მცხეთის ეთნიკური შემადგენლობის, კერძოდ კი, მისი ეთნიკური სიჭრელის საჩვენებლად. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ: „შესაძლებელი ხდება ქართველების გარდა დედაქალაქ მცხეთაში

გავარჩიოთ ბერძენ-რომაელების, სპარსელების და ებრაელების მცირე ჯგუფები მაინც!“ [106, 45].

„მოქცევაი ქართლისაი“ განარჩევს ერთმანეთისაგან მცხეთის მკვიდრს და არამკვიდრს, უცხოს. მცხეთის მკვიდრები შეადგენენ თავისუფალთა ფენას, რომელსაც შესაბამის სტატუსს ანიჭებდა მეფე. სამეცნიერო ლიტერატურაში მცხეთის მკვიდრობის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისას ჩვეულებრივ ეყრდნობიან ნინოს მიერ მოგვი სპარსის განკურნების ეპიზოდს, სადაც მირიანი ეუბნება ნინოს: „უკუეთუ განკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკვიდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა“.

მირიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მცხეთის მკვიდრობა მეფეს შეეძლო უცხოელისათვისაც მიენიჭებინა, თუ არმაზის ყმობას აღიარებდა. ასეთი პირი ხდებოდა „მდიდარიც“, ე.ი. მიწის მფლობელი და სამხედროვალდებული, ანუ სამოქალაქო თემის სრულუფლებიანი წევრი [107, 178].

მირიანმა ქრისტიანობის აღიარების შემდეგ მცხეთის ებრაელთაგან მხოლოდ ისინი დატოვა მცხეთაში, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ. ასეთთაგანი იყვნენ ბარაბეანნი, „რომაელნიცა მოინათლნეს ორმეოცდა ათი სული სახელისა მათისაი. და მკვიდრ იქმნეს მცხეთას შინა. და მიუბოძა მეფემან დაბაი ერთი, რომელსა ჰრქვიან ციხედიდი“ [107, 180]. ქართულ ნარატიულ წყაროებში აბორიგენი მოსახლეობა, ქართველი ტომების წარმომადგენლები, არაქართველებისაგან განსხვავებით, ტერმინით – „ნათესავით ქართველი“ მოიხსენიებიან. საინტერესოა, რომ ლეონტი მროველი ებრაელებს „ქართველთა ნათესავად“ მოიხსენიებს – „უცხონი იგი ნათე-

სავთაგან“ განსხვავებით. ვახუშტიც „ნათესაენი ქართლოსიანში“ გულისხმობს ქართლოსიანებს და ებრაელებს [108, 37].

შუა საუკუნეების საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობების პოლიტიკის ჰუმანურ პრინციპებს, ჯერ კიდევ ტაოს სამეფოს პოლიტიკურ წრეებში უნდა ჩაყროდა საფუძველი. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობა გარკვეულწილად ემყარება თავად ტაოს სამეფოს ხასიათს, რომლიც თავისი ეთნიკური სიჭრელით მომავალი დიდი კავკასიური ქართული სახელმწიფოს ერთგვარ მოდელს წარმოადგენდა, და ბუნებრივია, ისეთსავე ეთნოკონფესიური პრობლემების წინაშე უნდა დამდგარიყო, რომელთა პირისპირაც აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების საქართველო [101, 72]. შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველის აზრით უცხოელობა არ ნიშნავს მის ბუნებრივ მონობას, უცხოელიც ნამდვილი, სრულყოფილი ადამიანია და ის შესაძლებელია დიდი მეგობარი იყოს. „გეგუხისტყაოსანში“ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანების, როგორებიც იყვნენ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ურთიერთობა მეგობრობის იშვიათ ნიმუშად გვევლინება [27, 227].

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII მემკვიდრემ დავით ბაგრატიონმა პეტერბურგს დაწერა ნაშრომი – „საქართველოს სამართლისა და კანონების მიმოხილვა“. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ავტორი ეხება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს და მომავალში მათი დასაქმების მისეულ პერსპექტივებს. დავით ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ საქართველოში ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბერძნები, სომხები, ებრაელები, თურქები, თათ-

რები. გაბატონებული ნაციის წარმომადგენლები (ქართველები) იკავებენ ყველა სახელმწიფოებრივ თანამდებობებს. ბერძნების ფუნქციას შეადგენს სამთამადნო წარმოება, სომხებისა და ებრაელებისა – ვაჭრობა [109, 238].

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც, რუსეთის საიმპერატორო კარმა აღმოსავლეთ საქართველო ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად დაყო, საუბნო ერთეულები – დისტანციები აღმოსავლეთ საქართველოს არაქართველ მკვიდრთა დასახლებებისათვის შეიქმნა [110, 7]. როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლებამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს ეროვნულ უმცირესობას. ბუნებრივია, არა რაღაც დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე, რაც დამპყრობლის ფსიქოლოგიას არასდროს ახასიათებს, არამედ ეს ნაბიჯი იყო შორსგამიზნული პოლიტიკური მანევრი, მომავალში დასაყრდენის გასაჩენად, ჩვენი ქვეყნის სრულყოფილი დამონებისათვის.

XIX საუკუნეში, როდესაც თავად საქართველოს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აქ მცხოვრები არაქართველები პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ ეროვნულ უმცირესობად. რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში – თბილისში სომხებმა და სხვა ეროვნებებმა შექმნეს ეროვნული საბჭოები, რომელთაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ენიჭებოდათ – ყოფილიყვნენ თავიანთი ერების პოლიტიკური ხელმძღვანელები. სიტუაცია შეიცვალა 1918 წლის მაისში სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექ-

მნის შემდეგ. ეროვნულმა საბჭოებმა დაკარგეს წინანდელი ხასიათი და სტატუსი, საქართველო სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბდა და აქ მცხოვრები დანარჩენი ერები ეროვნულ უმცირესობად იქცნენ [111, 191].

მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად ცხოვრობდნენ არაქართველები. ისინი ხშირ შემთხვევაში მტრულად იყვნენ განწყობილი ქართველებისადმი. მეხადირიდან დაწყებული რესპუბლიკა რკალივით იყო გარშემორტყმული ან უცხო ტომის ხალხით, ან კიდევ ისეთებით, რომელთაც არ გააჩნდათ ქართული თვითშეგნება [112, 312].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ წლებში ბოლშევიკები ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს არც აინტერესებდათ. გრაფა ეროვნების აღსანიშნავად, როგორც ცნობილია, მხოლოდ 1924 წლიდან ჩნდება. თუმცა არც ამის შემდეგ გაუმახვილებიათ ყურადღება ამ საკითხზე. აი, ერთ-ერთი დამახასიათებელი შემთხვევა: ქ. გორის 1924 წ. საქორწინო აქტში 24 წლის თოროზ გრიგოლის ძე თოროზოვს, ეროვნების გრაფაში უწერია, რომ ის არის „ინტერნაციონალისტი“ [113, 68].

მნიშვნელოვანია, რომ თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11% შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიან-

ნად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით ღიდად განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ უფრო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც აღებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ [114, 766-767].

XX საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851 557 სულს, ანუ მოსახლეობის 32,3% – შეადგენდნენ. ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება [115, 33]. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20-30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ზრდის შემცირება. მაგალითად, 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74,7%-ს შეადგენდნენ, 1926 წელს 70, 9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64,6%-ს [116, 51].

ნებისმიერი ცივილიზაციისათვის თვისისა და უცხოს გარჩევის აღსანიშნავად საგანგებო სიტყვებიც არის ნაპოვნი ამა თუ იმ ენაში: იავან – სანსკრიტში, ბარბაროსი – ბერძნულში, გოი – ებრაულში, აჯამ – არაბულში, კაიჩი – იაპონურში, ნემეც – სლავურში და ა.შ. არც ერთი მათგანი არ ნიშნავს წმინდა სახით ველურს. ის შეიძლება ამ სიტყვის მთქმელზე მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენელიც კი იყოს. მაგალითად, სპარსელი – ბარბაროსი იყო ბერძნისთვის და აჯამი არაბისთვის. ორივე ამ ხალხმა იცოდა, რომ სპარსელებს მეტი თუ არა მათზე ნაკლები კულტურა არ ჰქონდათ, და ბევრი რამ თვითონ ათვისებულნიც ჰქონდათ მათგან. ეგვიპტელი, მისი ბრწყინვალე ცი-

ვილიზაციით, დამონებული ებრაელისთვის მაინც გოი იყო და სხვ.

მთავარი, ამ ერთა მიმართებაში სხვებისადმი მათ ცივილიზაციასთან სხვათა უზიარებლობა იყო. სხვები სხვა, უცხო კონვენციაში იმყოფებოდნენ [117, 10-11].

XX საუკუნეში რასობრივი, ნაციონალური (resp. ეთნიკური), რელიგიური თუ პოლიტიკური შეუწყნარებლობის არნახული მაშტაბები მოხდა – ორი მსოფლიო ომი (მათ შორის ერთი – მასობრივი მოსპობის, ბირთვული იარაღის გამოყენებით). რევოლუციები, სამოქალაქო ომები, პოლიტპატიმართა და ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელები, აპარტიდი, მკვიდრი მოსახლეობის დეპორტაციები და კიდევ მრავალი მოულოდნელი ცვლილებები XXI საუკუნის დასაწყისში.

დრომ შეიტანა ცვლილებები ერის განსაზღვრებაშიც. თუ ადრე „კაცობრიობის დაყოფა ენებად უდრიდა კაცობრიობის დაყოფას ერებად“ (ჰუმბოლდტი), ახლა სამშობლო გაგებულ იქნა, როგორც „ერთიანი საარჩევნო სივრცე“ და ამ სივრცეში რეგისტრირებული ამომრჩევლები იდენტიფიცირებულ იქნა ერთად. შესაბამისად, საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა (ქალთა, ფერადკანიანთა და სხვ.) გამოცხადებულ იქნა მოქალაქეთა თანასწორობისათვის ბრძოლად – ანუ ერთად გაგებულ იქნა „სამოქალაქო“ კონვენციის წევრები [117, 52-53]. თუმცა ეს რეცეპტი ყველა ქვეყნისთვის მისაღებად ვერ გამოდგება.

მსოფლიოში არსებობს ორი მოდელი, რომლითაც განისაზღვრება პასპორტში ეროვნების გრაფა. ერთია – ტრადიციული მოდელი, მეორე – ევროპუ-

ლი. ტრადიციული მოდელით, პასპორტში ეროვნების გრაფა იმის გათვალისწინებით ივსება, რომელი ნაციაა ამა თუ იმ ქვეყანაში ავტოქტონური, ანუ ძირძველი. ევროპული მოდელით კი, საპასპორტო გრაფაში იწერება „მოქალაქეობა“. მაგალითად, საფრანგეთში მოქალაქეობის გასწვრივ იწერება „ფრანგული“ (ფრანგი). როდესაც 1975 წელს საფრანგეთში ჩატარდა გამოკვლევა, ხელისუფლებამ ნახა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტი იყო ძირძველი ფრანგი. ამიტომ, ადგენენ და საფრანგეთის ყველა მოქალაქეს პასპორტში მოქალაქეობის გასწვრივ ჩაუწერეს „ფრანგი“ [14, 167-168].

ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორც საქართველო, მოსულისა და მკვიდრის პრობლემას ვერ გადაჭრის პირადობის მოწმობიდან და პასპორტიდან ეროვნებისა და მამის სახელის ამოღება. საქართველოს მოქალაქის სტატუსი სომეხის, აზერბაიჯანელის, რუსის, ოსის, ებრაელის, ქურთის, აფსუას და ა.შ. ეროვნული თვითშეგნების შეცვლაზე ვერ იმოქმედებს, რაც კარგად ჩანს სინამდვილეში. ამიტომ გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანოზაციების რეკომენდაციები ძველი ისტორიის მქონე სახელმწიფოებისადმი, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები და თავად ამ ქვეყნების კომპეტენციაა მათი სტატუსის განსაზღვრა.

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყოველი ძლიერი სახელმწიფოს სწრაფი ან თანდათანობითი გადაქცევა მრავალეროვან ქვეყნად – უფრო მეტად კანონზომიერია, ვიდრე გამონაკლისი. ეს პროცესი ერთნაირად მიმდინარეობდა დედამიწის ყველა

ნაწილში, სადაც ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოები [75, 173].

აშშ-ს მაგალითი ალბათ მიუღებელი იქნება სხვა ქვეყნებისათვის ამ სახელმწიფოს თავისებურებათა გამო. ზოგიერთი ეთნოგრაფის აზრით, ამერიკელი ხალხი ჯერჯერობით არ შეიძლება მივიჩნიოთ ეთნოსად, არამედ, უფრო მეტად მეტაეთნიკურ ერთობად. ჰარვარდის უნივერსიტეტის ენციკლოპედიის მონაცემების თანახმად, მასში შედის ასზე მეტი ეთნიკური ჯგუფი, და 170 ჯერ კიდევ გადარჩენილი ინდიელთა ტომი [75, 288].

სამოქალაქო ომამდე (1861-1865წწ.) აშშ მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა ირლანდიელების, შოტლანდიელ-ირლანდიელების, შოტლანდიელების, ბრიტანელების, გერმანელების და სკანდინავიელებისაგან. მათი „შერევით“ ჩამოყალიბდა „ამერიკელის“ სრულიად განსაკუთრებული ტიპი. სამოქალაქო ომის კვალდაკვალ დაიწყო შეუზღუდავი იმიგრაცია, რის შედეგადაც რამდენიმე ათეულ წელიწადში აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან მრავალი მილიონი ადამიანი დამკვიდრდა ამერიკაში, მათ შორის იყო რუსეთიდან და „რუსეთის პოლონეთიდან“ საკმაო რაოდენობის ებრაელი [118, 229].

იდენტობათა ისტორიაში ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როცა იდენტობის მარკერებს გამოკვეთს არა დაბადებით ჩვენჯგუფის წევრი, არამედ სწორედ მკვიდრად ქცეული უცხო, რომელმაც უკეთ შეიგრძნო მიღებული იდენტობის ბუნება [119, 106].

ამერიკის შეერთებული შტატები თავიდანვე მოზაიკურ საფუძველზე შეიქმნა. თუმც, როგორც საბჭოთა იმპერია თავიდან „ერთა გადაფქვევის“ წის-

ქვილად აღიქმებოდა. სწორედ აშშ მაგალითი ადასტურებს, რომ მოზაიკური პრინციპის (სხვაგვარად, „კულტურულ ავტონომიური პრინციპის“) საფუძველში დევს რაციონალისტური გაგება ერ-სახელმწიფოსი, რომლის ეროვნულ განსაზღვრულობას და კოლექტიურ „ჩვენ-ს“ ქმნის მხოლოდ მოქალაქეობა და კანონებისადმი დამოკიდებულება ანუ ცივილურობა

მოქალაქეობა ცვლის ეროვნული კუთვნილების ყველა სხვა მახასიათებელს და ნიშანს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მოქალაქეებს არა აქვთ „მისტიური ეროვნული მეობა“ ანუ ის მეტაფიზიკური კოორდინატა რომელიც რეალურად არსებული ერის მეტაფიზიკური სიმბოლური განსახიერება იქნებოდა. ეს ნიშნავს, რომ „ამერიკელი ერი“, ამ სიტყვის ონტოლოგიკური გაგებით არ არსებობს. არსებობს ფედერალური სახელმწიფო – აშშ და მისი მოქალაქეები, რომელთა მოზაიკურ ენობრივ და კულტურულ მატრიცას ურთიერთ შეჯახებისგან „იჭერს“ კანონმდებლობა (რომელმაც, ესპანურენოვანი მოსახლეობის ზრდის გამო ესპანური ენის არასრული თანაბრობა დაადგინა ჯერჯერობით და სადაც, თუ ჩინელთა მატებას გავითვალისწინებთ, ჩინური „ინკრუსტაცია“ საკმაოდ რთული პრობლემა შეიძლება გახდეს მომავალში... და ა.შ.) მოზაიკური სახელმწიფოს ამერიკული ფორმა და პრინციპი ღრმად პარადოქსულია. როგორც „ემიგრანტების ქვეყანა“ ის გახსნილი უნდა იყოს, მაგრამ როგორც სახელმწიფო, რომელსაც საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა ევალება ის ე რ - ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ფ ო რ მ ა ს ი ძ ე ნ ს . შესაძლოა, ამერიკის შეერთებული შტატების არსებობის ყველაზე მძლავრი არ-

გუმენტი არის ის, რომ იგი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივი არსებობის დასრულებულ ფორმას. დასრულებულს არა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ თავისი განუწყვეტელი პროცესუალობით და „ამერიკელობის“ არა ეროვნული არამედ ლეგალურ-უფლებრივი კონტექსტით. ეს აშშ-ს ერთთავად და პრინციპულად მასობრივი ცივილიზაციის ფორმას ანიჭებს. ორას წელს გადაცილებული ისტორია, თუ გავითვალისწინებთ ერების ჩამოყალიბების (ანუ პირველ-სახის, არსების, გამოთქმის) ათასწლოვან პროცესებს, მხოლოდ დასაწყისია ამ გზისა. ამიტომაც, აშშ-ის წინაშე მთელის ძალით ჯერ არ წამოჭრილა ის „ეროვნული“ პრობლემები, რომლებიც წამოიჭრა ძველი მსოფლიოს ერთა და სახელმწიფოთა წინაშე [29, 200].

მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესების შედეგად, ეთნიკურად ერთგვაროვან გარემოში ჩნდებოდნენ და ჩნდებიან მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარი ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც ინტეგრირებულნი ხდებიან მკვიდრ ერებთან და თანმიმდევრულად ებმებიან მათს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისინი ამდიდრებენ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნებას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დაბებში.

„ეროვნული უმცირესობის“ ცნება ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა ოფიციალურ დოკუმენტებში, სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში [120, 13]. ტერმინით „ეროვნული უმცირესობა“ იგულისხმება ეროვნება, რომელიც ცხოვრობს სხვა ერის ტერიტორიაზე გაფანტულად, ან თუნდაც კომპაქტურად

და მთლიანობაში შეადგენს უმცირესობას ადგილობრივ (აბორიგენ) მოსახლეობასთან შედარებით.

მრავალეროვანი სახელმწიფო, როდესაც იცავს და უზრუნველყოფს ეროვნული, ან რელიგიური უმცირესობის პირთა ან ჯგუფების უფლებებს, აუცილებელია აგრეთვე დაიცვას უმრავლესობის უფლებები მათი ეროვნული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფის უსაფუძვლო მცდელობისაგან.

განსაკუთრებით უნდა დაფიქსირდეს იმ პირთა მოდერაწეობა, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს. მათ მკაცრად უნდა მოეთხოვოთ კანონების შესრულება და პატივი სცენ ეროვნულ სუვერენიტეტისა და იმ სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. სხვანაირი მიდგომა გამოიწვევს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების გაუცხოებას და ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცევა.

ამრიგად:

1. საქართველო არ არის მონოეთნიკური სახელმწიფო. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთაც აქვთ თავიანთი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლები. ისინი ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან მიმართებაში ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან.
2. მრავალეროვნულ ქვეყანაში საჭიროა სწორი, სამართლებრივი პოლიტიკის წარმოება ცალკეული ერისა და ეროვნების მიმართ. ეროვნულ უმ-

ცირესობათა უფლება-მოვალეობებს იცავს 1995 წელს მიღებული კონვენცია, რომელსაც ევროსაბჭოს 27 ქვეყანა აწერს ხელს. საქართველო მიერთებულია ამ კონვენციას.

3. საქართველო ოდითგან გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობით, ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნებებისადმი სახელმწიფოებრივი და ტოლერანტული მიდგომით. ამ ეთნოისტორიულ ტრადიციას ქართული სახელმწიფო არც დღეს დალატობს: იცავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, თუმცა, ზოგჯერ იგივეს ვერ ახერხებს ეროვნული უმრავლესობის უფლებების დასაცავად. ხელისუფლებამ მეტი უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით, რათა ხელყოფილი არ იქნეს ეროვნული სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრივი მთლიანობა.
4. მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ ლიდერებს, საინფორმაციო საშუალებებს, რათა არ გაღვივდეს ხალხთა შორის შუღლი და მტრობა, ხელი არ შეუწყოს სეპარატისტული რეჟიმების წარმოქმნას, არ დაირღვეს სახელმწიფოს ერთიანობა. ქართველ ხალხს უნდა მიეცეს თავისი ენის, კულტურის, სახელმწიფოს, სულიერი და მატერიალური ფასეულობების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობა.

1918 წლის 25 მაისს ხაშურთან ახლომდებარე სოფელ აძვისში ერთი უბრალო ქართველი გლეხი კაცი, დავით კაპანაძე, გარდაიცვალა. 26 მაისს საქართველოში ისტორიული კვირადღე გათენდა – გამოცხადდა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ისტორიამ შემოინახა საოცარი საფლავის ქვა, რომლითაც შვილებმა არა მარტო საკუთარი მამის – დავით კაპანაძის სახელი უკვდავყვეს, არამედ იმ თაობების ქართველთა გულისთქმაც გააცხადეს, სამშობლოს ბედნიერებისათვის რომ იბრძოდნენ, მაგრამ ამ სანუკვარ დღეს ვერ მოესწრნენ. აი, რა წერია იმ საფლავის ქვაზე: „მონობაში ტანჯულო, დაუფიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა – საქართველო განთავისუფლდა! 1918 წ. 26 მაისი“.

დიას, 1918 წლის 26 მაისს საქართველო განთავისუფლდა: ქართველმა ხალხმა გადაიგდო რუსეთის იმპერიის 117 წლოვანი კოლონიური უღელი, დაიბრუნა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და შექმნა სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა [121, 5]. დიდი ხნის მანძილზე საქარველოს დამოუკიდებლობის წლების ქართულ კულტურას და ინტელექტუალურ აზროვნებას ტაბუ ჰქონდა დადებული. რაკი მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური“) მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად იყო გამოცხადებული, ისევე, როგორც ყველაფერი არასაბჭოთა და არაკომუნისტური. მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან ისიც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი

ქმნიდა, ხაზი გადაუსვებს მის მაშინდელ შემოქმედებას. ერთადერთი რისი უგულებელყოფაც ვერ მოხერხდა, ჩვენი უნივერსიტეტის დაარსება იყო (რაც, რამდენიმე თვით უსწრებდა დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას). სხვა მნიშვნელოვან ფაქტებს ან სულ არ ახსენებდნენ, ან – ცალკეადა, გააკვრიოთ, აგდებულად და გაბოროტებით.

ნამდვილად კი ის წლები დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში – მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში – დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველი მხრით მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა (ერთადერთი დარგი, იმ წლებს რომ კვალი არ დაუტოვებია, ხეროთმოდღვრებაა). გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი აღტყინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი [122, 7].

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ენა ჭეშმარიტად სახელმწიფო ენად იქცა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი სკოლისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა გაეროვნულებას, ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. მოიჭრა ქართული ფული.

დამოუკიდებელ საქართველოში თანასწორად იყო უზრუნველყოფილი ყველა მოქალაქის სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიულმა

რესპუბლიკამ განვითარების თავისუფალი ასპარეზი მისცა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს, გაუხსნა მათ ეროვნული სკოლები. პატივს სცემდა მათ ენებს. საკანონმდებლო ორგანოებში საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებაში არჩეული იყვნენ საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლები – აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელები. საგულისხმოა, რომ თვით 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტს ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ხელს აწერდნენ საქართველოში მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლებიც [123, 25]. მიუხედავად ამისა, ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან გარკვეულ პარადოქსსაც ქონდა ადგილი. კერძოდ, სომეხ დეპუტატებს ეროვნულ საბჭოში სურდათ რუსული ენის ხმარება, და საერთოდაც, სახელმწიფო ენად რუსული ენის დამკვიდრების აუცილებლობას თვლიდნენ საქართველოში. პირველივე დღეს, 1918 წლის 27 მაისს, საქალაქო საბჭოს სხდომაზე დეპუტატები: სოციალ-დემოკრატი იაშკოვი, სოციალისტ-რევოლუციონერი ხუდადოვი, დაშნაკი ხატისოვი, ებრაელი გრუზენბურგი – რუსულად გამოვიდნენ. ხატისოვმაც, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ, განაწყენებულმა აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სომხებისათვის მოულოდნელი იყო და მაშინ მიიღებდნენ მას, თუ აქ დემოკრატია გაბატონდებოდა.

გრიგოლ ვეშაპელმა ქართულად წარმოთქვა სიტყვა, რის გამოც აღშფოთებულმა დეპუტატებმა მას ყვირილი დაუწყეს. ვეშაპელის სიტყვა კრების თავმჯდომარემ – ალექსანდრე ლომთათიძემ რუსუ-

ლად თარგმნა, რამაც კიდევ უფრო გაანაწყენა ეროვნულ-დემოკრატი ვეშაპელი და თქვა: ქართული ენის ხმარება აქამდე ყველას უფლება იყო, ამის შემდეგ კი ყველას მოვალეობააო.

მართლაც, 1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი დედაენის შესახებ, რითაც ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. თანამდებობაზე მყოფ ყველა პირს 6 თვის ვადა მიეცა ქართული ენის შესასწავლად, ვინც არ ისწავლიდა, სამუშაოდან განთავისუფლდებოდა [124, 222]. მაგრამ, სამწუხაროდ ამ კანონს აღნიშნულ ეტაპზე სრული განხორციელება არ ედირსა, რადგან სულ მალე პარლამენტმა გამოსცა „წესი ენის ხმარებისა“, რომლის მიხედვით დეპუტატებს, ვინც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლოთ გამოეყენებინათ რუსული ენაც. რუსული ეროვნული უმცირესობის ენად იქცა და სომეხი დეპუტატები ქართულად არც არასოდეს გამოდიოდნენ. ეს შეცდომა კონსტიტუციამ გაასწორა, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დაკანონდა სახელმწიფო ორგანოებში ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა [124, 245].

ადმინისტრაციული მმართველობის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ენა ქართული გახდა. საქართველოს დედაქალაქიც გაქართულდა: ქალაქის თავიც და ადმინისტრაციის სხვა ორგანოების მეთაურიც – ქართველები გახდნენ [124, 251].

ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული კამათი იყო აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობის სწავლების ენაზე, ზოგი ფიქრობდა, სანამ ეროვნული მოძრაობა სუსტი იყო და თურქები მბრძანებლობ-

დნენ ამ რეგიონში, ძირითადი ენა თურქული ყოფილიყო, მასთან ერთად ესწავლებინათ ქართულიც. საზოგადოებრივი აზრის დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყო ამისა, იგი აჭარაში სწავლების ძირითად ენად სამართლიანად მიიჩნევედა ქართულს, რომელიც მოსახლეობამ კარგად იცოდა. ივანე გომართელი აყენებდა სწავლის პროფორიენტირებულ ფორმას, ძირითად ენად ქართულს მიიჩნევედა, თურქულს კი – დამხმარედ, ამასთან წინადადებას იძლეოდა გაეზარდათ მაჰმადიანთა შორის პედაგოგი ქალები, რომლებიც უკეთესად ასწავლიდნენ, ვიდრე მამაკაცები. მისი აზრით, მოსწავლეებისათვის უნდა მიეცათ სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, ბათუმში უნდა გახსნილიყო პედაგოგთა დახელოვნების კურსები [124, 287-288].

თუ დამოუკიდებლობამდე საქართველოს სკოლებში სწავლა ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კი თბილისში დიდი რაოდენობით რუსული სკოლა იყო, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ მოხდა სკოლების კვალიფიკაცია: ბევრი ძველი სკოლა გაუქმდა, მაგრამ ამასთანავე დაარსდა ახალი სკოლები. სკოლებისა და დაწესებულებების „გაეროვნების“ პროცესი, სინამდვილეში წარმოადგენდა ქართული ენის განვითარებისადმი ახალ, ფართო სახელმწიფო პროგრამას, რომელშიც ჩართული იყო მთელი ქართველი ინტელიგენცია, საზოგადოების ფართო წრეები, ხელძღვანელი კი ამ კამპანიისა თავად ხელისუფლება იყო [125, 72].

მასწავლებელთა ძველი კადრების გაშვების გამო ახლით შევსება დროზე ვერ ხდებოდა, რაც სკოლების მუშაობას აფერხებდა. ბევრი მასწავლებე-

ლი ცდილობდა, ახალი მოთხოვნების პასუხად, ქართული ენის შესწავლას, ითხოვდა დახელოვნების კურსებზე გაგზავნას, ზოგი კი – თავს ანებებდა პედაგოგობას და სხვა საქმიანობას იწყებდა.

განსაკუთრებით სიმწვავეთ დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საკითხი არა მარტო ქართულ, არამედ რესპუბლიკაში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებშიც. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ქართული ენის მასწავლებლები ვერ პსაუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. როგორც გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა, ისინი მასწავლებლებად იმ წლებში იყვნენ დანიშნულნი, როდესაც საქართველოში რუსული სკოლა იყო და ხელისუფლება მშობლიური ენის სწავლებას არა თუ ხელს უწყობდა, არამედ დევნიდა კიდევც.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობამ მიაქცია ყურადღება და 1918 წლის 29 იანვარს გამოსცა კანონი ქართული ენის სწავლების შესახებ საქართველოს სკოლებში.

როგორც აღნიშნეთ დამოუკიდებლობის შემდეგ ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა სკოლაში, მაგრამ, ვინაიდან არაქართველებმა ქართული ენა სულ არ იცოდნენ და ზოგიერთი ჩვენში დროებით ცხოვრობდა, შეუძლებელი იყო მათთვის სახელმწიფო ენის სწავლების დაძალება. მხოლოდ I კლასში გამოცხადდა ქართული ენა სავალდებულოდ, ზედა კლასებში კი – სურვილის მიხედვით ირჩევდნენ. ვინაიდან კანონი კრძალავდა სახელმწიფოში საქმეების სხვა ენაზე წარმოებას და ქართული ენის უცოდინარებს წართმეული ჰქონდათ სა-

მუშაოს შოვნის შესაძლებლობა, ამიტომ, ყველა, ვინც საქართველოში აპირებდა ცხოვრებას, თავის ნებით სწავლობდა სახელმწიფო ენასაც. ყველა ტიპის სასწავლებელს დაემატა 1 შტატის მასწავლებელი ქართულ ენაში, რისთვისაც, დროებით, ჯამაგირი სასწავლებლის სპეციალური ხარჯიდან უნდა მიეცათ.

ასევე საგაღდებულო გახდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებაც. მათ, ვინც ქართული ენა არ იცოდა, ამ საგნებს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ [125, 69-70].

ქართული სკოლის „გაეროვნებამ“ ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევამ, განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ სომხებში. ისინი პარალელურად – ქართულისა – სახელმწიფო – ადმინისტრაციის ენად ითხოვდნენ სომხურსა და რუსულს. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ, ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც სომხური პრესა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ, ცილს სწამებდა ქვეყნის დემოკრატიულ მთავრობას, ადანაშაულებდა მას სხვა ეროვნებათა ჩაგვრაში, ადამიანის უფლებების დარღვევაში. განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა ომის შემდეგ მათი ავანტიურა საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკის მიმართ გააქტიურდა.

მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობისა, საქართველოს სამთავრობო ძალები დემოკრატიული მეთოდებით უდგებოდნენ როგორც ყველა სხვა ეროვნების, ასევე სომეხთა კულტურულ ცხოვრებას, მათ აძლევდნენ საკუთარი პრესის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და

ეროვნული სკოლების დაარსების უფლებას, შეუზღუდავი იყო მათი რელიგიური კერების საქმიანობა და სხვა [125, 74-75].

ეროვნულ უმცირესობათა სკოლები იმაზეც კი გამოხატავდნენ პროტესტს – რატომ ავალებდნენ ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას, რაც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოში [125, 76].

1919-1920 წლების სასწავლო გეგმის თანახმად პირველი კლასიდანვე იწყებოდა უცხო ენის შესწავლა. სკოლა ირჩევდა ერთ-ერთ უცხო ენას, გერმანულს ან ფრანგულს. მიუხედავად პრესაში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციისა, სადაც მსჯელობა იყო ინგლისური ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საერთაშორისო ურთიერთობაში, საქართველოს სკოლებში ინგლისურ ენას იშვიათად ასწავლიდნენ. ეს ფაქტი ალბათ, პოლიტიკურ მოტივს უკავშირდება. 1919-1920 წლებში საქართველოში ინგლისის პოლიტიკა იმდენად უარყოფით რეაქციას იწვევდა, რომ ქართული საზოგადოება ამ ენასაც ბოიკოტს უცხადებდა [126, 197].

1919 წელს სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით შედგა კომისია დაბალ სკოლათათვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად.

კომისიის თავმჯდომარედ მიწვეული იქნა ივანე ჯავახიშვილი, კომისიაში შევიდნენ პროფესორები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დაბალ სკოლათა მთავარგამგე – გიორგი ჭუმბურიძე და სხვა დამსახურებული მოღვაწეები.

განათლების სამინისტროში იმართებოდა თათბირები თბილისის სკოლების დირექტორებისა და ცნობილი პედაგოგების მონაწილეობით. უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგის – სერგი დანელიას თავმჯდომარეობით – საშუალო სკოლებისათვის ყველა საგანში პროგრამების შესამუშავებლად.

სამინისტროს მიერ მუშავდებოდა და სკოლებს ეგზავნებოდა სასკოლო პროგრამები, რასაც ყველა სკოლა თავისებურად ანხორციელებდა, სკოლის პირობების შესაბამისად.

უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით სამინისტრო თავის მიმართვაში წერდა: „სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა ზეგავლენით ჩვენი მოზარდი თაობა ფრიად არანორმალურ სწავლების პირობებში იმყოფება. ამ პირობათა გამო ნორჩ ბავშვებს, რომელთაც ჯერ თავისი დედა-ენა ვერ შეუთვისებიათ რიგიანად, რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად შესწავლა უხდება, ხშირად ამისთვის მოწაფე ისე ამთავრებს სასწავლებელს, რომ არც ერთი ენა არ იცის წარჩინებულად. გარდა ამისა, მრავალ ენათა შესწავლა იმ ზომაზე იპყრობს მოწაფის ენერგიას, რომ მას ნაკლებად რჩება დრო რეალური ცოდნის მისაღებად. ეს ნაკლოვანება მოითხოვს ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის შეცვლას, რათა ერთი მხრით, ვერბალური სწავლების შეკვეთით მეტი ადგილი დაუთმოს რეალურ სწავლებას, მეორე მხრით კი, თვით ენების სწავლება უფრო რაციონალურად წარმოებდეს მოსწავლის ენერგიის მეტი კონცენტრაციის დაცვით“ [125, 57-58].

მიუხედავად ყოველგვარი ინტეგრირების გათვალისწინებისა, საქართველოში მცხოვრებმა ეროვნ-

ნულმა და რელიგიურმა უმცირესობამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის საჯარო განხილვის დროს რიგი საკითხების შესახებ სხვადასხვა პროექტი შემოიტანეს. კერძოდ, რუსთა და სომეხთა ეროვნულმა საბჭოებმა, ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირმა, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა – ყველამ საკუთარი პროექტი (სულ 7 პროექტი) წარადგინა და ყველა მათგანი საქართველოს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი გარკვეული უნდობლობით იყო განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა მიერ მოთხოვნილი უფლებების დაკმაყოფილება და მათი კონსტიტუციაში ჩადება თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თავად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას (მაგალითისთვის რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ე.წ. „ენათა თანასწორუფლებიანობის“ საკითხის დღის წესრიგში დაყენებაც კმარა, რომლის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში ფაქტობრივად, ქრებოდა სახელმწიფო ენის ცნება, რადგან აღნიშნული სტატუსით სარგებლობის პრეტენზია საქართველოში დაახლოებით 16-მდე ენას უჩნდებოდა). ყოველივე ამის მიუხედავად, მაშინდელი საქართველოს მესვეურებმა შეძლეს ამ ტიპის წინააღმდეგობის გადალახვა და თან ისე, რომ ამ ფონზე არცერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლება არ შელახულა [127, 92].

ბნელი ძალა კი თავისას აკეთებდა.. ჩვენი ქვეყნის მცირე „ოქროს ხანა“ – დემოკრატიული საქართველოს არსებობა 1921 წლის თებერვალში დამთავ-

რდა. რუსეთმა მეორედ დაიპყრო საქართველო და საბჭოთა რეჟიმი დაამყარა...

საბჭოთა რეჟიმი

ღიას, დედამიწის პატარა ნაწილაკი, რომელსაც ჰქვია საქართველო, ის საქართველო, ისტორიამ გეოპოლიტიკურ ჯვარს რომ აცვა, სასწაულებრივად გახდა ყველა იმ უბედურებისა და წინააღმდეგობის შესაყარი, რომლებიც იმპერიამ ჩაიმკვიდრა თავის გენეტიკურ კოდში, რომლებსაც ნიადაგ იწვევდა პროვოკაციულად, და რომლებიც ახლაც კი, მისი დაღუპვის შემდეგ გვაზანზარებს [128, 253].

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული ენის როლის დაკნინება – მკვეთრად შეზღუდა მისი მოქმედების სფერო, დაუშვა რა მისი მოქმედება მხოლოდ საკულტო ადგილების ფარგლებში და აგრეთვე მცირერიცხოვან-საგანმანათლებლო დაწესებულებებში [129, 192]. შემდეგში, რაც მეფის მთავრობამ დააკლო ქართულ ენას, ის ბოლშევიკურმა რუსეთმა შეუსრულა.

თვასლაჩინო ხდება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეროვნული ენისადმი და ეროვნული კულტურისადმი, როდესაც ვეცნობით ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერის ფ. მახარაძის მსოფლმხედველობას ამ პრობლემისადმი. იგი მიუთითებდა, რომ „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნა-

ციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“ [130, 129].

„ლენინური გვარდიის ჯარისკაცს“ სტეფანე შაუმიანს მიაჩნდა, რომ თურმე მთავარი ყოფილა „ის, რაც უნდა ასწავლონ ბავშვებს და არა ის, თუ რა ენაზე იქნება სწავლა-განათლება“.

სახელმწიფო ენისადმი მცდარი დამოკიდებულება ქართველმა ბოლშევიკებმა გამოთქვეს ჯერ კიდევ რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წლის ოქტომბერში. ყრილობა „მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას და ენათათანასწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“ [131, 329]. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება.

ამიტომაც იყო, რომ 1921 წლიდანვე ქართულ ენას პირველ რიგში რუსული ენა დაუპირისპირდა. რუსული ენა გაბატონდა საბჭოთა აპარატის თითქმის ყველა რგოლში, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო. თბილისში მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევდა, რომ „საქართველოს ბოლო მოეღო. „ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო“ [132, 180].

ხშირად ზოგიერთ დაწესებულებაში შტატების შემცირების საბაბით ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან მხოლოდ ეროვნებით ქართველს. მოკლე დროში გაუქმებულ თანამდებობას ალადგენდნენ და დანიშნავდნენ რუს ან სხვა არაქართული ეროვნების წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა საერ-

თოდ არ იცოდდა. „ბოლშევიკებმა თავისუფლებისა და ერის დამცველი გვარდიელები, ქართველი ოფიცრობა, ღირსეული მამულიშვილები, მწერლობა – ყოველივე ქართველი და ქართული საქმე ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს სამსახურში, დაწესებულებებში, რკინის გზებზე, დეპო-სახელოსნოში – ყველგან და თვით საკუთარ ოჯახშიც ქართველი დევნილი შეიქნა, უცხოელები გააბატონეს.“ [133, 58].

მართალია, უკვე 1921 წელს საქართველოს რევკომმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართული ენა ყოფილიყო. ბრძანების მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში ვალდებული იყვნენ მტკიცედ შეესრულებინათ ეს მითითება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მოქმედება პროვოკატორთა ჯგუფმა თბილისში, რომლებიც დუქნებზე, მაღაზიებზე და სხვა დაწესებულებებზე შლიდნენ ქართულ წარწერებს... [134, 59]. თბილისში მაღაზიების მფლობელთა უმრავლესობა არაქართველი იყო, რის გამოც ძნელდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება [135].

სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთი „ტრიბუნა“, რომ „რა გინდ გულწრფელი არ იყოს „კომუნიზმის“ მქადაგებელი, რაოდენ ძლიერი სურვილითაც არ უნდოდეს მას ამ მოძღვრების ძლიერება საქართველოში, იგი ვერ იპოვნის სწორ გამოძახილს მანამდე, სანამ არ მივა ქართველ ხალხთან იმ ენით რა ენაც მას ესმის და რომელზედაც მას შეუძლია აზროვნება“ [136].

ქართული ენა სახელმწიფო ენად აღიარებული იქნა 1922 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის მიერ, მაგრამ მისი ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ამ სახელმწიფოებრივი ენის სტატუსს. საზგასასმელია, რომ პირველი ქართულენოვანი ოქმი დათარიღებულია 1922 წლის 11 სექტემბრით [137, 86].

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, 1922 წლის ივნისის ბოლოს ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველები საქართველოში – ესენია ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მკვრობელი“ ერი – მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან ის არის გაბატონებული ერი საქართველოში“ [138, 192]. მწარე ღიმილის მომგვრელია საქართველოს და ქართველების შედარება ველიკორუსებთან. ორჯონიკიძის სიტყვით გამოდის, რომ თავის სამშობლოში გაბატონებული ერი „მკვრობელი“ ერი ყოფილა. ე.ი. არ ყოფილა კანონზომიერება, რომ საფრანგეთში ფრანგი, ინგლისში ინგლისელი და საქართველოში ქართველი ყოფილიყო ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნისა. იქვე „ბრძენ პოლიტიკოსს“ (და სხვა გამოსვლების დროსაც) აჭარლები ქართველებისაგან ცალკე ეროვნულ უმცირესობად მიაჩნია [138, 92, 193, 244, 150].

ორჯონიკიძის აზრით, „ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ თავიანთი საქმეები ქართულ ენაზე, მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე“ [138, 193-184]. აი, კიდევ ერთი ნიმუში სახელმწიფო ენის აბუხად

ავღებისა. გამოდის, რომ საქართველოში რამდენი ეროვნება ყოფილა იმდენ ენაზე უნდა ყოფილიყო საქმის წარმოება.

რენეგატ ქართველებს რა გამოლევდა, რომლებიც მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს და გამოჩინდნენ მრავლად რუსული ენის აპოლოგეტები. მაგალითად, თ. ღლონტის აზრით თურმე „რუსული ენა იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დიდი წყარო. ის იყო საქართველოს სიმდიდრის ერთი დიდი საშუალებათაგანი.“ რუსული ენის მეხოტბე იქვე მიუთითებდა: „ქართული ენის გამაგრება მხოლოდ რუსული ენით შეიძლება... ის რევოლუციის ენაა, ის ჩვენი ინტელიგენციის არსებობის ენაა, ჩვენი მარჩენალი ენაა, ჩვენი გაზრდის იარაღია“ [139].

სალაპარაკო ენათა თანასწორობის იდეამ მკვიდრ ეროვნულ მოსახლეობას მომავალში აუმხედრა ეროვნული უმცირესობის ნაწილი. ლოზუნგმა: „საკითხი სავალდებულო სახელმწიფო ენის შესახებ კარგავს სიმძაფრესა და მნიშვნელობასაც კი“ საქართველოს ტერიტორიაზე, მართლაც, დაუკარგა ქართულ ენას ის უპირატესობა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მშობლიურ, სახელმწიფო ენას ენიჭება. ფაქტობრივად სომეხს, აზრებაიჯანელს, ოსსა და სხვ. ისეთივე სურვილები და უფლებები გაუჩნდა, როგორც მათ უნდა ჰქონოდათ თავის საკუთარ რესპუბლიკებში [140, 35].

1923 წლის ივნისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „... ურთიერთობის ენა ახალქალაქის მაზრასთან – სომხურია, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში – რუსული ან თურქული, თვით მოსახლე-

ობის არჩევანის მიხედვით. ყველა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე ყველა დაწესებულება ვალდებულია გასცეს პასუხი იმ ენაზე, რომელზეც შემოსულია განცხადება“.

იმავე წლის 9 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ახალციხის მაზრაში დაწესდა აზერბაიჯანული, ქართული, რუსული და სომხური; მოცემული თემის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად ახალქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, ხოლო თემებთან ურთიერთობის ენა – რუსული, აზერბაიჯანული, ქართული და სომხური [141, 45].

შესაბამისად ამიერკავსკაიის ცაკის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტისა მაზრის იმ დაწესებულებებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაქართული ეროვნებისა იყო, საქმე უნდა ეწარმოებინათ ამ უმრავლესობის ენაზე.

რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, განსაზღვრული იყო, რომ მხარეს რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა და ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ეძლეოდა საჩივარი, განცხადება და სხვა დაეწერა ამ მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და მოეთხოვა პასუხი იმავე ენაზე [142].

ამრიგად, დეკრეტი იცავდა ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებებს და უზულებელყოფდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას. ზემოაღნიშნული აქტით ჩაგრული მხოლოდ ქართული ენა გამოდიოდა. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას არავინ ავალებდა ესწავლა და აუცილებლად სცოდნოდა იმ

ერის ენა, რომლის ტერიტორიაზეც იყო დამკვიდრებული. პირიქით, ქართველი ხდებოდა იძულებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე.

ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამოორიცხავს. ცალკეულ რაიონსა თუ მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრებისა.

1922 წლის თებერვალში თბილისის მაზრის აღმასკომმა ცირკულარები დაუგზავნა თავის განყოფილებებს და მიუთითა, რომ ყარაიაზის, აღბულაღის და წალკის თემების აღმსაკომებთან საქმის წარმოება რუსულ ენაზე ჰქონოდათ. ამ გადაწყვეტილებას თბილისის ხელისუფლება უსუსური არგუმენტით ამართლებდა. კერძოდ, ჩამოთვლილ აღმასკომებს თურმე არ ჰყოლიათ ქართული ენის მცოდნე თანამშრომელი, თითქოს ძნელი ყოფილიყო ქართველი თანამშრომლის გამოძებნა [143]. ასეთი მოქმედების შედეგს წარმოადგენდა (სომხების სიჭარბეზე რომ აღარაფერი ვთქვათ) თბილისის გადაქცევა არსებითად რუსულ ქალაქად.

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულება თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობას როდი მიეწერება. აქ საქმე გვაქვს ცენტრის კარგად ორგანიზებულ და შორს გამიზნულ ჩანაფიქრთან, რასაც მრავალი ქართველი კომუნისტი – ხელმძღვანელი ადგილზე ახორციელებდა.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „ტრიბუნა“ სისტემატურად აშუქებდა ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ელემენტის შევიწროების ფაქტებს, რამაც გააბოროტა სომხური გაზეთი „კარმირ ასტლი“. სომხურმა გაზეთმა აშკარა ბრძოლა წამოიწყო „ტრიბუნას“ წინააღმდეგ, რითაც გამოხატა თავისი პოზიცია და მდგომარეობა უფრო გაართულა [144].

ფოთში, სადაც მოსახლეობის 99%-ს ქართველები შეადგენდნენ, არსებობდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის აქციონერული საზოგადოება „ჩემო“-ს განყოფილება. სამწუხაროდ საქმის წარმოება აქაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა არაქართველებს ეკავათ. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოხუმის სახალხო ბანკში [144].

ახალციხის მაზრაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უპირატესობა ეძლეოდა თურქულენოვან მოსახლეობას. საქმის წარმოება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეროვნულ ენებზე მიმდინარეობდა [142, 2].

ბორჩალოს მაზრის ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის წარმოებაში ქართული ენის დანერგვის მოთხოვნის გამო. როგორც ჩანს, მთელს აპარატში არ მოიპოვებოდა ერთი ქართველი ან ქართული ენის მცოდნე. ამიტომ მოითხოვდნენ, რომ რესპუბლიკის მთავრობის ყველა უწყებას საქმე ეწარმოებინა მხოლოდ რუსულ ენაზე [146, 12].

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მრავალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურდნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. მაგალითად, 1924 წლისათვის საქართველოს ცეკავშირში 217 თანამ-

შრომლიდან 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 50-დან 11, ხოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატში 268 თანამშრომლიდან 58 სომეხი იყო. 1925 წლისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებული 43 878 კაციდან 5 892, ხოლო ახალციხის მაზრის ყველა დაწესებულებასა და საწარმოებში 1254 კაციდან 335 სომეხი მუშაობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში [147, 44-45].

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიის შექმნის ინიციატორებად ქემალ ფაშა და ლენინი გვევლინებიან. ოსმალთა უღელქვეშ მრავალტანჯულ აჭარას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სათუთი მოპყრობა და ქართული სულის აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე არ მიაქციეს ყურადღება საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილს. საინტერესოა, რომ აჭარის სახალხო სამეურნეო საბჭოში სულ 233 თანამშრომელი იყო; აქედან 90 რუსი, 48 სომეხი, 7 პოლონელი, 2 უკრაინელი, 13 ბერძენი, 10 რუსი ებრაელი, ქართველი კი მხოლოდ 53. საბჭოს გამგედ და საერთოდ ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არაქართველები იყვნენ დანიშნული. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული არ იცოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში.

მართალია, ქართველები არაქართველობით არავის იწუნებდნენ, მაგრამ თანამდებობის პირებისაგან

სამართლიანად მოითხოვდნენ ქართული ენის ცოდნას.

ყალბად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა, თუ კადრების შერჩევის შეგნებულად გააზრებულმა პოლიტიკამ აჭარაში, საშიშროება შეუქმნა ეროვნული კულტურის განვითარებას [148].

ამავე პერიოდში დამკვიდრდა ყოველად გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა აჭარელი არ შეიძლება და ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი, ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად ეს იყო უზნეო ღონისძიებათა მთელი თაიგული, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპირისპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი ქართველობა [149, 54]. ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ხრუცკი აშკარად აცხადებდა: „ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვო“ [132, 179].

1924 წელს საქართველოს ცაკმა გამოსცა დეკრეტი „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის ხმარების შესახებ“, რომლის მიხედვით საქართველოს სსრ სახელმწიფო ენას ქართული წარმოადგენდა. დეკრეტი ნებას რთავდა სახელმწიფო დაწესებულებებში გამოყენებული ყოფილიყო არაქართველი ეროვნების მცხოვრებთა უმრავლესობისა და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა სალაპარაკო ენა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებები, განკარგულება და განცხადება ქართულთან ერთად უნდა გამოქვეყნებულიყო მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნულ უმცირესობათა სალაპარაკო ენაზე.

დეკრეტის VI მუხლი ნებას რთავდა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მისთვის მშობლიურ ენაზე შეეტანა განცხადება, საჩივარი თუ ცნობა (წერილობით და სიტყვიერად) ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და პასუხიც მიეღო მისთვის სასურველ ენაზე.

იმ მაზრებში, სადაც ქართველებს არაქართველები ჭარბობენ საქმის წარმოება უნდა ყოფილიყო უმრავლესობის ენაზე. მაზრების ურთიერთობა ცენტრალურ ორგანოებთან და პირიქით წარმოებდა მოცემული „მაზრის დაწესებულებებში საქმის წარმოებისათვის მიღებულ ენაზე“.

დეკრეტის XII მუხლით „პირს, ვინც არ ეკუთვნის იმ ეროვნებას, რომლის ენაც სახმარებლად ცნობილია მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან რომელსამე მაზრაში, ნება ეძლევა ყველა დაწესებულებაში, ამ დეკრეტის VI მუხლში გათვალისწინებული წესით, იხმაროს რუსული ენა“ [150, 5].

წარმოვიდგინოთ რა ბაბილონის გოდოლი იყო საქართველოში ამ „ბრძნული“ დადგენილების შედეგად. ახალციხის, ბოლნისის თუ სხვა მაზრის ხელისუფლება და მოსახლეობა თურქულად ებაასებოდა რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს, ხოლო ბოგდანოვკის მცხოვრებნი სომხურად და ასე ყველა დანარჩენი.

ფაქტიურად დეკრეტი უარყოფდა იმავე დოკუმენტით მიღებულ უფლებას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ.

ანალოგიურად, საქართველოს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1924 წლის 2 ივლისის დადგენილებაში აღინიშნა, რომ „წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომიტეტებს, რათა საქართველოს ცენტრალური აღმასკომის ა/წ. აპრილის 4-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად, რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის ხმარების შესახებ, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ს.ს. რესპუბლიკებთან და ახალქალაქის და ბორჩალოს სამაზრო აღმასკომებთან ყოველგვარი მიწერ-მოწერა აწარმოონ რუსულ ენაზე“ [151, 4].

თბილისის უნივერსიტეტი იყო ინტელიგენციის, ნამდვილი ქართველი პატრიოტების უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. აქ დაახლოებით ხუთი ათასი სტუდენტი სწავლობდა ხუთ ფაკულტეტზე. ლექციები ბუნებრივია ქართულად ტარდებოდა. „წითელი“ დიქტატურის დამყარების შემდეგ ცხადია, ნორმალური ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რექტორი, ჩვენი ერის სიამაყე ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტს ჩამოაცილეს. იგი შეცვალა ბოლშევიკების სამსახურში ჩამდგარმა ვინმე ღლონტმა, გაუნათლებელმა კაცმა, რომელიც ახალგაზრდობაში, სტუდენტიც კი არ ყოფილა.

პედაგოგებს ებრძანათ ლექციები რუსულ ენაზე ჩატარებინათ, იმ ცრუ საბაბით, რომ სტუდენტები კარგად დაუფლებოდნენ რუსულს და სწავლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში მუშაობის საშუალება ჰქონოდათ... ამ ცინიკურმა ქმედებებმა სტუდენტთა

რეაქცია გამოიწვია. აღელვებული ახალგაზრდების დასაწყენარებლად უნივერსიტეტში წითელი რაზმები შევიდნენ. გადმოცემით მოკლეს 13 და დაიჭრა 60-ზე მეტი ადამიანი [152, 28-29].

ჩვენი მწერლობის წარმომადგენლები ფხიზლად იდგნენ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. „ჩეკას“ მხრივ მოსალოდნელი მკაცრი რეპრესიების მიუხედავად აშკარად ილაშქრებდნენ ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის მაგალითია 1925 წლის 22 ივნისს ქართველ ხელოვანთა ერთი ჯგუფის მემორანდუმი, რომელშიც გაკრიტიკებულია საქართველოს საბჭოთა მთავრობის საკადრო პოლიტიკა, ოფიციალური ხელისუფლების მიერ ქართული ენის უგულვებლყოფა და ა.შ. მემორანდუმს ხელს აწერენ კონსტანტინე გამსახურდია, ია კარგარეთელი, ანასტასია წერეთლისა. აი ეს დოკუმენტიც: „საქართველოს სახელგამის გამგედ დანიშნა მოქალაქე ვირაპი, კაცი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა და მწერლობისა ქართულ კომუნისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რაც თავის დროზე აღნიშნული იყო ქართველ ხელოვანთა კავშირის დეკლარაციაში. მოქ. ვირაპის დანიშვნაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევას, რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას უშუალო კავშირით ვიქონიოთ მთავრობის მოხელესთან, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი პროფესიის მიხედვით, და ჩვენ იმდენად ლოიალური ვართ, რომ არ გვინდა დავარღვიოთ

საქართველოს მთავრობისავე დეკრეტი სახელმწიფო ენის სავალდებულო ხმარების შესახებ.

ჩვენ გამოვსთქვამთ განცვიფრებას, ნუთუ ქართველობას არ მოეძევა ისეთი ქართველი კომუნისტები, რომელთაც უფრო მაღალი თანამდებობების შესრულება შეუძლიათ? ნუთუ საქართველოში არ არის თვით კომუნისტურ წრეებშიც ისეთი კაცი, რომელსაც ქართული სახელგამის ხელმძღვანელობა შეეძლოს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, მთავრობა არ დაინახავს ამაში არალოიალობას და უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ განცხადებას, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის სიყვარულით და ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალური განწყობილებით“ [153].

ქართული ენის დევნისა და შევიწროებისადმი ასევე ვერ მალავს აღშფოთებას საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი – იმუამად პოლიტიკური პატიმარი ანდრო ჭიაბრიშვილი. ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში პოლიტპატიმარი აღნიშნავდა: „ქართველებს რუსული ენის არცოდნის გამო დევნიან სამსახურიდან, ფორმალურად დატოვებული სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად განდევნილია ყველა ორგანიზაციიდან... რუსული ენა გაბატონებულია კომკავშირსა და პროფკავშირში... ენის შესახებ თქვენმა დეკრეტებმა გამოავლინეს მთელი შინაგანი სიყალბე“. ამაზე ობიექტური შეფასება არსებული ვითარებისა შეუძლებელია. მით უფრო, რომ ა. ჭიაბრიშვილი განსაკუთრებით აკრიტიკებს ხელისუფლების ენობრივ პოლიტიკას საქართველოს რეგიონებთან დაკავშირებით. იგი გულმოსული მიუთითებს: „ქართული ენის სტატუსი არ ვრცელდება რეგიონებ-

ზე, ოსეთში არცერთი რუსული ენის მცოდნე არ ცხოვრობს, ასევე სოხუმში... ოსებსა და აფხაზებს არც ოსურად წერა-კითხვა არ შეუძლიათ. მაშ, რატომ უნდა ისაუბრონ იქ რუსულად, როდესაც იციან ქართული? რა ენაზე უნდა სწავლობდნენ სომხები და ბერძნები? მათ ხომ კარგად იციან ქართული და რატომ ასწავლიან მათ სკოლებში რუსულ ენაზე? რა ენაზე უნდა სწავლობდნენ აჭარლები? ისინი ხომ ეთნიკური ქართველები არიან?“ ის, რომ ა. ჭიაბრიშვილის წერილში მოყვანილი ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის იგნორირების შესახებ, მართლაც ჭეშმარიტებას შეეფერება, დასტურდება დოკუმენტური წყაროებით. მაგალითად, 1923 წელს აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარს – აგრბას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა სწორედ იმის გამო, რომ მან უგულებელყო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი და თბილისიდან არ მიიღო ქართულ ენაზე შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი იმ საბაბით, რომ „აფხაზეთში ოფიციალურ სახელმწიფო ენას წარმოადგენდა რუსული [154, 70-71].

ქართული ენის მოწინააღმდეგენი ხშირად ამკარა მტრულ პოზიციას ავლენდნენ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სადგურის რკინიგზის ინსპექტორმა ლახტერმა ქართულ ენაზე შედგენილი და ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტი დახია და მოითხოვა მისი შედგენა „გასაგებ ენაზე“ და თან დოკუმენტს დემონსტრაციულად ხელი ებრაულად მოაწერა. თბილისის ტელეგრაფის მე-3 უბნის უფროსმა ვინმე როგოვსკიმ ქართველ მუშებს განუცხადა: „მე

არ მესმის შენი ძაღლური ენა, ილაპარაკე რუსულად“.

განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა რკინიგზაზე. აქ ზოგიერთი რუსი ეროვნების თანამშრომელი აშკარა საბოტაჟს უწევდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსამტკიცებლად წარმოებულ საქმიანობას, ცდილობდა საქმის არეგ-დარეგას, ზოგჯერ ერთი მიმართულებით მიმავალ მატარებელს სრულიად სხვა მიმართულებით უშვებდნენ, რადგან მათ ქართულენოვანი დოკუმენტები ჰქონდათ და სხვ. [137, 87-88].

1928-1929 წლებში რესპუბლიკის რიგი წამყვანი საწარმოს ხელმძღვანელი არაქართველია: 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორი იყო ჩეხი – ბურეში, ორთქლმაგაღვავონშემკეთებელი ქარხნის – არუთინოვი, ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის – აბრამიანი, ბორჯომის შუშის ქარხნის – ევანოვი, ბათუმის თუთიის ქარხნის – ჟეგლოვი, კალინინის სახელობის ქარხნის ავეტიკოვი, ბათუმის თუჯის ჩამოსასხმელი ქარხნის – მეცლერი, თბილისის ძაფსახვევი ქარხნის – ხურდა და ა.შ. [155, 86-87].

აბრების, რეკლამების ქართულ ენაზე წარმოჩენას მტრულად ეკიდებოდნენ თბილისელი სომხები. მაგალითად, ღვინით ვაჭრობის ფირმამ „ობოროტმა“, რომლის მფლობელი იყო ვასილ პინინოვი (სოლოლაკის ქ. №5) განცხადებით მიმართა სათანადო უწყებებს, რომ ფირმის ქართული სახელი „ბრუნვა“ ვერ ითარგმნებოდა და რუსული სიტყვა უნდა დარჩენილიყო ქართული ასოებით [156, 2].

გარდა იმისა, რომ მაღაზიებსა და დაწესებულებებზე ძნელდებოდა რუსული წარწერების შეცვლა

ქართულით, სადაც ცვლიდნენ იქაც რუსულის გავლენით ამახინჯებდნენ ქართულ ენას. მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში გვხვდებოდა ასეთი წარწერებიც: „კამპეტი რდხით“, „წიგნაკთა პერერევისტრაცია“ და სხვ. მაშინდელი ჭეშმარიტი ქართველობა ძალიან მწვავედ განიცდიდა ქართულისადმი ამგვარ ბარბაროსულ დამოკიდებულებას [157, 211].

1926 წლის ბოლოს ქუთაისში 45 238 სული ცხოვრობდა. აქედან რუსულ ენას დედაენად თვლიდა 1001 კაცი, უფრო მეტი, ვიდრე რუსი ეროვნების მცხოვრები იყო [158, 18]. ეს ფაქტი რუსიფიკაციის წარმატებით აიხსნება.

1927 წელს საქართველოს კპ (ბ) ხელმძღვანელობამ აშკარად გადადგა ნაბიჯი უკან: ახალციხის მაზრაში ძირითად ენად გამოცხადდა თურქული ენა. გადაისინჯა ადგილობრივი ადმინისტრაციული კადრების ეროვნული კუთვნილების საკითხიც, რაც გულისხმობდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა აპარატის ნაციონალიზაციას – ადგილობრივი უმრავლესობის წარმომადგენლების აქტივიზაციას, მაკმადიანი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დამკვიდრებას პარტიულ და საბჭოთა თანამდებობაზე ვაკანსიის დროს.

მაგრამ თურქული ენის მცოდნე ინტელიგენციის თითქმის არარსებობის პირობებში მეტად გაძნელდა დადგენილების ამ მოთხოვნების შესრულება. ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვადა რუსული ენის გამოყენება სასწავლო დაწესებულებებში, რაც უფრო გასაგები იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

აშკარაა, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რადგან ხელს ვეღარ შეუწყობდა რეგიონში სახელმწიფო ენის – ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას და ამ მხარის ენობრივ ინკორპორაციას ცენტრთან – თბილისთან. მსგავსი პროცესები დამახასიათებელი იყო ახალქალაქის მაზრისათვის, ბორჩალოსათვის. შეიქმნა რთული ვითარება: ისტორიული საქართველო – მესხეთ-ჯავახეთი, ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგად საქართველოს ერთიან სხეულს ჩამოცილებული, გამაჰმადიანებული, გასომხებული, მშობლიურ ენა დაკარგული, თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ხანგრძლივად მყოფი, თურქული ორიენტაციით, რუსეთის სამხედრო ჩარევის შედეგად უკან მიერთებული, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წყალობით ქართულ სამყაროსთან გაუცხოებული, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ამ გადაწყვეტილებით კვლავ უნდა ყოფილიყო ფორმალურად საქართველოსთან, ფაქტობრივად კი თავისთვის [159, 164-165].

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ქესალოსა და ნაზარლოში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ბრალდებული და მოწმე სასამართლო უწყებას რუსულ ენაზე იღებდნენ, სასამართლო აქტები ასევე რუსულ ენაზე ფორმდებოდა [160, 142].

1929 წლიდან რუსული ენის გაბატონებამ საქმის წარმოებაში, რომელიც გაუგებარი იყო ადგილობრივი ეროვნული უმცირესობისათვის დაკანონებული ხასიათი მიიღო. ამდენად, ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქართული ენის იგნორირება და ეროვნულ უმცირესობათა ენების მოჩვენებითი ყურადღების ფონ-

ზე რუსულის დამკვიდრება, რაც ბოლშევიკური რეჟიმის ქვაკუთხედად იქცა.

თურქული თუ აზერბაიჯანული ენის უცოდინარობის გამო ვერ ახერხებდნენ სამედიცინო პროფილაქტიკური ცოდნის პროპაგანდას მოსახლეობაში. ქართულ ენას კი არ ცნობდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე [161, 3].

სამაგიეროდ კი საბჭოთა რეჟიმის დამყარების დღიდან, კრემლის მითითებით სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეულმა წრეებმა მრავალჯერ დააყენეს მეგრელებისათვის ნაციონალური ოლქის ან ოკრუგის შექმნის მოთხოვნა. 1929 წელს მათ შეძლეს გამოეცათ მეგრულ ენაზე (ქართული ანბანით) გაზეთი. სასამართლოსა და საბჭოთა აპარატის მუშაობა გარდაქმნეს მეგრულ ენაზე. ასევე, მეგრული სალაპარაკო ენა გაბატონდა დაწყებით კლასებში და წერაკითხვის სალიკვიდაციო სკოლებში [162, 4]. მეგრულ ენაზე გამოდიოდა ბროშურები და სახელმძღვანელოები პირველი საფეხურის სკოლებისათვის. აღსანიშნავია, რომ პირველი საფეხურის 15 სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა მეგრულ ენაზე და მომავალში გათვალისწინებული იყო ყველა სკოლაში სასწავლო პროცესის მეგრულ ენაზე გადასვლა [162, 12].

შემთხვევითი არ არის, რომ ეროვნული უმცირესობებისათვის 1932-1933 სასწავლო წელს შედგენილ სახელმძღვანელოების გამოსაცემ სიაში მეგრული სახელმძღვანელოც არის დასახელებული. წერაკითხვის უცოდინართათვის სახელმძღვანელოების გამოცემის ხელშეკრულების ტექსტში, რომელიც დადებულ იქნა განათლების სახალხო კომისრის ერიკ ბედიას მიერ სახელმწიფო გამომცემლობასთან რუ-

სულ, სომხურ, თურქულ, ბერძნულ, ქართულ და აისორულ ენებზე; შეტანილია სახელმძღვანელო მეგრულ ენაზეც 5 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით [163, 1].

„მართალია – აღნიშნულია საქართველოს ცაკის დოკუმენტში–მეგრელები არიან იგივე ქართველები და განსაკუთრებულ ერს არ წარმოადგენენ... მეგრული სალაპარაკო ენა, რომელზეც ლაპარაკობს მეგრელი გლეხობის ძირითადი მასა და მათ ცუდად ესმით ქართული ენა... “ ყურადღებას საჭიროებდა ხელისუფლების მხრიდან [164, 3].

1933 წელს სათანადო ორგანოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „მეგრულ ენაზე სწავლის შემოღება თუნდაც 1-ლ ჯგუფში არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს“ [163, 41]. ჯერ კიდევ 1904 წელს „ივერია“ აღნიშნავდა: „სულიერი ინტერესი და ეკონომიკური აუცილებლობა ყოველთვის ქართულ ენასთან მიიყვანს მეგრელს, ის ვერ შეეღწევა ამ ენას, როგორც ვერ შეეღწევა ჰაერს, სარწმუნოებას, თავის მიწა-წყალს“ [165].

ზემოთ აღნიშნული პროცესების შემხედვარე მრავალ ეთნოგრაფიულ ჯგუფს გაუჩნდა სურვილი შეექმნა ანბანი. მაგალითად, ლაზები, რომელთა რაოდენობდა მხოლოდ 639 სულს შეადგენდა გადაწყვიტეს ანბანის შექმნა. აფხაზეთში ისინი სულ 85 კომლს შეადგენდნენ და გაფანტულად ცხოვრობდნენ ოთხ სოფელში. აქ ლაზურად სწავლას არც მოსწავლეები ეტანებოდნენ და არც სასწავლებელს ჰქონდა ავტორიტეტი.

აჭარაში, კერძოდ, სოფელ სარფში, სადაც 50-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა, იყო ქართული სკოლა.

1932 წელს ლათინიზაციის კომიტეტის ხელშეწყობით შეადგინეს ანბანი ლაზურად და ლათინური შრიფტით, განათლების სახალხო კამოსარიატის უნებართვოდ დაბეჭდეს აფხაზეთში. ანბანის შექმნის ინიციატორები ლაზურად სწავლებას მოითხოვდნენ ოთხწლედში, შემდეგ კლასებში კი – რუსულ ენაზე გადასვლას. ლათინური ანბანის საფუძველზე შემოღებას იმით ასაბუთებდნენ, რომ თურქეთის ლათინიზაციის გამო უფრო ადვილი გახდებოდა თურქეთის ლაზებთან დაკავშირება.

სარფის სკოლამ და მოსახლეობამ ამ სახელმძღვანელოს და, საერთოდ, ლაზურად სწავლებას მხარი არ დაუჭირა, რადგან, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა წერდა: „ქართული ენა მთელი თავისი აგებულებით და ძირთა უმეტესობით ემთხვეოდა მეგრულსაც და ჭანურსაც, გონებრივი ფსიქოლოგია ერთია. ამიტომ აღმზრდელობითი თვალსაზრისით მას შეუძლია უზრუნველყოს მოსწავლის ფსიქიკის ბუნებრივი, შეუფერხებელი განვითარება, მით უმეტეს, რომ ქართულად მას შეუძლია მიიღოს საშუალო და უმაღლესი განათლება. ჩასწვდეს თავის მეტყველებას, თავის წარსულს. ამგვარად, ქართული ანბანი სრულებით ფარავს ლაზურის საჭიროებას, მაშინ როდესაც ლათინურ შრიფტში მთელი რიგი დამატებითი ნიშნები უნდა შეიქმნას“ [147, 83].

ამავე პერიოდში ქართველმა კომუნისტებმა კიდევ ერთი „კაცთმოყვარეობა“ გამოიჩინეს. 1930 წელს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებით, გერმანელებით დასახლებულ სოფლებში: ლუქსემბურგში, ასურეთში და ტრაუბენბერგში გადაწყვიტეს მოეწყოთ სასოფლო-საბჭოები, სადაც

მხოლოდ გერმანელები იქნებოდნენ აპარატის მუშაკებად. ამით უნდოდათ უზრუნველყოთ მთლიანად საქმის წარმოება გერმანულ ენაზე. თბილისის საქალაქო კომიტეტს მითითება მიეცა შეემოწმებინა სასოფლო-საბჭოების დეპუტატთა ეროვნული შემადგენლობა და ხელი შეეწყო მხოლოდ გერმანელებით დაკომპლექტებაში [166, 30].

ბოლშევიკური რეჟიმი განმეორებითი დადგენილებებით კვლავ ადასტურებდა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, 1932 წლის 29 თებერვალს ამიერკავკასიის ცაკის დადგენილების თანახმად ახალქალაქის რაიონში საქმის წარმოების ენად მიღებულ იქნა სომხური, ყარაიაზის, ლუქსემბურგის, ბაშკირეთის, ახალციხის, ადიგენის რაიონებში თურქული [167, 6]. ამ დროისათვის ახალციხის მაზრის ქურთი მოსახლეობა თურქულ ენაზე ლაპარაკობდა [168, 12].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით 30-იანი წლების დასაწყისიდან ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში სასამართლო საქმის წარმოება ხდებოდა რუსულ ენაზე. ამ დროისათვის საერთოდ უგულვებელყოფილ იქნა ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. არაქართველს თუ რუსული არ ეცოდინებოდა თარჯიმანს აუყვანდნენ. ქართული, მხოლოდ ქართველთა სალაპარაკო ენას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისათვის ქართული ენის არსებობა არაფერს ნიშნავდა. საქართველოში ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“ მხოლოდ არაქართველებისა და რუსული ენის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ცნობილია, რომ ბოგ-

დანოვეის რაიონში ცხოვრობდნენ სომხები, რუსი დუხობორები, თათრები და თურქები. უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ. როგორც ზევით აღინიშნა ყველა ეროვნებას მოწყობილი ქონდა ე.წ. „ქვედა საბჭოთა აპარატი“ მშობლიურ ენაზე. რაიონულ ცენტრს საქმის წარმოება სასოფლო – საბჭოებთან და პირიქით ჰქონდა იმ ენაზე, რომელიც ითვლებოდა ძირითადად ამა თუ იმ სასოფლო საბჭოსა და სოფელში.

სასამართლოში ლაპარაკი წარმოებდა რუსულ და სომხურ ენაზე, ხოლო განაჩენი და გადაწყვეტილება გამოჰქონდათ მხოლოდ რუსულ ენაზე [169, 5-6].

განსხვავებით სხვა ეროვნული უმცირესობისაგან კომუნისტები ხშირ შემთხვევაში ანტიებრაულ პოლიტიკას ატარებდნენ. მაგალითად, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა სამართლიანად მოითხოვეს, რომ სასკოლო განათლება ებრაულ ენაზე მიეღოთ, ისე, როგორც ეს სხვა ეროვნებებისადმი კეთდებოდა. მაგრამ ქართველ ბოლშევიკებს რატომღაც არ აწყობდათ ებრაელებისათვის ხელის შეწყობა. საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე 1932 წელს აღნიშნავდა: „დავისახოთ მიზნად ძველი ებრაული ენის აღორძინება, ეწინააღმდეგება ჩვენს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ეს ენა წარმოადგენს რელიგიის ენას, ებრაულ ნაციონალურ-შოვინისტური პარტიის – სიონისტებისა და ბურჟუაზიის ენას. ამ ენის აღორძინება, ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას. ამ ენის აღორძინება იქნება პოლიტიკური შეცდომა“ [170, 5]. ამ დროს ქართული ენის შენახვა – პატრონობაში მესხეთის ებრაელობას დიდი ღვაწ-

ლი მიუძღვის და ასეთი მისი სამსახური არასოდენ უნდა იქნას დავიწყებული. 900-იანი წლების ახალციხეს თუ კიდევ ქართული იერი შერჩენილი ჰქონდა, ეს ებრაელების წყალობა იყო [171, 135-136].

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის შესახებ გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა, რომ „ჩვენ არავის ვაიძულებთ ჩვენ სამშობლოში ეძიოს ბედნიერება. მაგრამ რაკი უცხოელები თავისი სურვილით მოდიან და ჩვენს მიწა-წყალზე ესახლებიან, ჩვენ ზნეობრივი უფლება გვაქვს ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ“ [24, 32].

გრიგოლ ღორთქიფანიძე „დაუჯერებელ ამბად“ თვლიდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და „ეროვნულად ჭრელ“ კუთხეებთან ურთიერთობას რუსულად აწარმოებდა, „რომ ეროვნული უმცირესობანი საქართველოს ხაზინას რატომღაც რუსულად უნდა გაენათლებინა და რუსულადვე ემართა“ [172, 157].

ქართული ენის პრობლემებს გრიგოლ ღორთქიფანიძე ქართული კულტურის მდგომარეობასაც უკავშირებდა. „საუკუნის განმავლობაში დაკოდილი და დასახინრებული ქართული კულტურა, მისი სკოლა, წიგნი, გაზეთი, თეატრი და სხვა ერთგვარ სოციალისტურ ანაზღაურებას უნდა ღებულობდეს წმინდა რუსული ე.ი. რსფსრ-ის ბიუჯეტიდან, ნამდვილად კი ხდება დაუჯერებელი ამბავი, ქართული ხაზინა უდიდეს ხარჯს აძლევს რუსული კულტურისა და ენის საქმეს“.

საქართველოში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების დიდი რაოდენობა რუსულ ენაზე გამოდიოდა.

„როგორ შეუძლია პაწია ქართველ ხალხს ისეთი გიჟური ფლანგვა, როგორიცაა საერთო ორ ენაზე ცხოვრება“ – კითხულობდა გ. ლორთქიფანიძე [172, 157-158].

ქართული ენის დაკნინების ნათელი მაგალითია საქართველოში ლენინის ტომებზე ხელმოწერის კამპანია, რომელიც მიმდინარეობდა ტომების ქართულ და რუსულ ვარიანტზე. ეს თანაბარი კომპლექტები (25 ტომი) რუსულ ენაზე ღირდა 15 მანეთი და უნდა დაბეჭდილიყო ერთი წლის განმავლობაში, ქართულად კი 100 მანეთი. დაიბეჭდებოდა ხუთი წლის მანძილზე.

აქვე ავღნიშნავთ, რომ რუსულენოვანი გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“ ღირდა 2 კაპიკი, ხოლო ქართული გაზეთების ფასი 5 კაპიკზე ნაკლები არ იყო [172, 160].

სიამაყის გრძნობით არის აღნიშნული რუსეთში გამოსულ სახელმძღვანელოებში, რომ 1926 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მშობლიურად თვლის თავისი ეროვნების ენას და, პირიქით, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მშობლიურად თვლის რუსულ ენას. (მაგალითად, მანსების, სელკუპების, ნივხებისა და ოხოჩების 50%) [173, 377].

აღსანიშნავია, რომ 1926 წლიდან 1979 წლამდე ერების რაოდენობა საბჭოთა კავშირში თითქმის განახევრდა: 194-დან 101-მდე დავიდა [174].

ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებებისადმი 20-იან წლებში დაწყებულმა დახმარებამ 30-წლებში გარკვეული შედეგი გამოიღო. ამდენად, „ადრე ჩამორჩენილმა ხალხებმა დაიწყეს და-

წინაურება იმ ხალხებთან შედარებით ვინც მათ დახმარება აღმოუჩინა. შემდგომში ასეთი ვითარების შენარჩუნებამ საშიშროება შექმნა ახალი, ფაქტიური უთანასწორობის წარმოშობისათვის“ [175, 150].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ენათა თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ სათავე დაუდო არამკვიდრი ეროვნების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საქართველოს წარსულისა და ქართველებისადმი. საფუძველი ჩაუყარა ერებს შორის ეთნოკონფლიქტების წარმოშობას, რამაც განსაკუთრებით XX საუკუნის 80-იან წლებში იჩინა თავი. სხვა საქმე იყო და სავსებით კანონზომიერი რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის ქართველებთან ერთად პოლიტიკური თანასწორობის დამკვიდრება.

წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისსა თუ საფრანგეთში თუნდაც კომპაქტურად ყოფილიყვნენ ქართველები დასახლებული, ინგლისურთან და ფრანგულთან რომელი ჭკუათმყოფელი მიანიჭებდა ქართულს თანაბარ უფლებებს. ან დღევანდელ გერმანიაში კომპაქტურად დასახლებულ თურქ ემიგრანტებს გერმანული ენის თანასწორი უფლებები რომ მიანიჭებოდა.

საინტერესოა, თუ ასეთი პოლიტიკა მართებული იყო, რატომ საბჭოთა რუსეთმა არ მისცა ისეთივე თანაბარი უფლებები არარუსი ეროვნების ენებს, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ?

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით სომხებს, ოსებს და ზოგიერთ სხვა ეროვნებას ქართული მიწის საკუთრებად მითვისების სურვილი გაუჩნდა. რაში ჭირდებოდა და რისთვის დაეუფლებოდა ქარ-

თულ ენას სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ოსი თუ აფხაზი, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ნებისმიერ ეროვნებას შეეძლო თავის ენაზე მიემართა და პასუხიც მისთვის სასურველ ენაზე მიეღო.

რა თქმა უნდა, ამას არავითარი ინტერნაციონალიზმი არ ჰქვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იმ ხელისუფლების მიერ, თავს საქართველოს მთავრობას რომ უწოდებდა.

ებრაელი ხალხი, რომელიც 2000 წელზე მეტია საქართველოს მიწაზე ცხოვრობს, თავს მაინც მოსულად თვლის და საქართველო ისრაელის წმინდა მიწის შემდეგ მეორე სამშობლოდ მიაჩნია. ხოლო ოსები, სომეხები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა ლტოლვილი წინაპრის სასოებით მოპყრობილი სახე დღესაც ცოცხალია, მასპინძლის როლში გვევლინება. არასწორი იყო ზოგიერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელის აზრი, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ჯერ ერთი ვალდებული იყვნენ ესწავლათ. მეორეც, ჯერ კიდევ 1922 წელს აკად. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრივ ენას წარმოადგენს. მეცნიერის დაკვირვებით, იმ დროისათვის ქართულად ლაპარაკობდა „კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომეხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ – დიდოელნი, და თურქებიც კი...“ [176, 42].

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება „რუსული ენის სწავლების დაყენების შესახებ საქართველოს ყველა საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში“. საგულისხმოა, რომ 1934 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

რუსული ენის სწავლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობამ თანდათანობით წამყვანი ადგილი დაიკავა საქართველოში. ამას ხელს უწყობდნენ პარტოკრატი „წითელი პროფესორები“, რომლებიც რუსულს თავიანთ ძირითად სამუშაო და სალაპარაკო ენად იყენებდნენ. ზოგმა მათგანმა ქართული ხეირიანად არც იცოდა. მათ შორის იშვიათად თუ ვინმე ფლობდა უცხო ენას. ამიტომ „წითელ პროფესორებს“ აღიზიანებდათ უცხო ენის პროპაგანდა და მის მიმართ ყურადღების გამახვილება [177, 90].

სკკპ XX ყრილობის შემდეგ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ფართო ხასიათი მიიღო. რუსეთის პრესაში ბევრჯერ ეს კრიტიკა, ფაქტობრივად, ქართველი ერის ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა.

ბუნებრივია, იოსებ სტალინის კულტი საქართველოში უფრო მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. წლების მანძილზე სტალინისა და სამშობლოს სიყვარულს ერთნაირი ძალით უნერგავდნენ ახალგაზრდობას.

საქართველოზე ზეწოლა ქართული ენით დაიწყო. 50-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად იგრძნობოდა ქართული ენის შევიწროების ფაქტები. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქართული ენის

იგნორირებას, სხვადასხვა ორგანიზაციებში ამახინჯებდნენ ქართულ ენას. დედაქალაქის ქუჩებში კინოთეატრების როგორც რეკლამები, ისე წარწერები, მხოლოდ რუსულ ენაზე სრულდებოდა [178, 163].

კომპოზიტორთა ყრილობაზე, მხატვართა შეკრებაზე ქართულად ხმას არავინ იღებდა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართული ენა გადაიქცა ოჯახური ურთიერთობის გამომხატველ ენად [178, 194].

XX საუკუნის 60-იან წლებში საკავშირო მთავრობამ მოითხოვა, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას ქართულის ნაცვლად შემოეღო რუსული ენა. ასევე შეუმცირა დაფინანსება ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეროვნული განსხვავებულობის წასაშლელად შემოიტანეს ახალი ცნება – „საბჭოთა ხალხი“ [179, 43].

ქართველი ერი არ შერიგებია იმპერიულ ეროვნულ პოლიტიკას და მის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორუმებზე, ყრილობებზე გამოდიოდნენ. ამ მხრივ, გამორჩეოდა ქართველი სამეცნიერო ინტელიგენცია. აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა მტკიცე პროტესტი გამოხატა და თავის გამოსვლებსა და წერილებში ამხილა ანტიეროვნული პოლიტიკა. ამისათვის ნიკო კეცხოველს აკადემიის პრეზიდიუმში დაატოვებინეს. ცნობილმა ქართველმა მათემატიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ, როცა გაიგო, რომ აკადემიის ქართველოლოგიურ დარგებს მკვეთრად შეუმცირდა დაფინანსება, მოითხოვა მათემატიკოსებს, საერთოდ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტი-

ტუტებს, მათზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცათ ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტებისათვის. ვინაიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში კვლევა-ძიებითი მუშაობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წარმოებდა, ხოლო ქართველოლოგიურ დარგებში მხოლოდ საქართველოში.

მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 60-იან წლებში გაიმართა კრიტიკოსმა ბესარიონ უდენტმა მკაცრად გაილაშქრა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ და საჯაროდ დაგმო მცდელობა, ეროვნული მწერლები გადასულიყვნენ რუსულ ენაზე. მან მოითხოვა რუს გამოჩენილ მწერლებს ეჩვენებინთ მაგალითი ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თავიანთი ლექსებისა და მხატვრული ნაწარმოებების წერისა.

პუბლიცისტი და მეცნიერი ოთარ ეგაძე გამოვიდა რუსული შოვინისტური პლიტიკის წინააღმდეგ. ამის გულისათვის იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორობიდან გაათავისუფლეს [179, 43-44].

70-იან წლებში ერთგვარ ღიბერალიზაციას, რაც ჰელსინკის შეთანხმებასთან საბჭოთა კავშირის მიერთებით იყო განპირობებული, რესპუბლიკათა ეროვნულ ღირებულებებზე შეტევის ახალი ტალღა მოჰყვა. საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა: საქართველოში გაჩნდა არაფორმალური ორგანიზაციები – ჰელსინკის კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ამავე პერიოდში ეროვნულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მხოლოდ თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტებში იყო შესაძლებელი. სხვა რესპუბლიკებში ეროვნული ისტორიის კათედრებიც კი იშვიათობას წარმოადგენდა.

სხვადასხვა შეკრებების დროს კიევის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არც იჯერებდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები ქართულად იკითხებოდა [180, 58].

საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გააჩნდა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ენას. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმისთვის, რომ საქართველო არ ყოფილიყო ერთადერთი გამონაკლისი, ასეთივე სტატუსი მიენიჭათ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების ეროვნულ ენებსაც. ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის – რუსეთის ფედერაციაშიც, სახელმწიფო ენის სტატუსი არ არსებობდა. ქართული ენის განსხვავებული სტატუსი ხელს არ უშლიდა სსრ კავშირის ხელმძღვანელობას ისევე მოპყრობოდა მას, როგორც ლიტვურ, ესტონურ და ა.შ. ენებს. ეს სტატუსი არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა ქართულ ენას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ენებთან შედარებით.

ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული ბევრი უფლება ცხოვრებაში საერთოდ არ მოქმედებდა.

რაც შეეხება ამა თუ იმ ენის სახელმწიფო სტატუსის საკითხისადმი კომუნისტების დამოკიდებულებას; ჯერ კიდევ 1903 წელს, ლენინის მიერ დაწერილ და რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ პარტიის პირველ პროგრამაში ეროვნულ საკითხზე ორი განმსაზღვრელი პუნქტი იყო დაფიქსირებული: 1. ყველა ენის თანასწორუფლებიანობა და 2. ერთა თვითგამორკვევის უფლება. 1918 წელს მიღებულ რუსეთის ხალხთა უფ-

ლებების დეკლარაციაში, შემდეგ კი რსფსრ კონსტიტუციაშიც ეს მუხლები უცვლელი სახით გადავიდა. ლენინი თვლიდა, რომ რომელიმე ერის ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არის „ბურჟუაზიული“ მოთხოვნა და იგი ღაზავს სხვა ერებისა და ენების უფლებებს. მისი აზრით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ხალხებს შორის რუსული ენის საურთიერთო ენად აღიარება მოხდებოდა ბუნებრივად, ნებაყოფლობით და ამისთვის საჭირო არ იყო მისი განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი.

რსფსრ-ს შემდეგ წარმოქმნილი ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას საფუძვლად ლენინური რუსული კონსტიტუცია დაედო. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა 1922 წელს მიმდინარეობდა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობას მემარცხენე ფედერალისტებიც ღებულობდნენ. სწორედ მათი წარმომადგენელი – სიმონ ხუნდაძე გამოვიდა წინადადებით – კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ. ეს სტატუსი ქართულ ენას გააჩნდა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ სტატუსზე, ამით სერიოზულ არგუმენტს მივცემთ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკურ ოპოზიციას ამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლების არაეროვნულობა, – განაცხადა მან კომისიის სხდომაზე. ხუნდაძის ეს არგუმენტი ქართველ ბოლშევიკებსაც ჭკუაში დაუჯდათ. ბუნებრივია, მათ კონსტიტუციისათვის კრემლს, ლენინს და სტალინს მიმართეს. საბჭოთა ხელმძღვანელებმა მაშინ შესაძლებ-

ლად ჩათვალეს საქართველოსთვის გამონაკლისის დაშვება. ლენინის აზრით, კონიუნქტურის გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლება უნდა წასულიყო ისეთ კომპრომისებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას. კონსტიტუციიდან მცდარი მუხლების ამოღება კი მერეც შეიძლებოდა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფეხზე მყარად დადგებოდა.

1937 წელს ეგრეთ წოდებული გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა ქართული კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის მუხლის ამოღება მოითხოვეს, თუმცა, სტალინმა ეს ნაბიჯი მაშინ ნაჩქარავად მიიჩნია. 1978 წელს, უკვე „განვითარებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა კვლავ დააყენეს კონსტიტუციიდან აღნიშნული მუხლის ამოღების საკითხი. საქმე ის იყო, რომ ნებისმიერი მომდევნო საბჭოთა კონსტიტუცია უცვლელად იმეორებდა ყველა ენის თანასწორობის ლენინურ დებულებას. ლენინის კულტის პირობებში ამ მუხლის კონსტიტუციიდან ამოღებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. არა და, ეს დებულება პირდაპირ წინააღმდეგობაში იყო სახელმწიფო ენის პუნქტთან. მართლაცდა, თუ ყველა ენა თანასწორუფლებიანია, მაშინ რას ნიშნავს ერთი ენის გამორჩევა სახელმწიფო სტატუსით? სწორედ ამიტომ იურისტები მოითხოვდნენ კონსტიტუციაში არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრას [181, 36-37].

საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღებას საქართველოში ვითარების დაძაბვა მოჰყვებოდა.

ამის მიუხედავად, მისი ამოღება მაინც გადაწყდა. ქართველი ხალხის მოსალოდნელი აღშფოთების გასანიღრავლებლად კი სახელმწიფო ენის ნაცვლად კონსტიტუციის პროექტში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობს ხელს ქართული ენის განვითარებასა და აყვავებას.

ამან საქმეს ვერ უშველა. როდესაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეს ღონისძიება მომწიფებულად და კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია და რესპუბლიკის მთავრობაც ამას დათანხმდა, საქართველოს ინტელიგენციამ, სახელდობრ თბილისის მეცნიერებმა და სტუდენტობამ გაანალიზა, თუ რას ნიშნავდა უწინდელი კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღება და შენიღბულად „მისი ხმარების უფლების დატოვება“ – ყველაფერი გასაგები გახდა. ამიტომ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო სახალხო კრებამ შესაბამისი ხმაური ატეხა. კრებაზე გამოვიდა რვა კაცი, რომელთაც დაასაბუთეს, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის ამოღება ნიშნავდა ქართული ენის ხელყოფას და ამით ქართველი ხალხისათვის მეტყველების წართმევას: ე.ი. თავისი განათლების, საქმის წარმოების, საკუთარი სწავლების ქსელის, მეცნიერული კვლავწარმოების ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური თვითშეგნების, წარსულისადმი პატივისცემის, საუკუნეობრივი ლიტერატურის და ა.შ. აკრძალვას (სხვათა შორის, როცა ამ საკითხის განხილვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში გახმაურდა, კრებაზე 8 მეცნიერის გამოსვლის 35 გვერდიანი ოქმი შედგა, რომელიც უმაღლესი დონეზე მოითხოვდა მისი მდივ-

ნის ვიქტორია სირაძის მეშვეობით). ამის შემდეგ ცეკამ მწერალთა კავშირს საქმის განხილვის ოქმის შედგენა აუკრძალა. საქმის განხილვამ მწვავე დებატები გამოიწვია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და საერთოდ თბილისის მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში, საერთოდ მთელ ინტელიგენციაში. რასაც მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის და მთელი ინტელიგენციის თავდადებული პროტესტი ქუჩაში გამოსვლით (რუსთაველის გამზირი და ლენინის მოედანი დემონსტრანტებით გაივსო) [182, 36]. ხელნაწერის სახით გავრცელებული პოეტის სტრიქონები საზოგადოებას გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა:

სიხლით მორწყულ ქართულ მიწას
ისევ სისხლის წვიმა ელის,
მტერმა ბევრჯერ დაამიწა
ბევრჯერ აღსდგა რისხვა მტერის.

ამ უბადლო მდინარეებს,
ამ უსაზღვრო ზღვას,
ცისფერი არ ღირსებია
მხოლოდ სისხლი რწყავს.

ვაი, ჩემო საქართველოვ
შენ არ გეგხარ სხვას
რა პატარა, რის პატარა
ვინ გიბედავს თქმას.

მიტომ ღმერთის რჩეული ხარ,
ღმერთი გაჩნდა შენით,
თუ არ ღმერთი, ვის შეეძლო
შობა შოთას ენის.

უკან გიდგას ფარულ დაღატს
შეჩვეული მტერი,
ვაგლას მტერიც რომ არა გყავს
შენი შესაფერი.

შენი ზურგი არ უნახავს სულთანს,
შაჰს თუ ბიზანტიას.
გაიდვიძე, თორემ შემდეგ
ყველაფერი გვიანია.

უქარქაშო ხმალო აღსდეგ
მოძრაობა გშვენის,
შენ არა ხარ იმ რჯულისა
ემინია ვისაც მტერის.

რა პატარა, რის პატარა
რა ვუყოთ, რომ დიდი გებრძვის
დიდი? არა ბევრი მხოლოდ
შენი ფეხის მტვერი.

გკლავდნენ ზღაპრულ დევის მსგავსად,
თავს გჭრიდნენ და იფარავდი,
დიდი რომ არ ყოფილიყავ
დევი რომ არ ყოფილიყავ
ღმერთი რომ არ ყოფილიყავ
რას იხამდი?

ერის სულო გეძებ, გეძებ
ო, რა იშვიათად გხვდები,
ექვსჯერ ათი წელიწადი
უმიწაწყლოდ ვცდებით, ვცდებით.

საქართველოს გულო ჩემო,
სისხლო ჩემო ვცხოვრობ შენით
წინაპართა ძვლების დარად
მჯერა შენი გადარჩენის!

რა ძნელია რუსთაველო,
მეტეხო და დიდმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე
ეს არ არის საქართველო.

მომიტინგეები აცხადებდნენ, რომ სისხლით დაიცავდნენ ქართული ენის სახელმწიფო უფლებებს. მღელვარების ექიმ კრემლამდე მიაღწია. მიუხედავად ამისა საქართველოს ხელისუფლებამ საქმის განხილვა (წინასწარ დაკვეთილი სქემის მიხედვით) მაინც გადაწყვიტა უმაღლესი საბჭოს სესიაზე. როცა მომხსენებელი ე. შევარდნაძე დარწმუნდა, რომ ქუჩაში გამოსული ინტელიგენცია არ ხუმრობდა და პროტესტმა საშიში ხასიათი მიიღო – იკადრა და სუსლოვს დაუკავშირდა. როდესაც მისგან სანუგეშო ვერფაერი მიიღო, იძულებული გახდა ბრეჟნევისათვის მიემართა (ამ დროს მშფოთვარე ინტელიგენციამ ალყაში მოაქცია მთავრობის სასახლე და მის პირველ სართულში კიდევაც შეიჭრა, სადაც სესია მიმდინარეობდა). საკავშირო მთავრობა შედრკა, რადგან

განვითარებულმა მოვლენებმა საშიში ხასიათი მიიღო, ბრეჟნემა ნება დართო ხელისუფლებას ძალაში დაეტოვებინათ უწინდელი კონსტიტუციის ფორმულირება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის თაობაზე. ამის შემდეგ შევარდნაძემაც იგივე გაიმეორა, რასაც ბრეჟნევი დათანხმდა (მტკნარი სიცრუეა თითქოს შევარდნაძემ რაიმე მოინდომა და გადაწყვიტა. „ნებაყოფლობით“ – მას როგორც მარიონეტს, თანამდებობისათვის და კარიერისათვის თავდადებულ პირს, თუნდაც ამ შემთხვევაში არაფერი მოუსურვებია და გადაუწყვიტა, ინტელიგენციის (რა თქმა უნდა სტუდენტობასთან ერთად) მრისხანე პროტესტმა აიძულა ის და მისი მოსკოველი ფავორიტები საქმე ძველებურად დაეტოვებინათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის წინააღმდეგ კრემლის შეტევა იქამდე იყო მისული, რომ საქართველოს განათლების სამინისტროში უკვე მიღებული იყო ღირექტივა – რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართულის ადგილზე რუსულად წარმართულიყო ლექციები ყველა ძირითად საგანში [182, 37].

საქართველოს კონსტიტუციაში ქართულმა ენამ ჯეროვანი ადგილი დაიკავა. ეს იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველი ეროვნული გამოსვლა. რომელიც გამარჯვებით დასრულდა... [183, 227].

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდებმა დაამტკიცეს ეროვნული იდეალებისადმი თავიანთი ერთგულება. მთელ საბჭოთა სივრცეში, როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც ხელისუფლებამ ვერ გაბედა იარაღით დაპირისპირებოდა დემონსტრანტებს. ამ თვალსაზრისით, ქართველი სტუდენტების გამარჯვება იყო საბ-

ჭოთა ხელისუფლების კუბოში ჩაჭედებული პირველი ლურსმანი. 14 აპრილმა გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირში შემაგალ სხვა ხალხებსაც. მან ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის აღსასრული [181, 38].

მროვნული უმცირესობა და სახელმწიფო ენა

კომუნისტური რეჟიმის სტრატეგიული პოლიტიკიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებდა „დაყავი და იბატონე“ – მიზნის რეალურად გატარებას, საქართველო ეროვნულ რაიონებად დაიყო, რასაც ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ეწოდა. მათი შეფასებით ეს იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელება.

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა მომსახურების მიზნით გამოიყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, სადაც საქმის წარმოება ეროვნულ ენაზე იქნებოდა. ე.ი. რომელი ეროვნებაც ცხოვრობდა მოცემულ ტერიტორიაზე, მათი სალაპარაკო ენა ხდებოდა ყველა სფეროში გაბატონებული. სად არის აქ „ძაღლის თავი“ დამარხული? ბოლშევიკთა ერთი უმთავრესი მიზანი ერთა სრული ასიმილაცია იყო. საბჭოთა ლიდერების (პირველყოფლისა და სტალინის მცდელობით) „ნაცმენტა“ ენები ცხადდებოდა ღამის ყველა უბედურების სათავედ. შეიქმნა მთელი ფსევდომეცნიერული სპეკულაცია, რომლის მიხედვით ენებს ბრალდებოდა ერების გათიშვა, ურთიერთდაპირისპირება. „ნათელი მომავ-

ლის“ აშენების ერთ უმთავრეს პირობად კი მიჩნეული იყო ჯერ ენათა, შემდეგ კი ერთა „დაახლოება და შერწყმა“, ერთიანი კომუნისტური ენის და ერის წარმოშობა. სწორედ ამ მიზნით, მომავალში რუსული ენის გაბატონებისათვის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „მოკავშირე“ რესპუბლიკებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ყოველგვარი პირობა შეუქმნა, რომ მათი სალაპარაკო ენა საქმის წარმოებაშიც გათანაბრებოდა და ხშირ შემთხვევაში პრივილეგირებული ყოფილიყო იმ ენასთან, რომელ რესპუბლიკაშიც ცხოვრობდნენ.

უკვე 20-იანი წლების ბოლოს საკავშირო და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევად მიიჩნევდა საქმის წარმოების გადასვლას ეროვნულ ენებზე [184, 38]. ეს კი ფაქტიურად ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის იგნორირებას ნიშნავდა. საბოლოო ჯამში კი ხელს უწყობდა რუსული ენის პრივილეგიის ზრდას.

ხელისუფლება ყველა დონეს ხმარობდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებსა და ლეკებს ესწავლათ მშობლიური ენა და საქმის წარმოება ყოფილიყო მათ ენაზე. ქართული ენა ოსებმაც და ლეკებმაც კარგად იცოდნენ, ეს კი ეწინააღმდეგებოდა „მსოფლიოში ყველაზე ინტერნაციონალური პოლიტიკის გატარებას“.

ეს იყო ობიექტური გაგრძელება იმ პოზიციისა, რომელსაც 1921 წელს ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, საქართველოს სუვერენიტეტის უზუღებელყოფამ, ანტიქართული პოლიტიკის გატარებამ, საქართველოს რევკომი და ქართველი ბოლშევიკები ანტიქართული მისიით მოვლენილ ემისრებად აქცია. სა-

მაგიეროდ, ისინი არაქართული მოსახლეობისადმი განსაკუთრებულ თანადგომას ავლენდნენ. მათი კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებისა და უფლებრივად მკვიდრ მოსახლეობასთან ენობრივი გათანაბრების მიზნით, მაქსიმუმს აკეთებდნენ.

ამ მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯი ხელისუფლებამ 1921 წლის აპრილში გადადგა, როდესაც აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება შექმნა. მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა: საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საერთო მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლა და მასზე დაყრდნობით სათანადო გადაწყვეტილებების მიღება. 1921 წლის ივლისში შექმნილმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ და მისმა ოპერატიულმა ბიურომ 1921-1922 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე სასწავლო პროგრამები, სახელმწიფოენოები და ჟურნალები გამოსცა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან „ეროვნულ უმცირესობათა საქმეების შემსწავლელი ბიურო“ შეიქმნა, ხოლო იმავე წლის 8 დეკემბრის დადგენილებით, „ეროვნულ უმცირესობათა საქმეების შემსწავლელი კომისია“. მის შემადგენლობაში შევიდნენ: მირზა დაუდ ჰუსეინოვი (თავმჯდომარე – აზერბაიჯანელი), აშოტ ხუმარიანი (თავმჯდომარის მოადგილე – სომეხი), ვასილ ბოგდანოვი (რუსი),

ილია დიმოევი (ბერძენი), გერშონ ზონენაშვილი (ქართველი ებრაელი), რიზა ნაჯაფოვი (თურქი), ალექსანდრე ტარნოზოვი (ასირიელი), პაშა ისაბეკოვი (ქურთი), ალბერტ ცეები (გერმანელი), ჭანბა (აფხაზი), აბაევი (ოსი) [184, 472-473]. საქართველოს კომპარტიის ცკ 1929 წლის 6 ივნისის პლენუმისა და საქართველოს საბჭოების V ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის ყოფილი დამოუკიდებელი მაზრებისაგან შეიქმნა 4 ოლქი, რომლებიც დაყოფილი იყო რაიონებად და სასოფლო საბჭოებად, ხოლო დროებით დარჩენილ დამოუკიდებელ მაზრებში, მაგალითად, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში, თემების ნაცვლად შეიქმნა რაიონები და სასოფლო საბჭოები. ასეთმა დარაიონებამ კიდევ უფრო მეტი უფლებები მიანიჭა ეროვნულ უმცირესობებს [141, 51].

ეროვნულ უმცირესობათა ასეთი ერთეულები გამოიყო მხოლოდ სასოფლო ადგილებში. აღნიშნული პროცესი ძირითადად დასრულდა 30-იანი წლების დასაწყისში, როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ასევე ავტონომიურ ფორმირებებში. საზგასამელია, რომ საარქივო დოკუმენტურ წყაროებში საქართველო გამოიწველია ავტონომიებისაგან, როგორც ცალკე რესპუბლიკა, თითქოს ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არ ყოფილიყო.

თუ გერთიანებამდე ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებსა და თბილისის ოლქში საქმის წარმოება აზერბაიჯანულ ენაზე იყო 16 სათემო საბჭოში, სომხურ ენაზე – 10 საბჭოში, დარაიონების შემ-

დეგ საქმის წარმოება აზერბაიჯანულ ენაზე ხორციელდებოდა უკვე 35 საბჭოში, სომხურ ენაზე – 21... [141, 51].

ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების „დამცველი“ ხელისუფლება შეუდგა შესწავლას შერეული ეროვნებებით დასახლებული სასოფლო-საბჭოებისა, თუ როგორ განესაზღვრა მათი ადგილი ადმინისტრაციულ დაყოფაში. მოგვიანებით, საქართველოს ახალი ნიშნით დარაიონების შემდეგ შეიქმნა 59 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი, აქედან 25-ის სტატუსი განისაზღვრა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებად. არსებული თემსაბჭოების გამსხვილების შემდეგ ჩამოყალიბდა 688 სასოფლო-საბჭო. ავტონომიური რესპუბლიკების გარეშე 537. უფრო მეტიც, შესაძლებლად ჩათვალეს კიდევ გამოეყოთ უფრო მეტი ეთნოგრაფიული, ერთგვაროვანი ქვედა საბჭოთა ერთეულები. შედეგად მივიღეთ 205 ეროვნულ-უმცირესობათა სასოფლო საბჭო და 16 მრავალეროვნული (ავტონომიური რესპუბლიკების გარეშე პირველი რიცხვი 108-ს უდრიდა [164, 2].

აფხაზეთში 93 სასოფლო-საბჭოდან აფხაზური იყო 35, ქართული – 27, სომხური – 8, ბერძნული – 3, ესტონური – 2, დანარჩენი 18 – შერეული, სადაც საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქმისწარმოების დოკუმენტების თარგმნა ეროვნულ ენებზე მთლიანობაში ვერ ხორციელდებოდა, რადგან არ ჰყავდათ მომზადებელი კადრები. ძირითადად ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა აფხაზ მოსახლეობაში. ამიტომ ეროვნებებზე და ერებზე „მზრუნველმა“ ხელისუფლებამ 1929 წელს ოქტომბერში სასოფლო-საბჭოს მდივნებისათვის მოაწყო მოსამზადებელი

კურსები. კურსებზე ტექნიკურ მომზადებასთან ერთად მთავარი ყურადღება მიექცა საქმის წარმოების თარგმნას ეროვნულ ენებზე, განსაკუთრებით ე.წ. „ახალი აფხაზური ანბანის“ ცხოვრებაში გატარებას [164, 2]. ამდენად, მთავარი იყო ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას არ გაედგა ფესვები საქართველოს ტერიტორიაზე. მხოლოდ რუსული და ეროვნულ უმცირესობათა ენები უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული, რათა საქართველოში ქართველს არ ეგრძნო თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ 28 სასოფლო-საბჭოდან 7 ქართული იყო, 21 ოსური. რაც შეეხება აჭარას – 26 სასოფლო-საბჭოდან 24 აჭარული ყოფილა, სადაც საქმის წარმოება თურმე ქართულ ენაზე მიმდინარეობდა [164, 2]. (დააკვირდით დოკუმენტის შემდგენელთა პოზიციას) ამავე დროს 1 ბერძნული, 1 შერეული.

დროთა განმავლობაში ლიმიტირებულ ზონაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწიეს (იქ, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ, ასეთი კი 20 რაიონია) და დაიწყეს თავის მიკრო ტერიტორიაზე მოსახლე ქართველების (ამ შემთხვევაში უმცირესობის) შევიწროება, გასაქანი მიეცა ასიმილაციის პროცესს. დაირღვა ადამიანის უფლებები.

საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ დაძაბული კერები სწორედ იქ გაჩნდა, სადაც მოსახლეობა თავის თავს მოსაზღვრე სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მონათესავედ თვლის, თუმცა, ხშირად, ისინი იმ ქვეყნის ძირძველი მოსახლენი არ არიან. მაგალითად, სომხების ძირითადი მასა საქართველოში მოვიდა არა სომხეთიდან, არა-

მედ თურქეთიდან; აზერბაიჯანელები კი ირანიდან არიან წამოსულები და არა აზერბაიჯანიდან, მაგრამ ეთნიკურად თავს მიაკუთვნებენ ამ რესპუბლიკის მკვიდრთ, როგორც აქ დააკანონა საბჭოთა აღწერებმა [80, 114].

აფხაზეთის რუსული საერო ხელისუფლება და ეკლესია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთის ქართველობა ჩქარა გაერუსებინა ან განედევნათ აფხაზეთიდან. ამისათვის არა მხოლოდ რუსულ წირვა-ლოცვას, საქმის წარმოებას და დაწყებით სწავლებას იყენებდნენ, არამედ ადგილზე დარჩენილი აფსუების ნაძირალა პირებსაც, რომლებიც რუსული პოლიტიკის ფეხდაფეხ უკიჟინებდნენ ქართველებს, რომ მათ დაეტოვებინათ თავიანთი სამკვიდრო სახლ-კარი და გაქცეულიყვნენ აფხაზეთიდან [185, 285].

რუსეთიდან აფხაზეთში გადმოსახლებულ მართლმადიდებლებისათვის ხელისუფლება, პირველ რიგში, რუსულ ეკლესიას აშენებდა, რომელიც რეგიონში ცდილობდა შეემცირებინა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების რიცხვი და, რაც მთავარია, ქართული ენა გამოედევნა იქიდან. ქართულ ენას დევნიდნენ არა მარტო აფხაზეთიდან, არამედ სამეგრელოდან, სვანეთიდან და სამაჩაბლოდან [186, 83].

ქართულ ენას არამარტო გუდაუთაში ავიწროებდნენ ყოველმხრივ, არამედ მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) დასახლებულ გალშიც კი. ქართველმა მოსახლეობამ იმას მიაღწია, რომ საეგზარქოსომ მათ ნება დართო გალის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში სწავლა ქართულად წარმოებულყო. მაგრამ ეს უფლებაც ფორმალური გამოდგა, რადგან

ქართული ენის სწავლება, მხოლოდ ბოლო, მეექვსე გაკვეთილზე დაუშვეს და მალე პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს [186, 85].

ნახვასასმელია, რომ 1810 წელს, როდესაც აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა დოკუმენტი დაიწერა ქართულ ენაზე და საერთოდ, აფხაზეთის ხელისუფლების კანცელარიაში მთელი XIX საუკუნის განმავლობაშიც კი საქმისწარმოება მხოლოდ ქართულად ხდებოდა. ასევე, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას „აფხაზები“ ქართულად მიმართავდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობს არცერთი დოკუმენტი, არცერთი ნაწარმოები, რომელიც დაწერილი იქნებოდა „აფსუა-აფხაზურ“ ენაზე [187, 19-20].

ორივე პერიოდის იმპერიული რუსეთი – ცარიზმი და ბოლშევიკური – განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ენობრივ პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებული იყო ქართულ-აფხაზური ლინგვისტური კონფლიქტის პროვოცირებაზე.

აი, რას ამბობდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის აპოლოგეტი ე. ვეიდენბაუმი: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, ახლო მომავალში განწირულია გაქრობისათვის. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ მოსახლეობის კულტურული იდეებისა და გაგების როლი უნდა გამოხატოს რუსულმა და არა ქართულმა ენამ. მე მგონია, რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება თვითმიზანი კი არ უნდა იყვეს, არამედ საშუალება, რომელიც შეასუსტებს ეკლესიისა და სკოლის გავ-

ლენით ქართულ ენაზე მოთხოვნას და თანდათანობით შეიცვლება რუსული ენით“.

„აფხაზური ანბანის“ შექმნის კომისიის თავმჯდომარე, მეცნიერი და გენერალი პ. უსლარი მიიხნევა, რომ კავკასიის მთის ხალხებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი დამწერლობა და ლიტერატურა“. გენერალი ამტკიცებდა: „ტუხემცების წერა-კითხვის ცოდნა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ მათ გაუადვილდეთ რუსული ენის შესწავლა“ [187, 34-35].

როგორც ცნობილია რუსები კავკასიის მოსახლეობას „ტუხემცებს“ უწოდებდნენ. მათი აზრით „ტუხემცი“ იყო ბუნების მიერ შეცდომით გაჩენილი ბიოლოგიური არსება, რომელსაც არც წარსული ჰქონდა, არც აწმყო და, ბუნებრივია, რომ არც მომავალი ექნებოდა [188, 14].

ყოველივე ამას, როგორც წესი სეპარატისტები დუმილით ხვდებიან. სამაგიეროდ, როდესაც საუბარია ენობრივ პოლიტიკაზე, ისინი უაპელაციოდ ადანაშაულებენ საქართველოს ხელისუფლებას ლათინინირებული ანბანის ქართულით შეცვლასთან დაკავშირებით.

გავისხენოთ, რომ პირველი „აფხაზური“ ანბანი შეიქმნა 1862 წელს აფხაზური ენისათვის სრულიად უცხო კირილიცას – შრიფტით. 1926 წელს აფხაზეთის ასსრ მთავრობამ გააუქმა რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული „აფხაზური“ ანბანი და მის ნაცვლად შემოიღო აკადემიკოს ნ. მარის მიერ შედგენილი ლათინიზებული ანბანი. შემდეგ 1929 წელს შემოღებულ იქნა ანბანი, შემუშავებული ასევე ლათინურის საფუძველზე ნ. იაკოვლევის მიერ. 1938

წელს აფხაზეთში მიიღეს ახალი აფხაზური ანბანი, რომელსაც საფუძვლად ედო ქართული გრაფიკა. ამ ანბანის პროექტის ავტორი იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დ. გულია, რომელთანაც ერთად მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქართველი მეცნიერები ს. ჯანაშია და ა. შანიძე. 1954 წელს კი მიღებულ იქნა ახალი ამჟამინდელი ანბანი რუსულ გრაფიკულ საფუძველზე [129, 51-51].

ჯერ კიდევ 1919-1920 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად ლაპარაკობდა. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ [189, 51-52].

როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე 1925 წლიდან საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა, არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა, დაამცირეს როლი და მნიშვნელობა როგორც „აფხაზური“, ასევე ქართული ეროვნული ენებისა [190, 102]. მხოლოდ 1926 წლის 27 თებერვლის სამთავრობო გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულს უფლებრივად გაუთანაბრეს „აფხაზური“ და ქართული [190, 104].

რუსული ენისადმი პრიორიტეტის მინიჭების შედეგი იყო, რომ 1926 წლის 1 იანვრისათვის ძირითად ცენტრალურ დაწესებულებებში მომუშავეთა ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსები 44,9%, ქართველები 22, 3%, აფხაზები 8, 9%. მიუხედავად იმისა, რომ 1926 წელს აფხაზები შეადგენდნენ 27, 8%, ქართველები 36, 6%, ხოლო რუსები 6,2% [190, 121, 122].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ აფხაზები ინიშნებოდნენ. აფხაზებს ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს სხვა ეროვნებებთან შედარებით.

შოვინიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი, სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მიეღოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილ იქნა, მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად აჩვენებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც [145, 28, 29]. საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

20-იან წლებში აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა და ამიტომ არააფხაზური ეროვნების წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზეულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 წლის აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა. თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“ [191, 213].

30-იან წლებში აფხაზეთში კვლავ ქართული მოქმედებდა, მაგრამ აფსუებში უკვე რუსული ენა ინერგება – არა მხოლოდ დაწყებით სკოლებში, არამედ მოქმედ ეკლესიებში (განსაკუთრებით ახალ ათონში), აგრეთვე სამრეწველო რაიონ ტყვარჩელში და სხვაგან. ამას ხელი შეუწყო არა მხოლოდ რუსუ-

ლის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ და რუსული სწავლების გაძლიერებამ, არამედ აფხაზეთის კოლონიზაციამ და მეორე მსოფლიო ომის წინ (ბუნებრივია განსაკუთრებით ომის დროს) აქ რუსეთის ჯარების დასადგურებამ. ამასთან, აფსუების მიზიდვამ რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებში აფსუებს ნიდაგი მოუმზადა ქართული სწავლებისა და ქართული ენისადმი ზურგის შესაქცევად. მათ 1946 წელს ბრძოლა გააჩაღეს აფხაზეთში ქართული სკოლების რაც შეიძლება შეზღუდვისა და ლიკვიდაციისათვის, ხოლო სამაგიეროდ აფსუური და განსაკუთრებით რუსული სკოლების გაფართოებისათვის [182, 72-73].

ოსთა მიერ ქართული ენის ცოდნა გარკვეულ ფარგლებში ქართული დამწერლობის ცოდნასაც გულისხმობდა. მთელი, საქმიანი მიმოწერა ქართლის და იმერეთის მმართველი წრეებისა ოსებთან, თუ პირიქით, ქართულ ენაზე სრულდებოდა. XVIII საუკუნეში შექმნილია მდიდარი დოკუმენტური მასალა ოსების შესახებ ქართულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა და დამწერლობა საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ოსთა შორის. ის კი არა, ხშირად რუსეთის ადმინისტრაციისადმი მიმართული ოსთა წერილებიც ქართულ ენაზეა შესრულებული. 1784 წლის 10 თებერვლის წერილი ნარელი „სტარშინებისა“ პავლე პოტიომკინისადმი შესრულებულია ქართულად ოს ვასილ (ყარაჯაევის) ხელით, წერილში ისინი ითხოვენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას [192, 230]. XIX საუკუნის დასაწყისში ოსი მწერლები სარგებლობდნენ ქართული ანბანით. ამის საფუძველზე იწერებოდა ოსური წიგნები. გამოცდილებამ ყოველმხრივ დაადასტურა ოსებისათვის ქართული

ანაბნის უპირატესობა ყველა დანარჩენ ანბანთან შედარებით [193, 15].

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან რაჭის მაზრის „რჩევის განყოფილებას“ ხელმძღვანელობდა დეკანოზი ალექსი გიორგობიანი, რომელიც ამავე დროს კურირებდა საეკლესიო სამრევლო სკოლების „საბღაღოჩინო ოლქს“. დეკანოზი ალექსი აქტიურ მზრუნველობას იჩენდა, როგორც ქართველი, ასევე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა შვილებზე. 1891 წლის დასაწყისში სახელდახელოდ თავშემყრილ ოსებს ალექსიმ ასეთი სიტყვით მიმართა: „შვილებო, მე გავიგე, ვითომც თქვენ სკოლაში აღარ აგზავნი... ამას წინეთ ყოვლად სამღვდელოება აღტაცებული დარჩა ამ სკოლაში ნასწავლი თქვენი პაწია ბაღნების ცოდნით, თუ გახსოვთ, ლოცვა-კურთხევასთან მათმა მეუფებამ მადლობა გიძღვნათ, რომ თქვენს შვილებს პირჯვრის გამოსხვა, ლოცვების წარმოთქმა და მცირე წერა-კითხვა შეესწავლათ. თქვენ აღუთქვით, რომ სკოლის საქმეს არ უღალატებთ და შეძლებისდაგვარად არ მოვაკლებთ აღზრდას ჩვენს შვილებსო. დღეს რა პასუხს აძლევთ ან ღმერთს და ან მათ მეუფეს, რომ შვილების აღზრდაზე ხელი აგიღიათ და შესულხართ ცოდვაში, თუ ამ კეთილ საქმეს მეტი სიცოცხლე არ ელოდება თქვენში, რისთვის გასწიეთ შრომა, რისთვის ააგეთ შენობა.“

დარცხვენილმა ოსებმა მოკრძალებით უპასუხეს: „ვინ მოგახსენა ბატონო დეკანოზო, რომ ჩვენ, ოსებმა სკოლებში შვილები არ გავგზავნეთ. ვინ უთხრა თუ ოსებს სწავლა არ გინდა, ჰაი, ჰაი, გინდა სწავლა ოსებს, მარა ვინ გასწავლა. მღვდელი სულ

სოფელში წახვალ, მისი პოპოზიცი აქ არ არის და ვისთან წაიყვანე შვილები შენი ჭირიმე, თუ იქნება მოწყალეა, კარგი უნიტელი დააყენებს და სკოლაში იქნება, ჩვენც გვინდა, თუ არა ტყუილად ბიჭები არ გააცდინებთ, შენი ჭირიმე“ – მიმართა ოსმა გოგიამ გიორგობიანს და ხალხის ყრილობას. – „ავთე“, ერთხმად დაიღრიალეს ოსებმა (ასე არისო და ასე გახლავთო) [194, 75].

1923 წლის აგვისტოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობით მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებულ იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“ [195].

ე.წ. „სამხრეთ-ოსეთის“ მხარეთმცოდნეობის საზოგადოება ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა სახელმწიფო დაწესებულებებში ოსური ენის შემოღებასთან დაკავშირებით. განზრახული იყო ყველა დაწესებულების საქმის წარმოების ოსურ ენაზე გადაყვანა [196].

ამავე პერიოდში შეიქმნა ლათინიზებული ოსური ანბანი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ანბანი არ შეესაბამებოდა ოსური სალაპარაკო ენის ბუნებას და ვერ ამართლებდა დანიშნულებას. ამავდროს, ძალიან რთული იყო ასათვისებლად. ლათინიზებული ანბანის შეცვლის საკითხი უფრო მისაღები ახალი

ანბანით დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა, მაგრამ მის განხორციელებას ხელს უშლიდნენ ოსი ეროვნების ანტიქართული ძალები, რომლებიც ოლქის ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმყოფებოდნენ. მათთვის მთავარი იყო, რომ ოსები ყოველივე ქართულისაგან შორს ყოფილიყვნენ. ხელისუფლებაში ჯანსაღი ძალების მოსვლის შემდეგ, ანბანის შეცვლის საკითხი ახალ რეგსებზე გადავიდა. პრობლემის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინტელიგენციამ [193, 13]. წარმოადგინეს ორი პროექტი. ერთი ითვალისწინებდა ოსური ანბანის ქართულზე დაფუძნებას, მეორე პროექტის ავტორები მოითხოვდნენ რუსული ანბანის ბაზაზე შექმნას.

ქართული ანბანი დიდი ხნის მანძილზე სტიქიურად ვრცელდებოდა ოსებში. ოლქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის სანაკოვეის სიტყვით „არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ყიზლარში ყოფნის დროს იქ მყოფმა ოსმა მწყემსებმა ოჯახებიდან მიიღეს 19 წერილი. აქედან 3 წერილი შედგენილი იყო ლათინური ასოებით ოსურ ენაზე.“

ოსური სოფლის მცხოვრები რაჟდენ თედეევი აცხადებდა: „რამდენიც არ უნდა მასწავლოთ წერა ლათინური ასოებით... სულ ერთია ვერასოდეს ვერ შევძლებ შევისწავლო და დავიმახსოვრო. მე ვიცი ქართული ანბანი და მასწავლეთ ქართული ანბანი“ [193, 16].

ზემოთაღნიშნული და სხვა საგულისხმო ფაქტორების გათვალისწინებით, 1938 წლის 1 ივლისს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით მიიღეს დადგენილება „ოსური ანბანის ქართულის ბაზაზე გადასვლის შესახებ“.

ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ანტიქართული ძალები ჩიჩოვეის, აბაევის, კულაევის, ჯატიევისა და სხვათა სახით, რომლებმაც წერილობით მიმართეს ბერიას [193, 17].

ამ ფაქტის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ცკ-ის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მიერ გ. მაღენკოვისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც 1938 წლის 5 ოქტომბრით თარიღდება. კ. ჩარკვიანი წერს, რომ ლ. ბერიამ მათ გადმოუგზავნა „სამხრეთ ოსეთიდან“ საკავშირო ცეკაში გაგზავნილი ანონიმური წერილის ასლი, რომელიც ოსური ანაბნის შემოღებას შეეხება, ამასთან დაკავშირებით მან საჭიროდ მიიჩნია ცენტრის ინფორმირება საქმის ნამდვილი მოტივების შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ ლათინიზებული ოსური ანბანის გამოყენების 14 წლიანმა გამოცდილებამ ცხადყო მისი სრული შეუსაბამობა და უვარგისობა ოსური ბგერების გამოსატვისა და ათვისებისათვის. ოლქის ხელმძღვანელობამ ახალი ოსური ანბანის შექმნა დაავალა განათლების ადგილობრივ სახკომს. მის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, მასწავლებლები, მწერლები, ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეები, მუშები და სხვ. ამ საკითხის გარშემო ორენოვან გაზეთ „კომუნისტის“ მიერ ორგანიზებულ იქნა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

წარმოდგენილი იყო ძველი ანბანის რეფორმირების ორი ვარიანტი – ქართული ენის საფუძველზე და რუსული ენის საფუძველზე, მათი ყოველმხრივი განხილვის შედეგად ადგილობრივმა განათლების სახკომმა და აღმასკომმა მიიღეს პირველი ვარიან-

ტის არჩევის გადაწყვეტილება, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იყო პარტიული ორგანოების მიერ.

ქართული ანბანისათვის უპირატესობის მინიჭება ამ წერილში იმით არის ახსნილი, რომ ის სრულად და ზუსტად ასახავს კავკასიური ენების თითქმის ყველა ბგერას. ნათქვამია, რომ კავკასიური ენები შეიცავენ სპეციფიურ თანხმოვნებს (წ, ჭ, ძ, ჯ, ღ, ქ, ფ, ყ, თ), რომელთა ანალოგები არ მოიპოვება ევროპულ, მათ შორის რუსულ ენებში. რუსული ენის 38 ბგერიდან ყველა შეიძლება იყოს გამოხატული ქართული ასოებით, მათგან 33 ახალი ქართული ანბანიდან, 4-ძველი ქართული ანბანიდან და მხოლოდ 1 მოდიფიცირებული „ა“ ასოთი. ამრიგად ყველა ოსური ბგერა გამოიხატება ერთი ნორმალური ასოთი, რომელსაც ქართულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება სტრიქონზედა ნიშნების (როგორც ეს არის ლათინიზირებული ანბანის შემთხვევაში) გამოყენების აუცილებლობა, რაც ბუნებრივია, რომ დიდი დაბრკოლების შემცველია, მსჯელობს კ. ჩარკვიანი. ის იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ანბანის საფუძველზე ოსური ანბანის შექმნა განპირობებული იყო სამეურნეო-კულტურული ცხოვრებითა და ისტორიული წარსულით [197, 212-213].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სანამ აფხაზისა და ოსისათვის ქართული ენა იყო მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენა, ისინიც ქართული ეროვნული სამყაროს ნაწილად თვლიდნენ თავს. როგორც კი ქართული რუსულმა შეცვალა და მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენად აფხაზისა და ოსისთვის რუსული გახდა, ისინი რუსულ

ეროვნულ სამყაროში გადასახლდნენ და ქართული არათუ დაივიწყეს, მტრადაც მოეკიდნენ [198, 13].

XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში 1000-მდე ლაზი ცხოვრობდა, ხოლო აფხაზეთში 2000. აღმოსავლური ენების ინსტიტუტმა შეადგინა ლათინიზირებული ლაზური ანბანი. სოხუმში ამ აღფავიტზე გამოვიდა გაზეთი „მაჩიტა მურუცი“ (წითელი ვარსკვლავი). ეს იყო მსოფლიოში პირველი გაზეთი ლაზურ ენაზე. კავშირის მასშტაბით მცხოვრები ლაზების თხოვნის გამო გაზეთის ტირაჟი 500-დან 1000 ეგზემპლიარამდე გაიზარდა [164, 8].

საქართველოში მცხოვრებ ქურთებში წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი 1-2%-ს უდრიდა. ახალციხის მაზრისა და თბილისის მთელ ქურთულ მოსახლეობას ჰქონდა მხოლოდ 2 სკოლა და 1 კლუბი. ერთ სკოლაში ასწავლიდნენ ქურთული ანბანით, რომელიც ქურთი პედაგოგების შედგენილი იყო, მეორეში – თურქულით. 1922 წელს ერევანში შემოდებულ იქნა ე.წ. „ქურთული დამწერლობა“. გამოქვეყნდა პირველი ანბანის წიგნიც – „შამსი“. 1944 წელს ი. ორბელმა და ქურთმა მეცნიერმა არაბე შამომ რუსული გრაფიკის საფუძველზე ლათინურის ნაცვლად შეადგინეს ქურთული ანბანი [199, 126].

არამეულ ენას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს – იგი 20 საუკუნეზე მეტია საქართველოში ისმის, უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ არამეულის გამოყენებას სამწერლო ენად (თუნდაც საქმის წარმოებაში) სათავე უნდა ჰქონდეს აქემენიანთა იმპერიის (ე.ი. ძვ. წ. VI-IV სს.) ხანიდან. სწორედ „სახელმწიფო არამეულის“ ხანგრძლივი ხმარების ნიადაგზე შეიქმნა „არმაზული დამწერლობა“ – არამეუ-

ლი დამწერლობის სახეობა, რომელიც ძირითადად საქართველოსთვისაა სპეციფიკური.

ახალი არამეული საქართველოს ტერიტორიაზეც ფიქსირდება; კერძოდ, აქ შეხვდებით მისი აღმოსავლური დიალექტების მთელ ჯგუფს (ურმიულს, სალმასურს, ვანურს, ჯილუს, ბოტანის).

ამავე დროს, თანამედროვე აღმოსავლურმა დიალექტებმა, რომელთა წარმომადგენლები დღეს საქართველოს მკვიდრნი არიან, ძირითადად დაიცვეს ძველი სემიტური ენის ტიპი, თუმცა მისმა სტრუქტურამ მრავალი ცვლილება განიცადა.

საქართველოში „ასიორები“ ასირიულის გარდა ვერ ფლობდნენ სხვა ენებს, რაც აძნელებდა მათ ჩართვას მაშინდელი საქართველოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მწვავე მოთხოვნა იყო ასირიულ ბეჭდვით სიტყვაზე. აღსანიშნავია, რომ შრიფტი ასირიულ ენაზე მხოლოდ თბილისში ჰქონდათ.

ორკვირეული ჟურნალი „მადინხა“ („აღმოსავლეთი“) გამოდიოდა თბილისში 1913-1914 წლებში ასირიულ ენაზე. ჟურნალი ძირითადად განკუთვნილი იყო სამხრეთ კავკასიისა და რუსეთში მცხოვრები ასირიელებისათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ჟურნალით უცხოეთშიც სარგებლობდნენ [199, 137-138].

ეროვნების განსაზღვრა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სალაპარაკო ენის მიხედვით. ასე მაგალითად, ქართველი ებრაელები, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებში 20 ათასს ითვლიდნენ ლაპარაკობდნენ ქართულად. სომხების ნაწილი ლაპარაკობდა ქართულად და მათი კულტურული თვითშეგნება ქართული იყო. ისინი ქართველებისგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ რელიგიური აღმსარებლობით [164, 2].

ცნობილია, რომ XIX საუკუნის თბილისში მცხოვრებ სომეხთა ძირითად სალაპარაკო ენას როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ ქართული ენა წარმოადგენდა, ხოლო სომხური ენა თვით სომეხების უდიდეს ნაწილს არც კი სცოდნია [200, 31].

საქართველოში მცხოვრები ბერძნების 54 ათასზე მეტი ლაპარაკობდა თურქულ ენაზე [164, 2]. პონტოელი ბერძნების ის მასა, რომელიც საქართველოში გადმოსახლდა და რომელმაც სხვადასხვა რეგიონებში დაიღო ბინა, არ ყოფილა თავიდანვე ერთგვაროვანი. საქართველოს ბერძნების დაყოფა შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად: ელინოფინურ, ანუ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე და თურქულენოვან ჯგუფად [201, 7]. ბერძნების ნაწილმა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროდან და მთიანი ადგილებიდან ჩამოსახლდნენ, შეინარჩუნეს თავისი ენა. საქმე იმაში იყო, რომ სულთან ჰამიდის ბრძანების მიხედვით ბერძნებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თავისი რელიგია, თურქულად უნდა ელაპარაკათ. რა თქმა უნდა, ბრძანება ორივე შემთხვევაში ასიმილაციას ითვალისწინებდა [202, 22].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წალკაში მცხოვრები ბერძნები ლაპარაკობდნენ შერეულად – ბერძნულ-სომხურ-თურქულ ენაზე [203, 35, 77]. ამასთან, ბერძნები რომლებიც ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიაში, არ ატარებდნენ გვარებს. საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ საჭირო გახდა მიეღოთ გვარები [204, 12].

სამცხე-ჯავახეთში შედარებით მეტია პოლიტიკური განათლების დონე. მათ უფრო იციან სახელ-

მწიფო ენა ვიდრე აზერბაიჯანელებმა და შესაბამისად, სომეხთა თემიც უფრო გახსნილია.

სომეხთა 4,5% ქართულ ენას მიიჩნევს მშობლიურ ენად. საინტერესოა, რომ თბილისელმა სომეხებმა სომხურად ლაპარაკი მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დაიწყეს. მანამდე მათი სალაპარაკო ენა ძირითადად ქართული იყო [205, 333].

სამცხე-ჯავახეთში რუსული რესპოდენტ სომეხთა 10% მიაჩნია მშობლიურ ენად. მუსლიმი ქართველების 17% მშობლიურ ენად მიიჩნევს აზერბაიჯანულს (აღბათ გულისხმობდნენ თურქულს), რაც ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში მათში რელიგიური კუთვნილება შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ენობრივი იდენტობისაც [206, 96-87].

ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ გვევლინება ტელევიზია. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, ამ გზით ყველაზე ნაკლებად ინფორმაციას ღებულობს აზერბაიჯანული მოსახლეობა. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული წერა-კითხვა და შესაბამისად, მათთვის პრობლემას წარმოადგენს ჟურნალ-გაზეთების ქართულ ენაზე გაცნობა. ამავე დროს, რომც იცოდნენ სახელმწიფო ენა, სავარაუდოდ ბეჭდური მედია მაინც ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ქართული მედია სივრცის რეალობაში და გავრცელების არეალიც, რეგიონების შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულია. რაც შეეხება ინტერნეტით მიღებულ ინფორმაციას, აქ გამოკვეთილად დაბალი მაჩვენებელია ყველგან, გარდა მართლმადიდებელი ქართველებისა [206, 99].

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც დმანისში სვანეთიდან პირველი ახალმოსახლეები ჩამოსახლდნენ, ამ დროისათვის რაიონში 43 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან ქართველები უმცირესობაში იყვნენ, ხოლო უმრავლესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენდნენ. ვითარება ისეთი რთული იყო, რომ აზერბაიჯანელებთან საურთიერთობო ენას აზერბაიჯანული წარმოადგენდა. ახლადდაარსებულ ქართულ სკოლაში მხოლოდ 21 ბავშვი სწავლობდა [207, 347].

დმანისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნება. დღეს დმანისის მოსახლეობა, როგორც მთელ საქართველოში, სერიალების ყურებით ცდილობს მძიმე ცხოვრების შემსუბუქებას. დმანისში ამ პროცესს თავისი დადებითი მხარეც აქვს. ქართულად გახმოვანებული სერიალები აზერბაიჯანულ მოსახლეობას ქართულ გარემოსთან ენობრივი თვალსაზრისით დაახლოებას უწყობენ ხელს. პირობითად, რომ ითქვას, XX საუკუნის 20-30-იან წლებში დაბადებულ დმანისელ აზერბაიჯანელებს სერიალებს ქართულიდან შვილიშვილები და შვილები უთარგმნიან, რაც ხელს უწყობს მათ მიერ ქართული ენის შესწავლას. ზოგადად კი ენობრივი ინტეგრაცია გარემოსთან ურთიერთობით ხდება. კერძოდ: სკოლაში ქართველების გვერდით სწავლისას, ბაზარში ქართველების გვერდით ვაჭრობისას, ქართველებთან ერთ სოფელში ცხოვრებისას, ქართულ ენაზე გახმოვანებული ტელესერიალების მეშვეობით [207, 349].

თუ ეროვნული უმცირესობა თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვ-

რობს და კრიტიკულ სიტუაციაში იქიდან რეალური დახმარების იმედი აქვთ, ამ დროს მრავალეროვანი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირება – „ჩვენ“ და „ისინი“, ძალზე მძაფრდება [208, 63].

ჩვენი ტოლერანტული შემწყნარებლობის გამო, ქართულ დაბა-სოფლებს ჩამოსახლებულმა უცხო ტომის შვილებმა ისეთი სახელები დაარქვეს ვერც კი მიხვდებით, რომ ეს დასახლებები საქართველოს ტერიტორიაზეა. თავად განსაჯეთ: ფილიპოვკა, მიასნიკიანი, კიროვაკანი (ახალქალაქის რ-ნი), ყაურმა, ყულალისი, ვლადიმროვკა, გორელოვკა, ევრემოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ოროჯოლარი, ასფარა, როდიონოვკა (ბოგდანოვკის რ-ნი), მაგირლო, ჯაფარლო, ინჯაოღლი, ასახონჯალო, მუღანლო, ტაშტიკულარი, ქოშაქილისი, აჰმედლო, აბდალო, ყარათიქანი, ყარადაში (ბოლნისის რ-ნი), აღთაღალა, ყარათაღალი, ყარაჯალი, ნაზარლო, მუღანლო (გარდაბანის რ-ნი) და ა.შ.

საქართველოს მოქალაქეობის წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია [209, 9-10]. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მეორე ძირითადი საშუალება არის ნ ა ტ უ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა, ანუ უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღება. თუმცა ადამიანის სურვილის გარდა აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება და პროცესის გავლა, რაც განსაზღვრულია 1993 წლის 25 მარტს მიღებული საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული კა-

ნონის 26-ე მუხლის ბ) და გ) პუნქტები, სადაც ნათქვამია, რომ მოქალაქეობის მსურველმა „დადგენილ ფარგლებში იცოდეს სახელმწიფო ენა; ასევე „დადგენილ ფარგლებში იცოდეს საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა“ [210, 221]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ნატურალიზაციით, ასევე საქართველოში დაბადებით მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში ვერ (ან არ) ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, არ იციან მინიმალურადაც კი საქართველოს ისტორია და სახელისუფლებო სტრუქტურებთან დღემდე რუსული ენის მეშვეობით ურთიერთობენ.

ქართული ენა და ეპროკული ქარტია

XIX-XX საუკუნეებში უცხოტომელთა საქართველოში შემოსვლა და განსახლება ორგანიზებულ, მართულ ხასიათს იძენს. საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფაშიც გათვალისწინებულია „მოსულთა“ და „მკვიდრთა“ ისეთი დემოგრაფიული პროპორციების შექმნა, რომ მუდმივად ყოფილიყო საჭირო ამ კოლექტივებს შორის ურთიერთობათა დარეგულირებაში „მესამის“ ჩარევა. „მოსულთა“ ინტერესების მეურვეობას კისრულობს „მესამე“ (რუსეთი), რომელიც დეკლარაციულად „სუსტის“ (უმცირესობის) მხარეზეა. „მოსულისა“ და „მკვიდრის“ ურთიერთობათა ენა ხდება არა მკვიდრი ენა, არამედ „მესამისა“. XX საუკუნეში სხვა პარადოქსიც გვხვდება – „მკვიდრს“

გამიზნული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად „მოსულის“ ენა უწევს დისკრიმინაციას [74, 65-66].

1992 წლის 5 დეკემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს „ევროპული ქარტია რეგიონულ და უმცირესობათა ენების შესახებ“, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე, ხელი მოეწერა „ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. კონვენციის შემუშავების დროს, ევროპის საბჭომ დიდი ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონვენციას გაეთვალისწინებინა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო-ს 1993 წელს მიღებული ე.წ. „ვენის დეკლარაციის“ დებულებები და პრინციპები [211, 30]. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის სახელმძღვანელო დებულებების კრებულს წარმოადგენს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში; კერძოდ, ქარტია და კონვენცია ითხოვს: სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისაგან განსხვავებული ავტოქტონი, აბორიგენი ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებისათვის უმცირესობის სტატუსის მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას.

ტ. ფუტკარაძეს მიაჩნია, რომ „ევროპის ქარტიისა და კონვენციის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, ენობრივ უმცირესობად ითვლება ის საზოგადოება, რომელიც ეროვნულ-ეთნიკურად განსხვავდება ძირითადი მოსახლეობისაგან და ავტოქტონია, ძველისძველი მკვიდრია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჩეჩნები, აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები, ბერძნები, რუსები და სხვა საქართველოში

არავტოქტონებია, არამედ სხვადასხვა დროის მიგრანტები არიან. შესაბამისად, ევროპული ქარტიის დებულებებიდან გამომდინარე, ისინი საქართველოში ვერ ჩაითვლებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობებად. გარდა ამისა, ამ ხალხებს მეზობლად აქვთ ეროვნული სახელმწიფოები: სომხეთი, აზერბაიჯანი, ოსეთი (რა თქმა უნდა ჩრდილო ოსეთი!), ჩეჩნეთი, რუსეთი, საბერძნეთი...

ამჟამად საქართველოში ეროვნული უმცირესობების ყველა უფლება მხოლოდ აფხაზებს უნდა მივანიჭოთ, ვინაიდან ქართველობის ახლომონათესავე ამ ხალხს სხვაგან არსად აქვს პერსპექტივა, ჰქონდეს ის უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს ევრო-საბჭოს დოკუმენტები“ [212, 39-40].

ამ შეფასებიდან არ ჩანს რა სტატუსს ანიჭებს დღემდე „ეროვნულ უმცირესობად“ მიჩნეულ ზემოჩამოთვლილ ეროვნებებს ავტორი. თავად მას კარგად მოეხსენება და იგივე ნაშრომში აღნიშნავს კიდევ, რომ სტრასბურგის დოკუმენტებზე ხელისმომწერი ხელისუფლების აზრით, ამ ცნებების-ტერმინების გააზრება და ეთნიკური უმცირესობების თუ უმცირესობათა ენების ჩამონათვალის შექმნა კონკრეტული სახელმწიფოს კომპეტენციაა, ვინაიდან დასახელებულ ტერმინთა მნიშვნელობის შესახებ ევროპაში ვერ მოხერხდა შეთანხმება დავა-კამათის შემდეგაც კი [212, 10].

კონვენციისა თუ ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შტამბეჭდავია: უმცირესობის ენაზე საქმის წარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლა-სა და უმაღლეს სასწავლებელში (იხ. ქარტიის მე-8 მუხლის I ე. პუნქტი): სახელმწიფომ უნდა მიიღოს

ზომები, რათა ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონულ და უმცირესობათა ენებზე.

კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნულ უმცირესობად აღიარებული საზოგადოების ენა მოცემულ რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების ენად გამოცხადდება, თუკი სახელმწიფოში ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები ამ რეგიონში დღესაც უმრავლესობაში არიან, ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, თუკი, ამავე დროს მათ ეს სურთ.

მაშინ რატომ ვაკრიტიკებთ ბოლშევიკების პოლიტიკას? აღსანიშნავია, რომ 1930 წელს ამიერკავკასიის ცაკი-ს გადაწყვეტილებით საქმისწარმოება ყველა ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში უნდა გადასულიყო მათ მშობლიურ ენაზე [213, 5].

ქარტიასა და კონვენციას დღემდე შეუერთდა 44 ქვეყანა, რატიფიკაცია კი ოცდაცხრამეტმა მოახდინა: ბელგიის, ირლანდიისა და ლუქსემბურგის პარლამენტებს მთავრობის ხელმოწერილი დოკუმენტები ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია.

ევროპულ სახელმწიფოებში, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, სხვა კონტინენტიდან ჩამოსულიც კი, თუ ის მოცემული ქვეყნის მოქალაქე გახდება, სახელმწიფოს ძირითადი (სახელმდებელი) ერის შემადგენელ ნაწილად ითვლება, რამდენადაც ის უკვე ფლობს სახელმწიფო ენას და ემორჩილება სახელმწიფო კანონებს.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ევროპასთან ინტეგრაციის ლოზუნგის მოშვე-

ლიებით მათი ენის პრივილეგიებს მოითხოვენ, რაც მომავალში სხვა ჩანაფიქრების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს (ევროსაბჭოს) სრულუფლებიანი წევრი გახდა. შევარდნაძის მთავრობამ ქარტიისა და კონვენციის დოკუმენტებს 2000 წელს მოაწერა ხელი. საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 13 ოქტომბერს, დაამოწმა კონვენცია; უახლოეს ხანში კი ქარტიის დადასტურებაც იგეგმება.

ფაქტია, რომ შევარდნაძის ადმინისტრაცია 2000 წელსვე ცდილობდა ორივე დოკუმენტის რატიფიკაციას; ენის კანონის მიღებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასაც შეეცადა. თუმცა ქართულ საზოგადოებაში გაჩენილმა წინააღმდეგობამ აიძულა მაშინდელი ფაქტობრივი რეჟიმი, უარი ეთქვა თავისი გეგმის განხორციელებაზე.

ქარტიის და კონვენციის ლინგვისტური ცნებების არაკომპეტენტური განმარტებით შექმნილი შევარდნაძის რეჟიმის დოკუმენტები საქართველოს დაშლას აფორმებდა. კერძოდ, ტერმინების (ეროვნული უმცირესობა, უმცირესობათა ენა, დიალექტი...) ულოგიკო გააზრებით ჩნდებოდა საშიშროება, საქართველოში დაკანონებულიყო ათამდე რეგიონული სახელმწიფო ენა; ავტოქტონად აღიარებულიყო ამდენივე ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც, საკუთარ ენაზე საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის გარდა, უფლება ექნებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება ქართულისაგან განსხვავებულ ენაზე ეწარმოებინა და ა.შ. [212, 8-9].

დღეს ევროკავშირისაკენ სწრაფვა გააქტიურდა, შესაბამისად დღის წესრიგში დგას ევროსაბჭოს წარმოდგენილი დოკუმენტების მიღებაც. ყოველმხრივ ცდილობენ საქართველო გამოაცხადონ მრავალეროვან და მრავალენოვან სახელმწიფოდ. შესაბამისად იბრძვიან, საქართველოში დაკანონდეს ათამდე ეროვნული უმცირესობა და ამდენივე სახელმწიფო ენა [212, 9]. ასეთი პოზიცია დიდ საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, არამედ, ანგრევს ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას და გადაგვარებას უქადის ქართველ ეროვნებას.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი ევროსაბჭოს ქვეყანამ მიიღოს ევროპული ქარტიის ყველა დოკუმენტი. მაგალითად, უმცირესობების ენების ქარტიისა და ეროვნული უმცირესობების კონვენციას საფრანგეთი დღემდე არ არის მიერთებული. ხსენებულ დოკუმენტებში, ასევე არ არის განმარტებული ცნებები: ეროვნული უმცირესობა, კულტურული უმცირესობა, ენა, დიალექტი, ენის სახესხვაობა და სხვ.

სტრასბურგის დოკუმენტებზე ხელმომწერი ხელისუფლების აზრით, ამ ცნებების–ტერმინების გააზრება და ეთნიკური უმცირესობების თუ უმცირესობათა ენების ჩამონათვალის შექმნა კონკრეტული სახელმწიფოს კომპეტენციაა [212, 10]. მხოლოდ არსებული ტრადიციის თანახმად, სახელმწიფო, კონვენციასთან შეერთების მომენტში აკეთებს შესაბამის განცხადებას, რომელშიც განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობების“ ტერმინის მნიშვნელობას (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლო-

ენია, შვეიცარია) ან ასახელებს კონკრეტულ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებზეც გავრცელდება ჩარჩო-კონვენციის დებულებები (დანია, გერმანია, სლოვენია, მაკედონია) [211, 31].

ჩვენთვის მთავარია თავის სასარგებლოდ არ გამოიყენონ ევროპული ქარტიიდან „ამოგლეჯილი“ მუხლები აქ მცხოვრებმა არაქართველებმა, რასაც საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან საქართველოს სახელმწიფო ვალდებული არ არის სხვადასხვა დროში თავშეფარებულ ჯგუფებს თავიანთ ენებზე დაუარსოს ბაგა-ბადები, სკოლები, უნივერსიტეტები. აგრეთვე მათი კომპაქტურად ჩამოსახლების ველში სახელისუფლო სტრუქტურების საქმის წარმოება მიგრანტთა ენაზე დაიწეროს.

იმას რასაც დასავლეთი ახალ მსოფლიო წესრიგს უწოდებს, ფაქტობრივად კაცობრიობისადმი თავსდატყეხილი მიხაკისფერი ჭირია. ეს არის ვანდალიზმი და ქარბორბაღა, რომელიც მსოფლიოსა და საქართველოს თავზე ტრიალებს. ეჭვია, რომ ეს ცუნამები და წყალდიდობები, ქარიშხალი, ავადმყოფობები და მისთანები ხელოვნურად გამოწვეული და მალთუხისა და ძმათა მათთა პროგრამის საფუძველზე ხორციელდება [214, 4].

შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რომ ბოლო წლებში ახალგაზრდების ნაწილში ისტორიისა და ტრადიციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება შეიმჩნევა, რომლებიც „პოპ-კულტურის“, დასავლეთის სხვადასხვა ღირებულებების თაყვანისმცემლები გახდნენ. პრაქტიკოსი პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ქართველი ახალგაზრდობა ასევე ცუდად სწავლობს საქართველოს ისტორიას... ამ შემთხვევაში ზოგიერ-

თი ცუდად შედგენილ სახელმძღვანელოსთან ერთად დამნაშავეა გლობალიზაციის ტენდენცია; ასევე ზოგიერთი სექტისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებიც აღმერთებენ ყოველივე დასავლურს, დასავლური ცხოვრების წესს, სადაც უკვე აღარ რჩება ეროვნული, მშობლიურის ადგილი.

მშობლიური ისტორია, ისე როგორც მშობლიური ლიტერატურა, ძირითადად სასკოლო საგნებია. ესენი არის პიროვნების, მოქალაქის ჩამოყალიბების საფუძველი. პიროვნება, რომელიც იქნება პატრიოტი და არა შოვინისტი, უნდა აღვზარდოთ ტოლერანტი და არა გლობალისტი. ადამიანი, რომლისთვისაც მთავარი იქნება, როგორც ტრადიციული – მართლმადიდებლური ღირებულებები, ასევე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები [215, 52].

როდესაც გლობალიზაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „გლობალისტების“ რადიკალური ფრთის წარმომადგენლები ერის ცნებას საერთოდ უარყოფენ და ერთგვარი ირონიითაც აცხადებენ, რომ ეროვნული აღქმა (identity) მხოლოდ რომანტიკული ფანტაზიაა. ხოლო ტერმინი „ერი“ აღნიშნავს სახალხო საზოგადოებას დაფუძნებულს საერთო საკუთრებასა და ინტერესებზე (რომლის წევრებიც იზიარებენ აზრს გენეალოგიური და გეოგრაფიული ფესვების შესახებ და სწამთ საერთო ბედისა) [74, 123-124]. გლობალიზში „გადასინჯა“ რელიგიის, გენეტიკის, ისტორიული ერთობის საკითხები; ეჭვქვეშ დაყენა ტერმინების – „პატრიოტიზმი“, „ეროვნულობა“, „ავტოქტონობა“, „ეროვნული ენა“ – და სხვათა პოზიტიურობა; სექტების, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების, იდოლოგიური თუ სქე-

სობრივი უფლებათა დაცვის ჰუმანური მოტივით საზოგადოება დაყო „დასაცავ“ ნაწილებად და გაართულა მათი ტრადიციული ერთობის დაცვა; სამაგიეროდ, დანაწილებულ კოლექტივებს შესთავაზა სხვა გამაერთიანებელი ნიშნები წარსული ტრადიციის გარეშე – საერთო (მაგრამ უცხო) ენა, საერთო (მაგრამ მხოლოდ ეკონომიკით დაკავშირებული) სივრცე, საერთო ფულადი ნიშნები, ერთნაირი სამოსი, ერთიანი კანონმდებლობა, ერთნაირი მასმედია, ერთნაირი ცნობიერება, საერთო მტერი და საერთო მოყვარე [74, 131]. გლობალიზაციამ პლანეტაზე ყოველმხრივი ექსპანსიის ხასიათი მიიღო. მას ახორციელებენ ცალკეული პირები, კოლექტივები, სახელმწიფოები და სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები ისეთ სფეროებში, როგორცაა: ვაჭრობა, ფინანსები, მრეწველობა, კომუნიკაცია, ინფორმატიკა, მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, რელიგია და ა.შ. ამ პროცესს თან ახლავს კონვერგენცია. კაცობრიობა თავისი არსებობის მეტად რთულ ეპოქაში შევიდა, სადაც სამყარო ერთდროულად ორგანიზებული და ქაოტური, გლობალური და ლოკალური, გაერთიანებული და გაყოფილი ხდება.

ამდენად, გლობალიზაციის ახალი ტალღის ეპოქაში, ქართველმა ერმა თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები უნდა მიიღოს და გაითავისოს არა რომელიმე საერთაშორისო ენის, არამედ ეროვნული ქართული ენისა და დამწერლობის საშუალებით. თანამედროვე ტექნიკური მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები ქართულენოვანი უნდა იყოს. ჩვენი მეზობელი ხალხები უფრო მომზადებული შეხვდნენ გლობალიზაციის თანამედროვე შემოტევას. მაგალითად ავი-

ღოთ თითქოსდა უმარტივესი მობილური ტელეფონი – საქართველოში ამ ტექნიკური საშუალებისათვის ვიყენებთ ლათინურ შრიფტს, მაშინ, როცა ამისათვის აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყველა მეზობელ ქვეყანაში ეროვნული საანბანო შრიფტები გამოიყენება. ამის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოზარდი თაობის ერთ ნაწილს ლათინური ასოებით უფრო ემარჯვება აზრების ჩაწერა, ვიდრე ათასწლოვანი ქართული შრიფტით. ეს თავზარდამცემი მომენტია.

ახლა არის მოწოდება საყოველთაოდ შევისწავლოთ საერთაშორისო ენები (ინგლისური და ა.შ.) და მათი საშუალებით ვეზიაროთ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას. ეს მცდარი გზაა. გვაქვს წინაპრების კარგი მაგალითი. ათონელი მამების დროს X-XI საუკუნეებში საერთაშორისო ცივილიზაციის და გლობალიზაციის ენა ბიზანტიურ სამყაროში იყო ბერძნული, დასავლეთ ევროპაში კი ლათინური. მათი ცოდნის გარეშე თითქოსდა ვერავინ ეზიარებოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ათონელმა ქართველმა მამებმა სხვა გზა აირჩიეს, მათ კი არ მოუწოდეს ქართველებს, რომ ყველას შეესწავლა ბერძნული ენა, არამედ თვითონ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ბერძნულენოვანი ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეობით გაათავისებინეს ქართველთა თაობებს. ამჟამდ საჭიროა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აღიჭურვოს ქართული შრიფტით, დაინერგოს საყოველთაო კომპიუტერული თუ სატელევიზიო ქართულენოვნება და გლობალიზაციის ტალღა მივიღოთ ეროვნული იდენტობის სრული შენარჩუნებით. ასე

უკვე იქცევიან აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, თუ არარაფერს ვიტყვით თურქეთსა და რუსეთზე, ბულგარეთსა და რუმინეთზე [216, 12-13].

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო ენის სტატუსი.

როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „სხვისი არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავეუთობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას ცოდვილი ხელით არავინ არ უნდა შეეხოს“.

ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება

ხალხი თავის ენას რომ ჰკარგავს, ამით ის ჰკარგავს სიცოცხლეს, თავის ადგილს ისტორიაში.

მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ქართველი ხალხი იცავდა თავის დედა ენას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. რამდენი მაგალითი ახსოვს ისტორიას, როცა კაცი საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს ოღონდ გადაერჩინა წიგნები და ხელნაწერები, ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლები.

არნოდდ ჩიქობავა წერს, რომ ვახტანგ VI-ის ამაღლის შთამომავლობას ენა დაავიწყდა და ამიტომ თანდათან გვარტომობაც შეეცვალათ. ბულგარული ენა სლავური ენაა, ტომით კი ბულგარელები თურქული მოდგმისანი არიან. ახლა ბულგარელებს სლავებად მიიხნევენ, რადგან ენამ შეცვალა ხალხის მეობის შეგნებაო. ასე, რომ ენა განსაზღვრავს ეროვნულობას და სახელმწიფოს არსებობისათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

უცხო ენაზე სიტყვების „რახარუხი“ ოდენ შირმაა საკუთარი უსუსურობის დასაფარავად. უცხო ენების ცოდნა საზოგადოების თვალში პიროვნებას გრაციით მოსავს და ინტელექტად აღიქმება. გავიხსენოთ ბერნარდ შოუს შესანიშნავი ნაწარმოები „პიგმალიონი“, სადაც უბრალო მეყვავილე გოგონა ელიზე დიულიტლი დახვეწილი, არისტოკრატიული ინგლისურის დაუფლების შემდეგ მიიღეს ელიტარულ საზოგადოებაში და ეჭვიც არ შეჰპარვიათ მის მდა-

ბიო წარმომავლობაში. ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების დახვეწილობას, ლექსიკის სიმდიდრეს.

XIX საუკუნეში დიდმა იაკობ გოგებაშვილმა თავის ბრწყინვალე მოთხრობაში „იანანამ რა ჰქმნა?“ კიდევ ერთხელ შეგვახსენა დედის ნამღერი „იანანას“ სასწაულმოქმედი ძალა.

ანდა რა ტკივილი იგრძნობა მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილში“! სამშობლო – და ენადავიწყებულ მოხუც ანდრე კაშორში თანდათან იღვიძებს ქართველობა და ხდება საოცრება: მას ავიწყდება ფრანგული, ვერავის ცნობს და ქართულად ამეტყველდება. სიკვდილის წინ დედაენამ ის ისევ ანდრო კაიშაურად აქცია. ნოსტალგიის მტანჯველმა გრძნობამ საკუთარი ფესვები მოაძებნინა, გაუღვიძა ბავშვობისა და სამშობლოს სურათები.

დედაენის და მამულის მონატრება ბევრ ქართველს ექცა მოუშუშებელ ტკივილად. ბევრს ჩაჰყვა სამარეში უკანასკნელ ნატვრად, საქართველოს ერთი მუჭა მიწა მაინც მოებნიათ მათს მკერდზე...

წლების წინ გერმანიაში გარდაიცვალა ქართველი კაცი ნიკოლოზ ჯანელიძე, რომელიც ომის შემდეგ იქ დარჩა და სამშობლო აღარ უნახავს. ის სიცოცხლის ბოლომდე ქართულ საქმეს ემსახურებოდა: ასწავლიდა ქართულს გერმანელებს (მათ შორის პროფ. ვინფრიდ ბოედერს), ერთ-ერთ სკოლაში ჩამოაყალიბა ქართული თეატრალური დასი და გერმანელ ბავშვებს ქართულ სიმღერებს ასწავლიდა. თარგმნა და დაბეჭდა „ქართული ზღაპრები“, მოთხრობები, „ქართული სამზარეულო“. მართლაც, მას არ აკლდა სახელი, პატივისცემა, მაგრამ მაინც უცხო და მარტო იყო, ამიტომაც წერდა ერთ-ერთ პირად ბა-

რათში: „ჩემი ძვლებიც კი ტირიან საქართველოზე“ [8, 10]. და მართლაც, დედაენის ზემოქმედების ძალას კაცი ყველაზე ძლიერად მაშინ გეზულობს, როცა სამშობლოდან შორსაა! საილუსტრაციოდ ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების მაგალითიც იკმარებდა.

უცხო მხარეში გადაკარგულებმა თავი არ დაუხარეს შაჰინშაჰის ვერაგულ ზრახვებს. მტრის გასაკვირად ვაჟკაცურად გაუძლეს ყველა გაჭირვებას, დამცირებას და საქვეყნოდ გამოიტანეს ქართველი ხალხის შეუდრეკელი ბუნება და სულიერი სიმდიდრე.

ფერეიდნელი ქართველისათვის ყველაზე საამაყო და სანუკვარი ქართველობა და ყველაზე მშობლიური ადგილი დედამიწაზე – ოცნებადქცეული საქართველო, რომლის სიყვარულს აკენიდანვე უნერგავს შვილს ფერეიდნელი დედა [217, 26-27].

ფერეიდანში არსებობს გადმოცემა, რომ მათ წინაპარს საქართველოდან წამოდებული ვაზის რქა დაურგავს, რომელსაც იქ მოურწყველად გაუხარია და გამრავლებულა. ამ ადგილს „პაპას ბაღი“ დარქმევია და მის მიდამოებში ყოველ გაზაფხულს სალოცავად მიაშურებენ მარტყოფელები. აქ ხდება ახალაგაზრდების გაცნობა და ერთმანეთის არჩევაც. „პაპას ბაღი“ მარტყოფელებს დაკარგული სამშობლოს სიმბოლოდ მიაჩნიათ. „ღმერთმა ნუ ქნას მისი გახმობა, მაშინ ხომ მამა-პაპათა და დიდი საქართველოს მახსოვრობა დაეკარგება ჩვენ ხალხს“ [217, 21].

ფერეიდნელმა ქართველმა ჯარისკაცებმა ერთი მეორის გატანა და ქომაგი იციან. XX საუკუნის 20-იან წლებში ერთმა მათგანმა, ცუდად მოპყრობისათ-

ვის, თავის უფროს ოფიცერს ხელი ჰკრა და აუზში გადააყირავა. ამის გამო გაასამართლეს და სასჯელად ასი როზის დარტყმა გადაუწყვიტეს. როცა სასჯელი სისრულეში უნდა მოეყვანათ, ჯარის უფროსები და თვით ჯარიც მოიყვანეს საყურებლად. უკანასკნელ წუთში ჯარიდან გამოვიდა მისი ამხანაგი, მარტყოფელი ჯარისკაცი მ ო ჰ ა ს ე ბ დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი და განაცხადა: სასჯელი გაყავით შუაზე. აქედან ორმოცდაათი მე დამკართო.

– შენ რაღა დაგიშაგებია? – ეკითხება უფროსი.

– მე არაფერიც არ დამიშაგებია, მაგას რომ ასი შადალი დაჰკრათ, ვერ აიტანს. შეიძლება მოკვდეს კიდევაც. მაშინ მე თავი ცოცხალი რაღათ მინდა?!

– ყოჩაღი ყოფილხარ, – ეთქვა უფროსს გაკვირვებით. გაროზგვა სხვა დროისათვის გადადევს და შემდეგ სრულიად აპატიეს [218, 91-92].

ბახთიარებისა და ქურთების სოფლებში ქართველებიც ცხოვრობენ, რომელთაც დედა-ენა შემოუნახავთ. ფერეიდნელი ქართველის მუსტაფა პაპაშვილის ნაამბობი: „წავედით ყაჩაღების დასაჭერად, ქურთის ერთ სოფელში დავბინავდით. ჩვენ ორი ქართველი ერთს ოჯახში შევედით ღამის გასათევად. დადლილები ვიყავით. წამოვწექით, მაგრამ გვშიოდა. ძილი არ მოგვეკიდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალებმა ქართულად ლაპარაკი დაიწყეს ჩვენ შესახებ:

– ახლა ამათ საჭმელი არ ჩავახეთქოთო?...

– თვალებიც დავსებიათ და შიმშილითაც ამოწყვეტილან. მაგათი დარდი მაქვს?

– უპასუხა მეორემ.

ჩვენ ჯერ გავიტრუნეთ. შემდეგ ვიფიქრეთ, აქ კეტი არ დაგვცხონ თავში-თქო. გამოვეხმაურეთ ქართულად: რას იწყებდები, ჯერ ხომ არასა ვითხოვთ. ეს რომ გაიგეს დაიწყეს თავში ცემა: ვაი ჩვენს თავლებს, ეს ვინ ყოფილხართ, ჩვენ კი ბახთიარები გვეგონეთო. შემდეგ სანამ არ წამოვედით, სულ იქ ვიყავით და დიდი პატივი გვცეს“ [218, 104].

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების შესახებ ლადო აღნიაშვილი სამ ელემენტს გამოყოფს: პირველი მათგანი არის ენა, მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი განურჩევლად ასაკისა და სქესისა აღიარებს თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენიებას, თუ არა გურჯი. „მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ კიდევ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები“.

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნო, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, ღმობიერი და პირში მთქმელი [219, 200].

ბუნებრივია, ეროვნული ენის ცოდნა დღემდე განაპირობა ქართველების კომპაქტურად დასახლებამ ფერეიდანში. თუმცა ზოგერთ სოფელში მმართველობამ შეძლო აეკრძალა ქართულ ენაზე ლაპარაკი [220, 171].

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ფერეიდნელმა ქალებმა მუქარით იფრინეს მოღები, რომლებიც ურჩევდნენ მათ სპარსულ-არაბული ენის შესწავლას, რომელზედაც უნდა ელოცნათ ყოველ-

დღე. მოღების მოთხოვნაში ქალებმა ქართული ენის მოსპობის საფრთხე დაინახეს [221, 62].

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ პირველი ქართველი ქალი იყო სარა ჭელიძე, რომელმაც ფერეიდანი და იქაური ქართველები ნახა.. პირველ ხანებში, ბანკი სადაც მისი მეუღლე მუშაობდა კვირას და პარასკევს ისვენებდა. უქმე დღეს ამბაკო ჭელიძე მეუღლესთან და ალექსანდრე ჭელიძესთან (ბანკის მძღოლი) სანადიროდ გავიდნენ თეირანიდან. მამაკაცები გორას აუყვნენ გარეულ ფრინველებზე ნადირობისთვის, სარა კი მანქანასთან დატოვეს. აი, რას იგონებს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სარა ჭელიძე: იქვე ახლოს ხეხილის მშვენიერმა ბაღმა მომაჯადოვა... ვერც კი შევნიშნე, როგორ აღმოვჩნდი ბაღის შუაგულში... უცებ ხმაური მომესმა. თვალი გავახილე და შევეკრთი: ჩემს წინ ბრგე ირანელი ვაჟკაცი აღმართულიყო, რაღაცას მეუბნებოდა, ხან მე მიყურებდა და ხან ჩვენს ავტომანქანას.

ძალიან შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ავდექი, მშვიდად გავუარე წინ და დავიწყე ძახილი: „ამბაკო, ალექსანდრე!“ კარგად ვიცოდი, ხმას ვერ მივაწვდენდი, მაგრამ მინდოდა იმ კაცს სცოდნოდა, რომ მარტო არ ვიყავი.

უცებ ჩქარი ფეხის ხმა მომესმა, გული სიხარულით ამევსო, რადგან ჩვენები მეგონენ. მაგრამ სასტიკად მოვტყუვდი, ჩვენების ნაცვლად სამი ირანელი ჯარისკაცი მოიჭრა ჩემთან აქოშინებული.

შიშმა და გაკვირვებამ კიდევ უფრო შემიპყრო. ჩემმა გაოცებამ იმატა, როცა ერთი მათგანი აღელვებულნი მომეპარდა და მომაძახა ქართულად:

– ვინა ხარ, საიდან ხარ, საიდან იცი ჩვენებური? (ე.ი. ქართული ა.ს.). – იმედი მომეცა და სხაპასხუპით ვუპასუხე:

– საქართველოდან ჩამოსული ქართველი ქალი ვარ, ჩემი ქმარი თეირანის ბანკში მსახურობს. ამჟამად იგი აქვეა, ახლავე მოვა.

გაოცებული მიცქეროდნენ, თითქო რაღაც წარმოუდგენელი ამბის მოწმენი გამხდარიყვნენ. მეც გავთამამდი და ვკითხე:

– თქვენ ვინა ხართ?

ჯარისკაცმა მიპასუხა:

– ფერეიდნელი ქართველი ვარ, სოფელ ვაშლოვანიდან სახელად ალია მქვია.

ეს ჯარისკაცები თურმე მახლობელ სოფელში მიდიოდნენ. ჩემი ძახილი რომ გაუგონიათ, ფერეიდნელი ქართველი ქალი ვგონებივართ; უფიქრიათ: რაღაც უჭირსო და მოსაშველებლად გამოქცეულან [222, 85-86].

აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. ყველა ხალხს ეროვნებიდან გამომდინარე სალაპარაკო ენის განსაკუთრებული დიქცია გააჩნია. სარა ჭელიძე მხოლოდ ადამიანების სახელს გამოთქვამდა ხმამაღლა. მაგრამ მის ხმაში გაისმა ქართული აქცენტი, გაიხსნა ენობრივი კოდი, რაც ფერეიდნელმა ქართველებმა მყისვე ამოიცნეს და მიხვდნენ, რომ თვისტომს უჭირდა.

მართალია, აშკარად ხელი ვერ შეუშალა ა. ჭელიძეს „ვიზიტს“ ფერეიდანში, მაგრამ ყველა გარემოებით ჩანდა, რომ ირანის ხელისუფლებას არ სიამოვნებდა უცხო თვალს ენახა გაჭირვებული და გადატაკებული სოფელი. სამ საუკუნეზე მეტი ხნის

წინანდელი ქართველთა შთამომავლობა დახვდა ამბაკოსა და მის მეუღლეს 1927 წელს ფერეიდანში. დიდი ცნობისმოყვარეობა განსაკუთრებით ქართველი ქალის მისვლამ გამოიწვია. ქართველი ქალი უმეტესობას ჯერ არ ენახა. ჯარად ეხვეოდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები. ყველას უნდოდა დალაპარაკება და ამასთანავე, ხელით შეხება. კოცნიდნენ ტანისამოსზე, ხელებზე... ყოველი ეზოდან გამორბოდნენ, ესალმებოდნენ და ემატებოდნენ ხალხს. ვინც სალამს ვერ გაბედავდა, იმათ სხვები ეუბნებოდნენ: – სალამი მიე, ჩვენები არიან. ჩვენებური ნამაათ (ლამაზად) იციან [218, 32-33]. შიგადაშიგ გაიძახოდნენ: „დიდ საქართველოდან მოსულან!“ [218, 34].

როდესაც მასპინძლებთან შეხვედრის დროს ამბაკო და სარა ჭკელიძეებმა იმდერეს – „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, სარას მოგონებით ფერეიდნელ ქართველებს თვალები ენთებოდათ, ტუჩები უთრთოდათ, ნესტოები ებერებოდათ და ერთხელ კიდევ გამოხატავდნენ დიდ გრძნობას, რომ ისინი ქართველები არიან, რომ მათ ვერ გატეხს სულიერად ვერავითარი გაჭირვება. როცა ესმოდათ სიმდერა – „ახ ნეტავი ჩიტი ვიყო“, ყველანი დიდ სიხარულს გრძნობდნენ, თვალები უბრწყინავდათ. ყველა მიხვდებოდა მათ უსიტყვო ნატვრას: გადაქცეულიყვნენ ჩიტად, გადაფრენილიყვნენ და ენახათ მშობლიური საქართველო... [222, 89]. და ეს იმიტომ, რომ ფერეიდნელი დედა ქართული ნანათი აკვნიდანვე უნერგავდა შვილს დაკარგული სამშობლოს სიყვარულს და ზღაპრებითა და ლეგენდებით საქართველოს შესახებ ზრდიდა მათში სამშობლოს ძიების ფარულ სურვილს და ინტერესს.

ფერეიდანში მყოფ ა. ჭელიძეს ბახთიარმა უთხრა: „ჩვენ ბახთიარები ბევრი ვართ, მაგრამ თქვენ, ქართველებს რომ ერთი მეორის სიყვარული გცოდნიათ, ჩვენ ასე არ ვიცით. პირიქით ერთი მეორეს თავზე ვესხმით და ვანადგურებთ“ [223, 183].

1944 წლის პირველ აპრილს თბილისიდან მანქანით გაემგზავრა ირანში ირაკლი კანდელაკი. მის წინაშე ფრიად პასუხსაგები ამოცანა იდგა – ჩასულიყო ფერეიდანში და ენახა 328 წლის წინათ დასახლებული ქართველები – შეესწავლა მათი ყოფაცხოვრება. რამდენიმე დღის შემდეგ ქართველი მოგზაურები დაბინდებისას ისფაჰანში შევიდნენ. ქალაქის განაპირას, ერთი ქუჩის გადასასვლელზე, ირანელი პოლიციელი გადაეღობათ და ხმამაღლა სპარსულ ენაზე ბრაზიანი კილოთი დაიწყო ლაპარაკი. ხელებზე თეთრი სამაჯურები ჰქონდა, რაც რეგულატორი ყოფილა. როგორც ჩანს მძღოლმა მოძრაობის წესები დაარღვია და ამიტომ გააჩერეს. პოლიციელმა და მგზავრებმა ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს. მაშინ ი. კანდელაკმა მძღოლს უთხრა გზა განეგრძო. პოლიციელი მაინც არ ეშვებოდა. ირაკლიმ თავისთვის ჩაილაპარაკა ქართულად – რა გააჭირა ამ კაცმა საქმეო! ამ სიტყვების შემდეგ პოლიციელი შემოახტა მანქანის კიბეს და დაიწყო ქართულად ლაპარაკი. – ქართველი ხარ? შენი ჭირიმე, მეც ქართველი ვარ, თქვენი სისხლი და ძვლები, ფერეიდნელი ვარ, სოფელ ავჭალიდან, სად მიდიხართ? ასეთი დიდებული შეხვედრა მოულოდნელი იყო. ირაკლიმ აღარ იცოდა საიდან დაეწყო ლაპარაკი. ისინი მალე დამეგობრდნენ. პოლიციელი გვარად ხუციშვილი აღმოჩნდა. მან სთხოვა, რომ დილით ისფაჰანში კიდევ ოთხ

ქართველს მოიყვანდა. მათთან მეორე დღეს, დილის 10 საათზე, ფერეიდნელი ქართველები მართლაც მივიდნენ საკონსულოსთან. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იქ, ირანის ძველ სატახტო ქალაქ ისფაჰანში ელაპარაკებოდი სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს...

კანდელაკის დაკვირვებით „მარტყოფში დიდი თუ პატარა, ოჯახში თუ გარეთ, ყველა მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ჩადრს არავინ არ ატარებს. საკმაოდ ლამაზები არიან ქართველები. ძლიერ განსხვავდებიან სახით და ფერით სპარსელებისგან. სპარსელი ქალები მოყვითალო ფერის არიან. ფერეიდნელი ქალები კი მოთეთრო-მოწითალო ფერისა. ალბათ, იმიტომ, რომ ქართველი ქალი იშვიათად თხოვდება სპარსელზე. კითხვაზე, თუ რატომ არ თხოვდება ქართველი სპარსელზე ისინი პასუხობენ: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სისხლი ნამაზია, სპარსელებს კი არეული სისხლი აქვთო“. იქაური მამაკაცები მაღალი, მხრებგანიერი, შავთვალწარბნი არიან. აქვთ არწივისებური ცხვირი [224, 12].

ცნობილი ირანისტი ნომადი ბართაია რამდენიმე წლის წინ ფერეიდანში ავტობუსით მგზავრობის დროს ასეთი ფაქტის მოწმე გახდა: „უცებ ჩვენი ავტობუსი შეჩერდა... წინ გავიხედე, გამეგო რაში იყო საქმე. ვნახე, ორი მძღოლი, მსუბუქი და საბარგო ავტომანქანის, მშვიდად ებასებოდა ერთმანეთს, რის გამოც მოძრაობა დროებით შეჩერებული იყო.

თითქმის მთელი ირანი მომივლია, მაგრამ მსგავსი სურათი არსად მინახავს. ვიგრძენი, რომ ქართველთა ქალაქში ვიყავი...“ [225, 23].

საქართველოს პირველ ელჩს ირანში ჯემშიდ გიუნაშვილს 11 წლის ფერეიდნელმა გოგონამ წერილი გაუგზავნა. თავის მხრივ ბატონმა ჯემშიდმა თავად მიმართა პატარა ქართველს, გამოეგზავნა თავისი ან მისი ნაცნობ-ნათესავების მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ლექსები. ელჩმა თავისი საპასუხო წერილი დაამთავრა სიტყვებით: „შენი პაპა ჯემშიდი“, რასაც კვლავ გოგონას პასუხი მოჰყვა. „ჩემო ძვირფასო პაპა! იმდენი რომ თქვენი წერილის გაკითხვით გული გამიხატრდა ჯერკი სიცოცხლეში არაფერსავით არ გახარებული ვიყავ. ახლა დამეჯერა რომ მართალი ქართველი ვარ. თქვენ რომ იყოთ ჩემი პაპა ემისგან მეტი მინდა რაღა? მე ოთხი ნატვრი მაქვს მაგრამ ლექსი კი არ მითქომ. ქართული ენა იმდენათ მე მაინტერესებს რომ ჩვეულებრივი საგზარიც ქართულად ლექსით კაი და საინტერესოა. ჩემი პირველი ნატვრი არი საქართველოს დამშვიდება, აყვავება, აშენება, წინსვლა და საქართველოს ხალხის ჯამრთელობა და ბედნიერება. მეორე ჩემი ნატვრი ისი რო ძალიან მიყვარს წავიდე საქართველოში ჩემი და ჩემი წინაპრების სამშობლოში და ჩემი გული, სული, სისხლი ვაჩუქო და თავის მიწა და წყალს ვაკოცო. მესამე ესე რო მინდა წავიდე თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენა კარგად ვისწავლო და შემდეგ მოვიდე ირანში ფერეიდნელ ქართველებს ვასწავლო და გაგამრავლო. ჩემი ბოლო ნატვრი და სურვილი ეს არი რო მუდამ დმერთს ვეხვეწები და ვთხოვ ჩემი ძმას თავის წიგნის დაბეჭდვაში რომ ჰქვიან ქართველთა როლი ირანის ისტორიაში და კულტურაში მეშელოს და უშველოს. მაპატიეთ თუ შეცდომილვარ.

თქვენი პატარა გოგონა ფარვინ მუღლიანი“ [226, 11].

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, შეუძლებელია არ გაგახსენდეს მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები:

„თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!“ . . .

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა 2003 წლის 14 აპრილს (დიას, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს) ქალაქ ფერეიდუნშაპურში (მარტყოფი) ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესი ჩაატარეს. კონგრესის მიზანი იყო ფერეიდნელ ქართველთა მიერ მარტყოფის ენად ქართული ენის შენარჩუნების პრობლემაზე მსჯელობა. ფერეიდნელ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებაზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წერილის ფრაგმენტი, რომელიც ფერეიდნელ ქართველს გაუგზავნია თურქეთში მცხოვრები მისი თანამემამულისათვის 2004 წელს. მოზღვავებულ ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციური სიმძაფრით წარმომსახველი ეს წერილი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი ავტორი ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და უცხო გარემოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულად შემკაცშირებლის როლშიც გამოდის. ამ ადამიანების

ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინად მან ერთი გასაოცარი სიტყვაც იხმარა პირველად – თ ა ნ ა ფ ე ს ვ ი, რითაც ზუსტი ადეკვატურობით გამოხატა უმთავრესი არსი მათი ერთობისა და განუყოფლობისა.

„ფერეიდუნ შაჰრი. 2004 წელი (სტილი დაცულია). ძვირფასო ძმარ რეჯებ, სალამ ალეიქუმ ვარაჰმადლაჰ! გაუმარჯოს თურქეთის ყველა ქართველს!

არ ვიცი, როგორ გითხრა, რასა ვგრძნობდი და როგორ ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი შენს წერილსა. როგორც ფრინველი ზეცაში ფრინავდეს, ისე ვიყავ. ტყავში და ქერქში ვერ ვდგებოდი სიხარულით. თვალზე ცრემლი და გულში დარდი მქონდა. ნეტავ რატომ ძმები ასე შორს იყვნენ. . . “

ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იქ დაფუძნებული საზოგადოება – „ირანელი ქართველები“. მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაბეჭდ პროდუქციას აწერია: „ა რ ს ე ბ ი თ ი ნ ი შ ა ნ ი ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა, მ ი ს ი გ უ ლ ი დ ა ს უ ლ ი ე ნ ა ა!!! “ გვხვდება ასეთი პრეამბულაც: „ქ ა რ თ უ ლ ე ნ ი ს დ ა მ კ ა რ გ ა ვ ს ა დ ა მ მ ა რ ხ ვ ე ლ ი ა რ ა ჰ ყ ა ვ დ ე ს“ [227, 87-88].

და ბოლოს ერთი ეპიზოდი: 1969 წელს თურქეთში იმყოფებოდა ქართველი ინტელიგენციის ჯგუფი. მათ შორის ცნობილი პოეტი ფრიდონ ხალვაში ბურსაში შეხვდა უნახავ მამიდას, რომელიც თვალცრემლიანი, ყოველ სულისმთქმარზე ეკითხებოდა: მითხარ, როგორაა მემლექეთი? სამშობლოს მონატრებული მამიდას ნაფიქრალი პოეტმა შემდეგ სტრიქონებში გამოხატა:

მითხარ, როგორაა მემღეჭეთი ,
 ჩემი სანატრელი საქართველო
 რამე იმნაირი გამაგონე,
 გული დაკოდილი გავამთელო.
 მითხარ, როგორაა მემღეჭეთი,
 მე სულ მისი ფიქრით დავდიოდი,
 ახლად დავიბადე, თბილისიდან
 ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.
 კაი მექართულე ვეღარა ვარ,
 მაგრამ სული მიღულს იმოდენა,
 რომ შიგ სიტყვა მარად მშობლიური,
 როგორც გაზაფხული, იტოტება.
 მითხარ, როგორაა მემღეჭეთი,
 მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი,
 იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,
 ისე ერთი წუთიც დამაბერებს.
 ლუკმა არ მაკლია, მართალია,
 მაგრამ სამშობლოთ დარბი ვარ.
 აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ,
 მთელმა სიცოცხლემ გაირბინა.
 მითხარ, როგორაა მემღეჭეთი,
 აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალები,
 იზმითს, ეგეოსის ნაპირებზეც
 ვაგეთ საქართველოს სახლ-კარები.
 მითხარ, როგორაა მემღეჭეთი,
 ჩემი სანატრელი საქართველო,
 რამე იმნაირი გამაგონე,
 გული დაკოდილი გავამრთელო.

ჩვენნი თანამემამულენი, რომლებიც ავბედობის
 გამო საუკუნეების განმავლობაში უცხო მიწაზე დამ-

კვიდრდნენ, ეროვნული თვითშეგნება, ქართველობა, მხოლოდ ენამ შეუნარჩუნა. ფაქტია, რომ ისეთი ფანატიკური რელიგია, როგორც ისლამია უძლური აღმოჩნდა ქართველების ასიმილაცია მოეხდინა. ირანსა თუ ოსმალეთში არც „გასპარსდა“ და არც „გათურქდა“ მაინც „გურჯად“, ქართველად დარჩა.

ტერმინი – ერის განმარტების მრავალი ვერსია არსებობს. უმრავლესობა წინა პლანზე ერის ერთობას მიიჩნევს. არიან ერები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ასევე სხვადასხვა ერი ერთ ენაზე ლაპარაკობს. ქართველის იდენტიფიკაცია, ერის კოდი სწორედ ერის მეშვეობით განისაზღვრება. ამიტომ ჩვენს მთავარ საუნჯეს დიდი გაფრთხილება სჭირდება.

ბამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კ. ჭრელაშვილი, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1990
2. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I, თბ., 1955
3. ს. სიგუა, აღთქმული ქვეყნის ძიება, თბ., 1984
4. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978
5. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბ., 1978
6. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2005
7. პ. გუგუშვილი, საქრთველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ.7, თბ., 1984
8. რ.ზექალაშვილი, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, ნაკვეთი პირველი, თბ., 2003
9. ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999
10. გ. გურეშიძე, ენობრივი აგრესია, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №18
11. გ. ჯოლია, დიპლომატიური და სქმიანი ეტიკეტი, თბ., 1999
12. რუბენ პელაიო, გაბრიელ გარსია მარკესი, თბ., 2011
13. როი ჯენკინსი, ჩერჩილი, წიგნი მეორე, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ჭილაძემ, თბ., 2011
14. რ. მიშველაძე, პოლიტიკა კულტურა, თბ., 2010
15. ლ. მაჭავარიანი, ნ. ელიზბარაშვილი, სახალისო გეოგრაფია, თბ., 1998

16. ა. ბაქრაძე, კინო თეატრი, თბ., 1989
17. ვ. ჭელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989
18. მოჰანდას კარამჩანდ განდი, ჩემი ავტობიოგრაფია ანუ ჭეშმარიტების ძიების გზა, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლ. დუმბაძემ, თბ., 2010
19. მუხრან მაჭავარიანი, ერთტომეული, თბ., 1979
20. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №14
21. ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1963
22. ნ. ლაღაძაშვილი, როგორ ვმტრობთ ყოველ ნაბიჯზე ქვეყანას, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №1
23. გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწილი მეორე, თბ., 1987
24. გ. ქიქოძე, წერილები ესეები ნარკვევები, თბ., 1985
25. გ. აღასანია, ქართველები უცხოეთში, კრ. „კულტურათა დიალოგი და დიასპორა“, თბ., 2009
26. დ. კიზირია, ქართული ენის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კრ. „კულტურათა დიალოგი და დიასპორა“, თბ., 2009
27. ვ. ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992
28. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია 1640-1815 წლები, ნაკვეთი I, თბ., 2006
29. ჯანრი კაშია, თავისუფლება და ფედერალიზმი, თბ., 1997

30. რ. გორდეზიანი, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №13
31. მ. ქურდიანი, ქართული ენა და დამწერლობა, თბ., 2008
32. გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 2000
33. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
34. ბ. კილანავა, ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990
35. ქართლის ცხოვრება, ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მ. სანაძემ და ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, თბ., 1994
36. რ. ბარამიძე, ფარნავაზმან ძლიერ ჰყო ქვეყანა თვისი, თბ., 1992
37. ვ. ჭელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წიგნი I, თბ., 1973
38. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004
39. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958
40. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973
41. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, „ქართული პროზა“, წიგნი I, თბ., 1981
42. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი, „ქართული მწერლობა“, ტომი პირველი, თბ., 1987
43. მ. ჩხარტიშვილი, ისტორიული პორტრეტები, თბ., 1992

44. ილარიონ ქართველის ცხოვრება, „ქართული პროზა“, წიგნი I, თბ., 1981
45. გიორგი მთაწმინდელი, იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, „ქართული პროზა“, წიგნი I, თბ., 1981
46. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტი ტომად, ტომი IX, თბ.; 1996
47. ნ. სონღულაშვილი, ქართული ერთობა და მისი იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, თბ.; 2010
48. ტ. სარიშვილი, იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები, თბ., 1990
49. გ. გასვიანი, საქართველო – რუსეთის ურთიერთობა, „ანალები“, 2005, №1
50. შ. თეთვაძე, ანტიქართული დემოგრაფიული პროგრამა მოქმედებაში, უურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2002, №3
51. ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წ.წ.), ბათუმი., 2009
52. ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991
53. პოლიტოლოგია, თბ., 2001
54. გელა საითიძე, ვეგენი გეგეჭკორი–რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, აღმანახი „კლიო“, 1999, №5
55. ვაჟა ფშაველა, თხზ. ტ.IX, თბ., 1964
56. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985
57. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსობის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები, კრ. „ახა-

- ლი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2002, №2
58. ნ. ღამბაშიძე, ვახტანგ ღამბაშიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, №1
 59. ი. ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული პროექტი („თერგდალეულები“), თბ., 2009
 60. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002
 61. ვ. გურული, ო. თუშურაშვილი, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი), ჟურნ. „საარქივო მონაშენი“, 2009, №6
 62. ო. გოგოლიშვილი, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში, აღმანახი „კლიო“, 2006, №30
 63. ს. გრიგალაშვილი, ქართული კულტურის კერები უცხოეთში, კრ. „საქართველო ევროპა-ამერიკა“, II, 1998
 64. ზ. დოლიძე, იოსებ ღაღიაშვილი – შურისმაძიებელი თუ ტერორისტი? ჟურნ. „ისტორიანი“, 2011, №2
 65. ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი პირველი, თბ., 2000
 66. ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1998
 67. საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003
 68. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ., თბ., 1977

69. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში ფედერალისტები, თბ., 1993
70. ზ. აფხაძე, გაზეთ „იმერეთის“ ეროვნული პროგრამა, აღმანახი „კლიო“, 2003, №17
71. გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992
72. ვ. კიკნაძე, ილია ჭავჭავაძე და მე-19 საუკუნის სამღვდელეობა, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2007, №2
73. ტ. კვანჭილაშვილი, ახალი წერილები, თბ., 1988
74. მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005
75. Ю. Бромлей, Р. Подольный, Человечество_это народы, М., 1990
76. ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე, მ. პაპაშვილი, ნ. დუდუშაური, პოლიტოლოგია, თბ., 2010
77. ი. კვესელავა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების და აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის, „საისტორიო ვერტიკალები“, 2002, №2
78. ქ. ჯიჯვიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბ., 2010
79. პანკისის კრიზისი, თბ., 2001
80. გ. გოგიაშვილი, სახელმწიფო ენა და ეროვნული უმცირესობები, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1996, №9-10
81. ლ. მელიქიშვილი, კონფლიქტის ანთროპოლოგია, თბ., 2006
82. ლ. კიკნაძე, ქრისტიანობა არაბული აღმოსავლეთის კონფესიონალურ სისტემაში, კრ. „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1993

83. ვ. შუბითიძე, ვ. ფერაძე, პოლიტოლოგია გამოყენებითი პოლიტოლოგია, თბ., 2005-2006
84. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბ., 1973
85. Р. Ф. Итс, Введение в этнографию, ленинград., 1991
86. ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2001
87. ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში, თბ., 2006
88. ნ. ომარაშვილი, კახეთში მცხოვრები დაღესტნელები, თბ., 2008
89. П. Кууси, Этот человеческий мир, пер. с английского, М., 1988
90. ვახტ. ითონიშვილი, ტერმინ „ბარბაროსის“ წარმომავლობისათვის, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III, თბ., 2001
91. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1994
92. თ. თოდუა, სახელმწიფო მართვა, თბ., 2008
93. ს. ლობჯანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006
94. გ. ჭეიშვილი, „იბერი“ ტერმინის მნიშვნელობა ბერძნულ-რომაულ წყაროებში, ურნ. „ანალები“, 1999, №1
95. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი., 1992

96. თ. ბერაძე, მ. სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, (ანტიკური ხანა და შუასაუკუნეები), თბ., 2003
97. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991
98. მ. დარჩაშვილი, პირველი მსოფლიო ომი და ერთაშორისი ურთიერთობების საკითხი საქართველოში, აღმანახი „კლიო“, 2004, №24
99. Амброджо Донини, У истоков христианства, перевод с итальянского, М., 1989
100. И. С. Филипов, Ономастика, В кн. Введение в специальные исторические дисциплины, М., 1990
101. გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბ., 1999
102. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990
103. ვ. ასლანიშვილი, არაგვის აუზის მოსახლეობა 60 საუკუნის განმავლობაში, „მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია“, თბ., 2001
104. თ. ხოხობაშვილი, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები და ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს (იბერიის) ეთნოსოციალური ასპექტები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005
105. ჟ. ერიაშვილი, საქართველოს მიწა-წყალზე „უცხო“ მიღება-დასახლების მექანიზმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, აღმანახი „კლიო“, 2006, №30
106. თ. ხოხობაშვილი, ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამარხთა ეთნოსოციალური ატრიბუ-

- ცია, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, №11
107. მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, ჟურნ. „ანალები“, 2008, №3
108. ხ. გვარაძე, „მცხეთელი მამასხლისის“ საკითხისათვის ლეონტი მროველის თხზულებაში – „მეფეთა ცხოვრება“, აღმანახი „კლიო“, 2002, №14
109. ა. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006
- 110 თ. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბ., 2005
111. ე. კვაჭანტირაძე, სომეხთა ეროვნული საბჭოს რამდენიმე დოკუმენტის შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 2005, XI
112. შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001
- 113 ნ. აბესაძე, ეთნიკური პროცესები ქალაქ გორში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, II თბ., 2001
114. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970
115. ვ. პიტოევი, საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა“, 1929, №3
116. საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბ., 1991
117. ს. ლობჯანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006

118. დუგლას რიდ, Спор о сионе, Пер. с английского, М. 1993
119. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბ., 2009
120. ვ. მერკვილაძე, როს ყველა ერი შუღლს დაივიწყებს... ჟურნ. „საზრისი“, 1991, №7-8
121. ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისკენ, თბ., 1990
122. ვ. ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები), თბ., 1992
123. ლ. თოიძე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 1991
124. დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში 1918-1921 წლები, თბ., 2003
125. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლები თბ., 2000
126. მ. ფართლაძე, განათლების რეფორმა 1918-1921 წლებში და ქუთაისის სკოლები, აღმანახი „კლიო“, 2003, №17
127. მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996
128. ქართული დიპლომატია, ტ. I, თბ., 1994
129. ქართულ-ავხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ., 1991
130. ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. VI

131. უ. სიღამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი), კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968
132. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991
133. ვლასა მგელაძე, სამხედრო მინისტრის დაკრძალვა, ჟურნ. „მხედარი“, 1991, №1
134. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978წწ.), თბ., 1983
135. გაზ. „მუშა“, 1923, 11 აგვისტო
136. გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 5 მარტი
137. ა. დაუშვილი, საეროვნებათმორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1985 წწ. (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1999
138. გ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986
139. თ. ღლონტი, რუსული ენა და ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი, გაზ. კომუნისტი“, 1926, 23 ივნისი
140. ა. სონღულაშვილი, ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან, თბ., 2001
141. ა. ციციაშვილი, საქართველოს კპ მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921-1929წწ.), თბ., 1968
142. გაზ. „კომუნისტი“, 1924, 6 აპრილი
143. გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 11 მარტი
144. გაზ. „ტრიბუნა“, 1923, 9 მაისი

145. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (შემდეგში: სშსსა), ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485
146. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 282
147. შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ., 1987
148. გაზ. „ტრიბუნა“, 1923, 4 იანვარი
149. დ. ხახუტაიშვილი, რა მისცა ავტონომიამ აჭარას? ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, №3
150. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში: სუიცსსა), ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 129
151. სუიცსსა, ფ. 285, ანაწ. 1, საქ. 782
152. რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თარგმანი ფრანგულიდან, თბ., 1994
153. გ. შენგელია, ჯერ კიდევ როდის, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 10 ივნისი
154. კ. წენგუაშვილი, ქართველი პოლიტიკატიმრის წერილები ლ. ტროცკის, „ანალები“, 2005, №1
- 155 ა. დაუშვილი, მუშათა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემა XX ს. 20-30-იან წლებში, აღმანახი „კლიო“, 1998, №2
156. სუიცსსა, ფ. 617, ანაწ. 1, საქ. 1202
157. ვ. ბერიძე, მოგონებები, თბ., 1987
158. მ. ბადრიძე, ქუთაისის ისტორია, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997
159. გ. სურგულაძე, ეროვნული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ მესხეთ-ჯავახეთსა და

ქვემო ქართლში XX საუკუნის 20-იან წლებში,
აღმანახი „კლიო“, 2001, №11

160. სუსსა, ფ. 14, ანაწ. 3, საქ. 520
161. სუიცსსა, ფ. 607, ანაწ. 1, საქ. 2506
162. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 3, საქ. 486
163. სუიცსსა, ფ. 300, ანაწ. 6, საქ. 19
164. სუიცსსა, ფ. 607, ანაწ. 1, საქ. 2404
165. გაზ. „ივერია“, 1904, №15
166. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1771
167. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1506
168. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1082
169. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1988
170. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1987
171. ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991
172. ნ. ჯორჯიკია, გრიგოლ ლორთქიფანიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, აღმანახი „კლიო“, 2001, №13
173. ეთნოგრაფია, თარგმანი რუსულიდან, თბ., 1991
174. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 11 ოქტომბერი
175. Г. И. Литвинова, К вопросу о национальной политике, сб. , по страницам самиздата,, М., 1990
176. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990
177. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998
178. შ. ნოზაძე, 1956 წ. ტრაგიკული 9 მარტი, თბ., 1992
179. ე. ქვათაძე, ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი XX საუკუნის 50-იანი წლების საქართვე-

- ლოში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2002, №3
180. ნ. ჯაფარიძე, ნამდვილი ამბები მარიკა ლორთქიფანიძისგან, ჟურნ. „ისტორიანი“, 2011, №5
181. უ. ბლუაშვილი, საქართველო გამოწვევების წინაშე, თბ., 2010
182. გ. გასვიანი, თ. გასვიანი, აფხაზეთის ომი, თბ., 2005
183. ა.სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004
184. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ., 2003
185. თ. გასვიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფხაეთა სეპარატიზმის სათავეები, თბ., 2003
186. კ. ტოლიაშვილი, რელიგიური მდგომარეობა აფხაზეთში XIX საუკუნის მიწურულს, აღმანახის „კლიო“, 2002, №14
187. Г. Жоржوليани, Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия, тб., 2000
188. რ. ჯაღაღანია, ნ. გოგუა, დ. ქობალია, საქართველო რუსული იმპერიალიზმის სამიზნე, თბ., 2007
189. А. Ментешавили, из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народа, тб., 1990
190. Б. Е. Сагария, Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1932гг.), Сухуми., 1970
191. Н. А. Лакоба, Статьи и речи, Сухуми., 1987

192. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969
193. სუიცსსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 537
194. დ. კოპალიანი, სახალხო განათლება და კულტურა რევოლუციამდელ საქართველოს მთიან რაიონებში, თბ., 1990
195. გაზ. „მიწის მუშა“, 1923, 4 აგვისტო
196. გაზ. „კომუნისტი“, 1926, 27 ნოემბერი
197. ნ. ჯორჯიკია, ეპიზოდები საქართველოს ავტონომიების ისტორიიდან (1938-1952წწ.), კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №2
198. ა. ბაქრაძე, რწმენა, თბ., 1990
199. ა. სონდულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, თბ., 2005
200. შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., თბ., 1979
201. ბერძნები საქართველოში, თბ., 1990
202. ა. სონდულაშვილი, ბერძნები საქართველოში, თბ., 2004
203. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 313
204. С. Ангелов, Из истории греков Грузии, тб., 1990
205. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007
206. ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009
207. ნ. ღამბაშიძე, „ენა, მამული, სარწმუნოება“ დმანისის რაიონის აზერბაიჯანული მოსახლეობის ცხოვრებაში, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №1

208. ი. ჯუკაშვილი, ეთნიკური დაპირისპირების ისტორიული ასპექტის განსაზღვრისათვის, „კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე“, II, მონრეალი-თბილისი, 2000
209. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2010
210. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2005
211. შ. დოდონაძე, ევროპის საბჭო და საქართველო, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001
212. ტ. ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, თბ., 2005
213. სუიცსსა, ფ. 607, ანაწ. 2, საქ. 5098
214. ი. ახუაშვილი, ეკლიანი გვირგვინი მსოფლიოზე, წიგნი მეორე, თბ., 2005
215. А. Даушвили, Историческая наука и учебники по истории, „аналები“, 2005, №2
216. ანანია ჯაფარიძე, საქართველო ევროპულ სივრცეში საკუთარი ეროვნული იდენტობით, კრ. „საქართველო ევროპულ სივრცეში“, თბ., 2011
217. თ. ცაგარეიშვილი, ფერეიდნელები საქართველოში, თბ., 1981
218. ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1951
219. ლ. აღნიაშვილი, მოგზაურობა სპარსეთში და იქაური ქართველები, ტფ., 1895
220. ა. სონღულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბ., 2005
221. ა. ჭელიძე, ექვსი წელი სპარსეთში, თბ., 1964
222. სარა ჭელიძე, ფერეიდანში, ჟურნ. „ცისკარი“, 1958, №1

223. ლ. ფრუიძე, ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, №2
224. ი. კანდელაკი. ქართველები ირანში, ჟურნ. „დროშა“, 1958, №3
225. ნ. ბართაია, ირანული ჩანახატები, თბ., 2001
226. „მეგობრობის მაცნე“, 2005, №4
227. ა. ნიკოლეიშვილი, ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, 2011, №1

შინაარსი

წინათქმა	3
შესავალი.....	8
მშობლიური ენის მადლი.....	20
ქართული ენისა და დამწერლობის სათავეებთან..	39
ქართული ენის სტატუსი.....	53
იმპერიის მარწუხებში	70
ეროვნული უმცირესობის საკითხისათვის.....	95
1005 დღე.....	134
საბჭოთა რეჟიმი.....	144
ეროვნული უმცირესობა და სახელმწიფო ენა.....	182
ქართული ენა და ევროპული ქარტია.....	205
ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება.....	216
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	231



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge